

LAROUSSE

ფრანგული ენის
ახალი

ბრამატიკა

მისი მეთვრის
კანონი 8238360

ფრანგული ენის ახალი
ბრამატიკა



ფრანგული ენის
ახალი გრამატიკა

ჟან დიუბუა
პარიზი-X ნანტერის უნივერსიტეტის პროფესორი

რესე ლაგანი
პარიზი-X ნანტერის უნივერსიტეტის დოქტორი



ფრანგული ინსტიტუტი საქართველოში
ძ ბ ვ ე ნ ი

აგორა
2008

La Nouvelle grammaire du français

Jean Dubois

Professeur à l'Université de Paris-X Nanterre

René Lagane

Chargé d'une Maîtrise de Conférences à l'Université de Paris-X Nanterre

ფრანგულიდან თარგმნეს ნაილი სვანიძემ და მარინა ბალავაძემ
Traduit du français par Naïli Svanidzé et Marina Balavadzé

რედაქტირებულია საგამომცემლო ჯგუფის მიერ,

ნივნი გამოცემულია საფრანგეთის საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში.

Ouvrage publié avec le concours du Ministère français des Affaires Etrangères et Européennes, de l'Ambassade de France en Géorgie et du Centre culturel français Alexandre Dumas de Tbilissi dans le cadre du Plan d'Aide à la Publication Méréab Mamardachvili

Tout droit réservé

ყველა უფლება დაცულია

აკრძალულია ამ ნივნის ან მისი რომელიმე ნაწილის (მაგალითად, ერთი გაკვეთილის) რაიმე სახით გამოცემა. მისი გადამრავლება და კოლექტიური საჭიროებისთვის ან კომერციული თვალსაზრისით გამოყენება იაფგაბა კანონით.

© გამოცემლობა აგორა, 2008

© Larousse, Paris 2001

ISBN 978-9941-9103-5-7

წინასიტყვაობა

გრამატიკის ეს სახელმძღვანელო სიახლეს მრავალი ასპექტით წარმოადგენს. დღეისთვის გამოყენებულ გრამატიკის სახელმძღვანელოებში კარგად არის ასახული გრამატიკოსთა მრავალი თაობის მახშიმიმდევრული, ზოგჯერ ერთმანეთთან შეუსაბამო წვლილი ანტიკური აანიდან მოყოლებული დღემდე. ესაზე რეფორმების მთელი ამ წარსულის ერთიანად უარყოფ: უსამართლო იქნებოდა. თუმცა, არც იმ განახლების უგულვებლყოფა იქნებოდა მართებული, რომელიც თანამედროვე ლინგვისტიკამ მოიტანა როგორც ზოგიერთი აღრიხდელი აღწერის კრიტიკით, ასევე ძველი გრამატიკოსების ზოგიერთი მოსაზრების სისტემატიზაციითა და ანალიზის ახალი მეთოდების შემუშავებით. ეს იმიტომ, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან ენათმეცნიერებამ, ეხის ფუნქციონირების მეცნიერულმა შესწავლამ, საშუალება მოგვცა, უკეთ გაგვეგო ის გრამატიკული მექანიზმები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია ახალი სასკოლო გრამატიკის აგება. რანდენად უტოპიურიც არ უნდა ჩანდეს ჩვენი პროტენზია ასეთი გრამატიკისგან თანამედროვე ლინგვისტური გამოკვლევების რეზიუმეს გაკეთების თაობაზე, იმდენად აუცილებლად გვეჩვენება, ხელი შევუწყობთ ისეთი გრამატიკის სწავლებას, რომელიც მოსწავლეებისთვის მისაწვდომს გახდის მეცნიერული გრამატიკის ფუნდამენტურ პრინციპებს და ინტეგრირებას მოახდენს ლინგვიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვრების სწავლებაში.

მისი მიზნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, პედაგოგიური გრამატიკა არ შეიძლება მეცნიერული კვლევის ნაშრომთან გავიგივოთ. თუმცა, შეიძლება მისგან მოვითხოვოთ, მოამზადოს გზა ენის მეცნიერული შესწავლისთვის ისე, რომ წას დღეისთვის

მიუღებელი, უკვე მოძველებული სასკოლო ტრადიციის ნაწილი ჩამოაშოროს და მეცნიერების მოთხოვნების შესაბამისი ახალი პერსპექტივები შემოგვთავაზოს. გრამატიკის სწავლა, მართლაც ნიშნავს იმ წესების ცოდნას, რომლებიც წინადადებების აგების საშუალებას იძლევა, თუმცა ენაზე რეფლექსიისთვის ეს უფრო მკვდარი სწავლის გულისხმობს.

ამისთვის არ არის აუცილებელი, თავგზააძმნევი ტერმინოლოგიას ნივთარსით. ამიტომაც ჩვენ თვითნებურად მინიმუმამდე დაეცუვანეთ ახალი ტერმინები და შეძლებისდაგვარად შევინარაშუნეთ ტრადიციული დასახელებები, რომლებიც, მართალია გამოყენებულია როგორც მარტივი პირობითი ნიშნები, მაგრამ ნეუთავსებადი არ არის იმ ინტელექტუალურ მიდგომასთან, რომელსაც ჩვენ ნაშრომში ვიყენებთ.

ვთავაზობთ რა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს თანამედროვე წიგნს, ვისურვებდით, რომ ჩვენ მიერ ჩაფიქრებულმა ამ გრამატიკამ, გასაგებმა და ადვილად წასაკითხმა, დამატებითი პრობლემებისგან გათავისუფლებულმა, შეძლოს თავისი ადგილი დაამკვიდროს ფრანგული ენის სწავლების განახლებისთვის აუცილებელ ძალისხმევაში.

ყან დიუბუა და რესე ლაგასი

სარჩევი

1. მეტყველება და ენა	13
1. რა არის მეტყველება?	
2. რა არის ენა?	
3. სამწერლო და სასაუბრო ენა	
4. ენა არის სისტემა	
5. ენა და მეტყველება	
2. გრამატიკა	17
1. რა არის გრამატიკა?	
2. რისგან შედგება გრამატიკა?	
3. გრამატიკის ხანოლების ურთიერთდამოკიდებულება	
4. რატომ ვსააულობთ გრამატიკას?	
3. წინადადება და წინადადების ტიპები	20
1. რა არის წინადადება?	
2. კომუნიკაციის ფორმები და წინადადების ტიპები	
3. წინადადების ფორმები	
4. წინადადების შემადგენლები	23
1. წინადადების სტრუქტურა	
2. მინიმალური წინადადება	
3. წინადადების ძირითადი შემადგენლები	
4. ფგუფების ბუნება და ფუნქცია	
5. არასრული და გავრცობილი წინადადებები	
5. სიტყვა და მორფემა	29
1. არსებითი სახელისა და ზმნის ფგუფების ანალიზის მეთოდი	
2. არის თუ არა სიტყვა წინადადების ყველაზე პატარა ერთეული?	
3. წინადადების გრამატიკული ანალიზი	
6. სიტყვათა კლასები ანუ მეტყველების ნაწილები	32
1. რა არის სიტყვათა კლასი?	
2. არსებითი სახელის კლასი	
3. ზმნის კლასი	
4. მათდგრელის კლასი	
5. ზედაართაეი სახელის კლასი	
6. ზმნიზედის კლასი	
7. წინდებულის კლასი	
8. ნაცვალსახელის კლასი	
9. კაეშორის კლასი	
10. სიტყვათა კლასეი	
11. სიტყვათა კლასი მსი მნიშვნელობით არ განისაზღვრება	

7. ზმნის ჯგუფისა და არსებითი სახელის ჯგუფის ძირითადი ფორმები	39
1. ზმნის ჯგუფის სხვადასხვა ფორმა	
2. არსებითი სახელის ჯგუფის სხვადასხვა ფორმა	
3. წინდებულადი ჯგუფი	
8. არსებითი სახელი: ქვეკლასები და კატეგორიები	46
1. რა არის არსებითი სახელი?	
2. საზოგადო და საკუთარი არსებითი სახელები	
3. ადამიანი სახელი, სულიერი და უსულო არსებითი სახელები	
4. კონკრეტული და აბსტრაქტული არსებითი სახელები	
5. თელადი და უთელადი არსებითი სახელები	
6. მამრობითი და მდედრობითი სქესის არსებითი სახელები: სქესის კატეგორია	
9. არსებითი სახელი: ცვლილება სქესის მიხედვით	57
1. ბუნებრივი სქესი და გრამატიკული სქესი	
2. ადამიანის სახელი	
3. ცხოველის სახელი	
4. სულიერ და უსულო არსებით სახელებს შორის სქესით გამოხატული დამირობა	
5. საზოგადო მამრობითი სქესი	
6. მდედრობითი სქესის წარმოება	
10. არსებითი სახელი: ცვლილება რიცხვის მიხედვით	61
1. მხოლობითი და მრავლობითი რიცხვები	
2. ერთი რიცხვის მქონე არსებითი სახელი	
3. საზოგადო მხოლობითი	
4. მრავლობითი რიცხვის წარმოება	
5. სქესისა და რიცხვის შედარებითი ცხრილი	
11. მსაზღვრელი	68
1. არსებითი სახელის ჯგუფის შემადგენელი მსაზღვრელი	
2. მსაზღვრელის კლასები	
3. მსაზღვრელის გამოტოვების შემთხვევები	
12. არტიკლი	71
1. არტიკლი: ფორმები, სინტაქსი და მნიშვნელობა	
2. არტიკლი და რაოდენობის გამოხატვა	
13. ჩვენებითი მსაზღვრელი	75
1. ჩვენებითი მსაზღვრელი: სინტაქსი, მნიშვნელობა და ფორმები	
2. ჩვენებითი მსაზღვრელის განსაკუთრებული გამოყენება და ფორმები	

14. კუთვნილებითი მსაზღვრელი 77
1. კუთვნილებითი მსაზღვრელი: სინტაქსი და მნიშვნელობა
 2. კუთვნილებითი მსაზღვრელის ფორმები
 3. გამოწაკლისები და განსაკუთრებული გამოყენება
 4. კუთვნილებითი ზედსართავი სახელები: mien, tien, sien, nôtre, vôtre, leur
15. კითხვითი, ძახილის და მიმართებითი მსაზღვრელები 81
1. კითხვითი მსაზღვრელი: სინტაქსი, ფორმები, მნიშვნელობა
 2. ძახილის მსაზღვრელი
 3. მსაზღვრელის quel განსაკუთრებული გამოყენება
 4. მიმართებითი მსაზღვრელი
16. რიცხვითი მსაზღვრელი 84
1. რიცხვითი მსაზღვრელი: სინტაქსი, ფორმები და მნიშვნელობა
 2. რიცხვითი ზედსართავი სახელი
 3. რაოდენობის გამოშატველი არსებითი სახელი და ზედსართავი სახელი
17. განუსაზღვრელი მსაზღვრელი 88
1. განუსაზღვრელი მსაზღვრელის კლასი
 2. განუსაზღვრელი მსაზღვრელის სინტაქსი
 3. განუსაზღვრელი მსაზღვრელის გამოყენება ზმნიშვნის როლში
 4. განუსაზღვრელი არსებითი სახელი და ნაცვალსახელი
18. ნაცვალსახელი 94
1. რა არის ნაცვალსახელი?
 2. წარმომადგენლის როლი
 3. ანტიციპანტის როლი
 4. კომუნიკაციაში მონაწილე პიროვნების აღნიშვნის როლი
 5. ნაცვალსახელის როლის კომპლექსურობა
 6. არსებითი სახელის ჯგუფთან წარდგენა, უფრო ზოგადი ფენომენის განსაკუთრებული შემთხვევა
 7. ნაცვალსახელის კლასები
 8. მსაზღვრელის ნაცვალსახელად გამოყენება
 9. ნაცვალსახელსა და არსებითი სახელის ჯგუფს შორის განსხვავება და მსგავსება
 10. ნაცვალსახელსა და მსაზღვრელს შორის მსგავსება
19. პირის ნაცვალსახელი 102
1. კომუნიკაციის სამი პირი
 2. პირის ნაცვალსახელის ორი სახეობა
 3. სქესი პირის ნაცვალსახელში
 4. რიცხვი პირის ნაცვალსახელში

5. პირის ნაცვალსახელის ბრუნვები
 6. ფორმები en და y
 7. უკუტყევითი ფორმა
 8. ნაცვალსახელი on
 9. nous, vous, tu ნაცვალსახელების განსაკუთრებული გამოყენება
 10. პირის ნაცვალსახელის მახვილიანი ფორმები
20. ჩვენებითი ნაცვალსახელი 109
1. ჩვენებითი ნაცვალსახელის ფორმები
 2. ნაცვალსახელის ce (c') მნიშვნელობა და სინტაქსური ფუნქციონირება
 3. სატყვეი c'est
 4. ნაცვალსახელის celui (ceux, celle, celles) გამოყენება
 5. ნაცვალსახელების ceci, cela, ça, celui-ci, celui-là გამოყენება
21. მიმართებითი ნაცვალსახელი 114
1. მიმართებითი ნაცვალსახელის სინტაქსი
 2. მიმართებითი ნაცვალსახელის ფორმები
 3. სქესი და რიცხვი მიმართებით ნაცვალსახელში
 4. მიმართებითი ნაცვალსახელის ფორმები და ფუნქციები
 5. მიმართებითი ნაცვალსახელის ადგილი
 6. განუსაზღვრელი მიმართებითი ნაცვალსახელი
22. კითხვითი ნაცვალსახელი 119
1. კითხვითი ნაცვალსახელი: როლი და სინტაქსი
 2. კითხვითი ნაცვალსახელის ფორმები
23. თვისებითი ზედსართავი სახელი 122
1. თვისებითი ზედსართავი სახელის კლასის განსაზღვრა
 2. თვისებითი ზედსართავი სახელის ფუნქციები
 3. ზედსართავი სახელის მორფოლოგიური კლასები
 4. ზედსართავი სახელის სემანტიკური და სინტაქსური კლასები
 5. ზედსართავი ეპითეტის ადგილი
 6. არსებითი სახელის როლში გამოყენებული ზედსართავი სახელი
 7. ვითარების ზმნიზება
24. ზმნა 132
1. რა არის ზმნა?
 2. სინტაქსის მიხედვით განსაზღვრული ზმნის ქვეკლასები
 3. სინტაქსის და მნიშვნელობის მიხედვით განსაზღვრული ზმნის ქვეკლასები
 4. მნიშვნელობის მიხედვით განსაზღვრული ზმნის ქვეკლასები

25. ზმნის ფორმები და კატეგორიები	141
1. ზმნის ცვლილებები	
2. გვარი	
3. კილო	
4. ასპექტი	
5. დრო	
6. პირი და რიცხვი	
26. ზმნის უღლება	151
1. რა არის უღლება?	
2. უღლების ტიპები სამწერლო ენაში	
3. უღლების ტიპები სასაუბრო ენაში	
27. ზმნი ზედა	154
1. ზმნიზედის კლასები	
2. ვითარების, ადგილის და დროის ზმნიზედები	
3. რაოდენობის და უარყოფის ზმნიზედები	
4. აზრის გამოხატველი და მოდალური ზმნიზედები	
5. კავშირის ან თანწყობის ზმნიზედა	
6. ზმნიზედური გამოთქმა	
28. რაოდენობა, შედარების და აღმატების გამოხატველი ზმნიზედები	158
1. რაოდენობის ზმნიზედის სინტაქსური და სემანტიკური როლი	
2. რაოდენობის ზმნიზედის ფორმები	
3. რაოდენობის ზმნიზედის ადგილი	
4. ზმნიზედის შედარებითი და აღმატებითი ხარისხები	
5. სანაზომიერება და შედეგი	
6. კითხვითი და ძახილის რაოდენობითი ზმნიზედები	
29. წინდებული	163
1. წინდებულთან ჯგუფი და წინდებული	
2. წინდებულის კლასები	
3. წინდებულის სინტაქსი ტრანსლორმაციაში	
30. მავრთებელი კავშირი და თანწყობის ზმნიზედა, მაქვემდებარებელი კავშირი	169
1. წინადადებებისა და წინადადების შემადგენლების თანწყობა	
2. წინადადების დაქვემდებარება	
31. მარტივი თხრობითი წინადადება: არსებითი სახელისა და ზმნის ჯგუფების ადგილი და ფორმა	172
1. არსებითი სახელისა და ზმნის ჯგუფების წყობა	
2. ზმნის ჯგუფის შემადგენლების წყობა	

32. გაერცობილი წინადადება	176
1. მარტივი წინადადება, გაერცობილი წინადადება, რთული წინადადება	
2. გაერცობილი წინადადების ფორმები	
3. ზმნის ჯგუფის დამატება და წინადადების დამატება	
33. კითხვითი წინადადება	180
1. პირდაპირი კითხვა და ირიბი კითხვა	
2. სრული კითხვა და ნაწილობრივი კითხვა	
3. კითხვითი ტრანსფორმაცია	
4. კითხვითი სიტყვა	
34. ბრძანებითი წინადადება	184
1. ბრძანებითი წინადადების გამოყენება	
2. ბრძანებითი წინადადების ფორმები	
3. დამატება პირის ნაცვალსახელის ადგილი	
4. ბრძანებითი წინადადების გაძლიერება	
35. ძახილის წინადადება და შორისდებული	186
1. ძახილისა და კითხვითი წინადადებები	
2. შორისდებული	
36. უარყოფითი წინადადება	187
1. სრული უარყოფა და ნაწილობრივი უარყოფა	
2. მხოლოდ ne-ს გამოყენება	
3. უარყოფითი წინადადება ne-ს გარეშე	
4. პრეფიქსები in-, non-	
37. პასიური წინადადება	191
1. პასიურ წინადადებად გარდაქმნა	
2. პასიურ წინადადებად გარდაქმნის დროს არსებული შეზღუდვები	
3. პასიურ წინადადებად გარდაქმნა და ნაცვალსახელოვანი ფორმა	
38. ემფატიკური ან ხაზგასმული წინადადება	194
1. ემფატიკური ტრანსფორმაცია	
2. ხაზგასმა და პირის ნაცვალსახელი	
3. ხაზგასმა და წინდებულებიანი ჯგუფი	
39. შეთანხმების წესები მარტივ და გაერცობილ წინადადებებში	197
1. ზმნის შეთანხმება ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფთან	
2. ზმნის შეთანხმება რამდენიმე არსებითი სახელის ჯგუფთან ან რამდენიმე ქვემდებარე ნაცვალსახელთან	
3. ატრიბუტის შეთანხმება წინადადებაში, სადაც არის ზმნა être	
4. ზედსართავი ეპითეტის ან დანართის შეთანხმება	

40. რთული წინადადება 202
1. დაქვემდებარება, თანწყობა, უკავშირო თანწყობა
 2. დაქვემდებარება
 3. თანწყობა
 4. უკავშირო თანწყობა
41. მიმართულებითი წინადადება 206
1. მიმართებითი წინადადების როლი და ბუნება
 2. მიმართებითი ტრიანსფორმაცია და ქვემდებარის ადგილი
 3. მიმართებითი წინადადების კალი
 4. მიმართებითი წინადადება ანტიცეცენტის გარეშე
42. დამატებითი წინადადება 210
1. რა არის დამატებითი წინადადება?
 2. დამატებითი წინადადების ფორმები
 3. არსებითი სახელისა და ზედსართავი სახელის დამატებითი წინადადებები
 4. que-თი შემოტანილი დამატებითი წინადადების კალი
43. გარემოებითი წინადადებები (1): დროის, მიზნის, მიზეზის, დათმობის ან დაპირისპირების 216
1. რა არის გარემოებითი წინადადება?
 2. დროის გარემოებითი წინადადება
 3. მიზნის გარემოებითი წინადადება
 4. მიზეზის გარემოებითი წინადადება
 5. დათმობის ან დაპირისპირების გარემოებითი წინადადება
44. გარემოებითი წინადადებები (2): პირობის, შედეგის, შედარების, ვითარების, მიმატების, გამოსაკლისის 222
1. პირობის გარემოებითი წინადადება
 2. შედეგის გარემოებითი წინადადება
 3. შედარების გარემოებითი წინადადება
 4. სხვა გარემოებითი წინადადებები: ვითარების, მიმატების, გამოსაკლისის
45. ინფინიტივი და ინფინიტიური გარდაქმნა 227
1. ინფინიტივი როგორც დამატებითი დაქვემდებარებული წინადადების კალი
 2. ინფინიტივი როგორც გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადების კალი
 3. ინფინიტივი როგორც დამოუკიდებელი წინადადების კალი
 4. ინფინიტივი როგორც არსებითი სახელის მნიშვნელობით გამოყენებული ზმნის ფორმა

46. მიმღეობა, ნაზმნარი ზედსართავი, გერუნდივი	233
1. -ant-ზე დაბოლოებული ფორმა	
2. -ბ, -ქ, -ლ, -მ, -ნ-ზე დაბოლოებული ფორმები	
3. -ხც-ზე დაბოლოებული ნაზმნარი ზედსართავი	
47. კილოსა და დროის გამოყენება: დისკურაი და თხრობა	240
1. ნათქვამის ტიპები: დისკურსი და თხრობა	
2. თხრობა	
3. ზნის კილო და წინადადების ტიპი	
4. დროთა შეთანხმება	
5. დროისა და კილოს სტილისტური მნიშვნელობები	
48. ტრანსფორმაცია: სუფიქსიანი ან წარმოებული სიტყვა	250
1. რა არის ტრანსფორმაცია?	
2. სუფიქსი და წარმოებული სიტყვა	
3. წინადადების არსებითი სახელის ჯგუფად ტრანსფორმაციისას გამოყენებული სუფიქსები	
4. არსებითი სახელის დამატების ზედსართავ სახელად ტრანსფორმაციისას გამოყენებული სუფიქსები	
5. მიმართებითი წინადადების არსებით სახელად ტრანსფორმაციისას გამოყენებული სუფიქსები	
6. წარმოებული ზმნა	
49. ტრანსფორმაცია: პრეფიქსიანი სიტყვა და რთული სიტყვა	257
1. რთული სიტყვის სტრუქტურა ტიპი	
2. პრეფიქსიანი სიტყვა	
3. ორი ან რამდენიმე სიტყვისგან შედგენილი რთული სიტყვა	
4. ორი ან რამდენიმე ფუძიანი რთული სიტყვა	
50. ფონეტიკა, ფონოლოგია, ორთოგრაფია	262
1. ფონემები	
2. რომელია სრულყოფილი ენის ფონემები?	
3. მარცვალი	
4. მახვილი და ინტონაცია	
5. ფონეტიკური გადაბმა – ლიეზონი	
6. ააოები	
7. პუნქტუაცია	
ზმნების უღლება	269

მეტყველება და ენა

1. რა არის მეტყველება?

ყველა ადამიანს აქვს განსაკუთრებული ნიჭი – ზოგჯერ ამბობენ უნარი – სხვა ადამიანებს ენის საშუალებით თავისი გრძნობები, სურვილები ან განკარგულებები შეატყობინოს. ბუნებრივია, ცხოველდებაც შეუძლიათ ხმოვანი სიგნალებით (როგორიცაა, მაგალითად, ყვავების ჩხავილი) ან სხეულის განსაკუთრებული მოძრაობებით (როგორიცაა, მაგალითად, ფუტკრების ცეკვა) მათივე სახეობის ცხოველებისთვის ზოგიერთი ინფორმაციის გადაცემა, მაგრამ მხოლოდ ადამიანებს გააჩნიათ ისეთი ხმოვანი სიგნალების (ამბობენ აგრეთვე ვერბალური ნიშნების) გამოცემის უნარი, რომლებიც განსაკუთრებული ფორმებით ერთმანეთში განუსაზღვრელი რაოდენობის კომბინაციებითა მოხდენის საშუალებას იძლევა სხვადასხვა ენაზე წინადადებების შესაქმნელად. ეს უნარი არის მეტყველება.

2. რა არის ენა?

მართალია, ყველა ადამიანს ლაპარაკი შეუძლია, მაგრამ ყველა ერთსა და იმავე ენაზე არ საუბრობს: ზოგიერთებს ერთმანეთს შორის კომუნიკაციის დამყარება ისეთი ვერბალური ნიშნებით შეუძლიათ, რომლებიც სხვებისთვის გაუგებარია. ამგვარად, ფრანგული ისეთი ენაა, რომელიც გერმანულისგან, ინგლისურისგან ან ჩინურისგან განსხვავებული ვერბალური ნიშნებით არის შექმნილი. ეს ნიშნები ერთმანეთში განსაკუთრებული წესების მიხედვით არის კომბინირებული ფრანგული წინადადებების შესადგენად: ეს წესები განსხვავებულია ფრანგულში, გერმანულში, ინგლისურსა თუ ჩინურში. თითოეული ენა – და დღეს მსოფლიოში ათასობით ენაზე ლაპარაკობენ – კომუნიკაციის საშუალებად გამოიყენება პიროვნებების მეტყველებად დიდი ჯგუფის მიერ;

ეს ზგუფი ლინგვისტურ საზოგადოებას ქმნის. ამგვარად, ფრანგულად ლაპარაკობენ საფრანგეთში, კანადაში, ბელგიის, შვეიცარიის და აფრიკის ვარკვეულ ნაწილში: ყველა ის, ვინც ფრანგულ ენას იყენებს, ერთსა და იმავე ლინგვისტურ საზოგადოებას ეკუთვნის, თუმცა შეიძლება განსხვავებულ ერებს წარმოადგენდეს. ერთმანეთის გაგება რომ შეეძლოთ, ერთსა და იმავე ლინგვისტურ საზოგადოებას უნდა ეკუთვნოდეთ, ანუ ერთსა და იმავე ენაზე უნდა ვლაპარაკობდეთ. ორ პიროვნებას მხოლოდ მაშინ შეუძლია ერთმანეთისთვის აზრების გაზიარება, თუ მათ ერთი და იმავე ენის სიტყვებისა და ნესების საერთო ცოდნა აქვს.

3. სამწერლო და სასაუბრო ენა

ამა თუ იმ ენაზე უპირველეს ყოვლისა საუბრობენ: ადამიანები ერთმანეთს შორის კომუნიკაციას იმ ნიშნების მეშვეობით ამყარებენ, რომლებიც ფილტვებიდან ამოსული ჰაერით ვიბრაციით მათ მიერ გამოცემული ბგერებისგან არის შექმნილი სახმო სიმების, ენისა და ტუჩების განსაკუთრებული მოძრაობებით. ამბობენ, რომ ენას ის სახმო სიმები ქმნის, რომელთა რეალიზებაც მეტყველების ორგანოებით ხდება. მაგრამ ეს საშუალება არასაკმარისია იმისთვის, რომ ინფორმაცია შორ მანძილზე გადაიცეს ან შეტყობინების შენახვა მოხდეს; ამიტომაც წარმოთქმული ნიშნები სპეციალური დამახასიათებელი სიმბოლოებით, ნახატებით, ან ასოებით წარმოადგინეს: ამგვარად, ენა იქნა დაწერილი.

საუბრობენ ყველა ცოცხალ ენაზე, მაგრამ აზიაში, ოკეანეთში და აფრიკაში ისეთი ენებიც არსებობს, რომელსაც დამწერლობა არ გააჩნია. მკვდარ ენად ითვლება მხოლოდ წერილობითი ფორმით შემორჩენილი ენა. ფრანგული ცოცხალი ენაა, რომელზეც ლაპარაკობენ და წერენ; ფრანგულად წერა განსაკუთრებული სისტემის მიხედვით ხდება, რომელსაც ანბანური სისტემა ეწოდება. ეს სისტემა ბგერებს უსადაგებს ასოებს, რომლებიც ანბანს ქმნის. ამგვარად, ასო t მიესადაგება ბგერას /t/ (ბგერებს დახრილ ხაზებს შორის წარმოადგენთ). მაგრამ შესაბამისობა წარმოთქმულ ბგერებსა და დაწერილ ნიშნებს შორის მარტივი არ არის: ამგვარად, ორი ასო ch მხოლოდ

ლოდ ერთ ბგერას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება იყოს /t/ სიტყვაში chute ან /k/ სიტყვაში chaos; ასე o სიტყვაში mot, ასევე eau სიტყვაში beau და au სიტყვაში saut წარმოადგენს ერთსა და იმავე ბგერას /o/; ასე s შეესაბამება ბგერას /s/ სიტყვაში sac და ბგერას /z/ სიტყვაში rasait. არსებობს ფრანგული ენის ორთოგრაფიის წესები.

4. ენა არის სისტემა

ამა თუ იმ ენის სიტყვები და ამ სიტყვების კომბინირების წესები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი არ არის: იხილეთ ვრცელ ქსელს ქმნის, რომლის თითოეული ნაწილი სხვებთან არის დაკავშირებული, წესებსა და სიტყვებს შათ შორის არსებული ურთიერთობების საფუძველზე განმარტავთ.

ამგვარად, ვნებითი გვარია წესები მოქმედებითი გვარის ზმნის კონსტრუქციებს უკავშირდება; იმისთვის, რომ აქტიური წინადადების პასიურში გადაყვანა გახდეს შესაძლებელი, მოქმედებით გვარში ზმნას პირდაპირი დამატება უნდა შეესაბამებოდეს:

Pierre a réparé le poste de radio → Le poste de radio a été réparé par Pierre.

ამგვარად, პასიური ფორმის ძირითადი წესი მჭიდროდ უკავშირდება იმ წესს, რომლის თანახმადაც ზოგიერთ ზმნას პირდაპირი დამატება გააჩნია და რომელიც გარდამავალი ზმნების კლასს განსაზღვრავს.

ფრანგულში არსებობს აგრეთვე მამრობითი სქესის სახელების ფორმიდან მდედრობითი სქესის წარმოების წესები: paysan → paysanne, ami → amie. მაგრამ ეს წესები მხოლოდ პიროვნების აღმნიშვნელი სახელებისთვისა და ზოგიერთი ცხოველის აღმნიშვნელი სახელებისთვის გამოიყენება; წესი, რომელიც სიტყვების ფორმას ეხება, სხვა წესთანაა დაკავშირებული, რომელიც ან სიტყვების მნიშვნელობას ითვალისწინებს.

ეს წესები სწორედ იმიტომ შეადგენს სისტემას, რომ ასე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. წესების ორგანიზება, სი-

ტყეებს შორის ურთიერთობა ამ სისტემის სტრუქტურას ქმნის. ენის როგორც კომუნიკაციის საშუალების შესწავლა მოცემულ ეპოქაში (ამბობენ აგრეთვე მოცემულ სინქრონიში), მაგალითად, XX საუკუნეში, ამ სისტემის სტრუქტურის შესწავლას ნიშნავს.

5. ენა და მეტყველება

როდესაც ფრანგულად ვსაუბრობთ, ჩვეულებისამებრ ფრანგული ენის წესებს ვიყენებთ, ისე, რომ ლაპარაკის მომენტში ამასზე არ ვფიქრობთ. მაგრამ თითოეული ჩვენგანის (ამბობენ აგრეთვე თითოეული „მთქმელის“) წინადადებებში მისთვის დამახასიათებელი ლაპარაკის მანერებია: მახვილები, სიტყვების არჩევანი, ნაკლებად გამოყენებული კონსტრუქციები, და ა.შ. მაშასადამე, ერთი მხრივ, არსებობს ენის წესები, რომლებიც ფრანგულ ენას განსაზღვრავს და, მეორე მხრივ, არსებობს თითოეულის მიერ სპეციფიკურ სამეტყველო აქტებში იმ სიტყვების და კონსტრუქციების გამოყენების ხსედასხვა ფორმა, რომელსაც ენა გვთავაზობს.

გრამატიკოსთა ამოცანაა ენის წესების აღმოჩენაა.

2
გრამატიკა

1. რა არის გრამატიკა?

ენის აღწერა მისი სისტემის აღწერაა. ეს კი სიტყვებთან ერთად იმ წესების უორმისა და ორგანიზაციის შესწავლას გულისხმობს, რომლებიც ენის სტრუქტურას ქმნის.

როდესაც ფრანგული ენის სტრუქტურას ამგვარად ვაანალიზებთ, ფრანგული ენის გრამატიკას ვადგენთ.

ამ გრამატიკის შესადგენად უნდა დაგვაქვარდეთ იმის, თუ რას ამბობენ ფრანგები, შევისწავლოთ მათი ნათქვამი იმ მიზნით, რომ ფრანგულ ენაზე ყველა მოლაპარაკეთვის საერთო წესები დავადგინოთ.

2. რისგან შედგება გრამატიკა?

წარმოიქმნული წინადადების ანალიზი მრავალწიორად და სხვადასხვა მოსაზრებით შეიძლება გაკეთდეს. ავიღოთ, მაგალითად, წინადადება:

L'électricien répare le poste.

* შეიძლება დავადგინოთ, რომ იგი გარკვეული რაოდენობის ელემენტისგან ანუ სიტყვებისგან შედგება, რომელსაც ამ წინადადებაში თაქისი მნიშვნელობა ენიჭება (électricien, répare, poste).

გარდა ამისა, თუ poste-ს შევცვლით სიტყვით appareil, დავადგენთ, რომ წინადადებას დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს; მაშასადამე, poste-სა და appareil-ს შორის კავშირი არსებობს.

თუ სიტყვებს და მათ შორის არსებულ კავშირს შევისწავლით, ვსწავლობთ ლექსიკას.

* იმისთვის, რომ ამ სიტყვების შემცველ წინადადებას აზრი ჰქონდეს, საჭიროა მათ ერთიმეორესთან მიმართებაში გარკვეული ფუნქცია გააჩნდეს. მათი განლაგება და წყობა წინადადებაში შეეაბამება ამ წინადადებაში ფრანგული ენისაუვის დამახასიათებელ კონსტრუქციას და სიტყვების გარკვეულ ფუნქციებს. ამგვარად ზემოთ მოტანილ მაგალითში არ შეგვიძლია ადგილურად შევცვალოთ

- 45663 -

électricien-ს და poste-ს, კინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, მიღებული წინადადება უაზრო იქნებოდა:

Le poste répare l'électricien

იმასაც დაეძენო, რომ სიტყვის (ველილებაში შეიძლება სხვა სიტყვების შეცვლა გამოიწვიოს (ეს არის ის, რასაც „შეთანხმებას“ უწოდებენ); მაგალითად, თუ électricien-ს მრავლობითში ჩავსვამთ, მივიღებთ:

Les électriciens réparent le poste.

ფუნქციებისა და კონსტრუქციების შესწავლა სინტაქსის საგანია.

• სიტყვების ფორმის შეცვლით განსხვავებული წინადადებების შედგენა შეგვიძლია; ასე მაგალითად:

Les électriciens réparent les postes.

L'électricienne réparait le poste.

სიტყვების მიერ მიღებული განსხვავებული ფორმების შესწავლა (მბოლობითი და მრავლობითი რიცხვი, მამრობითი და მდედრობითი სქესი, ზმნების დროები, წარმოებული სიტყვები, შედგენილი სიტყვები და ა.შ.) მორფოლოგიის საგანია.

• განვიხილოთ ისეთი სიტყვა, როგორცაა répare: იგი შედგება „ბგერათა“ შემდეგი თანამიმდევრობისგან /r/ + /e/ + /p/ + /a/ + /r/ (ამ შემთხვევაში ბოლო e სასაუბრო ენაში არანაირ ბგერას არ შეესაბამება); თითოეული ბგერა, რომლებსაც ფონემებს ეწოდებთ, შესაბამისი ასოთია წარმოდგენილი.

თუ ფრანგული ენის ფონემებს ვსწავლობთ, ვსწავლობთ მის ფონოლოგიასაც, ხოლო თუ ვსწავლობთ იმას, თუ ცალკე აღებული თითოეული ფრანგი როგორი განსხვავებული მანერით წარმოთქვამს ბგერებს სამეტყველო ორგანოების წმენდით, საქმე გვაქვს ფონეტიკასთან; ამგვარად, ფონემა /r/ განსხვავებულად შეიძლება იქნეს წარმოთქმული რეგიონების მიხედვით. თუ ვსწავლობთ იმას, თუ როგორ ხდება ამ ბგერების ტრანსკრიფცია, ამ შემთხვევაში ფრანგული ენის ორთოგრაფიას ვაანალიზებთ.

¹ აქ და შემდგომ ყველა არაგრამატიკულ ფრაზას, ესე იგი ისეთ ფრაზას, რომელიც არ არის გამართული ფრანგულად, წინ დართული ექნება ვარს კვლავი (*).

• ამ წინადადებას და სიტყვებს, რომლებსაც ის შეიცავს, ოაგისი მნიშვნელობა აქვს. სიტყვების და წინადადებების მნიშვნელობა, რომელიც ამ სიტყვების გამოყენებიდან და მათი სინტაქსური კონსტრუქციიდან გამომდინარეობს, განსაკუთრებული შესწავლის ობიექტს წარმოადგენს, რასაც სემანტიკა ეწოდება.

■ დაბოლოს, ვინმეს მიერ ერთმანეთის მიყოლებით წარმოთქმული ყველა წინადადება ერთმანეთს უკავშირდება წყაებით, რასაც უწოდებენ თხრობის, აღწერის, დემონსტრირების, მონოლოგის და ა.შ. წესება ანუ დისკურსს: ეს კი რიტორიკის შესწავლის საგანია.

3. გრამატიკის ნაწილების ურთიერთდამოკიდებულება

გრამატიკის თითოეული შემადგენელი ნაწილის წესები არა მხოლოდ ერთმანეთთანაა კავშირში, არამედ სხვა ნაწილების წესებთანაც. ააე მაგალითად, შეუძლებელია ლექსიკის შესწავლა ისე, რომ არ მოხდეს სიტყვების მნიშვნელობის, ანუ სემანტიკის გათვალისწინება; შეუძლებელია სემანტიკის შესწავლა ისე, რომ არ მოხდეს წინადადებაში სიტყვების ფუნქციების მხედველობაში მიღება ე.ი. სინტაქსის გამოყენება და ა.შ. ენა ის მექანიზმია, რომლის ყველა ნაწილი მონაწილეობს მეტყველების გამართულ ფუნქციონირებაში.

სინტაქსი და ნორფოლოგია გრამატიკის საფუძველს, ანუ მექანიზმის ცენტრს შეადგენს. ამ წიგნის ძირითადი თავები სწორედ ენის შესწავლის ამ ორ ასპექტს ეხება; მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი გრამატიკის სხვადასხვა ნაწილის გაანალიზება.

4. რატომ ვსწავლობთ გრამატიკას?

გრამატიკას ვსწავლობთ:

– იმისთვის, რომ უკეთ დავეუფლოთ მშობლიურ ენაზე მეტყველების პრაქტიკას, ენის წესებს და მივალწიოთ ყველაზე ფართო და სარწმუნო კომუნიკაციას;

– იმისთვის, რომ გავიგოთ კომუნიკაციის იმინსტრუმენტის სტრუქტურა და ფუნქციონირება, რომელიც სხვა ადამიანებთან წვენი ურთიერთობების, ინტელექტუალური განვითარებისა და კულტურის საფუძველია.

წინადადება და წინადადების ტიპები

1. რა არის წინადადება?

საუბრის დროს წინადადებებს წარმოეთქვამთ. წინადადება გარკვეული ფორმით ორგანიზებული, ერთმანეთთან კავშირების მქონე სიტყვების თანმიმდევრობაა, რომელიც გრამატიკის გარკვეულ წესებს პასუხობს და რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია. ანგვარად:

Les nuages courent dans le ciel

არის წინადადება.

სასაუბრო ენაში წინადადებებს აგრეთვე განსაკუთრებული ინტონაცია, მუსიკალობა ახასიათებს და სამწერლო ენაში ისინი ერთმანეთისგან სასვენი ნიშნებით არის გამოიჯნული (წერტილი, წერტილი მძიმე, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, ან მძიმე).

2. კომუნიკაციის ფორმები და წინადადების ტიპები

პიროვნებამ კომუნიკაციის დაამყარების მოტივის მიხედვით შეიძლება სხვადასხვა ტიპის წინადადება გამოიყენოს:

- როდესაც გვინდა ვინმეს უბრალო შეტყობინება გადავცეთ, ჩვენს ნაფიქრალს წარმოეთქვამთ ან ვაცხადებთ, გამოვხატავთ რაიმე იდეას, თხრობით წინადადებას ვაგებთ:

Pierre est venu te voir ce matin.

- როდესაც ვინმესგან ინფორმაციის მიღება გვინდა და მას კითხვას ვუსვამთ, კითხვით წინადადებას ვაგებთ:

Pierre est-il venu te voir ce matin?

- როდესაც გვსურს, ვინმე ასე თუ ისე მოიქცეს, გვინდა მას ვუბრძანოთ ან თხოვნით მივმართოთ, ბრძანებით წინადადებას ვაგებთ:

Viens tout de suite me voir!

- როდესაც ძლიერ ემოციას (გალიზიანებას, გაოცებას, აღტაცებას და ა.შ.) გამოვხატავთ, ძახილის წინადადებას ვაგებთ:

Ce spectacle est étonnant!

ენის ნებისმიერი წინადადება ამ ოთხი ტიპიდან ერთ-ერთს დაშოლოდ ერთს განეკუთვნება. წინადადება არ შეიძლება ერთდროულად

იყოს კითხვითი და ბრძანებითი, კითხვითი და ახსრობითი და ა.შ.

3. წინადადების ფორმები

იმ ოთხი ტიპიდან თითოეული, რომლებზეც ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, შეიძლება თავისთავად სხვადასხვა ფორმით წარმოვყვიდგეს: წინადადება არის მტკიცებითი (ან უარყოფითი), აქტიური (ან პასიური), ემფატიკური (ან ნეიტრალური).

1. მტკიცებითი ფორმა	ტიპი
L'électricien a réparé le poste.	თხრობითი
L'électricien a-t-il réparé le poste?	კითხვითი
Répare le poste!	ბრძანებითი
Comme c'est curieux!	ძახილის
უარყოფითი ფორმა	
L'électricien n'a pas réparé le poste.	თხრობითი
L'électricien n'a-t-il pas réparé le poste?	კითხვითი
Ne répare pas le poste!	ბრძანებითი
Ce n'est pas vrai!	ძახილის
* ეს ორი ფორმა, მტკიცებითი და უარყოფითი, ერთმანეთს უპირისპირდება: წინადადება შეიძლება იყოს მხოლოდ მტკიცებითი ან მხოლოდ უარყოფითი.	

2. აქტიური ფორმა	ტიპი
L'électricien a réparé le poste.	თხრობითი
L'électricien a-t-il réparé le poste.	კითხვითი
Que cette preuve vous convainque!	ბრძანებითი
On a enfin obtenu satisfaction!	ძახილის
პასიური ფორმა	
Le poste a été réparé par l'électricien.	თხრობითი
Le poste a-t-il été réparé par l'électricien?	კითხვითი
Soyez convaincu par cette preuve!	ბრძანებითი
Satisfaction est enfin obtenue!	ძახილის
* ეს ორი ფორმა, აქტიური და პასიური, საპირისპიროა: წინადადება შეიძლება იყოს მხოლოდ აქტიური ან მხოლოდ პასიური.	

მ. ემფატიკური (ან ხაზგასმული) ფორმა	ტიპი
L'électricien, lui, a réparé le poste.	თხრობითი
Le poste, l'électricien l'a-t-il réparé?	კითხვითი
Vous, racontez-moi cela!	ბრძანებითი
Ça, c'est extraordinaire!	ძახილის

• როდესაც წინადადება არ არის ემფატიკური, ის ნეიტრალურია: ამ შემთხვევაში, ეს არის თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ან ძახილის წინადადება; პასიური ან აქტიური, მტკიცებითი ან უარყოფითი, როგორც 1-ელ და მე-2 შემთხვევებში. წინადადება:

Mon voisin se taisait

ნეიტრალური ფორმისაა.

შენიშვნა. წინამდებარე მაგალითებში ხანდახან ერთი და იმავე ტიპასთვის განსხვავებული წინადადებებია გამოყენებული, ვინაიდან ლექსიკის ან სემანტიკის ზოგიერთი წესი სინტაქსის ზოგადი წესების გამოყენებას ზღუდავს: თუ წინადადების თითოეული ტიპი რამდენიმე ფორმით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი, ერთი და იმავე სატყუებისგან შედგენილი თითოეული წინადადება არ შეიძლება ყოველთვის ყველა შემოდასახელებული ფორმით გამოიხატოს. ამგვარად, წინადადების იმ ტიპებისგან განსხვავებით, რომელიც ერთმანეთს გამოირიცხავს, მტკიცებითი (ან უარყოფითი), აქტიური (ან პასიური) და ემფატიკური (ან ნეიტრალური) ფორმები შეიძლება ერთსა და იმავე წინადადებაში კომბინირებული იყოს. მაგალითად, წინადადება:

Ce détail, les enquêteurs ne l'ont pas remarqué,

არის თხრობითი ტიპის და აქტიურ, უარყოფით და ემფატიკურ ფორმას განეკუთვნება.

ნებისმიერი წინადადება რომელიმე ტიპს (თხრობითს, კითხვითს, ბრძანებითს ან ძახილისას) და რამდენიმე ფორმას (მტკიცებითს ან უარყოფითს, აქტიურს ან პასიურს, ემფატიკურს ან ნეიტრალურს) განეკუთვნება.

წინადადების შემადგენლები

1. წინადადების სტრუქტურა

წინადადება მისი სიდიდით, სიტყვების რაოდენობით კი არ განისაზღვრება, არამედ მისი შემადგენელი ელემენტებით და მათ შორის არსებული კავშირებით, ანუ თავისი სტრუქტურით.

მაგალითად, როდესაც ვანბობთ:

Le célèbre explorateur partit chasser le lion en Afrique.

ვადგენთ წინადადებას.

შესაძლებელია ამ წინადადების ზოგიერთი ელემენტის ისე ამოღება, რომ შინაარსი გაუგებარი არ გახდეს; ამგვარად, შეგვიძლია ამოვიღოთ *en Afrique*:

Le célèbre explorateur partit chasser le lion.

მიღებული წინადადება კვლავ გამართულია.

ამგვარად, თუ ვეცდებით წინადადებას ჩამოვაშოროთ ყველა ის ელემენტი, რომელიც არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ წინადადება დარჩეს სრულფასოვანი, საბოლოოდ, მხოლოდ შემდეგი ელემენტებისგან შემდგარ წინადადებას მივიღებთ:

L'explorateur partit.

თუ ამ წინადადებას მოვაცილებთ რომელიმე სიტყვას ან *L'explorateur*, ან *le*, ან *explorateur*, ან *partit*, დაგერჩება ის, რაც უკვე ფრანგული წინადადება აღარ იქნება:

**Explorateur partit.* **Le partit.* **L'explorateur.*

2. მინიმალური წინადადება

წინადადებას, რომელსაც ველარაფერს ჩამოვაცილებთ (სხვაგვარად ის წინადადება არც იქნება) მინიმალურ წინადადებას უწოდებენ. მაგრამ იმის მიხედვით, თუ რომელ ზმნას ვიყენებთ, შეი-

ძლება მინიმალური წინადადების რამდენიმე ტიპი გვექონდეს. ასე მაგალითად, ქვემოთ მოტანილ ორ წინადადებას:

L'homme s'empara d'une fourche,
Un poète a comparé le train à un taureau

გერაფერს ჩამოვაცვილებო, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ისინი აზრს დაკარგავს და არასრული იქნება. ამ ორივე შემთხვევაში მინიმალური წინადადება გვაქვს.

3. წინადადების ძირითადი შემადგენლები

ხებისშიერა წინადადება თავისი სტრუქტურით განისაზღვრება, ე.ი. იმ ელემენტებით, რომლისგანაც შედგება. მაგრამ როგორ განვსაზღვროთ ეს ელემენტები? როგორ გავაანალიზოთ წინადადება?

• ავიღოთ, მაგალითად, მინიმალური წინადადება:

Mon père achève sa lecture.

achève sa lecture შეგვიძლია შევცვალოთ *va à son bureau*-თი და ამგვარად სხვა ფრანგული წინადადება მივიღოთ:

Mon père va à son bureau.

ორივე ელემენტი – *achève sa lecture* და *va à son bureau* – შეიძლება ერთმანეთს ჩაენაცვლოს. სამაგიეროდ, არ შეგვიძლია *mon père* შევცვალოთ *va à son bureau*-თი; ეს ორი ელემენტი ერთმანეთს ვერ ჩაენაცვლება. *Mon père* შეგვიძლია შევცვალოთ, მაგალითად, *mon frère*-ით:

Mon frère achève sa lecture. Mon frère va au bureau.

ამგვარად, ამ მინიმალურ წინადადებაში ჩვენ ასე განემარტეთ ორი ელემენტი: პირველი ელემენტი არის *mon père* (ან *mon frère*) და მეორე *achève sa lecture* (ან *va à son bureau*). ეამბოვთ, რომ წინადადება შედგება ელემენტების ორი ჯგუფისგან (*mon père* და *achève sa lecture*). მე-7 თავში ვნახავთ, რომ პირველ ჯგუფში მთავარი ელემენტი არის არსებითი სახელი, ხოლო მეორეში მთავარი

ელემენტი ზმნაა. ამიტომ, პირველ ელემენტს არაეებითი სახელის ჯგუფი პქვია, მეორეს ზმნა. ს ჯგუფი (ლინგვისტიკები პირველ ჯგუფს უწოდებენ ნომინალურ სინტაგმას და მეორე ჯგუფს ზმნურ სინტაგმას). ამ ორ ჯგუფს წინადადების შემადგენლები ეწოდება.

• ზოგიერთ წინადადებაში, არსებითი სახელის ჯგუფისა და ზმნის ჯგუფის გარდა, შეიძლება ერთი ან რამდენიმე სხვა ჯგუფი შევხვდეთ, რომელიც არც ერთ მათგანზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ წინადადების შემადგენელია. ანგვარად, წინადადებაში:

Le jardinier plante un arbre sur la pelouse avec une bêche,

ჯგუფები *sur la pelouse, avec une bêche* მთელ წინადადებას ეკუთვნის და არა მხოლოდ ზმნის ჯგუფს (სხვათა შორის, ისინი შეიძლება დავაშოროთ ზმნისა ჯგუფს და, მაგალითად, წინადადების თავში დავავათ). ეს ჯგუფები შემოტანილია წინდებულებით (*sur, avec*): ესენი წინდებულებიანი ჯგუფებია. მათი მოცილება შესაძლებელია: მაშასადამე, ეს არ არის მინიშალური წინადადება, მას მარტივ წინადადებას უწოდებენ, ვინაიდან არ შევკვიძლია მის შემადგენელ ჯგუფებს რაზე ჩამოვაშოროთ (იხ. თავი 32).

ამგვარად, წინადადების ძირითადი შემადგენლებია:

1. არსებითი სახელის ჯგუფი;
2. ზმნის ჯგუფი;
3. ერთი ან რამდენიმე წინდებულებიანი ჯგუფი (ფაკულტატიურად).

შენიშვნა. წინადადების შემადგენელი ფაკულტატური ჯგუფები თითქმის ყოველთვის წინდებულებიანია. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი არ შეიცავს წინდებულს. მაგალითად, წინადადებაში:

Pierre a reçu votre lettre ce matin,

ce matin ფაკულტატური ჯგუფია, რომელიც წინადადებას ეკუთვნის, მაგრამ არ აქვს წინდებულები. მიუხედავად ამისა, მას მაინც „წინდებულებიან ჯგუფს“ ვუწოდებთ.

4. ჯგუფების ბუნება და ფუნქცია

წინადადებაში *Mon père va à son bureau* ჩვენ ორი შემადგენელი ნაწილი გამოვყავით: არსებითი სახელის ჯგუფი (*mon père*) და ზმნის

ჯგუფი (va à son bureau). ამგვარად ვახვსაზღვრეთ წინადადების შემადგენლების ბუნება.

ამ შემადგენლების ბუნება მათი ფუნქციისგან განსხვავდება.

• წინადადებაში *Mon père va à son bureau* არსებითი სახელის ჯგუფი *mon père* აღნიშნავს პიროვნებას, რომელზეც ვსაუბრობ; ეს არის წინადადების „თემა“. ზმნის ჯგუფი *va à son bureau* არის ის, რასაც მე *mon père*-ზე ვამბობ, ეს არის „კომენტარი“. სინტაქსის პლანში და არა მნიშვნელობის პლანში, *mon père* წინადადების ქვემდებარეა და *va à son bureau* წინადადების შემასმენელია: ქვემდებარე და შემასმენელი ფუნქციებია.

არსებითი სახელის ჯგუფს სხვადასხვა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს; წინადადებაში ის შეიძლება იყოს ქვემდებარეც (*mon père*) და დამატებაც (*sa lecture*):

Mon père achève sa lecture.

არ შეიძლება ერთმანეთში აეურიოთ წინადადების შემადგენლების ბუნება და ფუნქცია.

წინადადების სტრუქტურა შეიძლება ხის ფორმით წარმოვადგინოთ:



• წინადადებაში *Mon père est parti à son bureau avec un ami* სამი შემადგენელი გვაქვს; არსებითი სახელის ჯგუფი (*Mon père*) არის ქვემდებარე, ზმნის ჯგუფი (*est parti à son bureau*) არის შემასმენელი და წინდებულიანი ჯგუფი (*avec un ami*) არის წინადადებაზე დამატებული დაზუსტება: ანბობენ, რომ ეს წინადადების დამატებაა.

წინადადების სტრუქტურა შეიძლება ხის ფორმით წარმოვადგინოთ:

წინადადება

Mon père est parti à son bureau avec un ami

არს. სახელის ჯგუფი Mon père	ზმნის ჯგუფი est parti à son bureau	წინდებულობის ჯგუფი avec un ami
ქვემდებარე	შემასმენელი	დამატება

5. არასრული და გავრცობილი წინადადებები

* შეიძლება მოხდეს, რომ ამ ორი ჯგუფიდან ერთ-ერთი არ იყოს გამოხატული. ეს არის ისეთი წინადადების შემთხვევა, როგორიცაა:

Venez tout de suite ici!

სადაც მხოლოდ შემასმენელი გვაქვს (ზმნა ზმნიზედებთან ერთად) და სადაც ქვემდებარე-ნაცვალსახელი vous მხოლოდ ზმნის ფორმით არის მითითებული; წინადადება არასრულია: მან განიცადა წინადადების წევრის ამოვარდნა.

ეს არის ისეთი წინადადების შემთხვევა, როგორიცაა:

Pierre!

სადაც მხოლოდ არსებითი სახელი ქვემდებარე გვაქვს და სადაც ზმნა (viens, fais attention და ა.შ.) მხოლოდ ძახილის წინადადების ტიპით არის გამოხატული.

* პირიქით, სახელის ჯგუფი და ზმნის ჯგუფი შეიძლება მრავალი ელემენტისგან შედგებოდეს; მართლაც, წინადადების საბაზო შემადგენლებს შეიძლება სხვა ელემენტები შეუერთდეს. ამგვარად, წინადადებაში:

L'explorateur partit pour l'Afrique,

შესაძლებელია არსებითი სახელის ჯგუფს (l'explorateur) ან ზმნის ჯგუფს (partit pour l'Afrique) ზოგიერთი ელემენტი დაეუმატოს; მაგალითად:

Le célèbre explorateur partit pour l'Afrique,

ან კიდევ:

Le célèbre explorateur, Tartarin de Tarascon, saluant la foule qui l'acclamait, partit chasser le lion en Afrique du Nord.

ეს წინადადება შეიძლება გავაანალიზოთ როგორც ორი ძირითადი ჯგუფის ერთობლიობა. პირველი არის არსებითი სახელის ჯგუფი, წინადადების ქვემდებარე:

Le célèbre explorateur, Tartarin de Tarascon, saluant la foule qui l'acclamait;

შორე არის ზმნის ჯგუფი, წინადადების შემასმენელი:

partit chasser le lion en Afrique du Nord.

ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ერთ წინადადებასთან, ვინაიდან ყველა დამატებითი ელემენტი წინადადების საწყის ორ ჯგუფს უერთდება: ვამბობთ, რომ ეს არის არსებითი სახელის ჯგუფის და ზმნის ჯგუფის გავრცობა. მაგრამ ეს უკვე არ არის მარტივი წინადადება, ეს გავრცობილი წინადადებაა (იხ. თავი 32).

და პირიქით:

Tartarin partit chasser le lion. Tout Tarascon était en fête,

ჩვენ ერთმანეთისგან ნერტილით გამოყოფილი ორი წინადადება გვაქვს; თითოეული მათგანი არსებითი სახელის ჯგუფისა და ზმნის ჯგუფისგან შედგება; სინტაქსურად ორივე ერთმანეთისგან დამოუკიდებელია.

სიტყვა და მორფემა

1. არსებითი სახელისა და ზმნის ჯგუფების ანალიზის მეთოდი

ყველაზე მარტივ წინადადებაში ხდება მისი ორი შენაღვენილი წერის გაანალიზება, პირველს უწეია „არსებითი სახელის ჯგუფი“ და მეორეს „ზმნის ჯგუფი“. შეიძლება თუ არა ამ ჯგუფების კიდევ უფრო პატარა ელემენტებად დაშლა?

ამისთვის მე-4 თავში გამოყენებულ მეთოდს მივმართოთ. ავიღოთ წინადადება: *Le gardien monte le courrier*, რომელსაც დაეწლით არსებითი სახელის ჯგუფად *le gardien* და ზმნის ჯგუფად *monte le courrier*. პირველ ჯგუფში ელემენტი *le* შევვიძლია შევცვალოთ ელემენტებით *notre*, *mon*, *ce*:

NOTRE gardien monte le courrier.

MON gardien monte le courrier.

CE gardien monte le courrier.

ამ შემთხვევაში, არსებითი სახელის ჯგუფი შემდეგ ელემენტებად დაიშლება:

$$\left\{ \begin{array}{l} \text{le} \\ \text{notre} \\ \text{mon} \end{array} \right\} + \text{gardien.}$$

შეიძლება აგრეთვე *gardien* სხვა ისეთი სიტყვით შევცვალოთ, როგორცაა *facteur* ან *concierge*:

Le FACTEUR monte le courrier.

Le CONCIERGE monte le courrier.

თუ ამ ანალიზს ხის სახით წარმოვადგენთ, მივიღებთ:




იმავეს გაკეთება შეიძლება ზმნის ჯგუფთან მიმართებაშიც, *monte le courrier*-ს ნაცვლად, შეიძლება გვქონდეს *monte les lettres*, თუკი *le courrier*-ს ჩავენაცვლებთ *les lettres*-ით, აგრეთვე შეიძლება *monta* შევცვალო-

ოთ distribute-ით, მაინც ასეთივე შინაარსის წინადადება გვექრება:

Le gardien monte LES LETTRES. Le gardien DISTRIBUE le courrier.

ზმნის ჯგუფი შეიძლება რამდენიმე ელემენტად დაიშალოს და ეს ანალიზი შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:



ასევე შესაძლებელია არსებითი სახელის ჯგუფში le courrier განვიხილოთ ორი ელემენტი le და courrier, ღინაიდან le შეგვიძლია შევცვალოთ notre-ით და courrier კი journal-ით:

Le gardien monte NOTRE courrier. Le gardien monte le JOURNAL.

2. არის თუ არა სიტყვა წინადადების ყველაზე პატარა ერთეული?

შეიძლება თუ არა წინადადების სხვადასხვა ელემენტებად დაშლისას უფრო შორს წავიდეთ? მარტივ წინადადებაში არსებითი სახელის ჯგუფი ორი ელემენტისგან შედგება, მაგალითად le და gardien; შეიძლება თუ არა მათი დაყოფა მნიშვნელობის მქონე უფრო პატარა ელემენტებად?

არ შეიძლება gardien შემდეგ ელემენტებად დავშალოთ: ga + rdi-en ან gar + dien; gar და ga, rdi-en და dien ვერ შეიცვლება მნიშვნელობის მქონე სიტყვებით ან მორფემებით (მაგალითად, bardi-en ფრანგული სიტყვა არ არის).

თუმცა gardien შეიძლება დავშალოთ ელემენტებად gard + ien, მართლაც, ამბობენ une gardeuse d'oies. Gardeuse არის სიტყვა, რომელიც ორი ელემენტისგან შედგება: gard + euse; -euse შეიძლება შეენაცვლოს -ien-ს.

სიტყვა gardien ორი განსხვავებული ელემენტისგან შედგება, რომელთაგან არც ერთს არ შეუძლია დამოუკიდებლად არსებითი სახელის ჯგუფის შექმნა, თუმცა მნიშვნელობა აქვთ; gard- წარმოადგენს ზმნის ფუძეს, რომელსაც „garder“-ს მნიშვნელობა აქვს, ხოლო -ien არის სუფიქსი, რომელიც არსებითი სახელების საწარმოებლად გამოიყენება და რომელიც ნიშნავს „მოქმედების შემსრულებელს“;

ფუძეები და სუფიქსები მორფემებია.

ამიტომაც განვასხვავებთ სიტყვებს (gardien, raffinement, définition, laveur და ა.შ.) და მორფემებს, რომლებიც მნიშვნელობის მქონე ყველაზე მკირე ერთეულებია, ანუ gard + ien, raffine + ment, défini(r) + tion, lav + eur.

სიტყვა, როგორცაა gardien, ორი მორფემისგან შედგება. ისეც ხდება, რომ სიტყვაში მხოლოდ ერთი მორფემაა; ასეთ შემთხვევაში სიტყვა და მორფემა ერთმანეთს ემთხვევა, როგორც, მაგალითად, le, notre, fier, table, concierge და ა.შ. ზოგიერთი სიტყვა შეიძლება ორ მორფემაზე მეტს შეიცავდეს; ამგვარად, redistribution სამი მორფემისგან შედგება: re + distribu + tion. -tion შეიძლება სხვა მორფემებთან შევიდეს კომბინაციაში (définition, construction), ისევე როგორც re- (refaire, reprendre), შეიძლება გვექონდეს distributeur, სადაც -teur სხვა მნიშვნელობით შეენაცვლა -tion-ს.

მორფემა წინადადების შემადგენლებს შორის ყველაზე პატარა, მნიშვნელოვანი, დაუსლელი ერთეულია. სიტყვა ყველაზე პატარა, მნიშვნელოვანი ერთეულია და მაოლოდ მას შეუძლია იყოს ნებისმიერი არსებითი სახელის ჯგუფის ან ზმნის ჯგუფის შემადგენელი ნაწილი, გამომდინარე გარემოებიდან.

3. წინადადების გრამატიკული ანალიზი

ამ ეტაპზე შეგვიძლია წინადადების გრამატიკული ანალიზის სრული ხე დავხაზოთ:



ჩვენ სახელები დავარქვით იმ ელემენტებს (წინადადება, არსებითი სახელის ჯგუფი, ზმნის ჯგუფი), რომლებიც უკვე განესაზღვრეთ.

სიტყვათა კლასები ანუ მეტყველების ნაწილები

1. რა არის სიტყვათა კლასი?

თითოეული სიტყვა ამა თუ იმ კლასს ეკუთვნის; კლასი ის ერთობლიობაა, რომლის შემადგენელ ყველა სიტყვას ისე შეუძლია შეენაცვლოს წინადადებაში ერთმანეთს, რომ ის ისევ ფრანგულ წინადადებად დარჩეს.

კლასი A	კლასი B	კლასი C	კლასი D	კლასი E
Le	concierge	monte	nos	lettres
Un	gardien	donne	les	clefs
Notre	facteur	apporte	ces	imprimés

ორი სხვადასხვა სიტყვა ერთსა და იმავე კლასს მაშინ ეკუთვნის, როდესაც შესაძლებელია მათ წინადადებაში ერთმანეთი ჩაანაცვლონ (მობდეს მათი კომუტაცია), რაც რა თქმა უნდა წინადადების მნიშვნელობას შეცვლის, მაგრამ მას ფრანგული წინადადების სტრუქტურას შეუნარჩუნებს. სიტყვები *le*, *un*, *notre* ერთსა და იმავე კლასს ეკუთვნის; სიტყვები *concierge*, *gardien*, *facteur* მეორე კლასს ემნის; სიტყვები *monte*, *donne*, *apporte* მესამე კლასს.

სიტყვების კლასებად დაყოფა მათი წინადადებაში გამოყენების წესთან, ფუნქციასთან, სინტაქსურ თავისებურებებთან არის დაკავშირებული.

რომელია ის ძირითადი კლასები, რომელთა განსაზღვრა ანალიზის ამ მეთოდით შეიძლება?

2. არსებითი სახელის კლასი

წინადადებაში:

Le facteur porte rarement des paquets dans cette ferme lointaine
facteur შეიძლება შევცვალოთ სიტყვებით *postier*, *livreur*, *commis-*

sionnaire და ა.შ. ყველა ეს სიტყვა ერთსა და იმავე კლასს – არსებითი სახელის კლასს განეკუთვნება.

განეკუთვნება თუ არა ურთხა და იმავე სიტყვათა კლასს *facteur* და *paquet*? შეიძლება მათ ერთმანეთი ვერ შეცვალონ, ვინაიდან მიღებული წინადადებები მნიშვნელობას დაკარგავენ, მაგრამ შესაძლებელია ისეთი წინადადებების შედგენა, სადაც ეს წინადადებები დასაშვებია:

{ Le FACTEUR est arrivé.
{ Le PAQUET est arrivé.

{ Je regarde l e FACTEUR.
{ Je regarde le PAQUET.

სამაგიეროდ, *facteur*-ს ან *paquet*-ს ვერასოდეს შეეცვლით სიტყვებით *rarement*, *dans*, ან *ce* და ა.შ., რადგან ეს უკანასკნელი არსებითი სახელის კლასს არ განეკუთვნება. არსებითი სახელის კლასის სიტყვა მთავარია არსებითი სახელის ჯგუფის შესადგენად.

3. ზმნის კლასი

ასევე, შეგვიძლია *porte* შეეცვალოს სიტყვებით: *distribue*, *dépose*, *laisse* ან კიდევ (ეს იდეა გასაოცარიც რომ იყოს) სიტყვებით: *jette*, *casse*, *achète*, *classe* და ა.შ.:

Le facteur PORTE les lettres.

Le facteur DISTRIBUE les lettres.

Le facteur LAISSE les lettres.

Le facteur JETTE les lettres.

ამგვარად შედგენილი წინადადებები გასაგები და კარგად აგებულია. ყველა ეს სიტყვა ერთსა და იმავე კლასს განეკუთვნება, რომელსაც ზმნის კლასს ვუწოდებთ და რომელიც მთავარია შემასწავლელის გამოსახატავად.

4. მსაზღვრელის კლასი

Le facteur-ის ნაცვლად შეგვიძლია ვთქვათ *ce facteur*, *un facteur*, *notre facteur*, *quel facteur* და ა.შ.

CE facteur porte rarement des lettres.
UN facteur porte rarement des lettres.
NOTRE facteur porte rarement des lettres.
QUEL facteur porte rarement des lettres?

სიტყვები le, ce un, notre, quel და ა.შ. ერთსა და იმავე კლასს მიეკუთვნება, რომელსაც მსაზღვრელის კლასს ვუწოდებთ და რომელიც არსებითი სახელის ფგუფის შესადგენად გამოიყენება.

5. ზედსართავი სახელის კლასი

სიტყვა lointaine შეიძლება შეიცვალოს სიტყვებით solitaire, moderne, ancienne, croulante და ა.შ., მაგრამ არა სიტყვებით facteur, distribue და ა.შ.:

La ferme LOINTAINE.
La ferme MODERNE.
La ferme ANCIENNE.
La ferme CROULANTE.

lointaine, solitaire, moderne, ancienne, croulante შეადგენს ერთსა და იმავე კლასს, რომელსაც ზედსართავი სახელის კლასს ვუწოდებთ.

6. ზმნიზედის კლასი

სიტყვა rarement შეიძლება შეიცვალოს სიტყვებით – toujours, souvent, parfois, peut-être, და ა.შ.

Le facteur porte RAREMENT des lettres.
Le facteur porte TOUJOURS des lettres.
Le facteur porte PARFOIS des lettres.
Le facteur porte PEUT-ÊTRE des lettres.

ეს სიტყვები ეკუთვნის ერთსა და იმავე კლასს, რომელსაც ზმნიზედის კლასს ვუწოდებთ.

7. წინდებულის კლასი

სიტყვა dans შეიძლება შევცვალოთ სიტყვებით vers, à, devant, près de და ა.შ.:

Le facteur porte des lettres VERS la ferme.

Le facteur porte des lettres À la ferme.

Le facteur porte des lettres DEVANT la ferme.

Le facteur porte des lettres PRÈS DE la ferme.

ეს სიტყვები ერთსა და იმავე კლასს მიეკუთვნება, რომელსაც წინდებულის კლასს ვუწოდებთ.

8. ნაცვალსახელის კლასი

დაბოლოს, Le facteur porte-ის ნაცვლად შეგვიძლია ვთქვათ: il porte, je porte, tu portes, on porte და ა.შ. Je, tu, il, on და ა.შ., ისინი შეიძლება ჩაენაცვლოს le facteur-ს ან Jacques-ს, ამიტომაც თითოეოს ერთსა და იმავე კლასს, ანუ არსებითი სახელის კლასს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ მაათი გამოყენების მრავალი თავისებურებიდან გამომდინარე, რის შესახებაც დაწერილებით მე-18 თავში ვისაუბრებთ და რაც მათ არსებითი სახელებისგან განასხვავებს, ამ სიტყვებს ვათავსებთ კლასში, რომელსაც ნაცვალსაძეღის კლასს ვუწოდებთ.

9. კავშირის კლასი

თუ ჩვენ გვექნება ორი იაფთი წინადადება თანმიმდევრობა, როგორცაა:

Je n'ai pas attendu Pierre, CAR il ne m'avait pas prévenu de son arrivée,

შეგვიძლება car, რომელიც ორ წინადადებას ერთმანეთთან აერთებს, შევცვალოთ puisque-ით ან du fait que-თი და ა.შ. ეს სიტყვები ან სიტყვათა ჯგუფები ერთსა და იმავე კლასს მიეკუთვნება, რომელსაც კავშირის კლასს ვუწოდებთ.

ასევე, თუ გვექნება შემდეგი წინადადება:

Je viendrai avec mon père ET ma mère,

et, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს არსებითი სახელის ორ ჯგუფს mon père და ma mère, მიეკუთვნება კავშირის კლასს; ის შეიძლება შევცვალოთ OU-თი:

Je viendrai avec mon père OU ma mère.

10. სიტყვათა კლასები

სიტყვათა კლასებს სხვანაირად მეტყველების ნაწილება ვუწოდებთ. მეტყველების ძირითადი ნაწილებია:

არსებითი სახელი: Pierre, le film, le chien და ა.შ.

ზედსართავი სახელი: heureux, rouge, grand და ა.შ.

მსაზღვრელი: le, un, ce, mon, quel, chaque და ა.შ.

ზმნა: déclarer, voir, travailler და ა.შ.

ზმნიზედა: souvent, beaucoup, facilement და ა.შ.

ნაცვალსახელი: je, tu, il, qui და ა.შ.

წინდებული: à, de, par, dans და ა.შ.

კავშირი: et, ou, or, quand, si, que და ა.შ.

ამგვარად, ჩვენ რვა მეტყველების ნაწილი, ანუ სიტყვათა კლასი გვაქვს.

შენიშვნა. ზოგჯერ ამ სიაა შორისდებულს უმატებენ: hélas!, oh!, ah! და ა.შ. სინამდვილეში, ამ სერიის სიტყვები მთლიან ძახილის წინადადებას ცვლის. ამიტომაც, მათ არ შივაკუთვნებთ მეტყველების ნაწილებს, რიშლებიც წინადადების შემადგენელი ელემენტები არიან.

11. სიტყვათა კლასი მისი მნიშვნელობით არ განისაზღვრება

დაეუშვათ, რომ მელნის ლაქან შემდეგი წინადადების რომელიმე სიტყვის ნაკითხვაში ხელი შეგვიშალა

A

B

C

D

E

Le

piéton

traverse

la

rue

რომელი სიტყვაც არ უნდა იქონიეს გამჭრალი, ჩვენ მაინც შეგვიძლია ვთქვათ, თუ რომელ კლასს მიეკუთვნება ის. ამაში სხვა სიტყვები დაგვეხმარება, რომელთა წყალობით წინადადების მოდე-

ლის ამოცნობას შევიღებთ: A ან D მხოლოდ მსაზღვრელები შეიძლება იყოს; B ან E არსებითი სახელები და C – ზმნა.

ქვემოთ მოყვანილი გაუგებარი სტრუქტურა:

La mune crille dans le diel

ფრანგული წინადადების ტიპს მიესადაგება; mune და diel უნდა გაეიგოთ როგორც არსებითი სახელები და crille – როგორც ზმნა, (საკმარისია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თითოეული სიტყვის პირველი ასო ანბანში მის წინ ნდგარი ასოთი შეეცვალოთ, რომ მივიღოთ: la lune brille dans le ciel).

ერთი და იმავე კლასის სიტყვები წინადადებაში იკავებს მხოლოდ განსაზღვრულ ადგილს და, პირიქით, მოცემული წინადადებას ტიპში დაკავებულმა ადგილმა შეიძლება სიტყვის კლასი განსაზღვროს.


სიმბოლოზაცია

წინადადების შემადგენლებს, ზმნის ჯგუფის შემადგენლებს და არსებითი სახელის ჯგუფის შემადგენლებს სახელები დავარქვით, ანუ მივანიჭეთ ეტიკეტები. ჩვენ შეგვიძლია ეს ეტიკეტები შემოკლებებით შევცვალოთ და, ასეთ შემთხვევაში, ისინი მათი სიმბოლოები გახდება:


• ამგვარად ჩვენ გვექნება შემდეგი სია:

P	წინადადება	Adj	ზედსართავი
GV	ზმნის ჯგუფი	V	ზმნა
GN	სახელის ჯგუფი	Adv	ზმნიზედა
GP	წინდებულის ჯგუფი	Pro	ნაცვალსახელი
D	მსაზღვრელი	Prép	წინდებული
N	არსებითი სახელი	Conj	კავშირი

• მებჭუთე თავში მოცემულ ხეში ეტიკეტებს სიმბოლოებით თუ შევცვლით, შემდეგ სურათს მივიღებთ:



წინადადების ხე შეიძლება შემდეგნაირად ავაგოთ, დაესვამთ რა მის შემადგენელ სიტყვებს ბოლო ხაზზე:



ზმნის ჯგუფისა და არსებითი სახელის ჯგუფის ძირითადი ფორმები

1. ზმნის ჯგუფის სხვადასხვა ფორმა

ზმნის კლასში განასხვავებენ ქვეკლასებს, რომლებიც განსაკუთრებული სინტაქსური თვისებებით ხასიათდება. იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეკლასს მიეკუთვნება ზმნა, ზმნის ჯგუფს განსხვავებული სტრუქტურა აქვს; არსებობს ზმნის ჯგუფის რამდენიმე ძირითადი ტიპი.

1. ზმნის ჯგუფი ერთი ან რამდენიმე დამატებით

• ბევრ ზმნას ერთი ან რამდენიმე დამატება არსებითი სახელის ჯგუფი მოსდევს; ეს ის ჯგუფებია, სადაც ზმნა გარდაშავალია (იხ. თავი 24). მაგალითად, წინადადებაში:

Le conducteur a évité l'obstacle,

ზმნის ჯგუფი *a évité l'obstacle* შედგება ზმნისგან (*a évité*) და დამატება არსებითი სახელის ჯგუფისგან, რომლის წინ წინდებული არ დგას (პირდაპირი დამატება) და რომელიც მოუთითებს, რაზე გადადის ზმნის მიერ მოთხოვნილი მოქმედება, ან რა არის მოქმედების მიზანი და ა.შ.

არს. სახელის ჯგუფი ქვემდებარე

Le conducteur

ზმნის ჯგუფი შემასმენელი



a évité l'obstacle

ზმნა არს. სახელის ჯგუფი
(პირდაპირი დამატება)

დამატება არსებითი სახელის ჯგუფის წინ შეიძლება რომელიმე წინდებული *à, de, contre* და ა.შ. იდგეს. ასეთ შემთხვევაში ზმნის ჯგუფი შედგება ზმნისგან, რომელსაც წინდებულიანი ჯგუფი, ირიბი


3. ზმნის ჯგუფი ქვემდებარის ატრიბუტივით; მკერთებელი ზმნა être

ზოგიერთ ზმნას, განსაკუთრებით être-ს (devenir, sembler, paraître, rester ზმნებთან ერთად), შეიძლება მოჰყვებოდეს ზედსართავი სახელი, რომელიც ქვემდებარის ატრიბუტის ფუნქციას ასრულებს; მაგრამ სიტყვა, რომელიც ამ ზმნებს მოჰყვება, შეიძლება იყოს აგრეთვე არსებითი სახელის ჯგუფი, ხშირად მსაზღვრელის გარეშე, და ატრიბუტის ფუნქცია ვქონდეს. ზმნა être ჩვეულებრივი ზმნებისგან რომ განვასხვაოთ, მას ვუნოვებთ „მკერთებელ ზმნას“. მაგალითად:



შენიშვნა. ამ ორ წინადადებას შორის Son père est un cinéaste (მკერთებელი და ატრიბუტი) და Son père connaît un cinéaste (გარდამავალი ზმნა და პირდაპირი დამატება) სინტაქსური განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველ შემთხვევაში არსებითი სახელი შეგვიძლია ზედსართავით შევცვალოთ (Son père est heureux) ისე, რომ წინადადება ფრანგულ წინადადებად დარჩება, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში ეს არ შეგვიძლია (*Son père connaît heureux არ არის ფრანგული).

• ზმნის ჯგუფი, რომელიც შედგენილია être-ით, შეიძლება აგრეთვე შეიცავდეს წინდებულებას:



ან ადვილის ზმნიზედა:



თუ გარდამავალ ან გარდაუვალ ზმნას მეერთებელ ზმნას être (devenir) დაკუპირისპირებთ, ასეთ შემთხვევაში გვექნება ზმნის ჯგუფების ორი დიდი ტიპი:

ზმნით:

L'enfant LANCE la balle.

L'enfant COURT.

მეერთებლით:

L'enfant EST heureux.

შენიშვნა. ზმნის ჯგუფი შეიძლება იყოს გამოთქმა il y a. ეს გამოთქმა შეიძლება მეერთებელი ზმნის être ტოლფასი იყოს, მაგრამ იგი არ იძლევა ატრიბუტის შემოტანის საშუალებას:

Il y a un chien dans le jardin (= un chien est dans le jardin).

4. ზმნის ჯგუფი პირდაპირი დამატებით და პირდაპირი დამატების ატრიბუტით

ზმნების მცირე ჯგუფს შეიძლება მოჰყვებოდეს პირდაპირი დამატება და კიდევ ერთი ელემენტი, რომელიც დამოკიდებულია პირდაპირ დამატებაზე და რომელსაც „პირდაპირი დამატების ატრიბუტს“ ვეძახით. ეს ელემენტი შეიძლება იყოს:

– ან ზედსართავი, ისეთ ზმნებთან, როგორებიცაა croire, juger, estimer, trouver, rendre, laisser:

Je crois cette solution HEUREUSE.

Heureuse არის ზედსართავი პირდაპირი დამატების *cette solution* ატრიბუტი (იხ. 23-ე და 44-ე თავები);

– ან არსებითი სახელის ჯგუფი, ისეთ ზმსებთან, როგორებიცაა *appeler, nommer, élire*:

On appelle cette machine **UNE TRONÇONNEUSE**.

Une tronçonneuse არის პირდაპირი დამატების *cette machine* ატრიბუტი არსებითი სახელის ჯგუფი.

შენიშვნა. კონსტრუქცია პირდაპირი დამატების ატრიბუტით, ორი წინადადების ერთ წინადადებად გარდაქმნის შედეგია (იხ. 42-ე თავი). პირდაპირი დამატების ატრიბუტი არის ევემდებარის ატრიბუტი ტრანსფორმაციამდე (იხ. 23-ე თავი ზედსართავისთვის). პირდაპირი დამატების ატრიბუტის შემთხვევაში ზმნა *appeler* მაგალითად, არის *faire que (quelqu'un, quelque chose) soit-ს (par le nom)* ტოლფასი...:

On fait que cette machine soit (par le nom) une tronçonneuse.

→ On appelle cette machine une tronçonneuse.

ზმნის გავრცობილი ჯგუფისთვის იხ. 32-ე თავი.

2. არსებითი სახელის ჯგუფის სხვადასხვა ფორმა

• არსებითი სახელის მარტივი ჯგუფი შედგება მსაზღვრელისა და არსებითი სახელისგან. წინადადებაში:

MON FILS joue dans **LA COUR**,

არსებითი სახელის ჯგუფი *mon fils* შედგება მსაზღვრელის (*mon*) და არსებითი სახელისგან (*fils*); არსებითი სახელის ჯგუფი *la cour*, რომელიც წინდებულიან ჯგუფს *dans la cour* ეკუთვნის, შედგება მსაზღვრელისგან *la* და არსებითი სახელისგან *cour*.

• არსებითი სახელის გავრცობილი ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს მსაზღვრელის, ზედსართავისა და არსებითი სახელისგან:

LE PETIT ENFANT joue dans **la cour**.

ამ წინადადებაში, არსებითი სახელის ჯგუფი *le petit enfant* შედგება მსაზღვრელისგან (*le*), ზედსართავისგან (*petit*) და არსებითი სახელისგან (*enfant*).

• არსებითი სახელის გავრცობილი ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს აგრეთვე არსებითი სახელის პირველი ჯგუფისგან (ზედსართავით ან მის გარეშე), რომელსაც წინდებულიანი ჯგუფი მოჰყვება.

ასევე წინადადებაში:

LE PETIT ENFANT DU VOISIN joue dans la cour,

არსებითი სახელის გავრცობილი ჯგუფი le petit enfant du voisin შედგება არსებითი სახელის ჯგუფისგან (le petit enfant), რომელსაც მოჰყვება წინდებულიანი ჯგუფი (du voisin).

ასევე წინადადებაში:

LA CIRCULATION EN VILLE est difficile,

არსებითი სახელის გავრცობილი ჯგუფი la circulation en ville შედგება პირველი არსებითი სახელის მარტივი ჯგუფისგან (la circulation) და წინდებულიანი ჯგუფისგან (en ville).

იხ. აგრეთვე 32-ე თავი.

3. წინდებულიანი ჯგუფი

წინდებულიანი ჯგუფი შედგება მარტივი ან გავრცობილი არსებითი სახელის ჯგუფისგან, რომლის წინაც დგას წინდებულები (ან წინდებულებიანი გამოთქმა).

მაგალითად, წინადადებაში:

Le petit enfant joue dans la cour,

წინდებულებიანი ჯგუფი dans la cour შედგება არსებითი სახელის ჯგუფისგან la cour, რომელსაც წინ უსწრებს წინდებულები dans.

სიმბოლოზაცია

• ნე-ნ თავში ჩვენ ვნახეთ, რომ შეგვექლო წინადადების შემადგენლები და ზმნისა და არსებითი სახელის ჯგუფების და ა.შ. დასახელებები სიმბოლოებით შეგვეცვალა. ამგვარად, შემდეგ წინადადებაში:

Le groupe du nom est formé d'un déterminant et d'un nom,

შეგვიძლია გამოთქმა est formé შევცვალოთ სიმბოლოთი; ეს სიმბოლო იქნება ისარი. თუ შევცვალოთ groupe du nom, déterminant და nom-ს შესაბამისი სიმბოლოებით, მაშინ დავწერო:

GN → D + N

რონელიც ნაიკითხება როგორც „არსებითი სახელის ჯგუფი შედგება მსაზღვრელისგან, რომელსაც მოჰყვება არსებითი სახელი“ (ან „მსაზღვრელისა და სახელისგან“).

• თუ გვინდა, სიმბოლოებით წარმოვადგინოთ წესები, რომლებიც ამ თავში განვიხილეთ, შეგვიძლია, მაგალითად, დავწეროთ:

$P \rightarrow GN + GV$

წინადადება შედგება სახელის ჯგუფისა და ზმნის ჯგუფისგან. ზმნის ჯგუფი შედგება ზმნისა და სახელის ჯგუფისგან, თუ ზმნა გარდაშეაღლია.

$GV \rightarrow V + GN$

ზმნის ჯგუფი შედგება მხოლოდ ზმნისგან, თუ ზმნა გარდაუვალია. ზმნის ჯგუფი შედგება ზმნისგან, სახელის ჯგუფისა და წინდებულისა ან ჯგუფისგან (რონელიც შევამოკლეთ ასე: GP).

$GV \rightarrow V$

$GV \rightarrow V + GN + GP$

ან $GV \rightarrow Cop + Adj$

ან $GV \rightarrow Cop + GN$

ან $GV \rightarrow Cop + GP$

ან $GV \rightarrow Cop + Adv$



ზმნა არის მადრთებელი être (შემოკლებული როგორც Cop).

• შეიძლება აგრეთვე სიმბოლო მივანიჭოთ ამ „ან“-საც, რომელიც გვიჩვენებს, რომ არსებობს ზმნის ჯგუფის შედგენის მრავალი საშუალება; ეს სიმბოლო არის ფიგურული ფრჩხილები. ამგვარად, შეგვიძლია დავწეროთ:

$GV \rightarrow \left\{ \begin{array}{l} V \\ V + GN \\ V + GN + GP \\ Cop + Adj \\ Cop + GN \\ Cop + Adv \\ Cop + GP \end{array} \right\}$

ზმნის ჯგუფი შედგება ან ზმნისგან, ან ზმნისაგან, რომელსაც მოჰყვება არსებითი სახელის ჯგუფი, ან მადრთებულისგან, რომელსაც მოჰყვება ზედსართავი და ა.შ.

არსებითი სახელი: ქვეკლასები და კატეგორიები

1. რა არის არსებითი სახელი?

არსებითი სახელის ფგუფი, თავის ყველაზე მარტივ ფორმაში, შედგება არსებითი სახელისგან, რომლის წინაც დგას მსაზღვრელი:

$$GN \rightarrow D + N$$

1. სინტაქსური ფუნქციონირება

არსებითი სახელი არსებითი სახელის ფგუფის მთავარი შემადგენელია, ე.ი. იმ ფგუფისა, რომელიც შეიძლება მიხიშალური წინადადების ქვემდებარე იყოს, მას წინ მსაზღვრელი უძღვის (ან შეიძლება უძღოდეს).

მოცემულ სიტყვებს შორის *jardin, ouvert, Laurent, demandait, puisque, frèquent, prudence, nous, Paris*, არსებით სახელებს მხოლოდ *jardin, Laurent, prudence, Paris* განეკუთვნება.

მართლაც, ამ ოთხ სიტყვას შეუძლია იყოს არსებითი სახელის ფგუფის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შემდეგი მოდელის მიხიშალურ წინადადებაში A-ს ადგილს იკავებს:

A არის B: *Le jardin est grand*

ან A აკეთებს B-ს: *Laurent fait son devoir.*

არსებითი სახელების ერთგვარ ნაწილს, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანია, ჩვეულებრივ, წინ უძღვის მსაზღვრელი:

{ *LE JARDIN est grand.*
MON JARDIN est grand.
CE JARDIN est grand.

{ *LA PRUDENCE est nécessaire.*
CETTE PRUDENCE est nécessaire.
SA PRUDENCE est nécessaire.

დანარჩენების წინ, როგორც წესი, მსაზღვრელი არ დგას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს შესაძლებელია:

- { LAURENT est arrivé.
- { MON LAURENT fait ses devoirs.
- { PARIS se reconstruit.
- { CE PARIS est inconnu.

სამაგიეროდ, **INCUS**-ს, რომელიც შეიძლება ქვემდებარე იყოს და არსებითი სახელის ფგუფის როლს ასრულებდეს, არ შეიძლება წინ მსაზღვრელი უძლოდეს, რადგან ის არსებითი სახელი არ არის.

ნებისმიერი სიტყვა, რომელიც მსაზღვრელთან ერთად არსებითი სახელის ფგუფს შეადგენს, არსებითი სახელია, მაშინაც კი, როდესაც სხვა წინადადებებში ის განსხვავებულ კლასს გახეკუთვნება.

ამგვარად, **bleu**, რომელიც ზედსართავია წინადადებაში *Cette robe est bleue*, არსებითი სახელია წინადადებაში:

CE BLEU est lumineux.

ასევე, **dehors**, რომელიც ზმნიზედაა წინადადებაში *Attendez-moi dehors*, არსებითი სახელია წინადადებაში:

L'affaire se présente sous DES DEHORS des engagements.

2. მნიშვნელობა

არსებით სახელს შეუძლია აღნიშნოს სულიერი საგანი (*homme, chien, Jacques*) ან უსულო საგანი (*vase, voiture, livre*). იგი ხშირად თვისებებს (*beauté, grandeur*) ან მოქმედებებს (*nettoyage, départ*), ან ძალზე განსხვავებულ ცნებებსაც კი გამოხატავს, რომლებიც შეიძლება აგრეთვე განიმარტოს როგორც ზედსართავი (თვისება), ან ზმნა (მოქმედება). ამიტომაც, უმჯობესია, არსებითი სახელის კლასი განემარტოთ არა იმ სიტყვების მნიშვნელობით, რომლებიც მას შეადგენს, არამედ ამ სიტყვებისთვის დამახასიათებელი სინტაქსური ფუნქციონირებით.

არსებით სახელთა ერთობლიობა (არსებითი სახელის კლასი) შეიძლება რამდენიმე ფგუფად, ანუ ქვეკლასად დაიყოს და ეს სხვადასხვაგვარად შეიძლება მოხდეს. თითოეული სიტყვა რამდენიმე ქვეკლასს შეიძლება განეკუთვნებოდეს.

2. საზოგადო და საკუთარი არსებითი სახელები
განასხვავებენ საზოგადო და საკუთარ არსებით სახელებს:
Lapin, courage, livre საზოგადო სახელებია.
François, Hugn, Marseille საკუთარი სახელებია.

1. სინტაქსური ფუნქციონირება

რა ძირითადი სინტაქსური განსხვავებაა ამ ორ ქვეკლასს შორის? არსებითი სახელის ფგულებს, რომელთა შემადგენლობაშიც საზოგადო არსებითი სახელები ერთიანდება, როგორც ნესი, თან ახლავს რომელიმე მსაზღვრელი, ყოველ შემთხვევაში ქვემდებარის ფუნქციის მქონე არსებით სახელებს, მაშინ როდესაც არსებითი სახელის ფგუფებს, რომლებშიც საკუთარი არსებითი სახელები შედის, გამოხატული მსაზღვრელი არ აქვთ:

LE LAPIN est craintif. / GEORGES est heureux.

თუმცა, ზოგიერთ არსებით სახელს, როგორცაა ქვეყნის, რეგიონის (La France, la Touraine) და მცხოვრებლების (un Français, un Grenoblois) აღმნიშვნელი არსებითი სახელი, საკუთარი არსებითი სახელების ქვეკლასს მიაკუთვნებენ, იმის ნიუხედავად, რომ მათ წინ გამოხატული განსაზღვრება უძღვით. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში (ზედსართავთან, მიმართებით ნაცვალსახელთან), მსაზღვრელი შეიძლება არსებითი სახელებს, ადამიანთა საკუთარი სახელების და ა.შ. წინ იდგეს:

LE PETIT GEORGES dont je te parle est le cadet de la famille.

მაშასადამე, საკუთარ არსებით სახელებს შორის ასხვავებენ:

– არსებით სახელებს, რომელთაც წინ არ უძღვის გამოხატული მსაზღვრელი (სახელი, გვარი, ქალაქის სახელი და ა.შ.);

– არსებით სახელებს, რომელთაც წინ უძღვის მსაზღვრელი. მაგალითად, ქვეყნების, მდინარეების დასახელება: la France, le Danemark, le Rhône;

– არსებით სახელებს, რომელთა წინაც მსაზღვრელი ან დგას, ან არა. მაგალითად, პერიოდის დასახელება: la Noël (à Noël).

მაშინაც კი, როდესაც ქვემდებარე არსებითი სახელის ფგუფში შემავალი საკუთარი არსებითი სახელების წინ დგას მსაზღვრელი,

ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს საზოგადო არსებითი სახელე-
ბისგან ზოგიერთი სინტაქსური თავისებურებით განსხვავებული
ფუნქციის შესრულებისას; მაგალითად, dans და en წინდებულების
გამოყენება განსხვავებულია საზოგადო არსებითი სახელებისა და
საკუთარი არსებითი სახელებისთვის:

Je vais DANS MA PROPRIÉTÉ. / Je vais EN ITALIE.

2. მნიშვნელობა

გრამატიკული განსხვავება, რომელსაც მსაზღვრელი ქმნის,
ყოველთვის არ არის საკმარისი საზოგადო და საკუთარი არსებითი
სახელის ერთმანეთისგან განსასხვავებლად. თუ თითოეული ქვე-
კლასის არსებითი სახელების მნიშვნელობას გავითვალისწინებთ,
დავადგენთ, რომ საზოგადო არსებითი სახელი სულიერი საგნების,
ან ერთი და იმავე სახეობის, ერთი და იმავე კატეგორიის ყველა საგ-
ნის აღსანიშნავად გამოიყენება, მაშინ, როცა საკუთარი არსებითი
სახელები, ისევე, როგორც ნაცვალსახელები je და tu, როგორც წესი,
სულიერი საგნების ან ინდივიდუალიზებული საგნების აღსანიშნა-
ვად გამოიყენება: chaise აღნიშნავს საგანს, რომელიც უსულო საგ-
ნების ქვეკლასს მიეკუთვნება და ერთსა და იმავე განმარტებას პა-
სუხობს (განმარტებას „chaise“); Paris აღნიშნავს კონკრეტულ
ქალაქს; არ არსებობს ქალაქების კლასი, რომლებსაც „Paris“ ერქმო-
და. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის; მაგალითად, მცხოვრებლებ-
ის სახელებს მიაკუთვნებენ საკუთარი არსებითი სახელის ქვეკლასს,
მიუხედავად იმისა, რომ ისინი კატეგორიებს აღნიშნავენ.

დაბოლოს, საკუთარი არსებითი სახელის ქვეკლასი შეგვიძლია გან-
ვმარტოთ მასში შემავალი არსებითი სახელების ტიპების ჩამოთვლით:
საკუთარი სახელები, ქვეცნების ან მათი მცხოვრებლების დასახელე-
ბები, ქალაქის, მთის, მდინარის სახელწოდებები. სხვა არსებითი სახე-
ლები საზოგადო არსებითი სახელის ქვეკლასს შეადგენს.

3. დამწერლობა

ფრანგულ ენაში წერის დროს საკუთარი არსებითი სახელი საზოგა-
დო არსებითი სახელისგან იმით განსხვავდება, რომ ისინი ასომთავრუ-
ლით იწყება.

4. საკუთარი არსებითი სახელის გადასვლა საზოგადო არსებით სახელში

საკუთარ არსებით სახელს ვიყენებთ როგორც საზოგადო არსებით სახელს, რათა აღვნიშნოთ არა ერთი რომელიმე ინდივიდი, არამედ მსგავს ადამიანთა ტიპი; არა ერთი რომელიმე რეგიონი, არამედ ამ რეგიონის სახელთან დაკავშირებული საგანი და ა.შ.:

Cet homme est un vrai TARTUFFE (ანუ ფარისეველი).

Il a commandé une bouteille de BOURGOGNE (ანუ ბურგუნდიის ღვინო).

ამ შემთხვევაში, საკუთარი არსებითი სახელი, რომელიც საზოგადო არსებით სახელად გადაიქცა, პატარა ასოთი იწერება.

3. ადამიანის სახელი, სულიერი და უსულო არსებითი სახელები

იმის მიხედვით, არსებითი სახელი ადამიანს აღნიშნავს, ზოგადად სულიერ საგანს (ადამიანს ან ცხოველს) თუ უსულო საგანს, რამდენიმე სინტაქსური განსხვავება არსებობს.

1. ადამიანის სახელების ქვეკლასი

განვიხილოთ შემდეგი ორი კითხვა:

QUI vois-tu? QUE vois-tu?

პირველი მოითხოვს ისეთ პასუხს, როგორიცაა:

Je vois L.F. GARAGISTE, LES PASSANTS, UNE FEMME, PIERRE.

Je vois QUELQU'UN. Je ne vois PERSONNE.

მეორე მოითხოვს ისეთ პასუხს, როგორიცაა:

Je vois UNE VOITURE, LE TABLEAU, DES FLEURS.

Je vois QUELQUE CHOSE. Je ne vois RIEN.

Je vois UN CHAT, DES POISSONS.

ამგვარად, ადამიანის სახელის ქვეკლასს გრამატიკული აიტყვეების გარკვეული კატეგორია შეესაბამება, მაგალითად ნაცვალსახელები qui, quelqu'un, personne, ხოლო არა-ადამიანის სახელის ქვე-

კლასს (საგნები და ცხოველები) სხვა სერია შეესაბამება, მაგალითად, ნაცვალსახელები *quoi, quelque chose, rien*.

2. სულიერი და უსულო არსებითი სახელების ქვეკლასები

ზოგიერთი გრამატიკული ნესი იმ განსხვავებას ეფუძნება, რომელიც სულიერ არსებით სახელსა (ადაშიანები + ცხოველები) და უსულო არსებით სახელს (საგნები + ნივთები) შორის არსებობს. ამგვარად, სულიერი არსებითი სახელი სქესში პიროვნების (ან ცხოველის) სქესის ნიხედვით იცვლება, მაშინ, როდესაც უსულო არსებით სახელს ფიქაირებული გრამატიკული სქესი აქვს:

le paysan / la paysanne; le fauteuil / la chaise.

4. კონკრეტული და აბსტრაქტული არსებითი სახელები

განსახვავებთ კონკრეტულ არსებით სახელს და აბსტრაქტულ არსებით სახელს. ეს განსხვავება გრამატიკული ფუნქციონირების განსხვავებას და მნიშვნელობის განსხვავებას შეესაბამება.

1. გრამატიკული ფუნქციონირება

აბსტრაქტული არსებითი სახელი კავშირშია:

– ან ზმნასთან, ან ზმნის (ზმნური გამონათქვამის) შემცველ სიტყვათა ჯგუფთან:

course – courir; chute – tomber; idée – penser;

– ან ზედსართავთან:

légèreté – léger; fraîcheur – frais.

აბსტრაქტული არსებითი სახელის გამოყენება აზრის განსხვავებულად გამოხატვის საშუალებას იძლევა, რომელიც შეიძლება გამოხატული იქნეს ზმნის ან ზედსართავის მიერ:

Le train part → le départ du train.

Le chemin est long → la longueur du chemin.

ამგვარად, ბევრი აბსტრაქტული არსებითი სახელი ზედსართავის

ან ზმნეისგან იწარმოება. კონკრეტული არსებითი სახელი „ქი, პირიქით, წარმოებულ შედსარსადაც ან ზმნას ქმნის:

livre → livresque; caramel → caraméliser.

2. მნიშვნელობა

კონკრეტული არსებითი სახელი იმ სულიერ და უსულო საგანს აღნიშნავს, რომელიც რეალობას, გარე სამყაროს მიეკუთვნება, მხედველობით, შეხებით და ა.შ. აღიქმება, ახ რომელიც წარმოგვიდგენია, როგორც ამ სამყაროს (წარმოსახვითი სამყაროს) ნაწილი:

enfant, maison, Jupiter, fantôme etc.

აბსტრაქტული არსებითი სახელი სულიერი და უსულო საგნისთვის დამახასიათებელ მოქმედებებს, ავისებებს, მდგომარეობებს აღნიშნავს:

arrachage, maturité, espoir, poids.

შენიშვნა. ერთი და იგივე არსებითი სახელი შეიძლება აბსტრაქტულიც იყოს და კონკრეტულიც.

წინადადებაში:

La CONSTRUCTION de cette maison a été rapide,
construction აბსტრაქტული არსებითი სახელია: ეს არის შენების ქმედება.

მაგრამ წინადადებაში:

On a abattu de vieilles CONSTRUCTIONS,
constructions კონკრეტული არსებითი სახელია: ეს აშენებული სახლებია.

5. თვლადი და უთვლადი არსებითი სახელები

ერთმანეთისგან გახასხვავებენ თვლად და უთვლად არსებით სახელებს.

1. სინტაქსური ფუნქციონირება

განვიხილოთ შემდეგი წინადადებები:

Pierre traverse la rue. La rue est encombrée,

მრავლობითში შეგვიძლია ვთქვათ:

Pierre traverse une rue, deux rues, plusieurs rues. Les rues sont encombrées.

სამაგიეროდ, თუ განვიხილავთ შემდეგ წინადადებებს:

On blâme l'orgueil. L'orgueil de Pierre est insupportable,

ვნახავს, რომ არ შეგვიძლია ვთქვათ:

*On blâme les orgueils. Les orgueils de Pierre sont insupportables.

მაშასადამე, არსებითი სახელები RUE და orgueil ერთსა და იმავე სინტაქსურ წესებს არ ექვემდებარება. როდესაც რიცხვის კატეგორიაზე ვსაუბრობთ, არსებით სახელს, რომელთაც ისეთივე სინტაქსური მახასიათებლები აქვს, როგორც სიტყვას RUE, „თელაჯ არსებით სახელს“ უწოდებენ, დანარჩენები „უთვლადი არსებითი სახელებია“.

2. მნიშვნელობა

თვლადი არსებითი სახელები იმ სულიერ და უსულო საგნებს აღნიშნავს, რომლებიც შეგვიძლია განვიხილოთ როგორც განსხვავებული ერთეულები, რომელთა დათვლაც შესაძლებელია. უთვლადი არსებითი სახელი ისეთ საგანს აღნიშნავს, რომელიც წარმოგვიდგენია როგორც განუორჩეველი მასა, განუყოფელი მატერია.

უთვლადი არსებითი სახელი შეიძლება მდგომარეობისა და თვისებების აღმნიშვნელი აბსტრაქტული არსებითი სახელი იყოს: laidur, orgueil, raffinement. მაგრამ იგი ასევე შეიძლება იყოს კონკრეტული არსებითი სახელი, კერძოდ, „ნივთიერების“ აღმნიშვნელი სახელი: magnésium, oxygène (საზოგადოდ, არ ამბობენ des oxygènes, des magnésiums).

3. თვლად და უთვლად სახელებს შორის კავშირი

თვლადი არსებითი სახელების უმრავლესობა შეიძლება გამოყვანილი იქნეს როგორც უთვლადი, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით. როდესაც ვამბობთ:

Le veau est dans le pré,

veau თვლადი არსებითი სახელია; შეგვიძლია ვთქვათ: un veau, deux veaux, etc.

როდესაც ვამბობთ:

J'ai mangé du veau à midi,

veau უთელადი არსებითი სახელია; ის ცხოველს კი არ აღნიშნავს, არამედ ამ ცხოველის ხორცს (მასალას).

პირიქით, ბევრი უთელადი არსებითი სახელი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც თელადი, მაგრამ გახსავაგებული ხარისხითა და მნიშვნელობით. La curiosité, la colère, la gentillesse ზოგადად აბსტრაქტული, უთელადი არსებითი სახელებია, მაგრამ des curiosités, des colères, des gentillesses თელადი არსებითი სახელებია, რომელიც საინტერესო საგნებს (ან ადგილებს), გაბრაზებულ რეაქციებს, თავანაიან ქმედებებს აღნიშნავს. L'ivoire, le vin ზოგადად უთელადი კონკრეტული არსებითი სახელებია; მაგრამ un ivoire, des ivoires, un vin, des vins თელადი არსებითი სახელებია, რომლებიც ან სპილოს ძვლისგან დამზადებულ საგნებს, ან სპილოს ძვლის თუ ღვინის სხვადასხვა თვისებას აღნიშნავს.

6. მამრობითი და მდედრობითი სქესის არსებითი სახელები: სქესის კატეგორია

ყველა არსებითი სახელი, საზოგადო თუ საკუთარი, სულიერი თუ უსულო, კონკრეტული თუ აბსტრაქტული, თელადი თუ უთელადი ორ კატეგორიად, მამრობითად და მდედრობითად იყოფა, რომელსაც „სქესს“ ეწოდებთ.

1. გრამატიკული ფუნქციონირება

წინადადებებში:

Je regarde LA TÉLÉVISION. Je regarde LE CIEL,

télévision შეიძლება შეეცვალოს სახელებით mer, Loire, cigogne და ა.შ., ხოლო ciel სახელებით livre, Rhône, corbeau და ა.შ., მაგრამ არ შეგვიძლია télévision შეეცვალოს სიტყვით livre ისე, რომ იმავდროულად მსაზღვრელი la არ შეეცვალოს le-თი და ა.შ.

მამასადამე, არსებით სახელს ორი სქესი აქვს:

– მამრობითი, რომელსაც ის არსებითი სახელები განეკუთვნება, რომელთაც წინ უძღვის არტიკლები le ან un;

le mur, un fauteuil მამრობითი სქესის არსებითი სახელებია;

– მდედრობითი, რომელსაც ის არსებითი სახელები განეკუთვნება, რომელთაც წინ უძღვის არტიკლები la ან une;

la porte, une chaise მდედრობითი სქესის არსებითი სახელებია.

2. მნიშვნელობა

სქესში განსხვავება ყველა არსებითი სახელისთვის ერთსა და იმავე როლს არ თამაშობს.

• უსულო არსებითი სახელის ქვეკლასში არსებით სახელს ფიქსირებული სქესი აქვს, მამრობითი ან მდედრობითი, რომელსაც არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს მიკუთვნებული. ზოგჯერ ამბობენ, რომ ასეთ შემთხვევაში სქესი უსაფუძვლოა: ფრანგულში soleil მამრობითი სქესისაა, ხოლო lune მდედრობითის, მაგრამ სხვა ენებში შეიძლება პირიქით იყოს.

ზოგჯერ უსულო არსებითი სახელის ქვეკლასის ერთი და იმავე ფორმის და განახვავებული მნიშვნელობის მქონე ორ სიტყვას შორის (ესენი ომონიმებია) არსებობს ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი – სქესი:

LE POÊLE est chaud. LA POÊLE est chaude.

ეს შემთხვევა უფრო ხშირად სასაუბრო ენაში გვხვდება; სადაც განსხვავებული ორთოგრაფია არ მოქმედებს;

LE COURS [kur] est long. LA COUR [kur] est longue.

• სულიერი არსებითი სახელის ქვეკლასში გარკვეული რაოდენობის არსებითი სახელისთვის სქესი ცვლილებას ექვემდებარება. მხოლოდ ამ კლასში აქვს სქესს მნიშვნელობა (იხ. მე-9 თავი).

მნიშვნელები. 1. ზოგიერთი უსულო არსებითი სახელი შეიძლება გამოყენებული იქნეს მდედრობით ან მამრობით სქესში მნიშვნელობის შეუცვლელად: un ან une après-midi; un ან une après-guerre.

2. სიტყვები amour, délice და orgue მხოლოდით რიცხვში მამრობითი სქესისაა, ხოლო მრავლობით რიცხვში მდედრობითი სქესისა:

Il l'aimait d'un amour fou, / Il avait connu de folles amours (ლიტერატურული ენა).

Ce gâteau est un délice. / C'étaient chaque jour de nouvelles délices (ლიტერატურული ენა).

Cette fugue a été jouée sur un orgue ancien. / Les grandes orgues résonnent.

სიმბოლიზაცია

ყველა არსებითი სახელი შეიძლება ქვეკლასების სერიად დაიყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითოეული არსებითი სახელი საზოგადოა ან საკუთარი, სულიერი ან უსულო, თვლადი ან უთვლადი და ა.შ. მაგალითად, Pierre საკუთარი სახელია, სულიერი, ადამიანის აღმნიშვნელი, კონკრეტული და ა.შ.

ქვეკლასისადმი მიკუთვნენა შეიძლება სიმბოლოურად რაიმე ნიშნით ან შტრიხით გამოვხატოთ: თუ არსებით სახელს ეა ნიშანი, შტრიხი აქვს, ამ თვისებას ნინ ექნება ნიშანი +; თუ არ აქვს, ნინ ექნება ნიშანი -.

მაგალითად, არსებითი სახელი Pierre არის (თითოეული შტრიხი აღებული იქნება ფრჩხილებს შორის):

[-საზოგადო], [+სულიერი], [+ადამიანის აღმნიშვნელი].

[+კონკრეტული], [+თვლადი]...

ხოლო არსებითი სახელი laideur არის:

[+საზოგადო], [-სულიერი], [-ადამიანის აღმნიშვნელი].

[-კონკრეტული], [-თვლადი]...

არსებითი სახელი: ცვლილება სქესის მიხედვით

1. ბუნებრივი სქესი და გრამატიკული სქესი

მაშინ როდესაც უსულლო არსებითი სახელის ქვეკლასში არსებითი სახელის სქესს (მამრობითი ან მდედრობითი) ენა კარნახობს ისე, რომ არჩევანის თავისუფლება არ არსებობს (le fauteuil; la chaise), სულიერი არსებითი სახელის ქვეკლასში სქესი მამრობითსა და მდედრობითს შორის გაკეთებული არჩევანის შედეგია და იმავდროულად, ორივე სქესია შესაძლებელი (le concierge; la concierge; le chat; la chatte). ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, რომ ეს უკანასკნელი იცვლება სქესის მიხედვით. ამგვარად, აულიერი არსებით სახელის ქვეკლასში (აღამიანები + ცხოველები) ბევრ არსებით სახელს მამრობითიც აქვს და მდედრობითიც:

UN ÉLÈVE est absent. UNE ÉLÈVE est absente.

CE CHIEN est blanc. CETTE CHIENNE est blanche.

ამ შემთხვევაში, გრამატიკულ სქესში განსხვავება შეესაბამება ბიოლოგიურ სქესში განსხვავებას: მამრობითი მამრს, მდედრობითი მდედრს.

ბიოლოგიური სქესის მიხედვით ცვალებადი არსებითი სახელების მამრობითს და მდედრობითს ბუნებრივი სქესი ენოდება, განსხვავებით სხვა არსებითი სახელების ფიქსირებული ან თავისუფალი სქესისგან, რასაც გრამატიკულ სქესს უწოდებენ.

2. ადამიანის სახელი

ადამიანის სახელების ქვეკლასში არსებითი სახელების უმრავლესობას ორივე სქესი შეიძლება ჰქონდეს იმის მიხედვით, მაშაქაც აღნიშნავს თუ ქალს:

LE VENDEUR est poli. LA VENDEUSE est polie.

თუმცა, ზოგიერთ არსებით სახელს მხოლოდ მამრობითი სქესის

ფორმა აქვს: არსებითმა სახელებმა un censeur, un magistrat, un conjoint შეიძლება როგორც ქალი, ასევე მამაკაცი აღნიშნოს, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დავაზუსტოთ: une femme censeur, une femme magistrat და ა.შ.

შესაძლებელია ისიც, რომ მხოლოდ მდედრობითი სქესის ფორმის მქონე არსებითმა სახელმა მამაკაცი აღნიშნოს (une sentinelle, une vigie) და მხოლოდ მამრობითი სქესის ფორმის მქონე არსებობა სახელმა – ქალი (un mannequin, un bas-bleu).

3. ცხოველის სახელი

ცხოველის სახელების საკმაოდ დიდ რაოდენობას შეიძლება მხოლოდ ერთი სქესი შექონდეს უსულო საგნის აღმნიშვნელი არსებითი სახელის მსგავსად; მაგრამ ყველაზე ცაობილ შინაურ და გარეულ ცხოველებს ორივე სქესი აქვს:

coq / poule; chien / chienne; lion / lionne.

მხოლოდ ერთი სქესის შემთხვევაში ბუნებრივ სქესში განსხვავება გამოიხატება სიტყვების მამრი, მდედრი დამატებით:

un rhinocéros mâle / un rhinocéros femelle;
une girafe mâle / une girafe femelle.

4. სულიერ და უსულო არსებით საბელებს შორის სქესით გამოხატული დაპირისპირება

ზოგიერთი არსებითი სახელისათვის მამრობით და მდედრობით სქესს შორის დაპირისპირება სულიერ და უსულო ქვეკლასებს შორის დაპირისპირებას შეესაბამება. ასე მაგალითად, სულიერი არსებითი სახელის ქვეკლასში ხშირია ერთდროულად მამრობითი და მდედრობითი სქესის არსებობა, ხოლო უსულოთ არსებითი სახელის ქვეკლასში მხოლოდ ერთი სქესის არსებობაა დასაშვები:

{ un moissonneur; une moissonneuse (მომკელი);
 une moissonneuse (კომბაინი).

5. საზოგადო მამრობითი სქესი

ხშირად მამრობითი სქესი მოცემული სახეობის ნებისმიერი წარმომადგენლის აღსანიშნავად გამოიყენება, ბიოლოგიური სქესის გათვალისწინების გარეშე. ეს ზოგადი მამრობითია:

L'homme est un être doué de raison (homme ადამიანი ზოგადად – ქალიც და კაციც).

Le chien est fidèle (chien ძალი ზოგადად – მდედრიც და მამრიც).

6. მდედრობითი სქესის წარმოება

როდესაც მდედრობითი სქესის წარმოებაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში მხოლოდ სულიერი არსებითი სახელის ქვეკლასის არსებითი სახელები ვვაქვს, სადაც სიტყვის ფორმის ცვლილება ბიოლოგიურ სქესში არსებული განსვავების გამოხატვის საშუალებას იძლევა.

1. სამწერლო ენა

• მდედრობითი სქესი იწარმოება მამრობითის ფორმაზე **e-ს** დამატებით, იმ სიტყვების გამოკლებით, რომლებიც ისედაც **e-ზე** ბოლოვდება:

un avocat / une avocate; un architecte / une architecte.

– **e-ს** დამატებას ხშირად თან სდევს მამრობითი სქესის ფორმის შეცვლა; ასე მაგალითად, **-er-ზე** დაბოლოებულ მამრობითი სქესის არსებით სახელს მდედრობითში ექნება დაბოლოება **ère**:

un fermier / une fermière.

– **-et, -el, -on, -ien-ზე** დაბოლოებული არსებითი სახელები ორკეცებენ ბოლო თანხმოვანს ისევე, როგორც **paysan, Jean** და **chat**:

Gabriel / Gabrielle; baron / baronne;

gardien / gardienne; Jean / Jeanne.

– **-eau-ზე** დაბოლოებულ არსებით სახელს მდედრობითი სქესში ექნება **-elle**: **jumeau / jumelle**.

– **-eur-ზე** დაბოლოებულ არსებით სახელს მდედრობითი სქესში ექნება **-euse**, ხოლო **-teur** სუფიქსზე დაბოლოებულ სახელებს ხშირ შემთხვევაში მდედრობითში აქვთ **-trice**:

un vendeur / une vendeuse; un instituteur / une institutrice.

- f-ზე დაბოლოებულ რამდენიმე არსებით სახელს მდედრობითი აქვს -ve:

un vauf / une veuve.

- ზოგიერთი არსებითი სახელის მდედრობითი სქესი -CSSC-ის დამატებით იწარმოება:

un prince / une princesse.

• მდედრობითი სქესი იწარმოება აგრეთვე მამრობითისგან სრულიად განსხვავებული ფორმის გამოყენებით:

un homme / une femme; un singe / une guenon;

un canard / une cane.

2. სასაუბრო ენა

მამრობით და მდედრობით სქესსა შორის არსებული განსხვავებები ზოგჯერ იმაზე მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს სამწერლო ენაშია გამოხატული; განსხვავება არსებობს მამრობითის და მდედრობითის წარმოთქმაში, რასაც ფონეტიკური ტრანსკრიფცია გვიჩვენებს.

• ამგვარად, მდედრობითი უპირისპირდება მამრობითს:

- ან ხმოვნის მიმატებით, რომელიც ხან იწვევს, ხან არა მამრობითის ბოლო თანხმოვნის ცვლილებას:

avocat / avocate

lion / lionne

[avoka] [avokat]

[ljɔ̃] [ljɔ̃n]

- ან მამრობითის დაბოლოებაზე რამდენიმე ბგერის დამატებით ან შეცვლით:

prince / princesse

instituteur / institutrice

[prɛ̃s] [prɛ̃ses]

[ɛ̃stitytøʁ] [ɛ̃stitytris]

- ან განსხვავებული სიტყვის გამოყენებით:

homme / femme

singe / guenon

canard / cane.

[om] [fam]

[sɛ̃ʒ] [gə̃nɔ̃]

[kanar] [kan]

• არსებით სახელებში, რომელთაც ორივე სქესში საერთო ფორმა აქვს (concierge, élève, enfant), მდედრობითის ნიშანი მხოლოდ მსაზღვრეღისა და ზედსართავის შეთანხმებაში ჩნდება:

L'élève est attentif. Le concierge est poli.

L'élève est attentive. La concierge est polie.

არსებითი სახელი: ცვლილება რიცხვის მიხედვით

1. მხოლობითი და მრავლობითი რიცხვები

ჩვენ ვნახეთ, რომ იმ არსებითი სახელების შეზღუდული რაოდენობა, რომელიც სულიერი არსებითი სახელის ევკლასს წიკუთვნება, შეიძლება სქესის მიხედვით შეიცვალოს. არსებობს სახე ცვლილება, რომელიც არსებითი სახელის სახე ევკლასს, თვლადი არსებითი სახელის ევკლასს ეხება. ეს არის ცვლილება რიცხვის მიხედვით.

შევადართ: წინადადებების შემდეგი წყვილები:

Je lis LE JOURNAL. Je lis LES JOURNAUX.

Il interrompt SON TRAVAIL. Il interrompt SES TRAVAUX.

J'ai UN SAC. J'ai DEUX SACS.

განსხვავება არსებითი სახელის ფგუფებს შორის le journal და les journaux, son travail და ses travaux, un sac და deux sacs იმაში მდგომარეობს, რომ პირველი არსებითი სახელი ერთ უსულო საგანს ან ერთ სულიერ საგანს აღნიშნავს, მეორე კი – რამდენიმეს.

ფორმას, რომელსაც ერთი უსულო საგნის ან ერთი სულიერი საგნის აღნიშვნელი არსებითი სახელის ფგუფი იღებს, მხოლობითი ეწოდება; ფორმას, რომელსაც ის რამდენიმე უსულო საგნის ან რამდენიმე სულიერი საგნის აღსანიშნავად იღებს, მრავლობითი: le journal მხოლობითია, les journaux მრავლობითია. ფრანგულ ენაში ორი რიცხვი არსებობს: მხოლობითი და მრავლობითი.

2. ერთი რიცხვის მქონე არსებითი სახელი

ზოგიერთი არსებითი სახელი რიცხვში არ იცვლება.

• არსებობს არსებითი სახელები, რომელთაც შესატყვისი მრავლობითი არ გააჩნია; მაგალითად, არსებითი სახელის როლში გამოყენებული ზედსართავი:

Il plaide LE FAUX pour savoir LE VRAI.

ამ წინადადებაში შეუძლებელია le faux, le vrai მრავლობითი რიცხვში ზავსვათ. ეს არსებითი სახელები მხოლობითი არსებითი სახელების ევკლასს განეკუთვნება.

- არსებობს მრავლობითები, რომელთაც შესატყვისი მხოლობითი რიცხვი არ გააჩნია:

des affres, des alentours, des appas, des archives, des arrhes, des armoiries, des bestiaux, des brisées, des calendes, des décombrés, des entrailles, des environs, des fastes, des fiançailles, des funérailles, des frusques, des matériaux, des moeurs, des obsèques, des pierreries, des ténèbres, და ა.შ.

ამ არსებითი სახელებიდან ზოგიერთი უსულო საგნების ან სულიერი საგნების ერთობლიობას აღნიშნავს: des frusques, des décombrés, des bestiaux. მაგრამ სხვები მრავლობითობის იდეა არ შეიცავს; ამა თუ იმ შესატყვისი სინონიმის მსგავსად: les ténèbres (ან l'obscurité), des arrhes (ან un acompte).

ეს სიტყვები ფიქსირებული რიცხვის მქონე არსებითი სახელის ქვეკლასს შეადგენს: მრავლობითი არსებითი სახელის ქვეკლასს.

- არსებობს მრავლობითები, რომელთა შესატყვისი მხოლობითის განსხვავებული მნიშვნელობა აქვს:

des ciseaux (მკერაუის მაკრატელი) / un ciseau (დურგლის იარაღი),
 les assises (პარტიის შეგრობი და ა.შ.) / l'assise (ქეგლის სადგამი).
 les toilettes (საპირფარეშო) / la toilette (სხეულის მოვლა).
 montrer ses papiers (საბუთები) / ramasser un papier (ქაღალდი).

სინამდვილეში საჭიროა მხოლობითი რიცხვის არსებითი სახელი და მისი შესატყვისი მრავლობითი რიცხვის არსებითი სახელი განვიხილოთ როგორც ორი განსხვავებული სიტყვა. ასეთ შემთხვევაში მრავლობითები მრავლობითი რიცხვის არსებითი სახელის ქვეკლასს მიეკუთვნება (მკერაუის des ciseaux არის ორგანმტოვებიანი ინსტრუმენტი; თუ ისინი რამდენიმეა, ვიტყვი: deux, trois, etc. paires de ciseaux), და მხოლობითები მიეკუთვნება რიცხვში ცვლადი არსებითი სახელის ქვეკლასს (un ciseau / des ciseaux [დურგლის იარაღი]).

- უთვლად არსებით სახელს (რომელიც აღნიშნავს საგანს, რომლის დათვლა შეუძლებელია) მხოლოდ მხოლობითის ფორმა აქვს. როდესაც იგი მრავლობით რიცხვშია, მას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს; მრავლობითი რიცხვში იგი თვლად საგანს აღნიშნავს:

La gentillesse (= თვისება).

Les gentillesses (=ამ თვისებია გაძომატველი ქმედებები).

მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი სიტყვეი ორი განსხვავებული სიტყვაა: ერთი (la gentillesse როგორც თვისება) უთვლადი არსებითი სახელია და მას მხოლოდ მხოლობითის ფორმა აქვს; მეორე (la gentillesse როგორც ქმედება) თვლადი არსებითი სახელია და მას აქვს როგორც მხოლობითი რიცხვის, ასევე მრავლობითის ფორმა (faire une gentillesse, des gentilleses à quelqu'un).

3. საზოგადო მხოლობითი

როდესაც ვამბობთ:

LA POIRE est chère cet hiver,

LE FRANÇAIS prend ses vacances en août.

მათი მნიშვნელობა ძალიან უახლოედება შემდეგ წინადადებებს:

LES POIRES sont chères cet hiver,

LES FRANÇAIS prennent leurs vacances en août.

აქ la poire, le Français აღნიშნავს არა მხოლოდ ერთ ცალკე აღებულ მსხალს ან ერთ ცალკე აღებულ ფრანგს, არამედ ხილის, ადამიანების ერთობლიობას. მხოლობითი გამოყენებულია მრავლობითის ნაცვლად და მას „საზოგადო მხოლობითი“ ეწოდება.

4. მრავლობითი რიცხვის წარმოება

- არსებითი სახელის ჯგუფში ხშირად მრავლობითი რიცხვი მხოლობითისგან განსხვავდება, მაგრამ ისეც ხდება, რომ მხოლოდ მსაზღვრელი იცვლის ფორმას, ხოლო არსებითი სახელი უცვლელი რჩება.
- სამწერლო ენაში არსებითი სახელების უმრავლესობა მრავლობითი რიცხვს მხოლობითის ფორმაზე s-ის დამატებით აწარმოებს:

une table / des tables; un enfant / des enfants.

მაგრამ ვინაიდან მრავლობითის აღმნიშვნელი s არ წარმოითქმის, სასაუბრო ენაში საზოგადოდ განსხვავება მხოლობითი რიცხვის არსებითი სახელსა და მრავლობითი რიცხვის არსებითი სახელს შორის არ არის. ასე მაგალითად:

le mur [lɛ myr] / les murs [lɛ myr].

როდესაც მხოლოდით რიცხვში სახელი s-ზე, x-ზე ან z-ზე მთავრდება, სახელი მრავლობითში იმავე ფორმას ინარჩუნებს:

un tas / des tas; une croix / des croix; un gaz / des gaz.

• სამწერლო ენაში, რამდენიმე არსებითი სახელი s-ის ნაცვლად x-ს იღებს. ესენია:

– tux, -eux, ex-ზე დაბოლოებული არსებითი სახელები:

des tuyaux, des manteaux, des cheveux;

– ou-ზე დაბოლოებული შვიდი არსებითი სახელი:

des bijoux, des cailloux, des choux, des genoux, des hiboux, des joujoux, des poux (მაგრამ: des clous, des trous და ა.შ.)

მრავლობითის აღმნიშვნელი ეს x ასევე არ წარმოიქმნის:

un hibou [ɑ̃ ibu] / des hiboux [de ibu]

• სამწერლო და სასაუბრო ენაში:

– მხოლოდით რიცხვში al [al]-ზე დაბოლოებული არსებითი სახელი მრავლობით რიცხვში იღებს დაბოლოებას aux [o]:

un journal [ɑ̃ zurnal] / des journaux [de zurno]

al-ზე დაბოლოებული რამდენიმე არსებითი სახელი გამოწაკლის სახით მრავლობით რიცხვში იღებს დაბოლოებას s. მაგალითად:

des bals, des carnivals, des cérémonials,

des chacals, des chorals, des festivals.

des gavials, des récitals, des régals.

– al-ზე დაბოლოებულ არსებით სახელებს შორის რამდენიმე მრავლობით რიცხვს აწარმოებს aux-ით. მაგალითად:

des baux, des coraux, des âmaux, des soupiraux, des travaux, des vantaux, des vitraux.

ხოლო დანარჩენები იმატებენ s-ს: -ails.

des détails, des éventails და ა.შ.

• მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვი განსაკავებულია სიტყვეთსათვის: ciel, ciel, soleil. სამავიეროდ œuf და boeuf ძირითად წესს

ემორჩილება (შ-ის დანატება), მაგრამ ყველა შემთხვევაში მრავლობითის ბოლო ბგერა არის [ø] (ღე დახურული) და განსხვავდება მხოლოდობითი რიცხვის ბოლო ბგერისგან [œ] (ღე ღია).

œil / yeux, œuf / œufs.
[œj] [jø] [œf] [ø]
ciel / ciels, bœuf / bœufs
[ʒjɛl] [ʒjø] [bœf] [bø]
aïel / aïeux.
[ajœl] [ajø]

თუმცა ამბობენ: *des ciels de lit, les ciels d'un peintre, des œils-de-bœuf, des aïeuls* (ბებია-პაპის მნიშვნელობით).

* უცხო ენიდან ნახესხები რამდენიმე სიტყვა მრავლობითში არ იცვლება:

des amen, des interim, des veto.

ზოგიერთი ეს სიტყვა თავისი ენის მრავლობით რიცხვს ინარჩუნებს:

un soprano / des soprani
un maximum / des maxima
un barmen / des barmen
un lied / des lieder

მაგრამ არის ნცდევლობა, ისინი ფრანგული ენის წესებს დაემორჩილონ (*des lieder* ან *des lieds*).

* პიროვნების აღმნიშვნელი საკუთარი არსებითი სახელი მრავლობითის ნიშანს იმ შემთხვევაში იმატებს, როდესაც იგი სამეფო ოჯახს (*les Bourbons*), სახელოვან ადამიანს (*les Condés*), მოდელს ან ტიპს (*les Hugos*), ანდა მხატვრულ ნამუშევარს (*des Renoirs*) აღნიშნავს, მაგრამ ეს სიტყვები უცვლელი რჩება მაშინ, როდესაც ოჯახის წევრებს აღნიშნავს (*les Martin*) ან ემფატიკური მნიშვნელობით იხმარება (*les Molière*).

* რთული არსებითი სახელი განსაკუთრებულ წესებს ემორჩილება:

რთული არსებითი სახელი, რომელიც შედგება ზედსართავისა და არსებითი სახელისგან, ან ორი არსებითი სახელისგან, რომელთაგან მეორე პირველის დანართია, ორივე სიტყვა მრავლობითი რიცხვის ნიშანს იმატებს.

un coffre-fort /
des coffres-forts;
un chou-fleur / des
choux-fleurs

რთული არსებითი სახელი, რომელიც შედგება ორი ზმნისგან, ნინადადებისგან, წინდებულებისგან ან ზმნიზედებისგან, მრავლობითი რიცხვში უცვლელი რჩება.

un laissez-passer / des
laissez-passer;
un va-et-vient / des va-et-
vient

რთული არსებითი სახელი, რომელსაც მოჰყვება დამატება de წინდებულით ან ნია გარეშე, მრავლობითი რიცხვის ნიშანს მხოლოდ პირველ სიტყვაზე ირთავს.

un chef-d'œuvre / des
chefs-d'œuvre;
un timbre-poste / des
timbres-poste

რთული არსებითი სახელი, რომელიც წინდებულისა და არსებითი სახელისგან შედგება, ხან იცვლება, ხან არა მრავლობითი რიცხვში. (იხ. Dictionnaire du Français contemporain)

un après-midi / des
après-midi;
un avant-poste / des
avant-postes

რთული არსებითი სახელი, რომელიც ზმნით დაბისი დამატებით არის წარმოდგენილი, ხშირ შემთხვევაში უცვლელი რჩება, მაგრამ არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, ამიტომ საჭიროა ლექსიკონში გადამოწმება.

un abat-jour / des abat-
jour
un tire-bouchon / des
tire-bouchons

5. სქესისა და რიცხვის შედარებითი ცხრილი

კლასი	სქესი:	რიცხვი		
უცვლელი	მამრ. le fauteuil	მხოლ. le vrai la gentillesse (თვისება)		
	მდედ. la chaise	მრავლ. les moeurs les ciseaux (მკერავის)		
ცვალებადი	მამრ./მდედ. le chat / la chatte	მხოლ./მრავლ. le chat / les chats le ciseau (დურგლის) / les ciseaux (დურგლის) une gentillesse (ქმედება) / des gentillesses (ქმედებები)		
	ინდიკ. მამრ./ მდედ. le chat / la chatte	ზოგადი მამრ. le chat [est un félin] les chats [sont des félins]	ინდიკ. მხოლ./მრავლ.	ზოგადი მხოლ. le chat [est un félin]

მსაზღვრელი

1. არსებითი სახელის ჯგუფის შემადგენელი მსაზღვრელი

მსაზღვრელი არსებითი სახელის ჯგუფია ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი. მისი ამ ჯგუფში ყოფნა ნორმალურია, განსაკუთრებით, როდესაც არსებითი სახელის ჯგუფს ქვემდებარის ფუნქცია აქვს. მაგ.: **livre est sur table* – ფრანგული წინადადება არ არის. საჭიროა არაერთი სახელს წინ უძღოდეს მსაზღვრელი. მაგ.:

LE livre est sur LA table. UN livre est sur LA table.

სიტყვები, როგორცაა *le, un, ce, mon, la, une* და ა.შ. მსაზღვრელის კლასს ეკუთვნის და იმ ხერხზე მიუთითებს, რომლითაც წარმოდგენილია არსებითი სახელის მიერ გამოხატული სულიერი ან უსულო საგნები. ეს სულიერი თუ უსულო საგნები წარმოდგენილია, როგორც კარგად ნაცნობი, დაკონკრეტებული (*le, ce*) ან განუსაზღვრელი (*un*); როგორც ვინმეს ან რაინის საკუთრება (*mon, ton, son*); როგორც კითხვის საგანი (*quel?*) და ა.შ.

რადგან მსაზღვრელი ზოგადად, სქესსა და რიცხვში იცვლება, იგი ხშირად საშუალებას იძლევა, ერთმანეთისგან განვასხვავოთ (განსაკუთრებით კი სასაუბრო ენაში) მამრობითი (*le concierge*) და მდედრობითი (*la concierge*) სქესი, მხოლობითი (*le discours*) და მრავლობითი (*les discours*) რიცხვი იმ შემთხვევაში, როდესაც არსებითი სახელი სქესსა და რიცხვში არ იცვლება.

2. მსაზღვრელის კლასები

1. ექვსი კლასი

სინტაქსური ფუნქციონირებისა და ყველა იმ სიტყვის მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომლებიც არსებით სახელს წინ უძღვის და შეუძლია ერთმანეთს წაენაცვლოს, მსაზღვრელი სიტყვები შეიძლება ექვს კლასად დაფყოთ. (ამ თავში, მაგალითისათვის, მხოლოდ მამრობითი სქესის მხოლობით რიცხვს მოვიტანთ):

არტიკლი: **le, un, du** და ა.შ.

ჩვენებითი მსახლვრელი: **ce, cet** და ა.შ.

კუთვნილებითი მსახლვრელი: **mon, ton, son, notre, votre, leur** და ა.შ.

კითხვითი, ძახილის და მიმართებითი მსახლვრელები: **quel, quel?** და ა.შ.; **lequel, laquelle** და ა.შ.

რიცხვითი მსახლვრელი: **deux, cent** და ა.შ.

განუსაზღვრელი მსახლვრელი: **tout, quelques, chaque, autre, plusieurs** და ა.შ.

2. როგორ განვასხვავოთ კლასები მათი სინტაქსური ფუნქციონირების მიხედვით?

მსახლვრელები შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ იმის მიხედვით, შეუძლია თუ არა მათ ერთმანეთთან კომბინირება:

- არ შეიძლება ერთად გ. შოვიცენით არტიკლი და ჩვენებითი მსახლვრელი (***le ce livre** არასწორია), არტიკლი და კუთვნილებითი მსახლვრელი (***le mon livre** არასწორია), ჩვენებითი მსახლვრელი და კუთვნილებითი მსახლვრელი (***ce mon livre** არასწორია), და ა.შ. არტიკლი, ჩვენებითი მსახლვრელი და კუთვნილებითი მსახლვრელი შეიძლება ერთმანეთს ჩაენაცვლოს არსებითი სახელის წინ, ნაგრამ მათ ერთმანეთთან კომბინირება არ შეუძლია.

- პირიქით, რიცხვითი სახელი (**deux, cent**) და განუსაზღვრელი მსახლვრელი (**autre, tous** და ა.შ.) უმეტესწილად შესაძლებელია არტიკლთან, ჩვენებითსა და კუთვნილებით მსახლვრელებთან ერთად იდგეს: **tous les livres, ces quelques livres, mes deux autres livres**. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში ეს მსახლვრელები და კითხვითი მსახლვრელი (**quel?**) შეიძლება ერთმანეთს დაუკავშირდეს: **plusieurs autres livres, quel autre livre?**

მაშასადინე, ამ ორი ჯგუფის მსახლვრელებს სხვადასხვა სინტაქსური ფუნქციონირება ახასიათებს.

3. მსახლვრელის გამოტოვების შემთხვევები

მსახლვრელი არ გამოიყენება:

• პიროვნების აღმნიშვნელ საკუთარ არსებით სახელთან, ქალაქის და ზოგიერთ სხვა გეოგრაფიულ სახელთან:

PIERRE se promène à PARIS.

მსაზღვრელის გამოუყენებლობას იმ ფაქტით ხსნიან, რომ საკუთარი არსებითი სახელი თვითონვე განსაზღვრული უფრო ზუსტად კი მისი განსაზღვრა საჭირო არ არის. მართლაც, როდესაც საკუთარ არსებით სახელს წინ უძღვის მსაზღვრელი სიტყვა, ეს არის განსაზღვრული არტიკლი.

LA TOURAINE est une des plus belles régions du centre de LA France.

• ზმნურ ან არსებითი სახელის გამოთქმებთან, ესე იგი არსებითი სახელებია ან ზმნებისგან შემდგარ გარკვეულ ჯგუფებთან, რომელთა შემადგენელი ნაწილები აზრისა და ფორმის მიხედვით მჭიდროდაა ერთმანეთზე დამოკიდებული:

faire grâce, prendre soin, aller nu-pieds და სხვ.

• როდესაც არსებით სახელს ახლავს დანართი:

Paris, CAPTALE de la France.

• ზედსართავის როლში მდგარ არსებით სახელ ატრიბუტთან:

Pierre est INGENIEUR (= Pierre est un ingénieur)

• დამატება არსებითი სახელის ჯგუფთან, რომელსაც წინ უსწრებს წინდებული; ამ შემთხვევაში მსაზღვრელი გამოხატული რომ ყოფილიყო, ის განუსაზღვრელი არტიკლი (un) იქნებოდა.

Une table de MARBRE vert, voyager par AVION, un collier en ARGENT, marcher avec PEINE, être sans INQUIETUDE.

შენიშვნა: მსაზღვრელი, განაკუთრებით კი არტიკლი, ანდაზებასა და წამონათვალეებში გამოხატული არ არის.

PIERRE qui roule n'amasse pas MOUSSE.

Il ramasse tout: FERRAILLE, CHIFFONS, VIEUX VETEMENTS.

არტიკლი

1. არტიკლი: ფორმები, სინტაქსი და მნიშვნელობა

1. არტიკლი არის არსებითი სახელის ფგუფის ყველაზე მარტივი მსაზღვრელი. იგი წინ უძღვის არსებით სახელს:

- როდესაც არსებით სახელს ზუსტად არ განსაზღვრავენ (წვენიები-ში მსაზღვრელისგან განსხვავებით)
- როდესაც არ მიუთითებენ კუთვნილებას, ვინმესთან ან რამესთან მის კავშირს (კუთვნილებითი მსაზღვრელისგან განსხვავებით);
- როდესაც არსებით სახელზე არ არის დასმული კითხვა (კითხვითი მსაზღვრელისგან განსხვავებით);
- როდესაც არ არის დაზუსტებული არსებითი სახელის რაოდენობა მრავლობით რიცხვში (რიცხვითი სახელისგან განსხვავებით) და ა.შ.

2. ფორმისა და გამოყენების მიხედვით, ანსხვავებენ განსაზღვრულ, განუსაზღვრულ და ნაწილობით არტიკლებს:

* დაეუშვათ, რომ სადღაც ვიღაც არის. თუ მის შესახებ რამე განსაკუთრებულ ინფორმაციას არ ფლობენ, იტყვიან:

UN homme est là. UNE femme est là.

და თუ რამდენიმე პიროვნებაა, მაშინ ამბობენ:

DES hommes sont là. DES femmes sont là.

მსაზღვრელ un-ს (მდედრობითში une, მრავლობითში des ორივე სქესში) „განუსაზღვრელი არტიკლი“ ეწოდება და იმ უსულო ან სულისკარი საგნის აღმნიშვნელი სახელის წინ გამოიყენება, რომელშიც არ არის წარმოდგენილი როგორც ნაცნობი:

UN client a téléphoné pour toi.

წენიშვნა: იმ არსებითი სახელის წინ, რომელსაც შეუძსართავი უსწრებს, ხშირად განუსაზღვრელი არტიკლის des ნაცვლად გამოიყენებენ de წინდებულს.

Nous avons fait de belles excursions ან des belles excursions.

* თუ ნაცნობია პიროვნება, რომელსაც საქმე ეხება, ან რომელსაც ელოდებიან, იტყვიან:

LE livreur est venu. J'ai pris rendez-vous avec LA coiffeuse:

ხოლოთუ საქმე რამდენიმე ნაცნობ პიროვნებას ეხება:

Les hommes sont là. Les femmes sont là.

მსაზღვრულ le-ს (მდედრობით სქესში le, მრავლობით რიცხვში ორივე სქესში les) „განსაზღვრული არტიკლი“ ეწოდება. იგი იმ არსებითი სახელის წინ დაისმის, რომლითაც აღნიშნული ხულიერი ან უსული საგანი წარმოადგენილია რიგორც ნაცნობი:

– ან საერთო გამოცდილების წყალობით:

LE soleil.

– ან იმიტომ, რომ ეს არსებითი სახელი წინადადებაში ადრე ნახსენები იყო:

Un homme est venu... L'homme était grand.

– ან იმიტომ რომ დაზუსტებულია მიმართებითი ნაცვალსახელით, ზედსართავით, დამატებით და სხვ.:

L'homme qui est venu était grand. Nettoie LE linge sale.

• à და de წინდებულების წერწყმა le და les განსაზღვრულ არტიკლებთან გვაძლევს au, aux, du, des ანუ „განსაზღვრულ შერწყმულ არტიკლებს“:

Il s'adresse AU fils DU voisin, AUX enfants DES voisins.

Elle n'est pas encore revenue DU marché.

ხმოვნის ან მუნჯი h-ის წინ le, la იკვეცება და ვიღებთ l', ანუ „განსაზღვრულ ელიდირებულ არტიკლს“:

L'été, L'habitude.

• შემდეგი წინადადებები ერთმანეთისგან მნიშვნელობით განსხვავდება:

Il mange DU fromage / Il mange LE fromage.

Prends DU pain/ Prends LE pain.

პირველ წინადადებაში ყოველი წყვილი აღნიშნავს „მასალის“ ნაწილს (du fromage, du pain), მეორეში კი ყველის ან პური ა ზუსტ, განსაზღვრულ რაოდენობას. მნიშვნელობის ცვლილება du ან le-ს გამოყენებას შეესაბამება.

არტიკლი du (მდედრობითი de la, მრავლობითი des), რომელიც განსაზღვრული არტიკლისა და ნიშნებული de-ს შერწყმით წარმოიქმნება (une partie du fromage – ყველის ნაწილი), მიწნეულია, როგორც განსხვავებული არტიკლი, იგივე „ნაწილობითი არტიკლი“:

Mange DU pâté. Mange DE LA confiture. Mange DES rillettes. Prends encore DES épinards.

2. არტიკლი და რაოდენობის გამოხატვა

- განუსაზღვრელი არტიკლი un არის რიცხვითი სახელის un განსაკუთრებული გამოყენება, ის ერთდროულად ერთეულსაც გამოხატავს და განუსაზღვრელობასაც.

- მხოლოდით რიცხვში un, une არტიკლები le, la არტიკლებს უპირისპირდება შემდეგი თვალსაზრისით: არსებითი სახელი განუსაზღვრელი არტიკლით აღნიშნავს, რომ არსებობს იმავე კატეგორიის სხვა სულიერი თუ უსულო საგნები, ხოლო არსებითი სახელი განსაზღვრული არტიკლით აღნიშნავს ერთადერთ სულიერ ან უსულო საგანს.

UN élève est absent (საერთო რაოდენობიდან ერთი).

L'élève est absent (მხოლოდ ის, რომელზედაც ლაპარაკია).

- მრავლობით რიცხვში დაუზუსტებლობა, რომელიც მიეკუთვნება განუსაზღვრელ არტიკლს des ერთსა და იმავე დროს პიროვნებასაც ეხება და რაოდენობასაც; როდესაც ამბობენ des élèves, აქ არ მიუთითებენ რომელი ან რამდენი მოსწავლე იგულისხმება.

განუსაზღვრელი არტიკლი des მიუთითებს, რომ საქმე ეხება სულიერი და უსულო საგნების ერთი კატეგორიის ნაწილს და არა ერთობლიობას. ის აქ განსაზღვრულ არტიკლს les უპირისპირდება, რომელიც ერთობლიობას გამოხატავს:

Des élèves sont absent (კლასი არ არის შევსებული მოსწავლეებით).

Les élèves sont absents (კლასში არც ერთი მოსწავლე არ არის).

- მამასადაამე, მრავლობითი რიცხვის განუსაზღვრელ არტიკლს des და მხოლოდითი რიცხვის ნაწილობით არტიკლს du საერთო მნიშ-

ვნეღობა აქვს: ერთიც და მეორეც შთელის ან ერთობლიობის ნაწილს გამოხატავს. მათი გამოყენების განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ განუსაზღვრელი არტიკლი თვლად არსებით სახელს ერთვის, ხოლო ნაწილობითი არტიკლი უთვლად არსებით სახელს. თუმცა, ზოგიერთი თვლადი არსებითი სახელი შეიძლება უთვლადი გახდეს და პირიქით. (იხ. თავი 8.)

მრავლობითი არსებითი სახელის ქვეელასში განუსაზღვრელ არტიკლსა და ნაწილობით არტიკლს დაახლოებით ერთხაირი მნიშვნელობა აქვს და ზოგჯერ ძნელია მათი განასხვავება. შევადაროთ წინადადებები:

Il a repris DES rillettes

(des აქ არის ნაწილობითი არტიკლი, რადგან rillettes უთვლადი არსებითი სახელია და ცოველთვის მრავლობით რიცხვშია).

Il a repris DES champignons

(des აქ ნაწილობითი ან განუსაზღვრელი არტიკლია, champignon „ქაშა სოკოს კერძის“ მნიშვნელობით უთვლადია, ხოლო როგორც „საქმელად ვარგისი მცენარე“ – თვლადი).

ჩვენებითი მსაზღვრელი

1. ჩვენებითი მსაზღვრელი: სინტაქსი, მნიშვნელობა და ფორმები

1. სინტაქსი

ჩვენებითი მსაზღვრელებს: ce, cet, cette, ces არ შეიძლება წინ უძღოდეს ან მოჰყვებოდეს არტიკლი ან კუთვნილებითი მსაზღვრელი.

*Ce le garçon, *ce mon garçon ფრანგული წინადადებები არ არიან.

მათ შეიძლება მოჰყვებოდეს რიცხვითი სახელი ან ზოგიერთი ვანუსაზღვრელი მსაზღვრელი.

CES deux enfants. CES quelques mots. CET autre côté.

2. მნიშვნელობა

ჩვენებითი მსაზღვრელი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა სულიერ ან უსულს საგანს აღნიშნავს ან მიუთითებს: მას აგრეთვე დეიქტიურს უწოდებენ. იგი შეიძლება ახლდეს არსებით სახელს, რომელიც კომუნიკაციის მომენტში მყოფ სულიერ ან უსულს საგანს აღნიშნავს:

Regardez CE chien: Il va sauter la barrière.

Je vous prête CETTE photo, mais rendez-la-moi.

ჩვენებით მსაზღვრელს შეუძლია აგრეთვე მიუთითოს იმაზე, რაზეც ეს-ეს არის ისაუბრეს ან ახლა აპირებენ საუბარს:

J'ai acheté un appartement. CET appartement est petit.

Retenez bien CETTE adresse: 17, rue du Montparnasse.

3. ფორმები

• ჩვენებით მსაზღვრელებს ce და cet შორის არჩევანი (ორივე მამრობითი სქესისაა) იმ სიტყვის პირველ ასოზეა დამოკიდებული, რომელიც ჩვენებით მსაზღვრელს მოსდევს: cet ჩვენებით მსაზღვრელს იმ არსებით სახელის წინ იყენებენ, რომელიც ხმოვნით ან მუნჯი h-ით იწყება.

CE garçon. CE vieux château.

CET enfant. CET homme. CET ancien château.

* მხოლოდითრიცხვში სქესის ცვლილება ჩვენებითი მსაზღვრელება **ce, cet** (ნამრობითი სქესისთვის) და **cette** (მდედრობითი სქესისთვის) დაპირისპირებით გამოიხატება. ზეპირმეტყველებაში ჩვენებითი ზედსართავების **ce** და **cette** წარმოთქმისას განსხვავება არ ჩანს, რადგან ორივე ერთნაირად გამოითქმის [set]:

CE garçon / CETTE fille.

CET arbre [setarbr] / CETTE plante [setplɑ̃t]

* რიცხვის ცვლილება **ce, cet, cette** (მხოლოდითი რიცხვის ფორმები) და **ces** (მრავლობითი რიცხვის ფორმა) მსაზღვრელების დაპირისპირებით გამოიხატება. მრავლობით რიცხვში სქესის ცვლილება ჩვენებით მსაზღვრელში არ ჩანს (იგივეა დადგენილი არტიკლთანაც):

CE garçon, CET enfant, CETTE fille / CES garçons, CES filles.

2. ჩვენებითი მსაზღვრელის განსაკუთრებული გამოყენება და ფორმები

* ჩვენებითი მსაზღვრელის შემცველი არსებითი სახელის ჯგუფის დაზუსტება ზოგჯერ არსებითი სახელის შემდეგ დასმული **-ci** და **-là** ნაწილაკების დაშატებით ხდება. როგორც წესი, **-ci** იმ არსებით სახელთან გამოიყენება, რომელიც სივრცეში და დროში უფრო ახლოს არის, ხოლო **-là** იმ არსებით სახელთან, რომელიც უფრო შორსაა:

Il habite de CE côté-CI de la rue (= du côté où je suis)

Je vais aller voir de CE côté-LÀ. CES jours-CI, il pleut souvent.

En CE temps-LÀ, les voitures étaient rares.

თუმცა, ხშირად, ნაწილაკი **-là** გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ჩვენებითი მსაზღვრელის განმსაზღვრელ მნიშვნელობაზე ყურადღების გამაზვიანებაა საჭირო:

Ce travail-LÀ est très intéressant.

Cet homme-LÀ nous surprendra toujours.

* ჩვენებითი მსაზღვრელი ემფატიკური მნიშვნელობით გამოიყენება ზოგიერთ ძაბილის გამოხატვაში, რომელიც გაკვირვებას, აღშფოთებას და ა.შ. გამოხატავს:

CE mensonge! J'ai reçu un de CES savons!

კუთვნილებითი მსაზღვრელი

1. კუთვნილებითი მსაზღვრელი: სინტაქსი და მნიშვნელობა

თუკი შეგვიძლია ვთქვათ ასე: *Le fils de Pierre est arrivé*, საშავიეროდ ვერ ვიტყვი: **Le fils de lui est arrivé*. პირის ნაცვალსახელი არ გამოიყენება, როგორც არტიკლით განსაზღვრული არსებითი სახელის დამატება: წინადადება შემდეგნაირად უნდა გადაკეთდეს:

SON fils est arrivé.

მსაზღვრელი *son* (*mon, ton*) იმავე სინტაქსურ როლს თამაშობს, როგორსაც განსაზღვრული არტიკლი, მას „კუთვნილებითი“ ეწოდება, რადგან მისი ზოგიერთი გამოყენების დროს კუთვნილებას გამოხატავს (*sa, [ma, ta] voiture* არის ის ნანქანა, რომელიც მას [მე, შენ] ეკუთვნის).

კუთვნილებით მსაზღვრელს, როგორც არსებითი სახელის ყველა დამატებას, შეუძლია მეტად ნრავალფეროვანი მნიშვნელობის კავშირები გამოხატოს. უმთავრესად ის პირველ, მეორე ან მესამე პირთან კავშირზე მიუთითებს.

კუთვნილებითი მსაზღვრელი განსაზღვრული არტიკლითა და პირის ნაცვალსახელითა გამოხატული არსებითი სახელის დამატების მიერ შექმნილი ერთობლიობის ტოლფასია:

Le chapeau DE MOI → MON chapeau.

Le chapeau De TOI → TON chapeau.

2. კუთვნილებითი მსაზღვრელის ფორმები

კუთვნილებით მსაზღვრელს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მხოლოდითი რიცხვის სამივე პირის ნაცვალსახელს, აქვს (ისევე, როგორც განსაზღვრულ არტიკლს) იმ არსებითი სახელის სქესისა და რიცხვის ნიშნები აქვს, რომელსაც იგი განსაზღვრავს (მრავლობით რიცხვში სქესის ნიშანი არ ჩანს):

LE chapeau DE MOI → MON chapeau (მამრ. მხოლოდითი)

LA valise DE MOI → MA valise (მდედრ. მხოლოდითი)

LES { chapeaux DE MOI } → MES { chapeaux (მამრ. მრავ.)
 valises DE MOI } valises (მდედრ. მრავ.)

თქმულა მღწევი ჩ-ით ან სმოუნით დაწყებული მდედრობითი სქესის წევსართათვის და არსებითი სახელის წინ გამოიყენება: mon, ton, son: mon amie, son habitude, mon étrange mésaventure, ton heureuse initiative

* კუთვნილებააა მსაზღვრელი იმ პირის ნაცვალსახელის პირისა და რიცხვის ნიშნებს ატარებს, რომელსაც იგი მოიცავს:

MOI chapeau ნიშნავს le chapeau DE MOI (მს. რიცხვის პირველი პირი)

TA valise ნიშნავს la valise DE TOI (მს. რიცხვის მეორე პირი)

NOS amis ნიშნავს les amis DE NOUS (მრ. რიცხვის პირველი პირი)

LEUR chien ნიშნავს le chien D'EUX (მრ. რიცხვის მესამე პირი)

პირის ნაცვალსახელის სქესი კუთვნილებით მსაზღვრელში არ ჩანს:

SON chapeau ერთნაირად იხმარება ნამრობითაი სქესისთვისაც le chapeau de LUI და მდედრობითი სქესისთვისაც le chapeau d'ELLE.

LEUR chapeau ერთნაირად იხმარება მამრობითი სქესისთვისაც le chapeau d'EUX და მდედრობითი სქესისთვისაც le chapeau d'ELLES.

პირი	საზღვრელი არსებითი სახელი		
	მხოლოდითი		მრავლობითი
	მამრობითი	მდედრობითი	მამრ. ან მდედ.
1-ლი	mon chapeau	ma valise	mes chapeaux valises
მე-2	ton chapeau	ta valise	tes chapeaux valises
მე-3	son chapeau	sa valise	ses chapeaux valises
1-ლი	notre chapeau	notre valise	nos chapeaux valises
მე-2	votre chapeau	votre valise	vos chapeaux valises
მე-3	leur chapeau	leur valise	leurs chapeaux valises

3. გამონაკლისები და განსაკუთრებული გამოყენება

* სხეულის ნაწილის აღმნიშვნელ არსებით სახელთან, როდესაც ეს არსებითი სახელი ქვემდებარის ფუნქციას არ ასრულებს, ჩვეულებრივ, განსაზღვრული არტიკლი გამოიყენება და არა კუთვნილების გამომხატველი მსაზღვრელი:

Il a mal AU pied. Il lève LA tête

აუცილებლობის შემთხვევაში, პირის აღნიშვნა პირის ნაცვალსახელით ხდება:

On LUI bande LES yeux. Il SE lave LES mains

* მხოლობითი რიცხვის გამომხატველი სიტყვა **chacun** როდესაც მრავლობითი რიცხვის არსებით სახელთან ან ნაცვალსახელთან დგას, ხელს არ უშლის „მხოლობითის“ პარალელურად კუთვნილებითი ფორმების „მრავლობითში“ გამოყენებას: **notre (nos), votre (vos), leur (leurs)**:

Ces voitures ont CHACUNE LEUR défaut (თითოეულს ერთი ნაკლი აქვს).

Ces voitures ont CHACUNE LEURS défauts (თითოეულს რამდენიმე ნაკლი აქვს).

On nous a indiqué à CHACUN NOTRE place.

Ils sont partis CHACUN de SON côté, ან CHACUN de LEUR côté.

* არჩევანი კუთვნილებით მსაზღვრელებს **leur** და **leurs** შორის ხანდახან თავისუფალია, იმის მიხედვით, თუ რაზე ხდება აქცენტირება: ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე თუ შემთხვევების ერთობლიობაზე.

Les invités ont garé LEUR voitures dans la cour (თითოეულმა ერთი მანქანა დააყენა).

Les invités ont garé leurs voitures dans la cour (ეზოში ბევრი მანქანა).

4. კუთვნილებითი ზედსართავი სახელები: **mien, tien, sien, nôtre, vôtre, leur**

არსებობს ზედსართავი სახელების სერია, რომლებიც კუთვნილებით მსაზღვრელებს შეესაბამება და პირის ნაცვალსახელებისგან არის წარმოებული:

mien, tien, sien, nôtre, vôtre, leur,

კუთვნილებითა: მსაზღვრულად კუთვნილებითი ზედსართავი მხოლოდ იშვიათად და დაზუსტებულ შემთხვევებში იხმარება და ამ დროს მას თვისებითი ზედსართავი სახელის ხინტაქსი აქვს.

კუთვნილებით მსაზღვრულად კუთვნილებითი ზედსართავის გამოყენება ხდება:

ან ატრიბუტის როლში:

Cette opinion est MIENNE. Nous faisons NÔTRES vos conclusions.

ან ეპითეტის როლში, როდესაც საუბარი ირონიულ ან ნაღვლიან სტილში მიმდინარეობს და ამ შემთხვევაში იგი განუსაზღვრულ არტიკლსა და არსებით სახელს შორის დგას:

J'ai reçu la visite d'un MIEN cousin.

კითხვითი, ძახილის და მიმართებითი მსაზღვრელები

1. კითხვითი მსაზღვრელი: სინტაქსი, ფორმები, მნიშვნელობა

1. სინტაქსი და მნიშვნელობა

კითხვით მსაზღვრელს შემდეგი ფორმები აქვს: *quel, quels, quelle, quelles*. კითხვითი მსაზღვრელი არსებით სახელთან ერთად არსებითი სახელის ჯგუფს ქმნის. მას არ შეიძლება წინ უძღოდეს ან მოჰყუებოდეს არც არტიკლი, არც ჩვენებითი ან კუთვნილებითი მსაზღვრელი. კითხვით წინადადებაში იგი მიანიშნებს, რომ კითხვა დასრულია კონკრეტული პიროვნებისა თუ სულიერი ან უსულლო საგნის ბუნებაზე.

– პირდაპირ დასმული კითხვის დროს:

QUELLE personne demandez-vous? QUEL métier exerce-t-il?

– ირიბად დასმული კითხვის დროს:

.J'ignore à QUELLE date il reviendra.

კითხვითი მსაზღვრელი *quel* ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ატრიბუტი: ამ შემთხვევაში ის მსაზღვრელის როლს მხოლოდ იმ სახელთან მიმართებაში ასრულებს, რომელიც გამოხატული არ არის:

QUELLES sont ses intentions? (= quelles intentions sont ses intentions?)

2. სქესი და რიცხვი

სქესში ცვლილება მხოლოდ სამწერლო ენაში ჩანს და არა სახაუბრო ენაში.

QUEL jour? QUELLE heure?

[kɛl zur] [kɛl œr]

რიცხვში ცვლილება მხოლოდ სამწერლო ენაში ჩნდება, სასაუბრო ენაში კი მხოლოდ ფონეტიკური გადაპოხისას ჩახს (ანუ იმ სიტყვების წინ, რომლებიც ხმოვნით ახ ბუნჯი ი-ით იწყება):

QUEL enfant? QUELLE histoire? QUELS enfants? QUELLES histoires?
[kɛl ɑ̃fɑ̃] [kɛl istwaʁ] [kɛlzɑ̃fɑ̃] [kɛlzistwaʁ]

2. ძახილის მსაზღვრელი

ძახილის მსაზღვრელი, რომელსაც იგივე ფორმა აქვს, რაც კითხვითი მსაზღვრელს, იმ ძახილის წინადადებებში გამოიყენება, სადაც განცვიფრება, მოწონება, აღშფოთება არსებითი სახელის უცუფის მიერ მინიშნებულ თემას ეეება; კითხვითი მსაზღვრელის მსგავსად, არც ის გამოიყენება სხვა მსაზღვრელთან ერთად (არტიკლთან, ჩვენებით ან კუთვნილებით მსაზღვრელთან).

QUEL courage il a montré dans l'adversité!

ის შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იყოს როგორც ატრიბუტი:

QUELLE ne fut pas ma surprise de le voir arriver! (= quelle surprise ne fut pas ma surprise).

3. მსაზღვრელის quel განსაკუთრებული გამოყენება

• გამოთქმები n'importe quel, je ne sais quel, on ne sait quel განუსაზღვრელი მსაზღვრელის როლს ასრულებს (ეს დაუსრულებელი წინადადებებებია, რომელიც გარდაქმნილია ნამდვილ რთულ მსაზღვრელებად):

Ne mettez pas ces papiers A N'IMPORTE QUEL endroit.

• მსაზღვრელი quel დაქვემდებარებულ წინადადებაში წარმოდგენილია აგრეთვე როგორც უედსარითვი ატრიბუტი (quel que), რომელიც გამოხატავს განუსაზღვრელ მნიშვნელობას ან დაპირისპირებას.

QUELLE QUE soit sa décision, je la respecterai.

QUEL QUE soit son courage, il ne pourra pas résister.

ასეთ დროს, მსაზღვრელი *quel* უთანხმდება დაქვემდებარებული წინადადების ქვემდებარე არსებით სახელს, რომელიც დასმულია ზნა *être*-ის შემდეგ.

4. მიმართებითი მსაზღვრელი

როდესაც მსაზღვრელს *quel* წინ დართული აქვს განსაზღვრული არტიკლი (*lequel, laquelle, lesquels, lesquelles*), იგი გამოიყენება როგორც მიმართებითი მსაზღვრელი, განსაკუთრებით ადმინისტრაციული ან ლიტერატურული სტილისთვის; არსებითი სახელისა და ზედსართავისგან შემდგარი ფგუფი მიმართებითი ნაცვალსახელის ტოლფასია:

Je lui ai adressé une lettre recommandée, LAQUELLE lettre ne lui a jamais été remise (ჩვეულებრივად ითქმის: *qui ne lui a jamais été remise*).

რიცხვითი მსაზღვრელი

1. რიცხვითი მსაზღვრელი: სინტაქსი, ფორმები და მნიშვნელობა

1. სინტაქსი და მნიშვნელობა

რიცხვითი სახელები un, deux, trois, quatre და ა.შ. რიცხვითი მსაზღვრელის კლასს შეადგენს. ნათ არტიკლის გარეშე იმ თვლადი არსებითი სახელის წინ იყენებენ, რომელიც სულიერ ან უსულო საგანზე მიუთითებს პიროვნების ან საგნის რაოდენობის დასაზუსტებლად. ესენია რაოდენობითი რიცხვითი სახელები:

Il y a DEUX couverts sur la table.

Le voyage a duré QUATORZE jours.

შენიშვნა: ზოგიერთ მსაზღვრელს შეუძლია არაზუსტი (დიდი ან მცირე) რაოდენობა მიანიშნოს:

Je vous l'ai dit VINGT fois, CENT fois, MILLE fois (= ძალიან ხშირად).

Je reviens dans DEUX minutes (= ძალიან მალე).

რიცხვითი მსაზღვრელის წინ შეიძლება აგრეთვე იდგეს განსაზღვრული არტიკლი (არსებითი სახელის დამატებაათან, მიმართებით წინადადებასთან და ა.შ.), ჩვენებითი ან კუთვნილებითი მსაზღვრელი:

LES DEUX chats de ma tante sont noirs.

J'ai déjà lu CES TROIS livres. Il ne fait rien de SES DIX doigts.

რიცხვით მსაზღვრელს არ შეიძლება უძლოდეს არც განსაზღვრული და არც ნაწილობითი არტიკლი.

შენიშვნა: როდესაც რიცხვითი მსაზღვრელი დინასტიის წარმომადგენელ მეფეს (Louis XI, ONZE), წიგნის ნაწილს (Chapitre SEPT) ან კალენდრის დღეს (le DEUX avril) აღნიშნავს, იგი არა რაოდენობას, არამედ რიგითობას გამოხატავს.

2. რიცხვითი მსაზღვრელის ფორმები

რიცხვით მსაზღვრელს აქვს როგორც მარტივი, მაგალითად un, deux, dix, trente, cent, mille, ასევე რთული ფორმა, მიღებული ან

უკავშირო თანწობით: dix-sept, vingt-cinq და ა.შ., ან მკერთებელი კავშირით: vingt et un, quarante et un და ა.შ., ან გამრავლებით: quatre-vingts, cinq mille და ა.შ.

ზოგიერთ რიცხვით მსაზღვრელს სასაუბრო ენაში ცვალებადი ფორმა აქვს, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ელემენტი მოსდევს („ლიეზონის“ ფენომენი):

trois ans [trwazɑ̃] / trois jours [trwazur]

huit ans [ɥitɑ̃] / huit jours [ɥizur]

vingt ans [vɑ̃tɑ̃] / vingt jours [vɑ̃zur], vingt-cinq jours [vɑ̃tsɑ̃zur]

vingt et un [vɑ̃tœ̃] / quatre-vingt-un [katrœ̃vɑ̃tœ̃]

cinq ans [sɑ̃kɑ̃] / cinq jours [sɑ̃zur] ან [sɑ̃kzur]

რიცხვითი მსაზღვრელების huit და onze წინ არც ლიეზონს აქვს ადგილი და არც ხმოვნის შეკვეცას.

Ecrivez ces HUIT mots [ekrive sœ̃zimo].

Il est venu le ONZE mars [ilœ̃vny lœ̃zɑ̃mars].

3. რიცხვითი მსაზღვრელის გამოყენება ნაცვალსახელის როლში

ზოგ შემთხვევაში, როდესაც რიცხვით მსაზღვრელს არსებითი სახელი არ ახლავს, ის შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც არსებითი სახელი ან ნაცვალსახელი: საქმე ეხება მსაზღვრელებს, რომელთა არსებითი სახელი გამოხატული არ არის. (იხ. თავი 18, n° 8)

Nous n'étions que DEUX dans la pièce (= deux personnes).

DEUX et DEUX font QUATRE (= deux unités, quatre unités)

4. რიცხვითი მსაზღვრელის შეთანხმება

საერთო წესის თანახმად, რიცხვითი მსაზღვრელი უცვლელია:

Ils sont QUATRE amis.

შენიშვნა. როდესაც რიცხვითი სახელები vingt და cent რაოდენობრივად გამრავლებულია, მათ მრავლობითის ნიშანი ზერთვის: Ce livre coute QUATRE-VINGTS francs.

DEUX CENTS personnes assistaient à la séance.

როდესაც ამგვარად გამრავლებულ რიცხვით სახელებს vingt და cent კიდევ მოჰყვება რიცხვი, ისინი ზ-ის გარეშე ისერება, თუმცა, მისი დართვაც დაშვებულია.

Deux cent trois personnes ან deux cents trois personnes.

2. რიცხვითი ზედსართავი აახელი

1. რიცხვითი ზედსართავი სახელის ფორმები

ყოველ რიცხვით მსაზღვრელს შეესაბამება რიცხვითი ზედსართავი სახელი, რომელიც წვობას, რიგს აღნიშნავს. რიცხვით ზედსართავ სახელს ზოგჯერ რიგობით რიცხვით სახელს უწოდებენ, ხოლო რიცხვით მსაზღვრელს – რაოდენობით რიცხვით სახელს.

რიცხვითი ზედსართავი სახელი (ანუ რიგობითი რიცხვითი სახელი) იწარმოება მარტივი ან რთული რიცხვითი მსაზღვრელის ბოლო ელემენტზე -ième სუფიქსის დართვით:

Lisez le TROISIÈME chapitre.

C'est aujourd'hui le DEUX CENT VINGT-SEPTIÈME jour de l'année.

თუ რიცხვითი მსაზღვრელი 6-ზე ბოლოვდება, ზედსართავის დაწერისას ეს 6 ქრება.

quatre → QUATRIÈME; douze → DOUZIÈME.

un-ს შეესაბამება რიცხვითი ზედსართავი premier (იმ რთული ზედსართავების გარდა, როგორცაა მაგალითად trente et unième); deux-ს შეესაბამება ზედსართავები deuxième და second, რომელიც დაახლოებით ერთნაირი მნიშვნელობით იხმარება. ეს ზედსართავები იცვლება სქესისა და რიცხვის მიხედვით.

La PREMIÈRE place est vide. Il a obtenu plusieurs SECONDS prix.

2. სინტაქსური ფუნქციონირება

რიცხვითი ზედსართავი სახელი არასოდეს იკავებს მსაზღვრელის ადგილს. იგი გამოიყენება:

- არსებითი სახელის წინ (მაგრამ მისი მსაზღვრელის შემდეგ, როდესაც ეს უკანასკნელი გამოხატულია):

Il voyage en DEUXIÈME classe. Prenez la QUATRIÈME rue à droite;

- როგორც არსებითი სახელის ან ნაცვალსახელის ატრიბუტი:

Pierre est CINQUIÈME au slalom géant.

რიცხვით ზედსართავს შეუძლია მარტივი მსაზღვრელის დარ-

თვით შექმნას არსებითი სახელის ჯგუფი, ისე რომ არსებითი სახელი არ იყოს გამოხატული:

Le TROISIÈME est un Suisse (= le troisième concurrent).

3. რაოდენობის გამომხატველი არსებითი სახელი და ზედსართავი სახელი

რიცხვითი მსაზღვრელის ბაზაზე სხვადასხვა სუფიქსის საშუალებით მოხული რიგი არსებითი სახელები და ზედსართავეები იქმნება. ესენია:

• გამრავლების გამომხატველი სახელები, როგორცაა მაგალითად:

(le) triple, (le) quadruple, (le) centuple;

• ნილადის აღმნიშვნელი სახელები: le tiers (მესამედი), le quart (მეოთხედი). დანუებული ხუთიდან იყენებენ რიცხვით ზედსართავ სახელებს: le cinquième, le sixième ა.შ. (= მეხუთედი, მეექვსედი ა.შ.)

• კრებითი სახელები, რომლებიც სულიერ ან უსულო საგნებს აღნიშნავენ (-aine სუფიქსის დართვით): une douzaine, une centaine ა.შ. რიცხვითი სახელის dix ორთოგრაფია ასეთია: une dizaine და არა une *dixaine.

შენიშვნა. მეცნიერულ საფუძველზე (ლათინური ძირების მიხედვით) იქმნება აგრეთვე ისეთი არსებითი სახელები და ზედსართავი სახელები, რომლებიც გამოხატავენ ასაკს (-aire სუფიქსის დამატებით): un quadragénaire (quarante ans), un vieillard octogénaire (quatre-vingts ans), ან ქრონოლოგიას: un millénaire (durée de mille ans).

განუსაზღვრელი მსაზღვრელი

1. განუსაზღვრელი მსაზღვრელის კლასი

წინადადებაში:

Les invités sont arrivés.

არტიკლი *les* შეიძლება შეიცვალოს სიტყვებით: *quelques, certains, plusieurs, divers, différents*. მართალია აზრი იცვლება, მაგრამ წინადადება გრამატიკულად გამართული რჩება:

QUELQUES invités sont arrivés.

CERTAINS invités sont arrivés.

სიტყვა, რომლითაც ვანაცვლებთ არტიკლს *les*, მსაზღვრელს როლს ასრულებს ამ არტიკლის მსგავსად და განუსაზღვრელი მსაზღვრელის კლასს მიეკუთვნება.

განუსაზღვრელი მსაზღვრელის კლასში შედის:

• სიტყვები, რომლებიც რაიმე ნიუანსით რიცხვის ან რაოდენობის ცნებებს გამოხატავენ (მათ რაოდენობით განუსაზღვრელ მსაზღვრელებსაც უწოდებენ):

– ნულსიანი რაოდენობა: *nul, aucun, pas un*.

– მხოლობითობა: *quelque, maint* (იშვიათად), *un certain, tout, chaque, tel*.

– მრავლობითობა: *quelques* (შეზღუდული მრავლობითობა) *certain, plusieurs, maints* (იშვიათად), *divers, différents* (მრავლობითობა + ნაირსახეობა).

– განუსაზღვრელი რაოდენობა: *quelque* (დაიამის უოვლადი არსებითი სახელის წინ).

– რიცხობრივი ერთობლიობა: *tous*.

– რაოდენობრივი ერთობლიობა: *tout (le)*.

• ორი სიტყვა, რომელიც იდენტურობის და განსხვავების ცნებებს გამოხატავენ:

– იდენტურობა: *même*.

- განსხვავება: autre.

შენიშვნა. Quelconque თვისებითი ზედსართავი სახელია; რომელიც ხშირად განუსაზღვრელ ზედსართავად არის მიჩნეული, მაგრამ მსაზღვრელი არ არის:

Passez me voir un jour quelconque (= განუსაზღვრელი მნიშვნელობით).

Ces fruits sont très quelconques (= ჩვეულებრივი მნიშვნელობით).

რაოდენობითი განუსაზღვრელი მსაზღვრელი და მისი შესაბამისობა რიცხვით მსაზღვრელთან და არტიკლთან

	ნულოვანი რ-ბა	მხოლოდ ბითობა	მრავლობითობა	განუსაზღვრელი რ-ბა	რიცხვითი ერთობლიობა	რაოდენობრივი ერთობლიობა
განუსაზღვრელი მსაზღვრელი	ni aucun pas un	tout ¹ chaque tel quelque un certain maint	quelcues certains maints plusieurs divers différents	quelqu ⁴	tous ²	tout ³
რიცხვითი მანძილი	zéro	un	deux; trois quatre etc.			
არტიკლი		un	des	du, de la des ⁵	les	le, un

1. Tout homme peut se tromper; 2. Tous les invités sont là; 3. Il a plu toute la nuit; 4. Dans quelque temps; 5. Des rillettes.

2. განუსაზღვრელი მსაზღვრელის სინტაქსი

რაოდენობითი განუსაზღვრელი მსაზღვრელი იმ რიცხვით მსაზღვრელს ევლის, რომლის სინტაქსიც აქვს. იგი არ შეიძლება გამოვიყენოთ არც რიცხვით მსაზღვრელოან (*deux, trois, cent: *plusieurs trois personnes* არ არის გამართული ფრანგული წინადადება), არც განუსაზღვრელ-არტიკლოან (**des plusieurs personnes* არ არის გამართული ფრანგული წინადადება). გამონაკლისია კონსტრუქცია *un certain* (უარტიკლო კონსტრუქცია *certain renard gascon* არქაულია).

* განუსაზღვრელ მსაზღვრელებს *quelques, divers, différents* წინ უძღვის განსაზღვრული ნრაველობითი არტიკლი *les*, როდესაც არსებითი სახელს ჯგუფს, რომლის ნაწილსაც ისინი შეადგენს, მიმართებითი ნაცვალსახელი მოჰყვება, ან ზედსართავი სახელი ახლავს:

LES QUELQUES personnes qui sont là sont très attentives.

* განუსაზღვრელ მსაზღვრელებს *même* და *autre* შეიძლება წინ უძღოდეს რიცხვითი ან განუსაზღვრელი მსაზღვრელი:

Pierre habite un AUTRE immeuble.

ისინი პირის ნაცვალსახელის შემდეგ დგას:

Eux-MEMES me l'ont dit.

Vous AUTRES, vous vous taisez toujours.

* მსაზღვრელები *autre, divers, différents, plusieurs* შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც ზედსართავი ატრიბუტი:

Ils sont PLUSIEURS à vouloir rester.

Pierre est AUTRE qu'il n'était.

* წინადადებაში, *TOUT homme est mortel*, *tout* შეიძლება შეიცვალოს განუსაზღვრელი მსაზღვრელით *chaque* ან არტიკლით *l'*.

CHAQUE homme est mortel. L'homme est mortel.

სამაგიეროდ, წინადადებაში:

TOUS les invités sont arrivés,

არ შეიძლება არტიკლის *les* ჩამოშორება: ამ შემთხვევაში განუსაზღვრელ მსაზღვრელს *tous* არ ჩაენაცვლება არტიკლი. განუსაზღვრელი მსაზღვრელი *tous* აუცილებლად იმ ჯგუფის წინ მო-

თავსდება, რომელიც მსაზღვრელით და არსებითი სახელით არის შედგენილი. სწორედ ეს განასხვავებს შას იმ ნებისმიერი თვისებითი ზედსართავისგან, რომელიც მხოლოდ მსაზღვრელის შემდეგ შეიძლება დაისვას.

იგივეა განუსაზღვრელი მსაზღვრელისთვის tout წინადადებაში:
Il a plu **TOUTE** la nuit.

ეს სინტაქსური თავისებურება საშუალებას გვაძლევს tous და tout განუსაზღვრელი მსაზღვრელების რიგში მოვათავსოთ.

* მსაზღვრელის როლში გამოყენებული სიტყვების nul, tel და certains მნიშვნელობა სრულიად განსხვავდება ზედსართავი ატრიბუტის ან ზედსართავი ეპითეტის როლში გამოყენებული იმავე სიტყვებისგან nul, tel და certains, რომელიც არსებითი სახელის შემდეგ დგას. ეს შეიძლება ნათელი გახდეს შემდეგი მაგალითებით:

NUL travail ne le rebute. / Ce travail est NUL. C'est un travail NUL.
J'arriverai TEL jour. / Il est TEL que je l'imaginai.

CERTAINS résultats sont faux. / Ces résultats sont CERTAINS. Il a obtenu des résultats CERTAINS.

* ზოგიერთ რაოდენობის გამონხატველ განუსაზღვრელ გამოთქმას, მაგალითად la plupart, une foule, une multitude, შეიძლება მოჰყვებოდეს წინდებულს de და არსებითი სახელის უგუფი მრავლობით რიცხვში (თელადი არსებითი სახელის ქვეკლასი); გამოთქმებს une quantité de, une masse de შეიძლება მოჰყვებოდეს არსებითი სახელი ან მრავლობით (თელადი არსებითი სახელის ქვეკლასი) ან მხოლოდობით რიცხვში (უთელადი არსებითი სახელის ქვეკლასი); ასეთ შემთხვევაში ეს გამოთქმები განუსაზღვრელი რაოდენობითი მსაზღვრელების როლს ასრულებს (რაოდენობით ზმნიზედებთან დაკავშირებით იხ. თავი 28, n° 1):

J'ai **UNE FOULE** d'amis. **LA PLUPART** des gens le savent.

ამ გამოთქმებიდან რამდენიმე შეიძლება გამოყენებული იქნეს არსებითი სახელია დამატების უგუფის გარეშე. ასეთ დროს, შესაძლებელი არსებითი სახელი არის ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვა, როგორცაა hommes, gens, personnes:

LA PLUPART sont venus de très loin pour l'écouter.

3. განუსაზღვრელი მსაზღვრელის გამოყენება ზმნიზედის როლში

• სიტყვა tout ზედსართავი სახელის წინ გამოყენებულია როგორც ზმნიზედა და აღნიშნავს „მოლიანად, სავსებით“:

Je suis TOUT heureux.

მიუხედავად იმისა, რომ tout ზმნიზედაა, ოგი იღებს ფორმებს toute და toutes როდესაც ის თანხმოვნითა დაწყებული მდედრობითი სქესის ზედსართავი სახელის წინ დგას, ხოლო იმ ზედსართავი სახელის წინ, რომელიც ხმოვნით ან მუნჯი ჩ-ით იწყება ზმნიზედა tout უცვლელი რჩება:

Elle reste TOUTE surprise.

Elles sont TOUTES confuses.

Elles sont TOUT attentives, TOUT heureuses.

• სიტყვა tout გამოყენებულია როგორც ზმნიზედა:

– ზმნიზედის ან ზმნიზედური გამოთქმის წინ:

Il faudrait s'y prendre TOUT DIFFEREMMENT.

Vous pourrez l'interroger TOUT À LOISIR;

– გერუნდივის წინ თანადროული გარემოების გამოსახატავად:

Il réfléchit TOUT EN MARCHANT.

ან საპირისპირო აზრის გამოსახატავად:

TOUT EN ÉTANT très riche, il vit très simplement.

• ზმნიზედამ tout, რომელსაც ზედსართავი სახელი მოჰყვება, შეიძლება აგრეთვე დათმობა გამოხატოს:

TOUT habiles qu'ils sont, ils ont échoué.

• არსებითი სახელის ჯგუფის წინ სიტყვა même ზოგჯერ გამოიყენება როგორც ზმნიზედა:

MÊME les enfants étaient silencieux.

• სიტყვა quelque რიცხვითი მსაზღვრელის წინ ზოგჯერ ზმნიზედის როლშია და უცვლელი რჩება, როდესაც ნიშნავს „დაახლოებით“ (დახვეწილად სტილით):

Il y a QUELQUE dix ans de cela.

აგრეთვე, ზედსართავი სახელის წინ მდგარი *quelque*, მნიშვნელობით „თუ“, არის უცვლელი ზმნიზედა, როდესაც კავშირებით კილოში დათმობითი წინადადება შემოჰყავს (დახვეწილი სტილი):

QUELQUE prudents qu'ils soient, ils se sont laissé prendre.

4. განუსაზღვრელი არსებითი სახელი და ნაცვალსახელი

* განუსაზღვრელი მსაზღვრელი იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს ცალკე წარმოდგენილი, როცა არსებითი სახელის ფგუფის შენადგენელი არსებითი სახელი არ გვაქვს. ასეთ შემთხვევაში განუსაზღვრელი მსაზღვრელი გამოიყენება როგორც ნაცვალსახელი (იხ. თავი 18. n° 8):

TOUS LES GENS sont venus → *TOUS* sont venus.

LES MÊMES INVITÉS sont revenus → *LES MÊMES* sont revenus.

ზოგადად, მსაზღვრელის ფორმა იგივეა მსაზღვრელის და ნაცვალსახელის როლში გამოყენებისას, ის შეიძლება განსხვავებული იყოს მსაზღვრელებისთვის *chaque* (მსაზღვრელი) და *chacun* (გამოყენებული როგორც ნაცვალსახელი).

On donne un cahier à *CHAQUE ÉLÈVE* → on donne à *CHACUN* un cahier.

განუსაზღვრელი მსაზღვრელი *quelque* უპირისპირდება ნაცვალსახელებს *quelqu'un* და *quelque chose*.

* არსებობს ორი განუსაზღვრელი არსებითი სახელი: *personne* და *rien*; ამ ორ უარყოფით არსებით სახელს არსებითი სახელის სინტაქსი აქვს, მაგრამ წინ არც ერთი მსაზღვრელი არ უძღვის. თუ წინადადებაში *personne* ყოველთვის არსებითი სახელის ფგუფში შედის, დამატება *rien* დამხმარე ზმნასა და ზმნას შორის დგას:

Je n'ai vu *PERSONNE*. Je n'ai *RIEN* vu.

უარყოფის გამოხატველ ამ ორ სიტყვას წინადადებაში თან ახლავს უარყოფითი ნაწილაკი *ne*.

ნაცვალსახელი

1. რა არის ნაცვალსახელი?

* ავიღოთ შემდეგი ორი წინადადება:

Mon petit frère courait dans le jardin. Mon petit frère est tombé en butant contre une pierre.

იმისთვის, რომ აცილებული იქნეს არსებითი სახელის ჯგუფის გაშეორება, ამბობენ:

Mon petit frère courait dans le jardin. Il est tombé en butant contre une pierre:

ან მეორე წინადადებას აერთიანებენ პირველთან:

Mon petit frère, QUI courait dans le jardin, est tombé en butant contre une pierre.

ამ წინადადებების შედარებისას ჩანს, რომ არსებითი სახელის ჯგუფი *mon petit frère* შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ერთი სიტყვით: *il* ან *qui*, რომელიც არსებითი სახელის ჯგუფს ჩაენაცვლება და გაშეორების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

მაშასადამე, ნაცვალსახელი წინადადებაში არსებითი სახელის ჯგუფის როლს ასრულებს და არა მხოლოდ არსებითი სახელისას.

მას იმ არსებითი სახელის ჯგუფის ფუნქციები აქვს, რომელსაც ცვლის (ქვენდებარე, დამატება, გარემოება და ა.შ.), თუმცა ზოგჯერ თავისებური ნიშნაც ახასიათებს.

* ნაცვალსახელი ან ჩამნაცვლებელი წინადადებაში სხვადასხვა როლს ასრულებს გამომდინარე წინადადების ბუნებიდან, ჩანაცვლების ხაზითიდან და არაებითი სახელის ჯგუფიდან:

– მას შეუძლია შეცვალოს უკვე გამოხატული არსებითი სახელის ჯგუფი: ის მისი წარმოადგენელია;

– შეუძლია ჩაენაცვლოს არაებითი სახელის ჯგუფს, რომელიც მის მომდევნო არსებითი სახელის ჯგუფზე მიგვიითიუბა: ის ამ უკანასკნელია წინმსწრებია (არის ანტიციპანტი);

– შეუძლია წარმოადგინოს ურთიერთობაში მონაწილე პიროვნება: ის მისი აღნიშვნელია.

2. წარმოშადგენლის როლი

ავილოთ ორი წინადადება:

Mon père était assis dans un fauteuil. Mon père lisait le journal.

არსებითი სახელის მეორე ჯგუფი *mon père* შეიძლება ნაცვალ-სახელით ჩავანაცვლოთ:

Mon père était assis dans un fauteuil. IL lisait le journal.

ეს ორი წინადადება ერთ წინადადებად გარდაიქმნება, თუ მეორე არსებითი სახელის ჯგუფს *mon père* ჩავანაცვლებთ *qui* ნაცვალ-სახელით: *Mon père, QUI lisait le journal, était assis dans un fauteuil.*

ნაცვალსახელზე *il* და *qui* არსებითი სახელის მეორე ჯგუფი *mon père* შეცვალა; ისინი იმ არსებითი სახელის ჯგუფს წარმოადგენენ, რომელიც პირველ წინადადებაში იყო გამოხატული.

ნაცვალსახელი, რომელსაც შეუძლია უკვე გამოხატული არსებითი სახელის ჯგუფი შეცვალოს (და ეს ფუნქცია მხოლოდ მას აქვს), წარმოშადგენლის როლს ასრულებს.

იხ. აგრეთვე პარაგრაფი 6.

3. ანტიციპანტის როლი

ავილოთ ორი ასეთი წინადადების თანმიმდევრობა:

QUI est venu ce matin? Un visiteur.

აქ ნაცვალსახელი *qui* არსებითი სახელის ჯგუფს ჩვენაცვლება:

QUELLE PERSONNE est venue ce matin?

მაგრამ არსებითი სახელის ჯგუფი პირველი წინადადების შემდეგ მოცემულ პასუხში წმდება (*un visiteur*). არსებითი სახელის ჯგუფი, რომელსაც ნაცვალსახელი ცვლის, იმავე ბუნებისაა, რაც ის არსებითი სახელის ჯგუფი, რომელიც ამ კითხვაზე პასუხში უნდა ფიგურირებდეს. ნაცვალსახელი *qui* წინსწრებით (ანტიციპაციით) წარმოადგენს „quelque'un, une personne“; პასუხის გაცემა იმავე ბუნების არსებითი სახელის ჯგუფით ხდება: სულიერი საგნის, ადამიანის ჯგუფის.

ასევე, წინადადებაში *Il manque deux cartes*, ნაცვალსახელი *il* იმ ქვეშდებარე არსებითი სახელის ჯგუფის ადგილს იკავებს, რომელიც ზმნის შემდეგაა გადატანილი, ანუ ის ანტიციპანტის როლს ასრულებს:

DEUX CARTES manquent → IL manque deux cartes.

ამბობენ, რომ il არის წმინის manque არამოქმედი ქვემდებარე, რომელიც მხოლოდითი რიცხვშია, ხოლო deux cartes წმინის რეალური ქვემდებარეა.

4. კომუნიკაციაში მონაწილე პიროვნების აღნიშვნის როლი

წინადადებაში:

JE suis venu ce matin, ON part demain pour la campagne,

ნაცვალსახელები je და on იმავე სინტაქსურ როლს ასრულებს, რომელსაც არაერთი სახელის ჯგუფი. ისინი წინადადების ქვემდებარეებია. მაგრამ, არსებითი სახელის ეს ჯგუფი აქ გამოხატული არის და არც იქნება. ნაცვალსახელები je და on კომუნიკაციაში მონაწილე პიროვნებებს აღნიშნავს.

ამგვარად, ნაცვალსახელი je იმ პიროვნებას აღნიშნავს, ვინც ღამპარაკობს; ის იმავე სინტაქსურ როლს ასრულებს, რასაც ჯგუფი un voyageur წინადადებაში:

Un voyageur est venu ce matin,

მაგრამ je აღნიშნავს იმას, ვინც ღამპარაკობს. ასევე, იმ შეიძლება იყოს „მე და სხვები“ და იგივე როლი შეასრულოს, რაც mon père et ma mère წინადადებაში:

Mon père et ma mère partent demain pour la campagne,

მაგრამ on მოსაუბრესაც აღნიშნავს და იმ პიროვნებებსაც, რომელთაც ეს უკანასკნელი თავის თავთან აკავშირებს.

ეს ნაცვალსახელები კომუნიკაციაში მონაწილეებს აღნიშნავს: მოსაუბრესა და თანამოსაუბრებს.

5. ნაცვალსახელის როლის კომპლექსურობა

ერთადაიმავე ნაცვალსახელს წინადადებაში შეიძლება შექონდეს წარმომადგენლის (ან ანტიციპანტის) როლი, ან კომუნიკაციის მონაწილე აღნიშნოს.

მაგალითად, წინადადებაში: Pierre est malade; IL n'est pas venu hier, il არის ნაცვალსახელი, რომელიც წარმომადგენლის როლს ას-

რულებს, რადგან პირველ წინადადებაში წარმოდგენილ ქვემდებარეა Pierre ცვლის.

წინადადებაში:

Regarde-le, JE TE dis qu'IL n'écoute pas.

je, te და il ნაცვალსახელები კომუნიკაციის ნონანაილებს აღნიშნავს. je არის ის, ვინც ლაპარაკობს, te ('U) თანამოსაუბრეა, ხოლო il არის მესამე პირი, რომლის შესახებაც ორნი საუბრობენ, ანუ კომუნიკაციის ობიექტი.

კომპლექსური როლი განსაკუთრებით მესამე პირის ნაცვალსახელებს აქვს: მათ შეუძლია წარმოაჩინონ როგორც უკვე გამოხატული არსებითი სახელის ჯგუფი, ასევე კომუნიკაციაში ჩართული პიროვნება ან საგანი.

6. არსებითი სახელის ჯგუფის წარმოდგენა, უფრო ზოგადი ფენომენის განსაკუთრებული შექმნევა

ნაცვალსახელის გამოყენება ერთი და იმავე ტიპის არსებითი სახელის ჯგუფის გამეორების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა; ესე იგი, საქმე გვაქვს ეკონომიის ფაქტორთან. ამგვარად, ისეთი ნაცვალსახელი, როგორც არის le, შეუძლია ჩაენაცვლოს არა მხოლოდ არსებითი სახელის ჯგუფს, არამედ მთლიან წინადადებას. მაგალითად, როდესაც ამბობენ:

Il ment, je LE sais.

ამ წინადადებაში le წარმოადგენს il ment-ს, ან უფრო მეტიც, მთელ დაქვემდებარებულ წინადადებას ქვემოთ მოტანილ წინადადებაში:

Je sais qu'il ment.

იმავე ნაცვალსახელს le ასევე შეუძლია წარმოადგინოს ზედსართავი წინადადებაში:

Nous avons été inquiets, mais nous ne LE sommes plus (= nous ne sommes plus inquiets).

ამგვარი გამოყენებისას ნაცვალსახელი ნაცვალსახელად რჩება, იმის მიუხედავად, წინადადებას ცვლის თუ ზედსართავს.

შენიშვნა: ზმნაჲ faire შეიძლება უკვე გამოხატული ნებისმიერი გარდამავალი თუ გარდაუვალი ზმნა ან დამატების შემცველი

ნებისმიერი ზმნის ჯგუფი წარმოადგინოს. მაგალითად, წა-
ნადადებაში:

Il travaille mieux qu'il ne FAISAIT autrefois.

faisait გამოხატავს ზმნას travaillait.

წინადადებაში: Je relis la lettre, comme j'AI toujours FAIT.

ai fait გამოხატავს დამატების შემცველ ზმნის ჯგუფს ai relu la lettre-ს.

Faire არის ნახევრად დამხმარე ზმნა.

7. ნაცვალსახელის კლასები

თავისი ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით, ნაცვალსახელები რამდენიმე კლასად იყოფა:

პირის ნაცვალსახელი: je, tu, il, nous, vous, ils, elle, eux, elles, lui, თი და ა.შ.

ჩვენებითი ნაცვალსახელი: ce, celui, cela და ა.შ.

მიმართებითი ნაცვალსახელი: qui, que, lequel, celui, dont, où ა.შ.

კითხვითი ნაცვალსახელი: qui, que, quoi, lequel და ა.შ.

განუსაზღვრელი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები, სინამ-
დვილეში ნაცვალსახელის ფუნქციით გამოყენებულ გარუსაზღვრელ
და კუთვნილებით მსაზღვრელებს წარმოადგენს (იხ. პარაგრაფი 8).

8. მსაზღვრელის ნაცვალსახელად გამოყენება

როგორც მე-7 თავში ვნახეთ, როდესაც არსებითი სახელის ჯგუფი
მსაზღვრელისა და არსებითი სახელისგან შედგება, ზოგჯერ
მსაზღვრელი გამოხატული არ არის. ხანდახან კი პირიქით, არსებო-
თი სახელი არ არის გამოხატული. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ
მსაზღვრელი რჩება ზედსართავთან ან მის გარეშე. აქილეთ შემდე-
გი წინადადებები:

DEUX HOMMES sont venus. DEUX AUTRES HOMMES sont venus.

PLUSIEURS HOMMES sont venus.

დაეუშვათ, რომ არსებითი სახელი hommes გამოხატული არ არის:

DEUX sont venus. DEUX AUTRES sont venus. PLUSIEURS sont venus.

Deux კვლავაც რიცხვით მსაზღვრელად დარჩება, ხოლო autres და plusieurs განუსაზღვრელი მსაზღვრელებია; თუმცა არსებითი სახელის ჯგუფს მხოლოდ ისინი წარმოადგენს. ეს მსაზღვრელები არსებითი სახელის იმ ჯგუფს წარმოადგენს, რომლის არსებითი სახელიც გამოხატული არ არის და სწორედ ასეთი შემთხვევის გამო ისინი აგრეთვე „ნაცვალსახელებად“ იწოდება.

აეილოთ სხვა შემთხვევა:

TOUS LES GENS sont venus.

თუ არსებითი სახელი და განსაზღვრული არტიკლი გამოტოვებულია, რჩება მხოლოდ მსაზღვრელი TOUS, რომელიც არსებითი სახელის მთელ ჯგუფს წარმოადგენს.

TOUS sont venus.

TOUS განუსაზღვრელ მსაზღვრელად რჩება, მაგრამ ის არსებითი სახელის ჯგუფის ერთადერთი გამოხატული შემადგენელი ნაწილია.

მაშასადამე, რიცხვითი მსაზღვრელები (deux, trois, cent, mille ა.შ.) და განუსაზღვრელი მსაზღვრელები (plusieurs, tout, tel, nul, certain) გამოყენებულია ნაცვალსახელის რილში იმ არსებითი სახელის ჯგუფში, რომელშიც გამოტოვებულია არსებითი სახელი.

ფორმები le mien, le tien, le sien, le nôtre, le vôtre, le leur არსებითი სახელის ჯგუფებია, რომლებიც მსაზღვრელისგან (განსაზღვრული არტიკლი le) და კუთვნილებითი მსაზღვრელისგან (mien, tien, sien ა.შ.) შედგება. მართალია, არსებითი სახელი გამოტოვებულია, მაგრამ არტიკლი და კუთვნილებითი მსაზღვრელი სქესსა და რიცხვში უთანხმდება იმ არსებით სახელს, რომელიც გამოხატული არ არის:

J'aime bien ta cravate, mais je préfère LA MIENNE.

არსებითი სახელის გამოტოვების ამ შემთხვევას თვისებით ზედსართავებთანაც ვხვდებით:

Il y a là deux voitures: LA BLEUE est celle de Pierre, LA ROUGE est celle de Jacques (= la voiture bleue, la voiture rouge).

9. ნაცვალსახელსა და არსებითი სახელის ჯგუფს შორის განსხვავება და მსგავსება

• ნაცვალსახელი არსებითი სახელის ჯგუფისგან სამ საკითხში განსხვავდება:

- მას არ აქვს საკუთარი მნიშვნელობა. იგი იმ არსებითი სახელის ჯგუფის მნიშვნელობას იღებს, რომელსაც ცვლის (ან იმ წინადადების ზედსართავისა, რომელსაც ჩაენაცვლება), ან კიდევ, კომუნიკატივში მონაწილე პიროვნებებს ნარმოადგენს;

- არ აქვს იგივე სინტაქსი, რაც არსებითი სახელის ჯგუფს. ამგვარად, დამატება პირის ნაცვალსახელი, როგორც წესი, ზმნის წინ დგას, მაშინ როცა დამატება არსებითი სახელის ჯგუფი ზმნის შემდეგ დაასმის:

Je regarde LE PAYSAGE → je LE regarde;

- თავისი სინტაქსური ფუნქციის მიხედვით ნაცვალსახელს შეიძლება შექონდეს განსხვავებული ფორმები. ეს ეხება პირის ნაცვალსახელსაც და მიმართებითა ნაცვალსახელსაც:

Je regarde Paul → je LE regarde.

Je parle à Paul → je LUI parle.

Cette personne a téléphoné → voici la personne QUI a téléphoné.

Je t'ai parlé de cette personne → Voici la personne DONT je t'ai parlé.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნაცვალსახელები იბრუნვის.

*ამაზედროს, ნაცვალსახელს არსებითი სახელის ჯგუფთან გარკვეული საერთო ნიშანი აქვს:

- მან შეიძლება ფორმა იცვალოს სქესში:

IL vient. ELLE vient.

CELUI-CI est grand. CELLE-CI est grande.

ეს ცვლილება ზოგჯერ მხოლოდ ზედსართავთან შეთანხმებისას გამოიხატება: JE suis heureux. JE suis heureuse;

- ნაცვალსახელი აგრეთვე რიცხვშიც იცვლება:

Je LE vois. Je LES vois.

Je LUI parle. Je LEUR parle.

შენიშვნა: ზოგიერთ ნაცვალსახელში სქესსა და რიცხვში ცვლილება არ ჩანს, მაგალითად, qui, que, dont, en, y.

ადგიანის სახელთა და არა-ადამიანის სახელთა ქვეკლასებს შორის განსხვავება ზოგჯერ განსხვავებული ნაცვალსახელით გამოიხატება.

კითხვები:

QUI vois-tu? QUE vois-tu?

განსხვავებულ პასუხებს მოითხოვს:

Je ne vois PERSONNE. Je ne vois RIEN.

10. ნაცვალსახელსა და მსაზღვრელს შორის მსგავსება

ნაცვალსახელს გარკვეული მსგავსება აქვს მსაზღვრელთან, ვინაიდან იგი იმ არსებითი სახელის ჯგუფს ცვლის, რომელშიც არსებითი სახელი გამოტოვებულია, მაგრამ მსაზღვრელი დარჩენილია.

• **le, la, les** ნაცვალსახელები ზოგჯერ გამოყენებულია როგორც განსაზღვრული არტიკლები (მსაზღვრელები), ზოგჯერ როგორც პირის ნაცვალსახელები პირდაპირი დამატებების როლში:

Je prends LA voiture – je LA prends.

Je lis LES journaux – je LES lis.

• მიმართებითი ნაცვალსახელის ფორმები **lequel, laquelle, lesquels, lesquelles** მიღებულია მსაზღვრელებისგან **le (la, les)** და **quel (quel კითხვასაც ვულისხმობს)**. მსაზღვრელები **le, la, les** ისევე ერწყმის **à** და **de** წინდებულებს როგორც განსაზღვრული არტიკლები: **auquel, duquel, auxquels, desquels** და ა.შ. როგორც მე-15 თავშია აღნიშნული, ეს ფორმები შეიძლება გამოყენებული იქნეს (რა თქმა უნდა, იშვიათად) გამოხატულ არსებით სახელებთან ერთად:

Si j'étais absent, AUQUEL cas je vous téléphonerai, prévenez les autres.

• ჩვენებითი ნაცვალსახელი წარმოებულია ჩვენებითი მსაზღვრელისგან **ce**, რომელსაც მოჰყვება ან ადგილის ზმნიზედა **là** ან **ci (cela, ceci)**, ან ნაცვალსახელი **lui, elle (celui, celle)**, ან ორივე (**celui-ci, celle-là**).

• პირის ნაცვალსახელი და კუთვნილებითი მსაზღვრელი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ვინაიდან კუთვნილებითი მსაზღვრელი განსაზღვრული არტიკლისა და ნაცვალსახელით წარმოებული არსებითი სახელის დამატების ექვივალენტურია:

moi და **mon (le... de moi)**; **toi** და **ton (le... de toi)**; **soi** და **son (le... de soi)**.

პირის ნაცვალსახელი

1. კომუნიკაციის სამი პირი

თუ ფრანსუა ეუბნება ბერნარს:

Je suppose que TU as vu Dominique. IL devrait être ici.

ქე აღნიშნავს ფრანსუას, ანუ იმას, ვინც ლაპარაკობს, tu აღნიშნავს ბერნარს, ანუ იმას, ვისაც ფრანსუა მიმართავს, ხოლო il – დომინიკს, იმას, ვის შესახებაც მან ეს-უხაა ილაპარაკა.

ქე არის პირველი პირის ნაცვალსახელი და ნარმოადგენს ქვენდებარეს, რომელიც ლაპარაკობს, tu მეორე პირის ნაცვალსახელია, ის, ვისაც მიმართავენ, ხოლო il არის სულიერი ან უხულო მესამე პირის ნაცვალსახელი, რომელია შესახებაც ლაპარაკობენ და რომელიც შესაძლებელია ლაპარაკის მომენტს ესწრებოდეს.

2. პირის ნაცვალსახელის ორი სახეობა

თუ ბერნარი უპასუხებს ფრანსუას:

JE croyais que TU savais qu'IL est malade.

ამჯერად ქე აღნიშნავს ბერნარს, tu ფრანსუას, ხოლო il – დომინიკს.

როგორც ვხედავთ, დიალოგში ქე და tu ხან ერთი, ხან მეორე თანამოსაუბრის აღსანიშნავად არის გამოყენებული: თითოეული თავის თავს მოიხსენიებს ქე-თი, ხოლო მეორეს მიმართავს tu-თი, მაშინ, როცა იმავე დიალოგში ერთის ან მეორის მიერ ნარმოთქმული il ერთსა და იმავე სულიერს (ან ერთსა და იმავე საგანს) აღნიშნავს.

მეორე მხრივ, ქე და tu (ან vous ზრდილობიანი ფორმა) არის ერთადერთი, რითაც თანამოსაუბრეები ერთმანეთს მოიხსენიებიან. მეამბე პირი კი ყოველთვის შეიძლება საკუთარი სახელით იყოს ნარმოდგენილი.

შეიძლება აგრეთვე ერთმანეთისგან განვასხვავოთ, ერთი მხრივ, nous და vous და, მეორე მხრივ, ils.

ამგვარად, პირის ნაცვალსახელებში შეიძლება გამოეყოს ორი ჯგუფი:

1. je (მხ. რიცხვის I პირი), nous (მრ. რიცხვის I პირი.)
tu (მხ. რიცხვის II პირი), vous (მრ. რიცხვის II პირი.)
ci (მხ. რიცხვის III პირი)

2. il, elle (მხ. რიცხვის III პირი), ils, elles (მრ. რიცხვის III პირი)

je, tu, nous, vous, ci კომუნიკაციაში მონაწილე პირებს აღნიშნავს, მაშინ როდესაც il, elle, ils, elles ნაცვალსახელებმა შეიძლება აღნიშნოს როგორც სულიერი, ისე უსულო, უკვე ნახსენები ან თანამოსაუბრეების მიერ ნაგულისხმები საგნები. Je, tu, nous, vous, ci იმ პირის ნაცვალსახელებს წარმოადგენს, რომლებიც წინადადებაში ყოველთვის პიროვნებას აღნიშნავს და ცვლის საკუთარ სახელს; აოლო il, ils, elle, elles პირის ნაცვალსახელებია, რომლებიც ან უკვე ნახსენებ არსებითი სახელის ჯგუფს ცვლის ან პიროვნების აღმნიშვნელ არსებით სახელს, რომელიც კომუნიკაციის დამხსრე პირებს აღნიშნავს.

3. სქესი პირის ნაცვალსახელში

პირის ნაცვალსახელები ისევე იცვლებიან სქესში, როგორც არსებითი სახელები. თუმცა:

• ნაცვალსახელებში: je, tu, nous, vous ეს ცვლილება მხოლოდ ზედსართავ ატრიბუტთან შეთანხმებისას გამოიხატება, მაგრამ, როცა აღნიშნული პიროვნების ან პიროვნებების ბიოლოგიურ სქესთან გვაქვს საქმე, სქესის მიხედვით ცვლილება არ ხდება:

Je suis heureux. Je suis heureuse.

Vous êtes heureux. Vous êtes heureuses.

• ნაცვალსახელი il მდებარეობით სქესში იღებს ფორმას elle და სქესის არჩევა დამოკიდებულია ან ნაცვალსახელის მიერ გამოხატული პიროვნების ან ცხოველის ბიოლოგიურ სქესზე, ან ამ ნაცვალსახელით წარმოდგენილი არსებითი სახელის გრამატიკულ სქესზე.

IL est heureux. ELLE est heureuse.

IL [le camion] est neuf. ELLE [la voiture] est neuve.

4. რიცხვი პირის ნაცვალსახელში

1. ნაცვალსახელს il (elle) ხაშურლო ენაში მრავლობითის ნიშანი **s** დაერთვის და ვიღებთ ნაცვალსახელის ils (elles) ფორმას. რაც შეეხება სალაპარაკო ენას, ამ შემთხვევაში მრავლობითი მიიღება გადამზით, რაც [z]-ს ნარმოთქმაში გამოიხატება.

IL aime [ilɛm]. ILS aiment [ɛlɛm] ან [izɛm].

je-ს და tu-ს მრავლობითის ფორმები nous და vous შეესაბამება.

2. რიცხვის ცვლილების მნიშვნელობა პირის ნაცვალსახელში უფრო რთულია, ვიდრე არსებით სახელებში:

• ნაცვალსახელს nous მაშინ იყენებენ, როდესაც მოსაუბრე ერთ ან რამდენიმე პიროვნებასთან არის ასოცირებული: nous ე.ი. je და tu; je და il; je, tu და il; je და elle და ა.შ.:

Pierre et moi, NOUS travaillons (mes amis et moi, toi et moi, vous tous et moi, NOUS travaillons)

• vous ნაცვალსახელს იყენებენ, როდესაც თანამოსაუბრე ერთ ან რამდენიმე პიროვნებასთან არის დაკავშირებული;

Pierre et toi, VOUS travaillez. Tes amis et toi, VOUS travaillez.

როდესაც რამდენიმე პიროვნებას მიმართავენ: vous ნიშნავს toi et toi; toi, toi et toi; toi, toi et lui და ა.შ.

Vous tous, VOUS travaillez. Tes amis et toi, VOUS travaillez.

• ils (elles) ნაცვალსახელს იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც სურთ არსებითი სახელის ჯგუფი მრავლობით რიცხვში წარმოადგინონ.

Les enfants jouent, ILS sont joyeux.

(არსებები ან საგნები მიჩნეულია როგორც მსგავსნი).

Nous avons visité les environs: ILS sont très pittoresques.

(მრავლობითი მთლიანობის გარეშე)

ils-ს (და elles-ს) იმ შემთხვევაშიც იყენებენ, როცა უნდა წარმოადგინონ თანხვობილი, ან კავშირის გარეშე თანხვობილი არსებითი სახელის ჯგუფები, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულ სულიერ ან უაულო საგნებს აღნიშნავს:

Le chien et le chat sont couchés. ILS dorment.

როდესაც წარმოდგენილი არსებითი სახელის ჯგუფები განსხვავებული სქესისაა, იყენებენ მრავლობითი რიცხვის მანრობითი სქესის აღმნიშვნელ ნაცვალსახელს ils:

Jean et Françoise se taisent. ILS réfléchissent.

5. პირის ნაცვალსახელის ბრუნვები

ავიღოთ შემდეგი წინადადებები:

Pierre arrive. Tous regardent Pierre. Alain parle à Pierre.

თუ Pierre-ს პირის ნაცვალსახელით შევცვლით, მივიღებთ:

IL arrive. Tous LE regardent. Alain LUI parle.

ამგვარად, სიტყვა Pierre სხვადასხვა წინადადებაში წარმოდგენილია il, le ან lui ნაცვალსახელებით, რადგან მისი სინტაქსური ფუნქცია თითოეულ წინადადებაში განსხვავებულია. ფორმები il, le, lui მხოლოდითი რიცხვის შესამე პირის პირის ნაცვალსახელების სამი ბრუნვაა.

იგივე ხდება მხოლოდითი რიცხვის მდებრობით სქესში: elle, la, lui, მრავლობითი რიცხვის მამრობითში: ils, eux, les, leur, მხოლოდითი რიცხვის პირველი პირისთვის: je, me, moi, და მხოლოდითი რიცხვის მეორე პირისთვის: tu, te, toi.

ნაცვალსახელები le, la, me, te, როდესაც ხმოვნით ან მუნჯი h-ით დაწყებული სიტყვის წინ დგას, იკეცება l', m', t'.

6. ფორმები en და y

შესამე პირის ნაცვალსახელი ასევე en და y ფორმით გვხვდება. en ნაცვალსახელი ექვივალენტურია de წინდებულით შემოტანილი ნაცვალსახელებისა lui, elle, eux, elles, ხოლო y კი მ წინდებულით შემოტანილი იმავე ნაცვალსახელებისა.

▪ დახვეწილ ფრანგულ ენაში, on და y ნაცვალსახელებს უპირატესად უსულო საგანთა წარმოსადგენად იყენებენ, ხოლო სულიერ საგანთა არსებითი სახელებისთვის გამოიყენება ფორმები de lui, d'elle და ა.შ. à lui, à elle და ა.შ.:

Cette affaire me préoccupe: J'EN parle souvent, J'Y pense.

Benoît est absent; je parle souvent DE LUI, je pense A LUI.

თუმცა, სახაუბრო ენაში EN ააევე შეიძლება სულაურს არსებით სახელის წარმოსადგენადაც იქნეს გამოყენებული:

Benoît est absent, J'EN parle souvent.

* EN არ გამოიყენება როგორც არსებითი სახელის ჯგუფის დამატება იმისთვის, რომ გამოხატოს სულიერი ადგანი; ასეთ შემთხვევაში კუთვნილებით მსაზღვრელს იყენებენ:

Paul habite Lyon; connaissez-vous son adresse? და არა: *en connaissez-vous l'adresse?

მაგრამ, იტყვიან:

Ce restaurant est à Lyon: EN connaissez-vous l'adresse? (აქ, en წარმოადგენს ce restaurant-ს, ანუ უსულს საგანს)

* EN არც მაშინ გამოიყენება არსებითი სახელის ჯგუფის დამატება როლში, როცა ის წინადადებაში წინდებულით არის წარმოდგენილი, ასეთ დროს კუთვნილებით მსაზღვრელს იყენებენ:

Cet incident est sérieux: je songe; je songe à SES conséquences და არა: J'EN songe aux conséquences.

მაგრამ: J'EN imagine LES conséquences.

7. უკუქცევითი ფორმა

როდესაც პირის ნაცვალსახელი ცვლის წინადადების ქვემდებარე არსებით სახელს ან არსებითი სახელის ჯგუფს, გამოიყენება განსაკუთრებული, ეგრეთ წოდებული უკუქცევითი ფორმა.

* მესამე პირში, მამრობით ან მდედრობით უკუქცევით ნაცვალსახელს, რომელიც მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში წინდებულის გარეშე გამოიყენება, აქვს განსაკუთრებული ფორმა **SE**, რომელიც ხმოვნის ან მუნჯი ჩ-ის წინ იღებს ელიდირებულ ფორმას **S'**. მესამე პირში, უკუქცევითი ნაცვალსახელს იგივე ფორმა აქვს, რაც დამატება ნაცვალსახელს (*me, te, nous, vous*):

Pierre regarde Pierre dans la glace → Pierre **SE** regarde dans la glace.

• წინდებულის შემდეგ უკუქცევითი ნაცვალსახელი მაშინ იღებს ფორმას **soi**, როდესაც ქვემდებარე მხოლობით რიცხვშია და განუსაზღვრელია, ან როდესაც იგი არ არის გამოხატული:

Chacun travaille pour **SOI**. Il faut penser à **SOI**.

მაგრამ სხვა შემთხვევაში ია იღებს ფორმას **lui**:

Ce garçon pense trop à **LUI**.

8. ნაცვალსახელი **on**

on არის შესაწე პირის ნაცვალსახელი, რომელიც ყოველთვის ადა-
მიანება აღნიშნავს (= სულერთია ვინ, ყველა, ხალხი); ის მხოლოდ
როგორც ქვემდებარე გამოიყენება და მასთან ზმნა ყოველთვის მხო-
ლობით რიცხვში დგას:

Quand **on** veut, **ON** peut.

იშვითად, ფორმა **l'on** დახვეწილი სტილის დროს გამოიყენება,
რათა თავიდან იქნეს აცილებული პიატუსი, მაგალითად **s'il, ou, et** და
სხვ.

Si **L'ON** me demande, prévenez-moi.

9. **nous, vous, on** ნაცვალსახელების გამსაკუთრებული გამოყენება

• საძწწრლო ენაში ზოგჯერ **je** ნაცვალსახელს **nous**-ით ანაცვლებენ,
გამსაკუთრებით მეცნიერული ხასიათის ტექსტებში. ასეთ შემთხ-
ვევაში ნაცვალსახელთა დაკავშირებული ზედსართაეი ან მიმლეო-
ბა ყოველთვის მხოლობით რიცხვშია:

NOUS ne sommes pas **CONVENCU** par une telle argumentation.

tu-ს ნაცვლად **vous** ნაცვალსახელს თანამოსაუბრისადმი არაფა-
მილიარული მიმართვისას იყენებენ (**vous** ზრდილობის ფორმა). ამ
შემთხვევაში, მეორე პირის ნაცვალსახელთან დაკავშირებული ზედ-
სართაეი ან მიმლეობა მხოლობით რიცხვში დგას:

Êtes-**VOUS** prêt? **VOUS** serez **SATISFAITE**.

• ნაცვალსახელმა **on** სტილის შესაბამისად სხვადასხვა ქვემდებარე
პირის ნაცვალსახელი შეიძლება შეცვალოს:

ON fait ce qu'**on** peut (= je).

Alors. ON fait l'intéressant? (= tu, vous).

On სწორად სასაუბრო ენაში გამოიყენება nous ნაცვალსახელის (moi et d'autres) ნაცვლად და ამ შემთხვევაში ზედსართავი ატრიბუტი მრავლობით რიცხვში დაიხმის, შესაბამის სქესში:

ON est arrivés en retard.

10. პირის ნაცვალსახელის მახვილიანი ფორმები

პირის ნაცვალსახელებს აგრეთვე მახვილიანი ფორმები აქვთ: moi, toi, (à, de) lui, eux, nous, vous, რომელიც წინდებულების შემდეგ დგას, ახ ყურადღების გასამახვილებლად გამოიყენება:

Pierre est venu avec lui, avec eux, après toi, avant vous. Moi, je le connais.

ჩვენებითი ნაცვალსახელი

1. ჩვენებითი ნაცვალსახელის ფორმები

ჩვენებითი ნაცვალსახელებია: **ce** (ხშირით დანეჭილი სიტყვის წინ **c'**) და მისი რთული ფორმები, რომელიც მიიღება **ce** ნაცვალსახელზე პირის ნაცვალსახელების **lui, eux, elle, elles** მიმატებით, ან ამ დამატებული პირის ნაცვალსახელებზე **ci** და **là** ელემენტების დართვით:

$ce + lui \rightarrow celui$; $ce + lui + ci \rightarrow celui-ci$.

ce, c'	{ + <i>ci</i> → <i>ceci</i>
	{ + <i>là</i> → <i>cela, ça</i>
$ce + lui \rightarrow celui$	{ + <i>ci</i> → <i>celui-ci</i>
	{ + <i>là</i> → <i>celui-là</i>
$ce + eux \rightarrow ceux$	{ + <i>ci</i> → <i>ceux-ci</i>
	{ + <i>là</i> → <i>ceux-là</i>
$ce + elle \rightarrow celle$	{ + <i>ci</i> → <i>celle-ci</i>
	{ + <i>là</i> → <i>celle-là</i>
$ce + elles \rightarrow celles$	{ + <i>ci</i> → <i>celles-ci</i>
	{ + <i>là</i> → <i>celles-là</i>

N.B. *Cela, ça* ისწერება ბლაკვი მახვილის გარეშე.

2. ნაცვალსახელის **ce (c')** მნიშვნელობა და სინტაქსური ფუნქციონირება

• **ce (c')** უკვე გამოხატული არსებითი სახელის ჯგუფს ან იმ არსებითი სახელის ჯგუფს აღნიშნავს, რომელიც უნდა მოჰყვებოდეს. არსებითი სახელის ეს ჯგუფი შეიძლება მდებარეობით ან მამრობითი სქესის იყოს (**ce**-ს ზოგჯერ „საშუალო სქესის ნაცვალსახელს“ უწოდებენ); ზედსართავი, რომელიც **ce (c')** ნაცვალსახელიან ჯგუფს მიეკუთვნება, მამრობით სქესში დგას.

Mon meilleur ami, C'est vous. C'est ennuyeux, cette affaire.

ნაცვალსახელმა **ce** (ც) აგრეთვე შეიძლება მთელი წინადადება წინადაცვლოს:

J'ai cru que tout s'arrangerait. C'était une erreur.

• **ce** (ც) გამოიყენება:

– ცალკე, როგორც ზმნის être ქვემდებარე (ვანდახან წინ უსწრებს ზმნები **puvoir** ან **devoir**):

CE serait regrettable. CE devrait être vrai;

– ან შეესებულება მიმართებითი ან ირიბი კითხვითი წინადადებით: CE que tu dis est intéressant. Je me demande CE qu'il pense.

3. საქცევი **c'est**

როდესაც ნაცვალსახელი **ce** ზმნასთან être ქმნის საქცევს **c'est** (**c'était**, **ce sera** ა.შ.), რაც წინადადების რომელიმე ელემენტის წარმოდგენას ემსახურება, ის ნაცვალსახელის მნიშვნელობას კარგავს: ზოგჯერ **c'est** საქცევს წარმდგენელსაც უწოდებენ. ის აგრეთვე წინადადების ერთ-ერთი ნევრის გამოკვეთაა, ანუ ემფატიკური წინადადებების შექმნას ემსახურება:

Qui est le responsable? – C'EST moi.

Partir, C'EST mourir un peu.

შენიშვნა: არსებობს სხვა წარმდგენელებიც: **voici**, **voilà**.

Me voici, voilà ton sac. Voici qu'il n'est pas content.

ამ საქცევს მოჰყვება არსებითი სახელის ჯგუფი, ამ წინადადება, რომელიც დამატების როლს ასრულებს.

• როდესაც **C'EST**-ს მოსდევს **que** კავშირით შემოტანილი წინადადება ან არსებითი სახელის ჯგუფი, რომელსაც მიმართებითი წინადადება ახლავს, ის წინადადების ერთ-ერთი ელემენტზე ყურადღების გამახვილებას ემსახურება:

C'EST maintenant qu'il faut agir

(ფორმა ხაზგასმის გარეშე: Il faut agir maintenant)

C'EST notre équipe qui a gagné

(ფორმა ხაზგასმის გარეშე: Notre équipe a gagné)

* სიტყვა, რომელიც *C'est*-ს შემდეგ დგას, შეიძლება იყოს წინდებულ-ლიანი არსებითი: სახელი ან ნაცვალსახელი; აქცენტირება სწორედ ამ სიტყვათა რიგზე ხდება. ამ შემთხვევაში მომდევნო წინადადება უფრო ხშირად შემოტანილია *que* კავშირით, ვიდრე მიმართებითი ნაცვალსახელით და მას წინ იგივე წინდებული უძღვის. უფრო იტყვიან:

C'EST À LUI QUE je veux parler,

ვიდრე: **C'EST À LUI A QUI je veux parler**

(ფორმა ხაზგასმის გარეშე: *Je veux lui parler*).

* ნარმდგებელი *C'est* გამოიყენება მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში, როდესაც მის მიერ შემოტანილი არსებითი სახელი ან ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვეშია. ამბობენ ან:

Ces vaches, C'EST celles du voisin.

C'EST les crédits qui manquent.

ან:

Ces vaches, CE SONT celles du voisin.

CE SONT les crédits qui manquent.

ამ შემთხვევაში, საინერტო ენაში ანჯობინებენ გამოიყენონ მრავლობითი ფორმა **ce sont**.

შენიშვნა: მხოლოდით ფორმას *C'est* ყოველთვის იყენებენ **nous** და **vous**-ს წინ, ასევე მრავლობით რიცხვში მდგარი წინდებულიანი არსებითი სახელის და ნაცვალსახელის წინ:

C'EST NOUS les responsables.

C'EST AUX ENFANTS que je m'adresse.

4. ნაცვალსახელის **celui (ceux, celle, celles)**

გამოყენება

* *celui* შეიძლება მიუთითებდეს (ჩაენაცვლებოდეს) უკვე გამოხატულ ან ჯერ გამოუხატავ არსებით სახელს; როდესაც ის უკვე გამოხატულ არსებით სახელს მიუთითებს, ეს სიტყვა შეიძლება აღნიშნავდეს როგორც სულიერ, ისე უსულო არსებით სახელებს:

Cet homme n'est pas CELUI que je cherche.

Ma voiture est en panne; j'ai emprunté CELLE de mon frère.

celui qui (dont და ა.შ.), როდესაც არც ერთ უკვე გამოხატულ არსებით სახელს არ ნარმოადგენს, ნიშნავს toute personne qui (dont, etc):

CELUI QUI s'arrête à ces détails est un esprit mesquin.

celui-ს ჩვეულებრივ მოძყევა დამატება არსებითი სახელის ჯგუფი, ან მიმართებითი წინადადება:

Le poids spécifique du plomb est plus élevé que CELUI de l'argent.

La meilleure solution est CELLE que vous proposez.

• მიმღეობასთან celui-ს გამოიყენება უფრო ყოველდღიური სასაუბრო ენისთვისაა დამახასიათებელი.

De tous les cadeaux, j'ai préféré CELUI OFFERT par ma mère.

სალიტერატურო ენაში მიმართებითი წინადადება გამოიყენება:

De tous les cadeaux, j'ai préféré CELUI QUI M'A ETE OFFERT par ma mère.

5. ნაცვალსახელების ceci, cela, ça, celui-ci, celui-là გამოყენება

• Ceci, cela, ça მიუთითებს და ჩვენაცვლება უკვე გამოხატულ ან ჯერ გამოუხატავ უსულო სახელებს, სქესის განსხვავების გარეშე (ceci, cela, ça-ს ზოგჯერ "საშუალო სქესის ნაცვალსახელებს" უწოდებენ). ზედსართავები, რომელიც ამ ნაცვალსახელებს მიეკუთვნება, მათ შამრობით: სქესში ეთანხმება:

Je relierai votre proposition: CELA me paraît intéressant.

ceci, cela, ça ხშირად მთელ წინადადებას ჩვენაცვლება.

Le temps s'assombrit. CELA m'inquiète.

ça არის ფორმა, რომლის გამოყენებასაც სამწერლო ენაში ერიდებიან, მაგრამ ყოველდღიურ სასაუბრო ენაში ის ხშირად გვხვდება. იგი ძირითადად ენაცვლება ce (c')-ს და გარდა être-ისა სხვა ზმნებთანაც დაისმის:

C'est prêt. Ça va être prêt.

* ნაცვალსახელები **celui-ci**, **celui-là** იმ არსებითი სახელის ჯგუფებს ჩენაცვლებს, რომლებიც უსულო ან სულიერ ააგანთა სახელებს შეიცავს:

De tous ses enfants, **CELUI-LÀ** est le plus fantaisiste.

Si vous cherchez un livre drôle, je vous conseille **CELUI-CI**.

ნაცვალსახელები **ceci** და **celui-ci** იმ ახლომდებარე სულიერი და უსულო საგნების აღმნიშვნელად გამოიყენება, რომელთა შესახებ ან ეს-ესაა ილაპარაკეს, ანდა სადაცაა ილაპარაკებენ, მაშინაც როცა **cela**, **celui-là** ნაცვალსახელები უფრო იმ დაშორებულ სულიერ ან უსულო საგნებს ენაცვლება, რომელთა შესახებ საუბარი უკვე იყო:

Laissez-donc **CELA**, et prenez plutôt **CECI**.

Remarquez bien **CECI**: tout a été prévu.

Paul et sa sœur sont arrivés, **CELLE-CI** par le train, **CELUI-LÀ** par la route.

მაგრამ ხშირად ამ დამირისპირებას ანგარიშს არ უწევენ და **cela**, **ça**, **celui-là**-ს უბრალოდ იყენებენ ისე, რომ მათი კონკრეტული მნიშვნელობა უგულებელყოფილია.

მიმართებითი ნაცვალსახელი

1. მიმართებითი ნაცვალსახელის სინტაქსი

განვიხილოთ ორი ნინადადება:

Prends ce livre. Ce livre est sur la table.

არსებითი სახელის *ce livre* გამეორების ნაცვლად შესაძლებელია მისი პირის ნაცვალსახელით *il* შეცვლა:

Prends ce livre: il est sur la table.

მას ასევე შეიძლება ჩაენაცვლოს მიმართებითი ნაცვალსახელი *qui*:

Prends ce livre QUI est sur la table.

როდესაც მიმართებითი ნაცვალსახელს *qui* ვიყენებთ, მეორე ნინადადება პირველ ნინადადებას უფრო მჭიდროდ უკავშირდება, ვიდრე მაშინ, როცა მის ადგილას პირის ნაცვალსახელი დგას: *qui est sur la table* არ შეიძლება იყოს განცალკავებული ნინადადება, როგორც მაგალითად, *il est sur la table*, რომელიც შეიძლება კითხვანუკ სახეს წარმოადგენდეს (მაგ: *Où est ce livre?*)

ამბობენ, რომ ნინადადება *qui est sur la table* დამოკიდებულია (დაქვემდებარებულია) ნინადადებაზე *prends ce livre*, მიმართებითი ნაცვალსახელით შეცვლილი არსებითი სახელის ჯგუფს *ce livre* ამ მიმართებითი ნაცვალსახელის ანტიცედეტს (წინმსწრები სიტყვა, ან სიტყვაცაა ჯგუფი) უწოდებენ.

მამასადაამე, მიმართებითი ნაცვალსახელს ორმაგი ფუნქცია აქვს:

– სხვა ნაცვალსახელების მსგავსად, მიმართებითი ნაცვალსახელებიც არსებითი სახელის ჯგუფს ენაცვლება.

– იგი ერთ ნინადადებას უქვემდებარებს მეორეს. დაქვემდებარებულ ნინადადებას „მიმართებითი“ ეწოდება, მეორეს „მთაეარი“, მათი ერთობლიობა კი ერთი გაჯრცობილ ნინადადებას ქმნის.

2. მიმართებითი ნაცვალსახელის ფორმები

მიმართებითი ნაცვალსახელები ორი სახის არსებობს:

• მარტივი: *qui, que, an, qu', quoi, dont, en;*

* როული (შედგენილი) განსაზღვრული არტიკლისგან *le (la, les)* და მსაზღვრელისგან *quel: lequel, laquelle, lesquels, auquel, auxquels, auxquelles, duquel, desquels, desquelles*.

ამ ფორმათაგან ერთის ან მეორის არჩევა მათი მნიშვნელობის მიხედვით არ ხდება. ის ნაკარნახებია ან ანტიცედენტის სქესისა და რიცხვის, ან მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციიდან გამომდინარე, ამიტომ ხშირად მიიჩნევენ, რომ საქმე ეხება არა განახევებულ ნაცვალსახელებს, არამედ ერთი და იმავე ნაცვალსახელის სხვადასხვა ფორმას.

3. სქესი და რიცხვი მიმართებით ნაცვალსახელში

* მარტივი ფორმები სქესსა და რიცხვში უცვლელია. *qui* შეიძლება წარმოადგენდეს *ce livre-ს, cette gravure-ს, ces livres-ს, ces gravures-ს*.

* მიმართებითი ნაცვალსახელების როული ფორმები სქესსა და რიცხვში იცვლება. ამბობენ, რომ შეთანხმება ხდება ანტიცედენტთან, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმართებით ნაცვალსახელს აქვს იმ არსებითი სახელის ჯგუფის რიცხვისა და სქესის ნიშნები, რომელსაც წარმოადგენს:

Prends ce livre SUR LEQUEL (cette gravure SUR LAQUELLE, ces livres SUR LESQUELS, ces gravures SUR LESQUELLES) est posé un coupe-papier.

4. მიმართებითი ნაცვალსახელის ფორმები და ფუნქციები

წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელების სხვადასხვა ფორმას შორის არჩევანი ამ ნაცვალსახელების ფუნქციაზეა დამოკიდებული, ხოლო ხანდახან იმაზე, თუ ანტიცედენტი რომელ კლასს მიეკუთვნება, სულიერი ან თუ უსულოა:

– *qui, que, dont* ნაცვალსახელებმა შეიძლება წარმოადგინოს სულიერი ანტიცედენტიც და და უსულო ანტიცედენტიც.

– *quasi* და *en* მხოლოდ უსულო ანტიცედენტს წარმოადგენს.

* *qui* არის ქვემდებარე, ის სქესსა და რიცხვში არ იცვლება, მაგრამ ზმნა და ზედსართავი ატრიბუტები ერთმანეთს ანტიცედენტის შე-

საბანისად უთანხმდება:

Prends la route QUI est à ta droite.

Relis ces pages QUI sont si intéressantes.

Toi QUI es adroit, essaie donc d'atteindre la balle.

Moi QUI suis si étourdi, je n'ai pourtant pas oublié le rendez-vous.

QUI შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნეს, როგორც წინდებუ-
ლიანი დამატება: *à qui, de qui, pour qui, avec qui* და ა.შ., ოღონდ მხო-
ლოდ ადამიანის გამომხატველი ანტიცეცხელების წარმოსადგენად:

L'employé À QUI je me suis adressé m'a donné tous les renseignements.
მაგრამ ამბობენ: Le bureau AUQUEL je me suis adressé...

რთული ფორმის გამოყენება წინდებულიანი დამატების ამგვარ-
ოდ გამოყენების შემთხვევაში ადამიანის აღმნიშვნელ ანტიცე-
ცხელთანაც შეიძლება:

L'employé AUQUEL, je me suis adressé...

• **QUE** გამოყენება, როგორც დამატება:

La personne QUE je vous envoie est au courant
(je vous envoie une personne).

Montre-moi ces lettres QUE tu as reçues
(tu as reçu ces lettres).

que აგრეთვე იხმარება როგორც ქვემდებარის განსაზღვრება:

L'enfant QUE j'étais a grandi
(j'étais un enfant).

• **dont** იმ არსებითი სახელის ჯგუფის ხარმოსადგენად იხმარება,
რომელსაც წინ უძღვის წინდებული **de** (არსებითი სახელის, ზედ-
ხართავის, ზმნის დანატება):

Il raconta l'histoire DONT il avait été le témoin.
(il avait été le témoin de cette histoire).

C'est un succès DONT il est fier
(il est fier de ce succès).

Faites-nous part des détails DONT vous vous souvenez
(vous vous souvenez de ces détails).

La maladie DONT il est mort paraissait bénigne
(il est mort de cette maladie)

შენიშვნა: dont შეიძლება გამოყენებული იქნეს არსებითი სახელის დამატება ანტიცეფდენტის წარმოსადგენად ამ შემთხვევაში, თუ არსებით სახელს წინ არ უძღვის წინდებული (ისევე, როგორც en პირის ნაცვალსახელთან). ამგვარად, ქვემოთ წარმოადგენილი ორი წინადადებისგან:

Il a entrepris des démarches. On prévoit déjà le succès de ces démarches,

შეიძლება ერთი წინადადება შევადგინოთ:

Il a entrepris des démarches DONT on prévoit déjà le succès.

მაგრამ, არ შეიძლება dont ნაცვალსახელით შემდეგი ორი წინადადების დაკავშირება:

Il a entrepris des démarches. On s'attend déjà au succès de ces démarches.

ამგვარ შემთხვევაში იყენებენ რთულ მიმართებით ნაცვალსახელს, ან აღამიანის წარმოსადგენად de qui-ს:

Il a entrepris des démarches au succès DESQUELLES on s'attend.

* ვაი როგორც წინდებულიანი დამატება იხმარება უსულს არსებითი სახელის ჯგუფის წარმოსადგენად (ძირითადად, ესენია: ce, cela, quelque chose, rien):

C'est CE À QUOI je réfléchissais.

Y a-t-il QUELQUE CHOSE EN QUOI je puisse vous être utile?

Il n'y a RIEN À QUOI je ne sois prêt.

Quoi ხშირად მთლიან წინადადებას წარმოადგენს:

Il exposa rapidement son plan, APRÈS QUOI il se retira.

ამგვარად, იყენებენ: sans quoi, faut de quoi, moyennant quoi, grâce à quoi და ა.შ.

* იმ იხმარება წინდებულიანი ან უწინდებული (sur, dans, en) უსულს არსებითი სახელის ჯგუფის, ადგილის ან დროის გარემოების წარმოსადგენად:

Le village OÙ il s'est retiré est loin de la route nationale

(il s'est retiré dans ce village).

Il faisais très froid la semaine OÙ vous êtes partis
(vous êtes partis cette semaine).

5. მიმართებითი ნაცვალსახელის ადგილი

მიმართებითი ნაცვალსახელი მიმართებითი წინადადების თავში დაისმას მაშინაც კი, როდესაც წინადადებაში შის შიერ წარმოდგენილ არსებითი სახელის ჯგუფს განსხვავებული ადგილი ეკავა:

Montre-moi ce livre. Tu lis CE LIVRE → Montre-moi le livre QUE tu lis.

ამასთანავე, თუ მიმართებით ნაცვალსახელს წინ წინდებული უძღვის, ის შეიძლება წინადადებაში რამდენიმე სიტყვის შემდეგ იქნეს გადატანილი:

J'ai remercié la personne À LA BIENVEILLANTE INTERVENTION DE QUI je dois cette faveur.

6. განუსაზღვრელი მიმართებითი ნაცვალსახელი

• მიმართებითი ნაცვალსახელი ვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ანტიცედენტის გარეშეც. მაშინ ის იმ არსებითი სახელის ჯგუფს ჩაენაცვლება, რომელიც დაუკონკრეტებელ ადამიანს აღნიშნავს:

QUI vivra verra.

Qui vivra ანაცვლებს tout homme, toute personne qui vivra.

დაასლოებით ანავე პირობითი იყენებენ quiconque-საც:

QUICONQUE prétend cela se trompe.

• სხვა რთული ფორმის განუსაზღვრელი მიმართებითი ნაცვალსახელები ჩაენაცვლება როგორც ადამიანის აღნიშვნელ ანტიცედენტს (qui que, cui que ce soit qui [que, dont და ა.შ.]), ისე სხვა არსებითი სახელების აღნიშვნელ ანტიცედენტებს (quasi que, quasi que ce soit qui [que, dont ა.შ.]):

QUI QUE vous soyez, attendez votre tour.

QUOI QUE vous disiez, on ne vous croira pas.

QUI QUE CE SOIT QUI vienne, dites que je suis occupé.

QUOI QUE ce soit qui te tracasse, tout s'arrangera.

კითხვითი ნაცვალსახელი

1. კითხვითი ნაცვალსახელი: როლი და სინტაქსი

* კითხვითი ნაცვალსახელი ცვლის არსებითი სახელის ჯგუფს, რომელიც გამოხატული არ იყო, მაგრამ გამოხატული იქნება დასმული კითხვის პასუხში: მას წინმსწრების როლი აქვს:

QUI a téléphoné ce matin? – Ton frère.

ამ შემთხვევაში qui? შეესაბამება არსებითი სახელის ჯგუფს quelle personne? რომელიც კითხვით მსაზღვრელს შეიცავს.

* კითხვითი ნაცვალსახელი საშუალებას იძლევა კითხვა დაისვას პიროვნების, ცხოველის ან საგნის ვინაობასა ან რაობაზე, რომელიც ისეთი არსებითი სახელით იქნება გამოხატული, რომელიც წინადადებაში გარკვეულ ფუნქციას ასრულებს:

À QUI as-tu donné ce livre? – J'ai donné ce livre à Pierre.

DE QUOI parlez-vous? – Je parle de la situation politique.

QUE voyez-vous? – Je vois un cheval et une charrette.

* ძირითადი წესის მიხედვით, კითხვითი ნაცვალსახელი კითხვითი წინადადების თავში დაისმის მაშინაც კი, როდესაც მის მიერ ჩანაცვლებულ არსებითი სახელის ჯგუფს წინადადებაში სხვა ადგილი უჭირავს.

QUI appelez-vous? – J'appelle Jean.

DE QUI a-t-il suivi l'avis? – Il a suivi l'avis de Jacques.

ამასთანავე, თუ ის წინდებულთ შემოტანილი არსებითი სახელის დამატებაა, შეიძლება ამ წინადადების შიგნითაც შეგვხედეს:

A l'avis DE QUI s'est-il rangé? – Il s'est rangé à l'avis de Laurent.

შენიშვნა: არსებობს აგრეთვე კითხვითი ზმნიზედები:

– ადგილის: OÙ est-il allé?

– მიზეზის: POURQUOI ne parles-tu pas?

– დროის: QUAND est-il parti?

– ვითარების: COMMENT avez-vous joué?

– რაოდენობის: COMBIEN coûte ce tableau?

2. კითხვითი ნაცვალსახელის ფორმები

1. მარტივი ფორმებია qui, que, quai.

* სხვადასხვა გრამატიკულა-ფუნქციის შესასრულებლად qui წინდებულთან უნაინდებულოდ გამოიყენება, რადგან არსებითი სახელის ჯგუფს ენაცვლება, რომელიც ადამიანს აღნიშნავს. ეს ის შემთხვევაა, როცა კითხვის ავტორი წინასწარ ჭკერტს პასუხს, რომელსაც ადამიანის სახელი შემოჰყავს.

QUI frappe à la porte? QUI êtes-vous? À QUI dois-je répondre? DE QUI est-il jaloux? PAR QUI fut-il nommé?

qui თითქმის ყოველთვის მამრობით სუქსსა და მხოლოდით რიცხვშია.

* Que (ან qu' ჩმოყნის წინ) და qu'on სულიერი (არა-ადამიანის) არსებითი სახელების შემცვლელად გამოიყენება.

Que (cu') ნაცვალსახელს არასოდეს უძღვის წინდებულა, მაშინ როდესაც quai წინდებულთან გვხვდება:

QUE se passe-t-il? QUE désirez-vous? QUE coûte ce livre? À QUOI cela peut-il servir? Par QUOI est-il ému? Sur QUOI avez-vous parlé.

Quoi წინდებულის გარეშე მხოლოდ იმ კითხვით წინადადებაში გამოიყენება, რომელშიც ზმნა გამოტოვებულია, ხოლო თუ არის, ინფინიტივში დგას.

QUOI de nouveau? Et QUOI encore?

Je ne sais pas QUOI faire (უფრო ყოველდღიური სასაუბრო ფორმაა, ვიდრე: Je ne sais que faire).

2. არსებობს განსაზღვრული არტიკლისა და კითხვითი ზედსართავისგან quel შემდგარი რთული ფორმების სერია: lequel, laquelle, lesquels, lesquelles ფორმები, აღნიშნული ფორმების მ და de წინდებულებთან კომბინირებით მიიღება:

auquel, à laquelle, duquel, de laquelle, auxquels, desquels და ა.შ.

ეს ფორმები არსებითი სახელის ჯგუფთან ან დამატება ნაცვალსახელთან ერთად გამოიყენება (ხშირად მალაღფარდოვან სტაილში):

LEQUEL d'entre vous désire me parler?

LAQUELLE de ces gravures préfères-tu?

LEQUEL des deux employés vous êtes-vous adressé?

კითხვითა წინადადებაში დამატება შეიძლება გამოტოვებული იყოს, თუკი ის ადრე იყო გამოხატული:

Vous avez deux itinéraires possibles. - LEQUEL me conseillez-vous?

3. კითხვითი ნაცვალსახელის ფორმებს შეიძლება ახლდეს ელემენტი **est-ce qui** (კითხვითი ქვემდებარე) ან **est-ce que** (კითხვითი დამატება):

QUI EST-CE QUI t'a dit cela? QUI EST-CE QUE tu cherches? QU'EST-CE QUE tu dis? À QUOI EST-CE QUE tu penses? LEQUEL EST-CE QUE tu choisis?

qu'est-ce qui ფორმა ერთადერთია, რომლითაც შეიძლება შეიცვალოს სულიერი და არა-აღამიანის სახელით წარმოდგენილი ქვემდებარე:

QU'EST-CE QUI te tracasso?

შენიშვნა: ელემენტი **est-ce que** წარმოდგენილია კითხვით ზმნიზებებთან ერთად (ყოველდღიური სასაუბრო სტილი)

QUAND EST-CE QUE tu partiras?

POURQUOI EST-CE QUE Pierre n'est pas revenu?

COMMENT EST-CE QUE Georges a fait?

4. ირიბი კითხვის დროს კითხვითი ნაცვალსახელის ფორმები ისეთივეა, როგორც პირდაპირი კითხვის დასმისას, **que**-ს გამოკლებით, რომელიც იღებს ფორმას **ce que**; ასევე ფორმების **qu'est-ce qui** და **qu'est-ce que**-ს გარდა, რომლებიც იღებს ფორმებს **ce qui**, **ce que** (იხ. თავი 42).

QUE fais-tu? → Dis-moi, CE QUE tu fais.

QU'EST-CE QUI se passe? → j'ignore CE QUI se passe.

თვისებითი ზედსართავი სახელი

1. თვისებითი ზედსართავი სახელის კლასის განსაზღვრა

1. თვისებითი ზედსართავი სახელი არის არსებითი სახელის ჯგუფის ფაკულტატიური წევრი ან ზმნის ჯგუფის შემადგენელი, სადაც ის ჩვეულებრივ დგას ზმნასთან être (ასევე ზმნებთან sembler, paraître, devenir, rester).

მაშასადამე, არსებითი სახელის ჯგუფს შემდეგი ფორმა აქვს:

მსაზღვრელი + არსებითი სახელი + ზედსართავი: Le chat GRIS ronronne.

ზმნის ჯგუფს კი ასეთი:

être + ზედსართავი: Le chat est GRIS

2. ზედსართავი არის სიტყვა, რომელიც არსებით სახელზე და მოკიდებული სინტაქსურადაც და მნიშვნელობითაც.

* სინტაქსური თვალსაზრისით, თვისებითი ზედსართავი, მართალია შეიძლება შევიდეს არსებითი სახელის ჯგუფში, მაგრამ ვერ შეადგენს მას დამოუკიდებლად ან რომელიმე მსაზღვრელთან ერთად (იხ. პარაფრაზი 6).

განვიხილოთ წინადადება:

Ce chat GRIS ronronne,

ამ წინადადებაიდან შევვიძლია ამოვიღოთ ზედსართავი სახელი gris (Ce chat ronronne), მაგრამ არ შეიძლება სიტყვა chat ჩამოვაციოთ (*ce gris ronronne არ არის სრულყოფილი წინადადება, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევას, როდესაც სიტყვა chat უკვე იყო გამოხატული). Gris არის ზედსართავი, chat არის არსებითი სახელი.

chat-ს შეიძლება სხვა ზედსართავი სახელი დავემატოთ, ისე რომ არსებითი სახელის ჯგუფი არ შეიცვალოს:

Ce PETIT chat GRIS ronronne. Ce JOLI PETIT chat GRIS ronronne.

აღნიშნულ წინადადებაში არსებითი სახელის ჯგუფის მხოლოდ

ორი აუცილებელი სიტყვაა: *ch* და *chat* (მსაზღვრელი და არსებითი აახელი).

ზედსართავებმა არსებითი სახელის სქესისა და რიცხვის მსგავსი სქესის და რიცხვის ნიშნები შეიძლება მიიღონ, მაგრამ სქესისა და რიცხვის არჩევანი იმ არსებითი სახელით არის ნაკარნახები, რომელზეც ზედსართავია დამოკიდებული:

Le PETIT chat ronronne. La PETITE chatte ronronne. Les PETITS chats ronronnent.

გარდა ამისა, სქესში ცვლილება ზედსართავი სახელების ძირითადი ნუსია, მაშინ, როცა ეს არსებით სახელთა მხოლოდ შეზღუდულ რიცხვს ეხება.

* სემანტიკური მნიშვნელობით, თვისებითი ზედსართავი სახელი არსებითი სახელით გამოხატული სულიერი ან უსულო საგნის დამახასიათებელ თვისებაზე მიუთითებს. ეს შეიძლება იყოს: ფერი, ფორმა, არსებობის ყაიდა და ა.შ.

2. თვისებითი ზედსართავი სახელის ფუნქციები

1. როდესაც თვისებითი ზედსართავი სახელი არსებითი სახელის ჯგუფის შემადგენელია, მას წინადადებაში ეპითეტის ფუნქცია ეკისრება. მაგალითად:

Le PETIT chat GRIS ronronne.

ზედსართავები *petit* და *gris*, რომლებიც არსებით სახელზე *chat* არის დამოკიდებული, განეკუთვნება არსებითი სახელის ჯგუფს *le petit chat gris*. ისინი არსებითი სახელის *chat* ეპითეტებია.

2. თვისებითი ზედსართავი სახელი, როცა ის ზმნის ჯგუფს მიეკუთვნება, შეიძლება დამოკიდებული იყოს ან ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფზე ან დამატება არსებითი სახელის ჯგუფზე.

* მაერთებელი ზმნით (*être, sembler, paraître, devenir, rester*, იბ. თავი. 24) შემოტანილი ზედსართავი სახელი დამოკიდებულია ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფზე, როგორც ამას გვიჩვენებს მისი შეთანხმება ამ არსებით სახელთან; ამ დროს, ის ქვემდებარის ატრიბუტია:

Le chat est GRIS. Le chat devient MAIGRE.

Nicole m'a semblé INQUIÉTÉ. Pierre est resté JOUEUR.

* რამდენიმე ზმნასთან, როგორცაა croire, estimer, juger, trouver, rendre, laisser, ზედსართავი სახელი დამოკიდებულია დამატებაზე და მას სქესსა და რიცხვში ეთანხმება. ამ დროს ის დამატების ატრიბუტია:

Je crois (j'estime, je juge) ces précautions INSUFFISANTES. Je trouve votre idée INTÉRESSANTE. Une tache rend ces mots ILLISIBLES. Ne laissez pas les enfants SEULS près de l'étang.

ამ კონსატრუქციაში შესაძლებელია ყნახოთ ორი წინადადების ერთ წინადადებად გარდაქმნის შედეგი (იხ. თავი 42), სადაც გარდაქმნამდე თვისებითი ზედსართავი სახელი იყო მეორე წინადადების ქვემდებარის ატრიბუტი:

Je crois ceci: ces précautions sont insuffisantes

→ Je crois que ces précautions sont insuffisantes

→ Je crois ces précautions insuffisantes.

ზმნებს rendre და laisser ამგვარი გამოყენებისას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც: faire que (quelqu'un, quelque chose) soit..., permettre que (quelqu'un, quelque chose) soit....

Une tache fait que ces mots sont illisibles.

→ Une tache REND ces mots illisibles.

Ne permettez pas que les enfants soient seuls.

→ Ne LAISSER pas les enfants seuls.

შენიშვნა: ბუნებრივია, თვისებითი ზედსართავი სახელს შეუძლია აგრეთვე იყოს დამატება არსებითი სახელის ჯგუფის შემადგენელი ნაწილი, ან ატრიბუტი, რომელიც ზმნის ჯგუფის ნაწილია:

Le jardinier cueille les fruits MÛRS.

La truite est un poisson DÉLICAT.

ისეთი წინადადება, როგორცაა j'ai trouvé ce livre amusant, ორნაირად შეიძლება განიხარტოს იმისდა მიხედვით, ზედსართავი სახელი amusant გამოყენებულია როგორც ეპითეტი, თუ როგორც ატრიბუტი დამატებისა livre. ამ ორი შემთხვევიდან თითოეულში ზმნას trouver განსხვავებული მნიშვნელობა აქვს:

J'ai trouvé (= découvert) ce livre amusant: amusant არის livre-ის ეპითეტი.

J'ai trouvé (= jugé) ce livre amusant: amusant არის livre-ის ატრიბუტი.

3. დავუშვათ, არსებითი სახელის ჯგუფს უმატებენ მიმართებით წინადადება დანართს, ე.ი. ისეთ მიმართებით წინადადებას, რომელიც მნიშვნელოვანი არ არის:

Le chat, qui est satisfait, ronronne.

ზედსართავი satisfait არის მიმართებითი წინადადების ქვეშეუბარის qui ატრიბუტი. შესაძლებელია მიმართებითი ნაცვალსახელის qui და ზმნის être მოშორება და ასეთ შემთხვევაში მივიღებთ:

Le chat, satisfait, ronronne.

ან წინადადების ნევრებისთვის ადგილის შეცვლა:

SATISFAIT, le chat ronronne.

არსებითი სახელისგან ასე მძიმით გამოყოფილი ზედსართავი სახელი satisfait არის ამ არსებითი სახელის დანართი (adjectif apposé).

მაშასადამე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ზედსართავი დანართის კონსტრუქცია წარმოქმნილია მიმართებითი წინადადება დანართისგან, რომელიც თავადაც ანტიცედენტისგან გამოყოფილია მძიმით:

Le chat, [qui est] satisfait, ronronne.

ზედსართავისგან დანართის მისაღებად ხდება მიმართებითი ნაცვალსახელისა და ზმნის être მოშორება.

3. ზედსართავი სახელის მორფოლოგიური კლასები

ზედსართავი სახელის ფორმის მიხედვით შეიძლება მათი რამდენიმე კლასი განვასხვაოთ:

* ფუძისეული (იგივე ვითარებითი) ზედსართავები შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც ეპითეტი, ატრიბუტი ან დანართი:

Il a cassé ce BEAU vase. Ce vase était BEAU.

ამ ზედსართავების უმრავლესობა შეიძლება იყოს გამოყენებული შედარებითი ხარისხის კონსტრუქციებში: plus beau, moins beau,

aussi beau, très beau, le plus beau. ზოგიერთი ზედსართავი, როგორცაა *ainé* - *dernier*, არ ექვემდებარება შედარებას.

• ნარმოებული (იგივე მიმართებით) ზედსართავები შექმნილია არსებითი სახელებისგან:

Les industries DE LA FRANCE – Les industries FRANÇAISES.

ზოგიერთი ნარმოებული ზედსართავი არ შეიძლება იყოს ატრიბუტი, არც შედარებითი ხარისხი აქვს (იხ. თავი 28). ასე მაგ.: *géographique, solaire, circulaire* ა.შ.

• რთული ზედსართავები შედგენილია რამდენიმე ხიტჯვისგან (იხ. თავი 49). ზოგიერთი მათგანი შედგენილია ორი ზედსართავის შეერთებით, სადაც მეორე აზუსტებს პირველს:

Du tissu ROUGE FONCÉ.

შენიშვნა: ფერის აღწინაშემელი რთული ზედსართავი სახელები უცვლელაა. იმ რთულ ზედსართავ სახელებში, რომლებიც შედგენილია *ზმზაზედისა* და ზედსართავი სახელისგან (*court-vêtu*) ან ი-თი დაბოლოებული ფუძისგან და ზედსართავი სახელისგან (*franco-russe*), სქესსა და რიცხვში მხოლოდ ზედსართავი სახელი იცვლება.

ხოლო ორი ზედსართავი სახელით შედგენილ რთულ ზედსართავებში (*aigre-doux*), რიცხვსა და სქესში იცვლება ორივე.

4. ზედსართავი სახელის სექსანტიკური და სინტაქსური კლასები

1. სულიერ და უსულიო არსებით სახელებთან გამოყვებული ზედსართავი სახელი

ზოგიერთი ზედსართავი სახელი მხოლოდ სულიერ სახელებს, განსაკუთრებით, ადამიანის სახელებს შეიძლება დაერთოს. ამგვარად, *pensif* ადამიანთან გამოიყენება:

Georges est PENSIF.

ცხოველებისა და უსულიო არსებით სახელებთან ის შეიძლება შევსხვდეს მხოლოდ როგორც მეტაფორა:

La vache est PENSIF. La fleur est PENSIVE.

არსებობს ზედსართავი სახელები, რომლებიც მხოლოდ უსულო არსებით სახელებთან გამოიყენება:

Une tige LIGNEUSE. Une réaction CHIMIQUE.

ბევრ ზედსართავ სახელს, იმის მიხედვით, უსულო არსებით სახელს განსაზღვრავს თუ სულიერს (ე.ი. პირდაპირი მნიშვნელობითაა გამოყენებული თუ გადატანითი მნიშვნელობით), განსხვავებული მნიშვნელობა აქვს:

Ce lait est TIÈDE. Ce garçon m'a paru bien TIÈDE.

L'herbe est VERTE. Ce vieillard est encore VERT.

2. უცვლელი მდგომარეობის ან დროებითი თვისების გამომხატველი ზედსართავი სახელები

ზოგიერთი ზედსართავი სახელი მუდმივ, ხანგრძლივ მდგომარეობას გამოხატავს:

Pierre est GRAND. La table est BASSE.

ხოლო ზოგიერთი ზედსართავი სახელი იმ თვისებაზე მიუთითებს, რომელიც დროებითია:

Cet homme est IVRE.

3. კონკრეტული და აბსტრაქტული ზედსართავი სახელები

ზოგიერთი ზედსართავი სახელი აღნიშნავს კონკრეტულ თვისებას:

Le bureau est RECTANGULAIRE.

ზოგიერთი ზედსართავი სახელი ზოგად, აბსტრაქტულ თვისებას გამოხატავს:

Pierre est BON, GÉNÉREUX.

4. გარდამავალი და გარდაუვალი ზედსართავი სახელები

ზოგიერთ ზედსართავს, რომელიც გარდამავალია, მოსდევს დამატება:

Pierre est désireux DE BIEN FAIRE. Paul est fier DE SON FILS.

სხვა, გარდაუვალი ზედსართავი სახელები არ იხმარება დამატებასთან ერთად: généreux, aimable, peureux და ა.შ.

შენიშვნა: არსებობს აგრეთვე სხვა სემანტიკური კლასებიც: ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები (blond, rouge, vert ა.შ.), ზომის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები (haut, bas, large, étroit ა.შ.).

ზოგიერთ ზედსართავ სახელს ხანდახან ზმნიშედის მნიშვნელობა აქვს და ზედსართავ სახელად არ გამოიყენება: მაგალითად, un bon monsieur არის კაცი, რომელიც კარგად ცეკვავს და ამა კაცი, რომელიც კეთილია.

5. ზედსართავი ეპითეტის ადგილი

1. ზედსართავი სახელები სან ლექსიკურ ჯგუფად იყოფა არსებითი სახელია ჯგუფში მათი ადგილის მიხედვით:

- ზედსართავი სახელების მკირე ნაწილი ჩვეულებრივ არსებითი სახელის წინ (და მსაზღვრელის შემდეგ) დგას. ამ ზედსართავ სახელებს ზოგადად მხოლოდ ერთი ან ორი მარცვალაი აქვთ: bon, beau, grand, gros, joli, petit და ა.შ.:

Un BON repas. Une GRANDE maison.

- ზოგიერთი ზედსართავი სახელი, ჩვეულებრივ, არსებითი სახელის შემდეგ დგას. ეს ძირითადად ნამყოს მიმღობებისა და შედარებით ნაკლებად -ant-ზე დაბოლოებული ზმნური ზედსართავების შემთხვევაში ხდება:

Un voyageur FATIGUÉ. Un renard APPRIVOISÉ. Un spectateur RAVI.
Un marchand AMBULANT. Un chemin MONTANT.

- ეს არის აგრეთვე შემთხვევა, როცა ზედსართავი აღნიშნავს ფერს, ფორმას, ეროვნებას, რელიგიას და ა.შ.:

Des fleurs ROUGES. Une salle RECTANGULAIRE.

L'armée FRANÇAISE. Le culte CATHOLIQUE.

- ზედსართავი სახელების უმრავლესობა შეიძლება იდგეს ან არსებითი სახელის წინ ან შემდეგ:

- ზოგჯერ, ეს ინვეს მნიშვნელობის მთლიანად შეცვლას (და ასეთ შემთხვევაში ისინი შეიძლება უბრალოდ ომონიმებად მივიჩნიოთ):

Mon CHER ami. Du tissu CHER.

Un BRAVE garçon. Un garçon BRAVE.

Une voiture NOIRE. Un NOIR chagrin;

– ჩვეულებრივ მნიშვნელობის სიტყვების შეცვლა ხდება (როცა ზედსართავი სახელი არსებითის წინ დგას, რაც ხშირი არ არის, ეს ემოციია, ემფატიკურობის გამომხატველია და ხაზს უკვამს ზედსართავი სახელით გამოხატულ მნიშვნელობას). ხანდახან ცვლილება უმნიშვნელოა:

Une aventure EXTRAORDINAIRE. Une EXTRAORDINAIRE aventure.

Une apparition RAPIDE. Une RAPIDE apparition.

2. სინტაქსის თვალსაზრისით:

* ზედსართავი, რომელსაც თავისი დამატება მოჰყვება, ყოველთვის არსებითი სახელის შემდეგ დგას. შევადაროთ:

Un BEL enfant. Un enfant BEAU de visage.

Une GRANDE victoire. Une victoire GRANDE par ses conséquences.

Un LONG récit. Un récit LONG à faire.

* თუ ერთ არსებით სახელს ორი ზედსართავი ეპითეტი ერთვის, აქედან ერთი ჩვეულებრივად მის წინ დგას, მეორე კი შემდეგ და თითოეული თავის კუთვნილ ადგილს ინარჩუნებს:

Une VIEILLE maison DÉLABRÉE. Une BELLE robe BLEUE;

* არსებითი სახელის წინ ან შემდეგ შეიძლება რამდენიმე ზედსართავი იდგეს; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისინი თანწყობილია და მეტყველებისას პაუზითაა გამოყოფილი (წერის დროს კი მძიმით):

Un BON GROS chien. Un métier INTERESSANT et LUCRATIF.

Un tissu SOUPLE, BRILLANT, SOYEUX.

6. არსებითი სახელის როლში გამოყენებული ზედსართავი სახელი

არსებითი სახელის ჯგუფში, სადაც შედის მსაზღვრელი, არსებითი სახელი და ზედსართავი სახელი, ზოგიერთ შემთხვევაში დასამკვირვებია არსებითი სახელის გამოტოვება:

- მაგალითად, როცა არსებითი სახელი უკვე ნახსენებია:

De ces deux cravates, je préfère LA BLEUE.

la bleue არსებითი სახელის ჯგუფს ქმნის, სადაც არსებითი სახელი გამოხატული არ არის: la [cravate] bleue.

- ან ვიდრე, რაოდენაც გამოტოვებული არსებითი სახელი შეიძლება ყოფილიყო ისეთი სიტყვა, როგორიცაა: caractère, chose, objet და ა.შ.

LE BLEU du ciel.

- შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ზედსართავი ნამდვილი უცვლელი არსებითი სახელი ბდება მაშინ, როდესაც ის აღნიშნავს „იმას, რაც არის...“. მაგალითად, LE LAID ნიშნავს „ყველაფერ იმას, რაც მახინჯია“ (= სიმახინჯეს).

7. ვითარების ზმნიზედა

თვისებითი ზედსართავი ეპითეტი არსებითი სახელის ჯგუფს განეკუთვნება. მაგრამ შეიძლება არსებითი სახელის ჯგუფს, რომელიც ზედსართავს შეიცავს, შეუუსაბამოთ ზმნის ჯგუფი, რომელიც შეიცავს თვისებითი ზედსართავისგან ნაწარმოებ ვითარების ზმნიზედას. ეს ზმნიზედა იმ ნიხდებულისაა ჯგუფის ეკვივალენტურია, რომელიც სიტყვებისგან d'une manière და თვისებითი ზედსართავისგან შედგება; ნინადადებაში ის ვითარების გარემოების როლს ასრულებს:

Le train démarre d'une manière douce → Le train démarre DOUCEMENT.

Il conduit de manière prudent → Il conduit PRUDEMMENT.

ზედაარსავების დიდი რაოდენობა შეიძლება ორი წესის მიხედვით გარდაიქმნას ვითარების ზმნიზედად:

- ზედსართავს, ძირითადად კი მის მდებრობითი სქესის ფორმას უმატებენ სუფიქსს -ment:

Sa marche est LENTE → Il marche LENTEMENT.

ზოგიერთ შემთხვევაში, ზედსართავი სახელის ფორმა იცვლება;

მაგალითად, -ant-ზე და -ent-ზე დაბოლოებული ბევრი ზედსართავი სახელისგან ანარმოებენ -amment ან -emment სუფიქსებით დაბოლოებულ ზმნიზედებს:

Son entrée est BRUYANTE → Il entre BRUYAMMENT;

* ზმნიზედად გამოიყენება მამრობითი სქესის მხოლოდით რიცხვში აღებული ზედსართავი სახელი:

Il parle HAUT. Il crie FORT. Ce produit coûte CHER.

როდესაც ერთსა და იმავე ზედსართავ სახელს ორივე ტიპის ზმნი-ზედის წარმოქმნა შეუძლია, ხშირ შემთხვევაში მათ შორის აზრობრივი განსხვავებაა ან გამოყენების პირობებია განსხვავებული:

Approuver HAUTEMENT quelqu'un (= დიდი მონდომებით, თავშეუკავებლად).

Parler HAUT (= ხმამაღლა)

Vendre CHER sa marchandise. Vendre CHÈREMENT sa vie.

1. რა არის ზმნა?

1. ზმნა არის ზმნის ჯგუფის მთავარი შემადგენელი ნაწილი. წინადადებაში ის შემასწავლავს ფუნქციას ასრულებს. ზმნა გამოხატავს პროცესს (მოქმედებას) ან მდგომარეობას.

მაგრამ ის არ არის მოქმედების ან მდგომარეობის გამოხატველი მეტყველების ერთადერთი ნაწილი: იმავე ცნებების გამოხატვა არსებით სახელსაც შეუძლია (noltoyage, nettoyement განმენდის ქმედება; ivresse, მთვრალი ადამიანის მდგომარეობა), ასევე ზედსართავი სახელიც მოუთხოვს ამ ცნებების შეაბამის თვისებებზე (actif, რომელიც მოქმედებს; ivre, რომელიც ხიმთვრალის მდგომარეობაშია). მაშასადამე, ზმნა უფრო მეტად ხასიათდება თავისი სინტაქსური როლით, რომელიც აქვს, როგორც ზმნის ჯგუფის შემადგენელს, ყოფრე თავისი მნიშვნელობით.

2. ზმნა შეიცავს ორი სახის ელემენტს, რომელიც სხვადასხვა კატეგორიაზე მიუთითებს (პროცესის ან მდგომარეობის გამოხატვის ფორმაზე).

* ზმნური დაბოლოებები ზმნის ფუძეზე დართული სუფიქსებია, რომელიც ზმნის კილოს, დროის, პირისა და რიცხვის კატეგორიებზე მიუთითებს. ამგვარად, ზმნურ ფორმაში როგორიცაა *aimerons*, ფუძეზე *aim(e)* დამატებული დაბოლოება *-rons* შემდეგ ინფორმაციას იძლევა:

კილო	დრო	პირი	რიცხვი
(თხრობითი)	(მომავალი)	(პირველი)	(მრავლობითი)

[ბოლო ორი მინიშნება უკვე გამოხატული იყო ქვემდებარე ნაცვალსახელით *nous*].

* დამსმარე ზმნებს განეკუთვნება ზოგიერთი ზმნა, რომელიც გამოყენებულია ან ნამყოს მიმღობასთან (როგორიცაა *avoir, être*) ან ინფინიტივთან (როგორიცაა *faire, devoir, aller* და ა.შ.) გვარის და ასპექტის კატეგორიების აღსანიშნავად (იხ.თავი 25).

ზმნური ფორმები, რომლებიც დამხმარე ზმნას შეიცავს, რთული ფორმებია, ხოლო დანარჩენები – მარტივი ფორმები:

avons vu რთული ფორმა;
verrons არის მარტივი ფორმა.

რთულ ფორმებში მიმღობა (ან ინფინიტივი) სემანტიკურ ინფორმაციას გვანუდის, ხოლო დამხმარე ზმნა ზმნის ჩვეულებრივ სინტაქსურ ნებსებს ემორჩილება.

2. სინტაქსის მიხედვით განსაზღვრული ზმნის ქვეკლასები

ზმნის კლასში რამდენიმე ქვეკლასს აახევევენ. ზმნების კლასებად დაყოფის სხვადასხვა საშუალება არსებობს; ამასთანავე თითოეული ზმნა რამდენიმე ქვეკლასს ეკუთვნის.

1. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები

* თუ ზმნით გამოხატული მოქმედება პირდაპირ ან ირიბ ობიექტზე გადადის, ეს ზმნა გარდამავალია.

ზმნა lire გარდამავალი ზმნაა, რადგან წინადადებაში Mon père lit le journal მას დამატება მოჰყვება (le journal).

* თუ ზმნით გამოხატული მოქმედება არ გადადის არც პირდაპირ და არც ირიბ ობიექტზე, ასეთი ზმნა გარდაუვალია.

ზმნა planer გარდაუვალი ზმნაა, რადგან ისეთ წინადადებაში როგორცაა L'épervier plane dans le ciel, მას არ აქვს და არც შეიძლება სქონდეს დამატება.

* ხშირად გარდამავალ ზმნებს დამატების გარეშე იყენებენ, მაშინ ამბობენ, რომ ისინი აბსოლუტური მნიშვნელობითაა გამოყენებული.

Mon père LIT.

* არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი, ჩვეულებრივ გარდაუვალი ზმნა დამატებასთან ერთად გარდამავალი მნიშვნელობითაა გამოყენებული:

Il A VÉCU une vie heureuse.

Plusieurs chevaux n'ONT pas COURU cette épreuve.

2. პირდაპირ გარდამავალი და ირიბად გარდამავალი ზმნები

იმის მიხედვით, დამატება, ე.ი. არსებითი სახელის უკუფიქსი, რომელიც გარდამავალ ზმნას მოსდევს, წინდებულებით არის გამოყენებული ან უწინდებულოდ, ანაფორებში პირდაპირ გარდამავალ და ირიბად გარდამავალ ზმნებად.

Le chien **SUIT** son maître (suivre, პირდაპირ გარდამავალი ზმნა).

Le chien **OBEÏT** à son maître (obéir [à] ირიბად გარდამავალი ზმნა)

Prendre, écrire, regarder და ა.შ. პირდაპირ გარდამავალი ზმნებია. Nuire (à quelqu'un), flouter (de quelque chose) და ა.შ. არის ირიბად გარდამავალი ზმნები.

შენიშვნა. როცა ერთი და იგივე ზმნა რამდენიმე სახით არის გამოყენებული (პირდაპირ გარდამავალი, ირიბად გარდამავალი, გარდაუვალი) მას ძირითადად განსხვავებული მნიშვნელობები აქვს. შევადაროთ:

Sebastien A USÉ ses chaussures და Sebastien A USÉ d'un stratagème.

Julien COURT და Julien COURT un grand risque.

ხშირად შეიძლება მოიწინიოს, რომ საქმე ეხება ერთი და იმავე ფორმით აღებულ ორ განსხვავებულ, იმონიმ ზმნას.

3. ორი დამატების და ერთი დამატების მქონე ზმნები

გარდამავალი ზმნები შეიძლება ორ ანაღ ქვეკლასად გაიყოს იმის მიხედვით, ზმნის უკუფიქსი ერთადერთ დამატებას ითავსებს, თუ ორ განსხვავებულ დამატებას, პირდაპირს თუ ირიბს, რომელსაც ერთვის à წინდებული (იშვიათად de). ამგვარად, შეიძლება წინადადება: Je suis en train de contempler La MER,

შევაღაროთ წინადადებებს:

Alexandre a prêté SA VOITURE À SON FILS.

Ne mêlez pas MON NOM À CETTE AFFAIRE.

On ne peut pas dissocier CETTE QUESTION DU PROBLÈME GÉNÉRAL.

წინდებულებით შემოტანილ დამატებას მეორე დამატება ეწოდება.

4. მაერთებელი ზმნები

ზოგიერთი ზმნის სინტაქსურ ფუნქციას ზმნის იმ ჯგუფის შექმნა წარმოადგენს, რომელიც ატრიბუტს შეიცავს: ესენია მაერთებელი ზმნები. ძირითადი მაერთებელი ზმნა არის être:

Le ciel EST bleu. Cette plante EST un rhododendron.

დანარჩენი მაერთებელი ზმნები être-ის (ყოფნა) მოდალურ ფორმებად შეიძლება ჩავთვალოთ: devenir (თანდათან გახდომა), rester (ისევ ყოფნა) sembler, paraître (მოჩენებით ყოფნა):

Le ciel DEVIENT (RESTE, SEMBLE, PARAÎT) bleu,

5. დამხმარე ზმნებით avoir და être ნაუღლები ზმნები

ზმნების დიდი უმრავლესობა რთულ ფორმას დამხმარე ზმნის avoir საშუალებით ანარმოებს. რამდენიმე ზმნა, რომელთაგან ყველა გარდაუვალია, რთულ დროებს დამხმარე ზმნა être-ის საშუალებით ანარმოებს:

J'AI compris. Il AVAIT couru. Il EST venu. Il EST parti.

შენიშვნა. ზმნების უმრავლესობა, რომლებიც დამხმარე ზმნით être იუღლება, აღნიშნავს მოძრაობას ან მდგომარეობის ცვლილებას: aller, venir, partir, arriver, entrer, sortir, naître, mourir.

თუმცა ამ ცნებების გამომხატველ მრავალრიცხოვან ზმნათაგან არსებობს ზმნები, რომლებიც დამხმარე ზმნით avoir იუღლება. ასე მაგალითად: suivre, courir, commencer, changer და სხვ.

6. ნაცვალსახელოვანი ზმნა

ზოგიერთი ზმნა, როგორცაა s'évanouir, s'envoler, s'abstenir, se targuer, იხმარება მხოლოდ იმავე პირის ნაცვალსახელთან რომელ პირშიც ქვემდებარე დგას (me, te, se, nous, vous). ისინი რთულ დროებს დამხმარე ზმნით être ანარმოებენ და მათ ნაცვალსახელოვან ზმნებს უწოდებენ:

Il SE DÉMENAÎT comme un beau diable.

Vous VOUS REPENTIREZ de cette décision.

Les oiseaux SE SONT ENVOLÉS. Tu T'ES bien SOIGNÉ.

შენიშვნა. როდესაც არანაცვალსახელოვანი ზმნებს დამატებად იგივე პირის ნაცვალსახელი აქვს, რაც მათ ქვემდებარეს, მათ იგივე სინტაქსური თვისებები გააჩნია, რაც იმ ზმნებს, რომელიც ყოველთვის ნაცვალსახელოვანია, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ნამყოფ მიმღებობის შეთანხმების შემთხვევას (იხ. თავი 25 და 46):

Pierre se regardait dans la glace (← Pierre regardait Pierre).

Vous vous placerez au troisième rang (← Vous placerez vous)

7. უპირო ზმნები

რამდენიმე ზმნა გამოიყენება ან მხოლოდ მესამე პირის მხოლოდით რიცხვში ქვემდებარესთან ილ (რომელიც არც სულიერ არსებას წარმოადგენს და არც უსულს საგანს), ან ინფინიტივში. ასეთ ზმნებს უპირო ზმნებს უწოდებენ:

Il vente. Il neigeait. Il faudra s'en former.

ბევრი პირიანი ზმნა აგრეთვე შეიძლება გამოყენებული იქნეს პირის გარეშე (იხ. თავი 19).

3. სინტაქსის და მნიშვნელობის მიხედვით განსაზღვრული ზმნის ქვეკლასები

ზმნები იყოფა რამდენიმე ქვეკლასად ზმნის ფუნქციის მნიშვნელობისა და ქვემდებარისა და დამატების შესაბამისი სინტაქსის მიხედვით. ზმნის მნიშვნელობა ხშირად მისი ქვემდებარის ან დამატების სემანტიკურ კლასთან არის კავშირში.

1. ქვემდებარის კლასის მიხედვით განსხვავებული ზმნები

• ზოგ ზმნას მხოლოდ სულიერ საგანთა აღმნიშვნელი ქვემდებარე შეესაბამება. მაგალითად: voir, entendre, grogner, dormir, éternuer.

ამ ჯგუფში შეიძლება განვასხვავოთ ის ზმნები, რომლებსაც ადამიანის აღმნიშვნელი ქვემდებარე ერთვის, მაგალითად: inventer, lire, féliciter, questionner, envier, espérer. მხოლოდ ამგვარ ზმნებთან გამოიყენება ევემდებარედ ნაცვალსახელები je, tu, nous, vous.

• სხვა ზმნები ჩვეულებრივ მხოლოდ უსულს საგანთა გამომხატველ ქვემდებარეებს ითავსებს. მაგალითად, ზმნები: résonner, rouiller, étinceler.

* შედარებით ღრმად თუ გავაანალიზებთ, შეიძლება ქვემდებარეთა უფრო ვინრო ქვეკლასები განვასხვავოთ. მაგალითად, ზმნების *ruisseler, clapoter* ქვემდებარეები ჩვეულებრივ სითხეებს აღნიშნავენ, ზმნის *germer* ქვემდებარე მცენარეს აღნიშნავს, ზმნის *tanguer* ქვემდებარე კი აღნიშნავს გემს, მანქანას, ეავონს და ა.შ.

ზოგიერთ შემთხვევაში, გამოსაყენებელი ქვემდებარის რაოდენობა ძალიან მცირეა ან ერთ სიტყვაზე დადის. მაგალითად, ზმნის *suppurer* ქვემდებარე შეიძლება იყო *a* სიტყვა *abcès, blessure, plaie*, ხოლო ზმნის *barrir* ქვემდებარე კი მხოლოდ *éléphant*.

* ხშირია, სტილისტური მოსაზრებით ზმნებთან ისეთი ქვემდებარეების გამოყენება, რომლებიც არ მიეკუთვნება ჩვეულებრივ გამოსაყენებელ ქვემდებარეთა კლასს (მაგ., ცხოველები ასინილირებულია ადამიანებთან ან პირიქით, უსულო საგანი მიჩნეულია სულიერად და ა.შ.)

LA VACHE MÛDITE dans le pré. Laissez BRAIRE LES IMBÉCILES.

LE LAC DORT paisiblement. UNE IDÉE A GERMÉ dans son esprit.

* ხშირად ქვემდებარეების ნორმალური კლასის შეცვლით მიიღება მეტაფორა ან სიმბოლო, როგორც ეს ლაფონტენის იგავებშია, როდესაც ცხოველები ფიქრობენ, ლაბარაკობენ.

* ერთსა და იმავე ზმნას ძალიან განსხვავებული მნიშვნელობა შეიძლება შექონდეს იქედან გამომდინარე, თუ რომელი სემანტიკური კლასის ქვემდებარესთან არის გამოყენებული:

L'ENFANT [სულიერი] JOUE dans sa chambre (თამაშობს = ერთობა).

LA CLEF [უსულო] JOUE dans la serrure (თამაშობს = ყანყილებს).

შინაარსის მიხედვით განსხვავება ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ ერთი და იგივე ზმნური ფორმა ორ ომონიმ ზმნად შეიძლება მივიჩნიოთ.

2. დამატების კლასის მიხედვით განსხვავებული ზმნები

დამატების სემანტიკური კლასი იმავე შენიშვნებს იწვევს, რასაც ქვემდებარის კლასი.

* ზოგი ზმნა მხოლოდ სულიერი არსებითი სახელით გამოხატულ (*apprivoiser, éblouir*) დამატებებს, უფრო მეტიც, ადამიანის აღნიშნ-

ვნელ არაებით საბელეებს ითავსებს (persuader, renseigner) ითავსებს:

La lumière trop vive A ÉBLOUI LE CONDUCTEUR.

* გარკვეული ზმნების ჯგუფი მხოლოდ უსულო საგანთა აღმნიშვნელ დამატებებს (construire, écrire) ითავსებს:

Pierre A ÉCRIT UNE LETTRE à ses parents.

* ზოგიერთი ზმნის დამატება სემანტიკურად მეტად შეზღუდულ სიტყვათა კლასს ეკუთვნის (crepir un mur, une muraille, une maison და ა.შ.), ის შეიძლება ერთი სიტყვაზე იქნეს დაყვანილი (hocher la tête, écarquiller les yeux).

* ისეთი დამატების გამოყენება, რომელიც არ ეკუთვნის ზმნის დამატებების ჩვეულებრივ კლასს, შეესაბამება სტილისტურ მნიშვნელობას. ამჯერად, ზმნის démolir დამატება, ჩვეულებრივ საგნის აღმნიშვნელი სახელია, უფრო ხშირად კონკრეტული; მაგრამ, démolir quelqu'un სასაუბრო ენაში „ვინმეს რეპუტაციის შელახვას“ ან „ვინმეს მორალურად განადგურება“ აღნიშნავს.

* იმავე ზმნის გამოყენება სემანტიკურად განსხვავებული დამატებების, მათ სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას სძენს:

II A CONJURÉ SES AMIS de l'écouter.

Il a réussi à CONJURER LA CRISE.

შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ამ წინადადებებში conjurer ნარმოადგენს ორ ომონიმურ, ანუ შინაარსობრივად განსხვავებულ ზმნას.

4. მნიშვნელობის მიხედვით განსაზღვრული ზმნის ქვეკლასები

ქვემდებარის ან დამატების კლასთან მათი კავშირისგან დამოუკიდებლად, ზმნები შეიძლება დაყოფილი იქნეს ქვეკლასებად, იწის მიხედვით ეს ზმნები მოქმედებას აღნიშნავს თუ მდგომარეობას და ასევე, ამ მდგომარეობისა და მოქმედების ზოგიერთი საერთო მახასიათებლიდან გამომდინარე, თავისი მნიშვნელობით ეს ზმნები ასპექტის მნიშვნელობას გამოხატავენ. (იხ. თავი. 25)

1. ფაქტიური ზმნები

ზოგიერთი ვარდამავალი ზმნა შეიძლება გამოყენებული იქნეს ორი მნიშვნელობით: ერთ შემთხვევაში ზმნა მიუთითებს, რომ ქვემდებარე თავად ასრულებს მოქმედებას, მეორე შემთხვევაში, ამ მოქმედებას სხვას ასრულებინებს. ამ მეორე შემთხვევაში ამბობენ, რომ იაინი გამოყენებულია, როგორც ფაქტიური ზმნები.

ნინადადება:

Le propriétaire a abattu une cloison,

იმასაც შეიძლება ნიშნავდეს, რომ ქვემდებარემ თავად დააგდო ძირს ტიპარი და იმას, რომ მან ის მუშებს დაანგრევინა. ფაქტიური მნიშვნელობის ზმნა შესაძლებელია დამხმარე ზმნით faire შეიცვალოს, რომელსაც ზმნა საწყის ფორმაში მოჰყვება.

სამაგიეროდ, ისეთი ზმნა, როგორიცაა manger, არასოდეს არის ფაქტიური.

2. სრული და უსრული ზმნები

თუ ორ ნინადადებას შევადარებთ:

J'AI TROUVÉ le nom de cette fleur და **J'AI SU le nom de cette fleur**,
დავინახავთ, რომ პირველ ნინადადებაში თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი ზმნიზედა, როგორიცაა alors, autrefois, ან ისეთი, როგორიცაა maintenant, aujourd'hui, მაშინ როცა მეორე ნინადადებაში მხოლოდ ისეთი ზმნიზედის გამოყენებაა შესაძლებელი, როგორიცაა alors, autrefois;

J'AI TROUVÉ ALORS le nom de cette fleur,

J'AI SU AUTREFOIS le nom de cette fleur,

J'AI MAINTENANT TROUVÉ le nom de cette fleur,

მაგრამ არა

***J'AI SU MAINTENANT le nom de cette fleur.**

პირველ ნინადადებაში (სადაც გამოყენებულია j'ai trouvé), ზმნამ რთულ წარსულში შეიძლება უბრალოდ წარსული მოქმედება ან წარსული მოქმედებით გამოწვეული სიტუაცია გამოხატოს, რომელიც ისევე გრძელდება. მეორე ნინადადებაში (სადაც გამოყენებულია j'ai

su), მიზიარებულია, რომ ზმნის შესაბამისი სიტუაცია აქტუალური აღარ არის.

ეს განსხვავება თიაროულ ზმნის სემანტიკურ ბუნებაზე და მოკლებულია.

• ზმნებს, რომელთაც ზმნის trouver მსგავსად, შეუძლიათ როდღ დროში ზმნის დაიროთონ alors ან maintenant, სრული ზმნეები ენოდებათ. მაგალითად, comprendre, finir, partir, arriver და ა.შ.

• ამ ზმნებს, რომელთაც ზმნის savoir მსგავსად, როდღ დროებში ჩვეულებრივ მიოლოდ alors აბლავს (à ce moment-là, un jour, jadis და ა.შ.) აკანარული ზმნეები ენოდება. ასეთებია: posséder, espérer, habiter და ა.შ.

მ. განგრძობითი და მყისიერი ზმნეები

ზოგიერთი ზმნა ისეთ მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავს, რომლებიც გრძელდება: ესენი განგრძობითი ზმნეებია. ხოლო ზმნეები, რომელიც მხოლოდ ნამიერად მომხდარ მოქმედებას გამოხატავს, მყისიერი ზმნეებია. attendre, rester განგრძობითი ზმნეებია, ხოლო explorer, sursauter – მყისიერი ზმნეები.

ზმნების ამ ორ ქვეკლასს იმის მიხედვით განასხვავებენ, თუ რომელ ზმნიზედას ითავსებენ longtemps, longuement, peu à peu, თუ soudain, brusquement.

ამბობენ:

Il resta longtemps assis. Il sursauta soudain.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას:

* Il attendit brusquement. * La bombe explosa peu à peu.

4. მოქმედების ნამომწყები ზმნა

ზოგიერთი ზმნა ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადასვლაზე მიუთითებს. იგი შეიძლება ზმნით devenir და რომელიმე ზედსართავი სახელით ჩავენაცვლოს. ასეთ ზმნის მოქმედების ნამომწყები ზმნა ენოდება:

Il rougit (= il devient rouge)

მოქმედების ნამომწყები ზმნებია: rougir, pâlir, verdir, grandir, se liquéfier და ა.შ.

ზმნის ფორმები და კატეგორიები

1. ზმნის ცვლილებები

ზმნას გაცილებით მეტი ფორმა აქვს, ვიდრე არსებით სახელს, ზედსართავ სახელს ან ნაცვალსახელს.

მაშინ როდესაც წინადადების ზემოთ ჩამოთვლილი წევრების ცვლილება უფრო ხშირად ფუძეზე დაბოლოებების დართვის მეშვეობით გამოიხატება, ზმნის ცვლილებებს იწვევს ან ფუძეზე დართული დაბოლოებები, ან დამხმარე ზმნის გამოყენება.

როდესაც არსებითი სახელის, ზედსართავი სახელის და ნაცვალსახელის ფორმების ცვლა უმთავრესად სქესისა და რიცხვის კატეგორიებს გამოხატავს (და ასევე გარკვეულ შემთხვევაში ნაცვალსახელის პირს, როცა სულიერი არსებითი სახელი ნაცვალსახელით არის წევრილი [იხ. თავი. 18]), ზმნის ცვლილებები გვარს, კილოს, ასპექტს, დროს, პირს და რიცხვს ეხება.

2. გვარი

1. მოქმედებითი და ვნებითი გვარი

1. მორფოლოგია და სინტაქსი

* მოქმედებითი გვარი არის ზმნური ფორმების სერია, რომელიც არ შეიცავს დამხმარე ზმნას être, იმ ზმნების გამოკლებით, რომლებიც მხოლოდ ამ დამხმარე ზმნით იუღლება (aller, partir და ა.შ.):

J'accompagne, tu accompagnais, il accompagnera, nous avons accompagné, vous aurez accompagné, ils eussent accompagné, accompagnant, accompagner

არის მოქმედებითი გვარის ფორმები.

Je suis parti, vous serez partis

ასევე მოქმედებითი გვარის ფორმებია, რადგან *j'ai parti, *vous aurez parti არ არის ფრანგული ენის სწორი ფორმა.

* ვნებითი გვარის მოქმედებითი გვარისგან წარმოებულ ფორმას წარმოადგენს, სადაც აქტიურ წინადადებაში მოქმედების ხაგნია (ან მიზნის) აღწინაველი სიტყვა პასიური წინადადების გრამატიკული ქვეშეობაზე ხდება. ვნებითი გვარი ზმნური ფორმების სერიისა, რომელიც დამხმარე ზმნას être მოითხოვს:

Je suis accompagné [de mes enfants], tu étais accompagné, il sera accompagné, nous avons été accompagnés, vous aurez été accompagnés, étant accompagné, être accompagné

არის ზემოთ მოტანალი აქტიური ფორმების შესაბამისი პასიური ფორმების მაგალითები.

* როდესაც ზმნა ვნებით გვარშია, შესაძლებელია დამხმარე ზმნით avoir (მნიშვნელობის შეცვლით) დამხმარე ზმნის être ჩანაცვლება (ყოველ შემთხვევაში, მისი არარსული ფორმების). ასეთ შემთხვევაში ვიღებთ ზმნის აქტიურ ფორმას ოდონდ გასსხვაებულ დროში:

Je SUIS accompagné → j'AI accompagné.

ეს სურსება საშუალებას გვაძლევს მაშინვე დაგადგინოთ, რომ Je suis venu არ არის პასიური ფორმა, რადგან j'ai venu გამართულ ფრანგულს არ წარმოადგენს.

* უძღუების ცბრილში ვნებით გვარში მყოფი ზმნის დრო (იხ. გვ. 269) იგეგვა, რაც ამ ზმნური ფორმის დამხმარე ზმნა être-ის დრო:

Il SERAIT accompagné

პირობითი კილოს ანმყო დროის პასიური ფორმაა, რადგან serait არის ზმნის être პირობითი კილოს ანმყო დრო.

* მოქმედებით და ვნებით გვარში შეიძლება მხოლოდ პირდაპირი დამატების მქონე გარდამავალი ზმნა იდგეს. (გარდაუვალ ზმნებს და ირიბდამატებიანი გარდამავალი ზმნების უმრავლესობას ვნებითი გვარი არ აქვს). როდესაც მოქმედებითი გვარიდან, რომელიც აღებულია როგორც ძირითადი ფორმა, გადავდივართ ვნებით გვარზე და ძირითად აზრს ეიწარჩუნებთ, შეიმჩნევა ქვეშეობარის უგუფისა და დამატების უგუფის ფუნქციების ცვლილება. მოქმედებითი გვარის პირდაპირი დამატება ვნებითი გვარის ქვეშეობარზე ხდება,

მოქმედებითი გვარის ქვემდებარე კი წინდებულობანი დამატება (par ან de). მას მოქმედ დამატებას უწოდებენ (იხ. თავი. 37):

PIERRE accompagne PAUL.

PAUL est accompagné PAR (DE) PIERRE.

2. სემანტიკა

აქტიური წინადადება, რომელიც ქვემდებარეს და დამატებას შეიცავს, გამოხატავს ამ ქვემდებარითა და დამატებით აღნიშნულ გარკვეულ კავშირს სულიერ და უსულო საგნებს შორის.

როდესაც ამბობენ: Pierre accompagne Paul, გამოხატავენ Pierre-ის გარკვეულ ქცევას (მოქმედი პირი) Paul-ის მიმართ (მოქმედების მიზანი). ხოლო თუ იგივე აზრი გამოხატულია პასიურ წინადადებაში ენებითი გვარის საშუალებით (Paul est accompagné par Pierre), ქვემდებარით ან დამატებით აღნიშნული კავშირი სულიერ და უსულო საგნებს შორის იგივე რჩება, მაგრამ ამ სიტყვებს იგივე გრამატიკული ფუნქცია აღარ აქვთ (იხ. თავი. 37).

მოქმედებითი გვარი იქნება გამოყენებული თუ ენებითი, ეს დამოკიდებულია იმ სიტყვის შერჩევაზე, რომელიც ქვემდებარის როლს ასრულებს იმავე აზრის გამოსახატავად, ე.ი. სიტყვაზე, რომელიც იმ სულიერ ან უსულო საგანს აღნიშნავს, რომლის შესახებაც რაიმეს ამბობენ. ამგვარად, წინა წინადადებაში შეგვიძლია ავირჩიოთ Pierre-ზე ვილაპარაკებთ თუ Paul-ზე.

2. ნაცვალსახელოვანი ფორმა

• ზოგიერთი ზმნა მხოლოდ ნაცვალსახელოვანი ფორმით იხმარება ე.ი. იმავე პირის ნაცვალსახელით, რომელშიც ქვემდებარე დგას. ეს ის ზმნებია, რომელსაც უმთავრესად ნაცვალსახელოვანი ეწოდება. ამ ზმნებისთვის ნაცვალსახელოვანი ფორმა არ ეწინააღმდეგება მოქმედებითი გვარის უღლების ნებს:

Jacqueline S'EST ÉVANOUIE à l'annonce de cette nouvelle.

Pierre S'ABSTIENT de boire du vin.

• ზოგიერთი ზმნა ნაცვალსახელოვან ფორმაში გამოყენებისას იცვლის იმ მნიშვნელობას, რაც მოქმედებითი გვარში აქვს (apercevoir

quelque chose / s'apercevoir de quelque chose) ამ შენთხვევაში ნაცვალსახელოვანი ზმნა შეიძლება ზაითვალოს უმთავრესად ნაცვალსახელოვან ზმნად და შესაბამისი აქტიური ზმნისგან სრულყოფად განსხვავებულია.

* როდესაც პირდაპირ ან ირიბად გარდამავალი ზმნის პირდაპირი ან ირიბი ობიექტი ეს პირის ნაცვალსახელია, რომელიც ქვემდებარის იდენტურ პირს წარმოადგენს, ის ნაცვალსახელოვან უღლებას ექვემდებარება (დამხმარე ზმნით être).

ამ თვალსაზრისით ასხვავებენ:

= უკუქცევით მნიშვნელობას:

Pierre S'EST REGARDÉ dans la glace (← Pierre a regardé Pierre);

– ურთიერთქმედების მნიშვნელობას:

Pierre et Paul SE SONT REGARDÉS (← Pierre a regardé Paul, et Paul a regardé Pierre).

* ზოგჯერ ნაცვალსახელოვანი ფორმა ენებით გვარს უახლოვდება წინადადება:

Ce tissu SE FABRIQUE en Angleterre

მნიშვნელობით და კონსტრუქციით ძალიან ახლოსაა პასიურ წინადადებასთან:

Ce tissu EST FABRIQUÉ en Angleterre.

ეს ორი წინადადება მნიშვნელობით აქტიურ წინადადებაებს შეესაბამება: On FABRIQUE ce tissu en Angleterre, სადაც პირდაპირი დამატების როლში (tissu) წინა ორი წინადადების ქვემდებარეა.

3. კილო

1. ზმნის კილოთა განსხვავებული მნიშვნელობა

ზმნური ფორმები, როგორცაა (vous) savez, (vous) sauriez, (que vous) sachiez, sachez ერთ ზმნას მიეკუთვნება; ისინი ერთსა და იმავე დროში (ანჟყო) და პირშია (მრ. რიცხვის II პირი) და ურომანეთისგან

ნხოლოდ კილოთი ვანსხვავდება (თხრობითი, პირობითი, ბრინანებითი და კავშირებითი).

კილოს ფრანგულ ენაში მრავალი ფუნქცია აქვს:

* კილო ახდენს წინადადების ტიპების შეპირისპირებას (იხ. თავი 3). მტკიცებითი და კითხვითი წინადადებები წარმოდგენილია თხრობით კილოში, ხოლო ბრძანებითი განსაზღვრულია ბრძანებითი კილოთი ან, შესამე პირის შემთხვევაში, კავშირებითი კილოთი:

Pierre EST VENU à la maison. Pierre EST-il VENU?

Pierre, VIENS demain à 5 heures! Que Pierre VIENNE à 5 heures!

* ახდენა მთავარი წინადადებების შეპირისპირებას, სადაც ის დამოკიდებულია წინადადების ტიპზე და დაქვემდებარებული წინადადება ზოგიერთ ფორმაზე, რომლის კილო ან კავშირებითია ან ინფინიტივი:

Je crains qu'il ne VIENNE. Je crains de VENIR.

* ერთმანეთს უპირისპირებს მოსაუბრის მიერ ნამდვილად მიჩნეულ ნათქვამს, რომელიც გათვალისწინებულია და ნათქვამს, რომელსაც თავის თავზე არ იღებენ ან მხოლოდ შესაძლებლად, რეალობისგან დაშორებულად მიიჩნევენ:

Ce SERAIT surprenant (ეს არის უბრალოდ ვარაუდი და ვანსხვავდება ფორმებისგან c'est ან ce sera surprenant).

PUISSIEZ-vous avoir raison! (უბრალო სურვილი).

* ერთმანეთს უპირისპირებს წმინდად ზმნურ ფორმებს და ზმნის სახელობით ან ზედსართავის ფორმებს:

- თხრობითი, პირობითი, ბრძანებითი და კავშირებითი კილოები იცვლება პირსა და დროში, რაც ზმნის კლასს ახასიათებს. მათ პირი-ან კილოებს უწოდებენ (იხ. თავი 47);

- ინფინიტივი არის ზმნის ფორმა, რომელსაც მსაზღვრელის გარეშე აღებული არსებითი სახელის თვისებები აქვს, ხოლო მიმღეობა არის ზმნის ფორმა, რომელსაც ზედსართავი სახელის თვისებები აქვს. მათ უპირო კილოებს უწოდებენ (იხ. თავი 45-46).

2. დამამარე ზმნით გამოხატული კილო

დამამარე ზმნები *devoir* და *pouvoir* ინფინიტის წინ მათი გამოყენების ზოგიერთ შემთხვევაში გამოხატავს აზრს, რომლის მიხედვითაც, მოსაუბრე მის მიერ აღნიშნულ ფაქტს მიიჩნევს მხოლოდ როგორც სავარაუდოს ან შესაძლებელს:

Tu te trompes და Tu DOIS te tromper.

Cela arrivera და Cela PEUT arriver.

4. ასპექტი

ასპექტის კატეგორია გამოიხატავს მოქმედების განვითარების ან შესრულების ვითარებას.

1. სრული და უსრული ასპექტი

მოქმედება შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც განხორციელების პროცესში (დაუსრულებელი ანუ უსრული) ისე დასრულებული ფორმით (უკვე შესრულებული ანუ სრული). ეს დაპირისპირება გამოიხატება როგორც მარტივი (უსრული), ისე რთული (სრული) ფორმებით, დამხმარე ზმნების *avoir* ან *être* საშუალებით:

II LIT (LISAIT, LIRA) le journal: დაუსრულებელი.

II A (AVAIT, AURA) LU le journal: დასრულებული.

2. მოქმედების წამოწყება ზმნა

საწყისი ფორმის (ინფინიტის) წინ დამხმარე ზმნები *commencer à*, *se mettre à* მიუთითებს, რომ მოქმედება ან მდგომარეობა სწყის ეტაპზე. ამის საპირისპიროს აღნიშნავს *finir de*, *cesser de*, რომელსაც ინფინიტის მოხდევს.

II COMMENCE à neiger. II A FINI de pleuvoir.

3. პროგრესირებადი მოქმედების გამოხატვა

დამხმარე გამოთქმა *être en train de* ინფინიტის წინ მიუთითებს, რომ მოქმედება ან მდგომარეობა შესრულების მომენტშია.

II EST EN TRAIN de lire dans son bureau.

4. უახლოესი მომავალი და წარსული დროების გამოხატვა

დამხმარე ზმნა **aller** ინფინიტივის წინ მიუთითებს, რომ მოქმედება უახლოეს მომავალში მოხდება. გამოთქმა **être sur le point de** იმავე მნიშვნელობით გამოიყენება. დამხმარე ზმნა **venir de** ინფინიტივის წინ უახლოეს წარსულს გამოხატავს:

La pièce VA commencer – სადაცაა დაიწყება.

La séance VIENT DE s'achever – ეს-ესაა დამთავრდა.

შენიშვნა. ამ დამხმარე ზმნების გამოყენება ზოგიერთ დროში შეზღუდულია; ასე მაგალითად, **aller** უახლოესი მომავლის (**futur immédiat**) დამხმარე ზმნაა და გამოიყენება მხოლოდ აწმყო დროის თხრობით კილოსა და დაუსრულებელ წარსულ დროში (**l'imparfait de l'indicatif**), ხოლო ზმნისთვის **venir de**, რომელიც უახლოესი წარსულის (**passé immédiat**) დამხმარე ზმნაა, როგორც წესი, გამოიყენება წარსულის ერთადერთი დრო – უსრული წარსული (**imparfait**):

*Je suis venu de chercher le journal არასწორი წინადადებაა;

Je venais de rencontrer Pierre არის სწორი წინადადება.

5. დრო

ზმნური ფორმები როგორცაა **je viens, je venais, je viendrai, j'étais venu** ეკუთვნის ერთსა და იმავე ზმნას (**venir**), ერთსა და იმავე კილოს (თხრობით) და არის ერთსა და იმავე პირში (მხ. რიცხვის პირველ პირში). ეს ზმნები ერთმანეთისგან მხოლოდ დროის განსხვავდება (აწმყო, უსრული წარსული, მომავალი, წამყო წინარე წარსული).

ზმნის დრო გამოხატავს რეალური დროის მიმართებებს, რასაც, როგორც უკვე ვნახეთ, შეიძლება ასპექტის მნიშვნელობები დაემატოს. მაგრამ ზმნით გამოხატული მოქმედება ან მდგომარეობა შეიძლება ვითარდებოდეს დროის განსხვავებული ორიენტირების შესაბამისად.

1. მიმართებითი და აბსოლუტური დროები

როდესაც ამბობენ:

Son arrivée me SURPRIT, et pourtant, il m'AVAIT PRÉVENU,

ორ ზმნას იუენებენ, პირველს მარტივ წარსულში (passé simple), მეორეს ხაშიკონინარე წარსულში (plus-que-parfait), მარტივი წარსული (suspense) მოქმედებას ათავსებს წარსულში ლაპარაკის მომენტთან, წინადადების წარმოთქმის მომენტთან (თხრობის პროცესი) მომართებაში. ამბობენ, რომ ეს არის აბსოლუტური დრო.

მამყოწინარე წარსული (avait prévenu) მოქმედებას ათავსებს წარსულში ერთდროულად ლაპარაკის მომენტთან მიმართებაშიც და იმ მომენტთან მიმართებაშიც, რომელსაც ზმნა surprit აღნიშნავს (ნათქვამში). ამბობენ, რომ ეს არის მიმართებითი დრო.

2. ზმნის დროის ფორმები

თითოეულ კილას რანდებიმე დრო აქვს, მათგან ყველაზე მდიდარი ცხრობითი კილოა.

* ამჟყო დრო სხვა დროებისგან იმით განსხვავდება, რომ მას დროის დაბოლოებები არ გააწნა (მხოლოდ პირის გამოხატველი დაბოლოებები აქვს): ამბობენ, რომ ეს არის დროში გამოუხატავი ზმნის ფორმა.

ის გამოიყენება:

ან აწმყოში გამოხატული აზრის გადმოსაცემად:

Le temps EST beau aujourd'hui.

ან სულ სხვა დროში გამოხატული აზრის გადმოსაცემად:

J'ARRIVE dans une heure (მომავალი)

J'ARRIVE à l'instant de Paris (წარსული)

ან საერთოდ არ აქვს დრო (მაგალითად, ანდაზები):

Pierre qui ROULE n'AMASSE pas mousse.

* -ais, -ait, -aient დაბოლოებების მქონე ფორმა, ანუ წარსული უსრული დრო, აღნიშნავს წარსულში მომხდარ მოვლენას გადმოცემულ აზრთან შესაბამისობაში. ის პრინციპში ხანგრძლივობას ან განმეორებას გამოხატავს.

Hier, il NEIGEAIT. Il se LEVAIT chaque jour à 6 heures.

* -r-იანი ფორმები აქვს მომავალ დროს (-ra, -rai, -ras და ა.შ) ან მომავალ დროს წარსულში (-rait, -rais და ა.შ.).

მომავალი დრო გამოხატავს თხრობია მომენტთან დაკავშირებულ მომავალ მოქმედებას:

Pierre vous ACCOMPAGNERA à la gare.

წარსულში გამოხატული მომავალი დრო წარსულში ნათქვამთან დაკავშირებულ მოქმედებას აღნიშნავს; შესაბამისაა ეს მიმართულებითი დროა:

Pierre a dit qu'il vous ACCOMPAGNERAIT (= Pierre a dit: „Jo l'accompagnerai“)

შენიშვნა: მომავალი დრო წარსულში თხრობით კილოს ნიუკლუტენება და მისი ფორმები პირობითი კილოს ანმყო დროის იდენტურია.

* -a, -it, -ut- ზე დაბოლოებული ფორმები და სხვ. (chanta, fini, but და ა.შ) მარტივი წარსულის (passe simple) ფორმებია და მოვლენას წარსულში გამოხატავს, თუ ეს თხრობაა და ის არ აღნიშნავს ზანგრძლივობას:

Louis XIV RÉGNA en monarque absolu.

* იმ ფორმებში, რომლებიც შეიცავს დამხმარე ზმნებს avoir ან être, რაც რთულ ფორმებს წარმოადგენს, დროის აღმნიშვნელი დაბოლოება დამხმარე ზმნაშია გამოხატული. ეს ფორმები მიმართებითი დროებია, რომელიც ასპექტის მნიშვნელობებს გამოხატავს.

ნამყო წარსული: j'ai pris

ნამყო წინარე წარსული: j'avais pris

წინარე წარსული: j'eus pris

უწინარესი მომავალი: j'aurai pris

უწინარესი მომავალი წარსულში: j'aurais pris

შენიშვნა: ნამყო წარსული ერთდროულად არასრული და აბსოლუტური დროა, რომელიც გამოხატავს ანმყოს ან წარსულის სრულ ასპექტს:

J'ai compris (ახლა): შედეგი ანმყოშია.

J'ai compris (იმ დღეს): წარსული მოქმედება.

სწორედ წარსულში დასრულებული მოქმედების მნიშვნელობის გამო ცვლის ზეპირმეტყველებაში ნამყო წარსული მარტივ წარსულს.

6. პირი და რიცხვი

პირისა და რიცხვის კატეგორიები არსებითი სახელის ან ნაცვალ-სახელის ჯგუფს განეკუთვნება, მაგრამ ისინი ასევე ზმნაშიც ჩნდება ზმნის ქვემდებარესთან შეთანხმების შედეგად და გამოიხატება დაბოლოებებით, თუმცა ეს განსხვავებული ფორმით ხდება სამწერლო ენასა და სასაუბრო ენაში. განმასხვავებელი ნიშნები უფრო მრავლადაა სამწერლო ენაში; სასაუბრო ენაში არც ერთი დრო არ არის წარმოდგენილი ექვსი განსხვავებული ფორმით სამი პირის ორივე სერიაში (მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვები).

j'aime	[ɛm]	je finis	[fini]	je vois	[vwa]
tu aimes	[ɛm]	tu finis	[fini]	tu vois	[vwa]
il aime	[ɛm]	il finit	[fini]	il voit	[vwa]
nous a. nous	[em]	nous finissons	[finis]	nous voyons	[vwaɪ]
vous aimez	[em]	vous finissez	[finis]	vous voyez	[vwa je]
ils aiment	[em]	ils finissent	[finis]	ils voient	[vwa]

ზმნის დროისა და ფორმების მიხედვით, ერასა და იმავე პირს შეიძლება განსხვავებული დაბოლოებები ჰქონდეს. ამგვარად, მრავლობითი პირეული და მეორე პირის დაბოლოებები სამწერლო ენაში შეიძლება იყოს: (ven)-ons, (vi)-mes, (ven)-ez, (vi)-tes.

2. უღლებების ტიპები სამხერლო ენაში

დადგენილია სამი ტიპის უღლება:

* -er-ზე დაბოლოებული ზმნების უღლება:

- მომავალი დრო -era chantera

- მარტივი წარსული -a chanta

- კავშირებითი კილოს ანმყო, რომელიც

თხრობითი კილოს ანმყო დროის

მხოლოდითი რიცხვის იდენტურია. charite

- ნამყოს მიმღეობა -é chanté

ზოგიერთი ზმნა, რომელთაც დაბოლოებების ერთნაირი სისტემა აქვს, ამ მოდელს შორდება ფუძის სხვადასხვაგვარი ცვლილების გამო:

- ზმნები, დაბოლოებული: -cer, -gar, -ayer, -uyer, -oyer, -eler, -eter

- ზმნა envoyer.

ზმნას aller, გარდა იმისა, რომ მისი ფუძე სრულიად იცვლება, კავშირებითი კილოს ანმყო დროც განსხვავებული აქვს თხრობითი კილოს ანმყო დროსგან;

* -ir-ზე დაბოლოებული ზმნების უღლება, რომელთაც ფუძე ეცვლება (finir- / finisse-), ხასიათდება შემდეგნაირად:

- მომავალი დრო -ra finira

- მარტივი წარსული -it finit

- ნამყოს მიმღეობა -í fini

ამ მოდელისგან განსხვავებული ზმნების რაოდენობა მცირეა (hair, bénir).

* -ir-ზე დაბოლოებული ზმნების უღლება (-iss-ის დამატების გარეშე), -oir-ზე და -re-ზე დაბოლოებული ზმნების უღლება.

ეს ზმნები დაყოფილია მცირე ქვეჯგუფებად. მათ ფუძე და დაბოლოებები მნიშვნელოვნად ეცვლება. ამ ტიპის უღლებას „უნესო“ ეწოდება, რადგან ეს უღლება შეიცავს პატარა ნესიერი უღლებების მნიშვნელოვან რაოდენობას.

3. უღლების ტიპები სასაუბრო ენაში

ამ უღლების ტიპების დადგენას ენის ფონეტიკური ტრანსკრიფციის ფორმებიდან იწყებენ. ამგვარად:

Il chante,	il chantait,	il chantera,	qu'il chante,
[ʃɑ̃t]	[ʃɑ̃tɛ]	[ʃɑ̃tra]	[ʃɑ̃t]
Il finit,	il finissait,	il finira,	qu'il finisse,
[fini]	[finisɛ]	[finira]	[finis]
Il ment,	il mentait,	il mentira,	qu'il mente,
[mɑ̃]	[mɑ̃tɛ]	[mɑ̃tira]	[mɑ̃t]
Il veut,	il voulait,	il voudra,	qu'il veuille
[vø]	[vulɛ]	[vudra]	[vøʝ]

აქ არ მიგვითითებია მარტივი წარსული, რომელიც სასაუბრო ენაში არ გამოიყენება. რაც შეეხება ინფინიტივს და მიმღობას, რომლებიც არ არის ზმნის ფორმები როგორც ასეთი, შეტანილია არსებითი სახელისა და ზედსართავი სახელის კლასში. ზმნის ფორმების ერთობლიობაში ფუძის ფორმების რაოდენობის მიხედვით, ახსეავე ბენ ერთ-, ორ-, სამ- ან ოთხფუძიან უღლებას.

* ზმნები ფუძის ერთი ფორმით:

Il chante,	il chantait,	il chantera,	qu'il chante.
[ʃɑ̃t]	[ʃɑ̃tɛ]	[ʃɑ̃tra]	[ʃɑ̃t]

* ზმნები ფუძის ორი ფორმით:

Il fini,	il finissait,	il finira,	qu'il finisse.
[fini]	[finisɛ]	[finira]	[finis]

* ზმნები ფუძის სამი ფორმით:

Il boit,	il buvait,	il boira,	qu'il boive.
[vwa]	[byvɛ]	[bwara]	[bwav]

* ზმნები ფუძის ოთხი ფორმით:

Il vient,	il venait,	il viendra,	qu'il vienne.
[viɛ̃]	[vens]	[vjɛ̃ndra]	[vjɛ̃n]

* ფუძის ოთხზე მეტი ფორმის მქონე ზმნები განსაკუთრებული შემთხვევებია (faire, avoir, être):

Il est,	il était,	il sera,	qu'il soit,	nous sommes,	vous êtes,	ils sont.
[ɛ]	[etɛ]	[sɛra]	[swa]	[som]	[ɛt]	[sɔ̃]

უღლების ცხრილები (წერილობითი და სასაუბრო ფორმები) მოცემულია გვ. 269 და მმდ.

1. ზმნიზედის კლასები

ზმნიზედას იმ უცვლელ სიტყვას უწოდებენ, რომელიც სხვადასხვა სინტაქსურ როლს ასრულებს წინადადებაში და შეესაბამება წინდებულიან ჯგუფს, წინადადებას ან შეერთებულ კავშირს.

ამგვარად, შეიძლება ერთმანეთისგან განვასხვაოთ:

- ვითარების, ადგილის და დროის ზმნიზედები;
- რაოდენობისა და უარყოფის ზმნიზედები;
- აზრის გამოჩატველი და მოდალური ზმნიზედები;
- კავშირისა და თანწყობის ზმნიზედები.

2. ვითარების, ადგილის და დროის ზმნიზედები

ამ კლასში ის ზმნიზედები ერთიანდება, რომლებიც წინდებულიანი ჯგუფების, ვითარების, ადგილის და დროის დამატების როლს ასრულებს. ამგვარად, წინადადება:

Pierre conduit sa voiture PRUDAMMENT

შესაბამება წინადადებას:

Pierre conduit sa voiture DE MANIÈRE PRUDENTE, ან AVEC PRUDENCE.

Pierre habite ICI

იგივეა, რაც:

Pierre habite DANS CETTE MAISON.

Pierre viendra DEMAIN

იგივეა, რაც:

Pierre viendra DANS QUELQUES HEURES.

* ვითარების ზმნიზედებს მჭიდრო შორდოლოგიური კავშირი აქვთ ზედსართავ საბელებთან (იხ. თავი 23) და ბუნებრივია, ამ ზედსართავებისგან წარმოებულ არსებით სახელებთან:

ardent, ardemment, ardeur;

pauvre, pauvrement, pauvreté.

ამგვარი კავშირი შეიძლება მსგავს ფორმამდე მივიღეს:
(chanter) juste და (une note) juste.

- * ზოგიერთ ადგილის ზმნიზედას მჭიდრო მორფოლოგიური კავშირი აქვს იმ წინდებულებთან, რომელთაც ის ჯგუფები შემოჰყავთ, ეს ზმნიზედები რომ ჩაენაცვლება (მსგავსება ან იდენტური ფორმა):

Il marche DEVANT moi. Il marche DEVANT.

Le livre est SUR la table. Le livre est DESSUS.

- სხვა ზმნიზედები კი კავშირში არიან ჩვენებისნაცვალსახელებთან:

Ce livre -CI. – Ce livre est ICI.

Ce livre-LÀ. – Ce livre est LÀ.

- * ზოგიერთი ვითარების, ადგილის, დროის ზმნიზედაშიცავეს კიონხვას ან ნამოძახილს. ისინი იმ გარემოებებს ჩაენაცვლება, რომელზეც კიონხვა ან ნამოძახილი დაიხმის:

DE QUELLE MANIÈRE s'y est-il pris? → COMMENT s'y est-il pris?

DE QUEL CÔTÉ est-il parti? → OÙ est-il parti?

QUEL JOUR viendrez-vous? → QUAND viendrez-vous?

3. რაოდენობის და უარყოფის ზმნიზედები

- * რაოდენობის ზმნიზედები (très, beaucoup, peu, autant, moins, plus და ა.შ.) არსებითი სახელის ან ზმნის ჯგუფში მოდიფიკატორის როლს ასრულებს, მათ მართლაც შეუძლია:

– შეასრულოს არსებითი სახელის მსაზღვრელის როლი de წინდებულთან ერთად:

BEAUCOUP DE coureurs ont abandonné;

- გამოხატოს ზედსართავის, ზმნიზედის ან ზმნის განსაკუთრებული ინტენსივობა (იხ. თავი. 28)

Il est TRÈS heureux. Il est TROP tard. Pierre travaille PEU.

• უარყოფითი ზმნიზედა შეიძლება დაუკავშირდეს რაოდენობის ზმნიზედას ომისთვის, რომ ნულთან ან ანუ ნულთან რაოდენობა გამოხატოს. ჩვეულებრივ, ეს ერთობლიობა ორი ელემენტისგან შედგება: NE და ღრობის ან რაოდენობის გამომხატველი დაშატებიანი ელემენტი (ზმნიზედა, ნაცვალსახელი, მსაზღვრელი): pas (ლიტერატურულად point), guère, plus, jamais; personne, rien; aucun, nul. Ne ... que შემზღუდაე უარყოფას გამოხატავს (იხ. აგრეთვე თავი 36);

|| NE vous reste QUE cinq minutes.

4. აზრის გამომხატველი და მოდალური ზმნიზედები

• ზმნიზედები oui, si, non, მთელი წინადადების როლს ასრულებს, კერძოდ კი ვითხვანუ მასუხგაცემულ წინადადებაში.

Êtes-vous prêt? – OUI. (oui ნიშნავს je suis prêt.)

Avez-vous faim? – NON. (non ნიშნავს je n'ai pas faim.)

Je m'adresse à toi, NON à lui. (non à lui ნიშნავს je ne m'adresse pas à lui.)

Tu ne me reconnais pas? – SI. (si ნიშნავს je te reconnais.)

შენიშვნა: si მხოლოდ უარყოფითი კითხვის საპასუხოდ გამოიყენება.

• ზოგიერთი ზმნიზედა, როგორცაა peut-être, vraisemblablement, assurément და სხვ. წინადადებაში მოდალური ზმნიზედის როლს ასრულებს. ისინი მოსაუბრის დამოკიდებულებას გამოხატავს საკუთარ აზრზე. ეს შეიძლება იყოს:

– ან თავშეკავება:

Je viendrai PROBABLEMENT demain.

Vous vous êtes PEUT-ÊTRE trompé;

– ან დაჟინება ნათქვამის სისწორეზე:

Ces calculs sont CERTAINEMENT exacts.

ამ ზმნიზედებს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც შემდეგ წინადადებებს: je le suppose, j'en suis convaincu და ა.შ.

5. კავშირის ან თანწყობის ზმნიზედა

ზოგიერთი ზმნიზედა, როგორცაა *ensuite, puis, ainsi, en effet, aussi*, მკერთებელი კავშირების მსგავსად, გამოხატავს რამდენიმე წინადადებას შორის კავშირს. ეს კავშირი არის დროებითი ან ლოგიკური (იხ. თავი 30). ისინი იმ წინადადების თავში დაისმის, რომელსაც წინაწინადადებასთან აკავშირებს, თუმცა აუცილებელი არ არის წინადადება ამ ზმნიზედებით იწყებოდეს.

Vous irez jusqu'au carrefour, PUIS vous tournerez à droite.

Il a fallu renoncer à cet achat: les crédits étaient EN EFFET insuffisants.

6. ზმნიზედური გამოთქმა

არსებობს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სიტყვათა ჯგუფების ძალიან დიდი რაოდენობა, რომელიც ზუსტად ისე ფუნქციონირება, როგორც მარტივი ზმნიზედები: ესენი ზმნიზედური გამოთქმებია:

Il est arrivé À L'IMPROVISTE (= უცებ)

Il parle À TORT ET À TRAVERS (= ნაჩქარევად, გაუაზრებლად)

ეს გამოთქმები უცვლელი წინდებულებანი ჯგუფებია, რომელიც უფრო ხშირად წინდებულებს *de* და *à* შეიცავს და ხანდახან მორფოლოგიურ თავისებურებებს წარმოაჩენს. ამგვარად, არსებობს ისეთი ზმნიზედური გამოთქმები, როგორცაა:

à la milanaise, à la hussarde, à l'anglaise (filer) და სხვ.

à croupetons, à chevauchons, à califourchon და სხვ.

რაოდენობის, შედარების და აღმატების გამომხატველი ზმნიზედები

1. რაოდენობის ზმნიზედის სინტაქსური და სემანტიკური როლი

რაოდენობის ზმნიზედა არის მოდიფიკატორი (მოდიფიკაციის ნიშნად შეუძლია) და სინტაქსურად იმ სიტყვაზეა დამოკიდებული, რომელსაც ცვლის. რაოდენობის ზმნიზედა შედის არსებითი სახელის ან ზმნის ჯგუფებში, რათა ზმნის, ზმნიზედის, ზედსართავის ან არსებითი სახელის რაოდენობასა თუ ინტენსივობაში ცვლილება გამოხატოს.

- ზმნიზედა არის ზმნის მოდიფიკატორი (ზმნის ჯგუფში).
წინადადებაში:

Mon correspondant tarde TROP à me répondre

ზმნიზედა trop ვადაძეგების ცნებას უმატებს ზმნის tarder.

- ზმნიზედა ახდენს მეორე ზმნიზედის მოდიფიკაციას (ზმნის ან არსებითი სახელის ჯგუფში).

წინადადებაში:

Vous travaillez TROP lentement,

Vous êtes allé TROP loin,

Cet enfant se couche TROP tard,

ზმნიზედა trop იმავე ვადაძეგების ცნებას უმატებს ზმნის ჯგუფში შემავალ ზმნიზედებს lentement (ვითარების ზმნიზედა), loin (ადგილის ზმნიზედა), tard (დროის ზმნიზედა).

წინადადებაში:

Cet enfant dort TROP peu,

Ce renseignement TROP peu précis n'a servi à rien,

ზმნიზედა trop ვადაძეგების ცნებას უმატებს რაოდენობის ზმნიზედას peu, რომელიც ხან ზმნის ჯგუფს, ხან არსებითი სახელის ჯგუფს ეკუთვნის.

• ზმნიზედა არის ზედსართავი სახელის მოდიფიკატორი (ზმნის ან არსებითი სახელის ჯგუფში).

წინადადებაში:

Ces paquets sont TROP lourds.

Les paquets TROP lourds ne sont pas acceptés.

ზმნიზედა trop ერთგვარად ცვლის ზედსართავ სახელს lourds, რომელიც ზოგჯერ ზმნის ჯგუფს ეკუთვნის, ზოგჯერ კი არსებით სახელის ჯგუფს.

• ზმნიზედა არის არსებითი სახელის მოდიფიკატორი (ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფი ან ზმნის ჯგუფი). რაოდენობის ზმნიზედას წინდებულთან de შეუძლია შექმნას ჯგუფი, რომელიც მსაზღვრელის როლს ასრულებს (რიცხვითი მსაზღვრელი, განუსაზღვრელი მსაზღვრელი, ნაწილობითი ან განუსაზღვრელი არტიკლი).

წინადადებაში:

TROP D'automobilistes sont imprudents,

trop de იმავე როლს თამაშობს, რასაც mille, certains, des.

შენიშვნა: ამ შემთხვევაში, შეიძლება აგრეთვე რაოდენობის ზმნიზედა მივიჩნიოთ არსებით სახელის ჯგუფად, რომელსაც დამატება მოსდევს:

TROP D'automobilistes იგივეა, რაც: Un nombre excessif d'automobilistes.

ასევე: Il mange PEU DE viande იგივეა, რაც: Il mange une petite quantité de viande.

2. რაოდენობის ზმნიზედის ფორმები

ზემოთ მოტანილ მაგალითებში მხოლოდ ზმნიზედები trop და peu გამოვიყენეთ, რომელთა ხმარებაც ყველა აღნიშნულ შემთხვევაშია შესაძლებელი. იგივე ხდება ზმნიზედების plus, moins და assez გამოყენებისას.

ზმნიზედების სხვა მნიშვნელობების გამოსახატავად შეიძლება ზმნიზედების სხვადასხვა ფორმა გამოვიყენოთ მოდიფიცირებული

სიტყვა ძენაღამისად (ზმნა, ზმნიზედა ან ზედსართავი). შევადარათ: ზმნასთან გამოყენებული autant და ზედსართავთან გამოყენებული aussi; beaucoup ზმნასთან და très ზედსართავ სახელთან:

{ Il travaille **AUTANT** que son frère. { Il a **BEAUCOUP** travaillé.
{ Il est **AUSI** gentil que son frère. { Il est **TRÈS** travailleur.

ძენიშენა: très, რომელიც ჩვეულებრივად მხოლოდ ზედსართავი სახელის ან ზმნიზედის წინ იხმარება, ხშირად სასაუბრო ენაში მსაზღვრელის გარეშე აღებული არსებითი სახელის წინ დგას ზოგაერთ ზმნურ შესიტყვებაში.

Il a **TRES** fait. J'ai eu **TRÈS** peur.

3. რაოდენობის ზმნიზედის ადგილი

• ზმნის შემდეგ ღამისა იხ რაოდენობის ზმნიზედა, რომელიც ამ ზმნას გახსაზღვრავს:

Il s'**amuse** **BEAUCOUP**.

როდესაც ზმნა ინფინიტივშია, ზმნიზედა ხან ზმნის წინ, ხან შემდეგ დგას:

Il **semble** s'**amuser** **BEAUCOUP**.

Il **semble** **BEAUCOUP** s'**amuser**.

როდესაც ზმნა რთულ ფორმაშია, ზმნიზედა დამამარე ზმნასა და მიმღეობას შორის დგას:

Il **s'est** **BEAUCOUP** amusé.

• რაოდენობის ზმნიზედა, რომელიც ზედსართავს ან ზმნიზედას გახსაზღვრავს, ამ ზედსართავი სახელის ან ზმნიზედის წინ დგას:

Cette histoire est TRÈS drôle.

Venez nous voir PLUS souvent.

4. ზმნიზედის შედარებითი და აღმატებითი ხარისხები

1. რაოდენობის ზმნიზედისა და ზედსართავისგან, ზმნიზედისგან ან ზმნისგან შემდგარ ფრუფს, რომლის აღმატებით, თანაბარ ან ნა-

კლემ ინტენსივობას ზმნიწედა მიუთითებს, უნოდებენ შედარებით ხარისხის ფგუფს. ამგვარად, განასხევებებს:

* აღმატებით შედარებით ხარისხს:

Cet enfant est PLUS ORDONNÉ que son frère.
La voiture bleue roule PLUS VITE que la rouge.
Ce film m'INTÉRESSE PLUS que l'autre;

* ტოლობის შედარებით ხარისხს:

Cet enfant est AUSSI ORDONNÉ que son frère.
La voiture bleue roule AUSSI VITE que la rouge.
Ce film m'INTÉRESSE AUTANT que l'autre;

* ნაკლებობის შედარებით ხარისხს:

Cet enfant est MOINS ORDONNÉ que son frère.
La voiture bleue roule MOINS VITE que la rouge.
Ce film m'INTÉRESSE MOINS que l'autre.

2. აღმატებითი ხარისხის ფგუფს უნოდებენ რაოდენობის ზმნიწე-
დისგან და ზედსართავი სახელისგან ან ზმნიწედისგან შემდგარ
ერთობლიობას, სადაც ეს ზმნიწედა მოდელიკატორი გამოხატავს
უკიდურეს ინტენსივობას (აბსოლუტური აღმატებითი) ან ყველაზე
მაღალი, ან ყველაზე დაბალი ხარისხის ინტენსივობას სხეებთან მი-
მართებაში (მიმართებითი აღმატებითი):

* აბსოლუტური აღმატებითი ხარისხი:

Cet enfant est TRÈS (FORT, EXTRÊMEMENT) ORDONNÉ.
La voiture bleue roule TRÈS (FORT, EXTRÊMEMENT) VITE.

* მიმართებითი აღმატებითი ხარისხი მეტობის გამოსახატავად:

Cet enfant est LE PLUS ORDONNÉ.
La voiture bleue roule LE PLUS VITE;

* მიმართებითი აღმატებითი ხარისხი ნაკლებობის გამოსახატავად:

Cet enfant est LE MOINS ORDONNÉ.
La voiture bleue roule LE MOINS VITE.

შენიშვნა: ზოგიერთი ზედხართაჲი სახელისთვის ან ზმნიზედსთვის, შედარებითი და აღმატებითი ხარისხი ინარჩობა არა რაოდენობას ზმნიზედის დართვით, არამედ სხვა ზედხართავის ან ზმნიზედის გამოყენებით:

Cet homme est BON. Cet homme est MEILLEUR. Cet homme est LE MEILLEUR de tous.

Il travaille BIEN. Il travaille MIEUX. Il travaille LE MIEUX.

5. თანაზომიერება და შედეგი

• რაოდენობის ზმნიზედა აგრესაჲე შედის თანაზომიერების გამომხატველ გამოთქმებში (d'autant plus, d'autant moins და ა.შ.):

Elle est D'AUTANT PLUS HEUREUSE qu'elle ne s'y attendait pas.

• რაოდენობის ზმნიზედა შედის გამოთქმებში, რომელსაც შედეგის გამომხატველი წინადადება მოსდევს (assez ... pour):

J'ai pris ASSEZ D'ESSENCE POUR que nous allons jusqu' à Dijon.

6. კითხვითი და ძახილის რაოდენობითი ზმნიზედები

ზოგიერთი რაოდენობის ზმნიზედა კითხვით და ძახილის წინადადეგებშია ნარმოდგენილი:

COMBIEN DE personnes ont téléphoné?

QUE DE difficultés nous avons rencontrées!

წინდებული

1. წინდებულიანი ჯგუფი და წინდებული

1. ისეთ წინადადებებში, როგორცაა:

Les voitures circulent **DANS LA RUE**,
La télévision a retransmis un match **DE RUGBY**,
Je serai toujours prêt **À VOUS AIDER**,

სიტყვათა ჯგუფებს *dans la rue*, *de rugby*, *à vous aider* წინდებუ-
ლიანი ჯგუფები ეწოდებათ. ისინი შედგება უცვლელი სიტყვისგან
და წინდებულისგან (*dans*, *de*, *à*), რომელსაც არსებითი სახელის
ჯგუფი მოჰყვება და რომელთანაც წინდებული მჭიდროდ არის
დაკავშირებული.

2. წინდებულიან ჯგუფს შეიძლება სხვადასხვა ფუნქცია ჰქონდეს:

* ის შეიძლება ზმნის ჯგუფის ერთ-ერთი შემადგენელი იყოს. მა-
გალითად, წინადადებაში:

Cette réponse équivaut **À UN REFUS**.

წინდებულიანი ჯგუფი *à un refus* არის ზმნის *équivaut* აუცილებელი
დამატება; ის არ შეიძლება წინადადებაში სხვა ადგილას განთავს-
დეს. მისი სინტაქსური ფუნქცია მას ზმნის ჯგუფში ათავსებს;

* ის შეიძლება არსებითი სახელის ჯგუფის შემადგენელი იყოს.
წინადადებაში:

Un tronc **D'ARBRE** barrait la route.

წინდებულიანი ჯგუფი *d'arbre* არის არსებითი სახელის ჯგუფის *un
tronc* დამატება.

წინადადებაში:

Jean a acheté un stylo **À BILLE**.

წინდებულიანი ჯგუფი *à bille* არსებითი სახელის ჯგუფის *un stylo*
დამატებაა. ეს არსებითი სახელის ჯგუფი თვითონ შეადგენს ზმნის
ჯგუფის *a acheté un stylo à bille* ნაწილს.

ამ წინდებულიანი ფრაზების ადგილის შეცვლა არ შეიძლება წინადადებაში, სადაც ისინი გამოიყენეს და მათი ფუნქცია არსებითი სახელის ფრაზის ფონზე სრულდება:

* ისინი შეიძლება ზედსართავს ან ზმნიშედის დამატება იყოს (რომლებიც თვითონვე ეკუთვნიან არსებითი სახელის ან ზმნის ფრაზას).

წინადადებაში:

Une corbeille pleine DE FRUITS est posée sur la table.

წინდებულიანი ფრაზები de fruits დამოკიდებულია ზედსართავ სახელზე pleine, რომელიც ეკუთვნის არსებითი სახელის ფრაზას une corbeille pleine de fruits.

ასევე, წინადადებაში:

Cette question a été étudiée indépendamment DE L'AUTRE.

წინდებულიანი ფრაზები de l'autre დამოკიდებულია ზმნიშედაზე indépendamment;

* ის შეიძლება მთელი წინადადების ძმადგენელი ნაწილი უფრო იყოს, ვიდრე მისი ამა თუ იმ ელემენტისა.

წინადადებაში:

On peut tout juste acheter une bicyclette AVEC CETTE SOMME.

წინდებულიანი ფრაზები avec cette somme მთელი წინადადების დამატებაა. ის ნართლად თავისი მნიშვნელობით არა მხოლოდ peut acheter-სთან არის კავშირში (ეს თანხა ყიდვის შესაძლებლობას იძლევა), არამედ on-თანაც (ამ თანხით ნებისმიერს შეუძლია ყიდვა) და une bicyclette-თანაც (არაორი ველოსიპედი, ან ძრავიანი ველოსიპედი, ან ავტომობილი). ეს წინდებულიანი ფრაზები წინადადებაში სხვადასხვა ადგილას შეიძლება ფიგურირებდეს:

AVEC CETTE SOMME, on peut tout juste acheter une bicyclette.

On peut tout juste, AVEC CETTE SOMME, acheter une bicyclette.

On peut tout juste acheter, AVEC CETTE SOMME, une bicyclette.

3. არსებითი სახელის ჯგუფი, რომელიც წინდებულს მოსდევს, წინდებულიან ჯგუფში შეიძლება იყოს არსებითი სახელი მსახვერე-ლის გარეშე:

Mon cousin habite À PARIS. Une épingle DE SÛRFÊTÉ.

ის შეიძლება ჩანაცვლდეს ნაცვალსახელით:

Je m'adresse À VOUS, À QUOI penses-tu?

და ასევე შეიძლება იყოს ინფინიტივი:

As-tu pensé À FERMER le gaz?

4. პრინციპში აღიარებენ, რომ გარემოებითი დამატების ჯგუფები წინდებულს შეიცავს. თუმცა, წინდებული ხანდახან ამოღებულია ამ ჯგუფებიდან. იგივე ზდება ზოგიერთ დროისა და ადგილის გარემოებებთან. შევადაროთ წინადადებები:

Les vacances commencent DANS trois jours. / Les vacances commencent la semaine prochaine.

L'obélisque de Louxor se trouve À Paris. / L'obélisque de Louxor se trouve place de la Concorde.

5. ხანდახან წინდებულიანი ჯგუფი ერთდროულად ორ წინდებულს შეიცავს:

Cet incident date D'AVANT mon retour.

Il est passé PAR-DERRIÈRE la maison.

2. წინდებულის კლასები

1. ასხვავებენ წინდებულთა ორ დიდ კლასს.

• პირველი კლასი შეიცავს წინდებულებს **de** და **à**, რომლებიც გარდა წინადადებებში მათი სხვაგვარი გამოყენებებისა, შეიძლება შედიოდეს წინდებულიან ჯგუფში, რომელიც ზმნის ჯგუფს მიეკუთვნება (ირიბი დამატება, მცორე დამატება, ადგილის დამატება ზმნით être):

Je no doute pas DE SA SINCÉRITÉ.

Le petit chien obéit À SON MAÎTRE.
Antoine a loué son appartement À UN AMI.
Depuis quand êtes-vous À PARIS?

* მეორე კლასი შეიცავს სხვა წინდებულებებს (dans, devant, derrière, sur, avec, pour და ა.შ.), რომლებიც უფრო ხშირად წინადადების დამატება წინდებულიანი ჯგუფების შემადგენელი არიან:

Adèle a posé le vase SUR LA TABLE.
Il faisait des moulinets AVEC SON BÂTON.

2. და მაინც, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მათი გამოყენების ამგვარი დაყოფა სრული არ არის:

* ძე და მწინდებულები ზოგჯერ ასევე წინადადების დამატება წინდებულიანი ჯგუფის შემადგენლებია:

DE TOUS CÔTÉS, la place était déserte. À LA FIN de la séance, on fait la quête;

* ზოგიერთი წინდებულები, ვარდა ძე და მწინდებულებისა, ასევე შეიძლება იყოს წინდებულიანი ჯგუფის შემადგენელი და ისინი ზმნისა და არსებითი სახელის ჯგუფს განეკუთვნება:

Je compte SUR VOTRE DISCRÉTION. Il faut compter AVEC L'IMPRÉVU. Il a une pavillon SANS JARDIN.

3. წინდებულებს ძე და მწინდებულებს უშინაარსო წინდებულებს უწოდებენ, რადგან მათი როლი ყველაზე ხშირად სინტაქსურია და არა სემანტიკური: ისინი გრამატიკულ კავშირზე მიუთითებს სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის გამოხატვის გარეშე, ორივე წინადადებაში:

L'ennemi prit la ville და L'ennemi s'empara DE la ville,

ჯგუფებს la ville და de la ville ერთი და იგივე ფუნქცია აქვს (ობიექტი) ზმნასთან მიმართებაში. ზმნას s'emparer აუცილებლად ძე წინდებულიანი ჯგუფი მოჰყვება, რომელიც არავითარ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ გამოხატავს.

სხვა წინდებულებს შორისაც, ზოგიერთი გამოიყენება როგორც უშინაარსო წინდებულები. მაგალითად, წინადადებაში:

Je compte SUR vous,

წინდებული sur. რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ გამოხატავს, უშინაარსოა. მისი გამოყენება აუცილებელია ზმნის compter შემდეგ, როდესაც ის ამ მნიშვნელობითაა აღებული.

შენიშვნა. ზოგიერთი გამოყენების დროს, წინდებულები de და à ზუსტ მნიშვნელობას გამოხატავენ და შესაბამისად, ამ შემთხვევაში არ არიან უშინაარსო წინდებულები.

მაგალითად: Il vient DE Paris საპირისპიროა წინადადებისა Il vient À Paris.

4. მეორე კლასის წინდებულებში განასხვავებენ:

* ფუძე წინდებულებს: sur, sous, contre, vers, chez, sans და ა.შ.;

* წინდებულიან საქცევებს, გამოთქმებს, რომლებიც ყველაზე ხშირად მიიღება de წინდებულის დამატებით: ზმნიზედაზე ან არტიკლიან ან უარტიკლო წინდებულიან ჯგუფზე: loin de, près de, au lieu de, à côté de და ა.შ.

3. წინდებულის სინტაქსი ტრანსფორმაციაში

წინადადების ტრანსფორმაციის შემთხვევაში (მაგალითად, ზმნის ჯგუფის ნომინალიზაციის ან არსებითი სახელის ჯგუფად გადაკეთების შემთხვევაში [იხ. თავი. 47]) ხდება ან იმავე წინდებულების დარჩენა წინადადებაში, ანდა წინდებულების გამოჩენა ან ამოვარდნა.

1. მეორე კლასის წინდებულები (ესე იგი, de-სა და à-ს ვარდა) ძირითადად უცვლელი რჩება:

Un nouvel indice a été découvert PAR les enquêteurs

→ La découverte d'un nouvel indice PAR les enquêteurs...

Il s'est acharné CONTRE ses adversaires

→ Son acharnement CONTRE ses adversaires...

Il est compétent EN MATIÈRE DE vente

→ Sa compétence EN MATIÈRE DE vente...

2. როდესაც ზმნის დამატება ინფინიტოვია, წინადადებაში შეიძლება გამოიყენდეს **de** და **à** წინდებულები. შევადაროთ:

Pierre m'a demandé ma voiture და Pierre m'a demandé **DE** lui prêter ma voiture.

Il a demandé qu'on le décharge de cette tâche და Il a demandé **À** être déchargé de cette tâche.

წინდებულ **de** იმ არსებითი სახელის უგუფის წინ ჩნდება, რომელიც ნომინალიზაციამდე ქვემდებარე ან დამატება იყო. შევადაროთ:

Le train arrive

→ L'arrivée **DU** train...

On a interdit la manifestation

→ L'interdiction **DE** la manifestation....

de წინდებულ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრანსფორმაციებში.

ზოგიერთ დამატება ნაცვალსახელთან **de** და **à** წინდებულები არ გამოიყენება. თუმცა, ეს წინდებულები გამოხატული იქნებოდა, ეს დამატება არსებითი სახელი რომ ყოფილიყო.

შევადაროთ:

J'ai déjà parlé **DE** cette affaire. / J'**EN** ai déjà parlé

Ce garçon ressemble **À** un singe. / Ce garçon **LUI** ressemble.

მაერთებელი კავშირი
და თანწყობის ზმნიზედა.
მაქვემდებარებელი კავშირი

1. წინადადებებისა და წინადადების შემადგენლების თანწყობა

1. განვიხილოთ თხრობის შემდეგი ფრაგმენტი:

Pierre est entré dans la maison. Georges est resté dehors.

საქმე ორ, უბრალოდ თანმიმდევრულად მიყოლებულ წინადადებას ეხება (ზეპირსიტყვიერებაში პაუზით განცალკევებულს).

ეს ორი წინადადება ერთმანეთთან შეიძლება *et* და *mais* კავშირებით დაეკავშიროთ: Pierre est entré dans la maison, *et* (mais) Georges est resté dehors. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ ეს ორი წინადადება თანწყობილია. სიტყვები *et*, *mais* მაერთებლებია.

2. მაერთებელი კავშირის გამოსახატავი ელემენტებია, რომლებიც გარკვეულ მიმართებას აღნიშნავს წინადადებებს ან მათ შემადგენლებს შორის.

ამ კლასში შეიძლება განვასხვავოთ:

• მაერთებელი კავშირები: *et* (წინატება), *ou*, *ni* (განცალკავება), *mais*, *or*, (დაპირისპირება), *car* (მიზეზი);

• თანწყობის ზმნიზედები ან ზმნიზედური გამოთქმები როგორცაა *puis* (მიზატება), *cependant*, *toutefois*, *pourtant*, *par contre*, *en revanche* (დაპირისპირება), *en effet* (მიზეზი), *donc*, *par conséquent* (შედეგი) და ა.შ.

ეს კლასიფიკაცია განსაკუთრებით იმ ფაქტს ეყრდნობა, რომ კავშირები არ შეიძლება იმ სიტყვათა ჯგუფის შიგნით იდგეს, რომელიც უკავშირდება იმას, რაც წინ უძღვის. შეიძლება ითქვას:

Il avait tort, *cependant* il ne voulait pas l'admettre;

ან

Il avait tort; il ne voulait *cependant* pas l'admettre.

cependant არის თანწყობის ზმნიზედა.

ასევე, შეიძლება ითქვას:

Il avait tort, mais il ne voulait pas l'admettre.

მაგრამ, არ შეიძლება ვთქვათ:

*Il avait tort; il ne voulait mait pas l'admettre.

mais არის მავრთიებელი კავშირი.

მ. პრინციპში, მავრთიებლები ერთი და იმავე კლასისა და ფუნქციონის ელემენტებს აკავშირებს.

* ზოგჯერ თუ კი მხოლოდ წინადადებებს აკავშირებს: ეს არის თანწყობის უმნიშვნელობა და უმნიშვნელო გამოთქმის შემთხვევა, ასევე კავშირებისა or, car, mais (შესაძლებელია წინადადების ნაწილი ელიფსი).

Il parut surpris, CAR il n'avait pas été prévenu.

* სხვა მავრთიებლებს, როგორცაა et, ou, შეუძლია წინადადებები, ან წინადადების ელემენტები (არსებითი სახელის ფგუფები, ზედსართავები, უმნიშვნელები) დააკავშიროს:

Le vent a cessé, ET il s'est mis à pleuvoir.

Il a pris son imperméable ET son parapluie.

Le temps est froid ET humide.

Je serai absent aujourd'hui ET demain.

2. წინადადების დაქვემდებარება

1. განვიხილოთ წინადადება:

Il m'a appris que vous étiez malade.

ეს წინადადება ორი წინადადებისგან შედგება, რომელთაგან მეორე პირველს უკავშირდება სიტყვით que: ეს მეორე წინადადება დამატება არსებითი სახელის ფგუფის როლს თამაშობს (შეიძლება ითქვას: il m'a appris votre maladie).

ამბობენ, რომ მეორე წინადადება პირველიან დაქვემდებარებულია que მარჯვმდებარეული კავშირით.

ასევე, წინადადება:

Quand je reviendrai, je m'occuperai de cette affaire.

ორი წინადადებისგან შედგება. ამჯერად პირველია მეორეზე დაქვემდებარებული მაქვემდებარებელი კავშირით quand, ეს პირველი წინადადება არსებითი სახელის ჯგუფის გარემოების როლს ასრულებს (შეიძლება ასე ითქვას: à mon retour, je m'occuperai de cette affaire).

2. მაქვემდებარებელ კავშირებს შორის ასხვავებენ:

* კავშირს que, რომელსაც სხვადასხვა ტიპის დაქვემდებარებული წინადადება შემოჰყავს, განსაკუთრებით კი დამატებითი წინადადება ქვემდებარე ან დამატებითი წინადადება ატრიბუტი.

* სხვა კავშირებს ან მაკავშირებელ გამოთქმებს, რომელსაც გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადებები შემოჰყავს: si, quand, comme, lorsque, puisque, quoique, parce que, dès que, pour que და ა.შ.

3. მაკავშირებელი გამოთქმები შედგენილია პირველ ელემენტზე que-ს დამატებით, რომელიც ძირითადად ზმნიზედა ან წინდებულია.

ისინი შემდეგ მიმართებებს გამოჩატავს:

- დროის: aussitôt que, avant que და ა.შ.
- მიზნის: pour que, afin que.
- მიზეზის: parce que, du fait que.
- შედეგის: de sorte que, (trop...) pour que.
- დათმობის ან დაპირისპირების: bien que, alors que
- პირობის: pourvu que, à condition que.
- შედარების: ainsi que, de même que.

მარტივი თხრობითი წინადადება:
 არსებითი სახელისა და ზმნის ჯგუფების
 ადგილი და ფორმა

1. არსებითი სახელისა და ზმნის ჯგუფების წყობა

1. მარტივი თხრობითი წინადადება ჩვეულებრივ, ორი ძირითადი ჯგუფისგან შედგება (იხ. თავი 4): ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფისგან (შედგენილი მსაზღვრელიაგან და არსებითი სახელისგან) და შემასმენელი ზმნის ჯგუფისგან (შედგენილი ზმნისგან და საჩირო შემთხვევაში დამატებისგან ან ზმნისგან être და ატრიბუტისგან). წინადადებაშია ჯგუფი იქ შეიძლება ფაკულტატიურად დაემატოს:

L'enfant joue dans la cour. La route traverse le village. Le ciel est bleu.

თხრობით წინადადებაში ეს ორი ჯგუფი განსაზღვრული წყობით წარმოდება: გარდა რამდენიმე განსაკუთრებული შემთხვევისა, ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფი მინ უძღვის ზმნის ჯგუფს:

Ma déception a été grande. Le chat dort près du feu.

Ce travail a exigé des efforts importants.

თუ ამ ორი ჯგუფის წყობას შევცვლით, გრამატიკულად გამართული წინადადება აღარ გვექნება:

*A été grande MA DÉCEPTION. *Dort près du feu LE CHAT.

*A exigé des efforts importants CE TRAVAIL.

2. თუმცა ხანდახან, ეხრობითი ტიპის წინადადება მაერთებელი ან გარდაუვალი ზმნის ჯგუფისგან არის შედგენილი, რომელსაც ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფი მოჰყვება (მაშინ ამბობენ, რომ ეს არის ქვემდებარის ინიერსია). მაგალითად ეს ხდება:

*ემფატიკურ წინადადებაში, რომლის ქვემდებარეც არსებითი სახელის ჯგუფია (და არა ნაცვალსახელი) და სადაც სტილისტური ეფექტის თვალსაზრისით, შედსარსივე ატრიბუტი წინადადების თავში დგას:

Grande fut MA DÉCEPTION.

• წინადადებებში, რომლებიც შეიცავს სტილისტური მოსაზრებით წინადადების თავში დასმულ ვითარების, ადგილის, დროის გარემოებით დამატებებს ან ზმნიზებას:

De tous côtés arrivaient DES NOUVELLES INQUIÉTANTES.

Bientôt apparurent DES SIGNES DE CHANGEMENT.

Ainsi s'exprimait LE MESSAGE.

ასეთი კონსტრუქცია არ გვხვდება, როდესაც ქვემდებარე პირის ნაცვალსახელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინადადება იწყება ზმნიზებით peut-être, sans doute, aussi, du moins, encore:

Peut-être se trompe-t-IL.

ქვემდებარე პირის ნაცვალსახელს, რომელიც ზმნის ჯგუფის შემდეგ დგას, შეუძლია გამოხატული ქვემდებარე თავის ნორმალურ ადგილზე, ზმნის ჯგუფის წინ დააბრუნოს.

Peut-etre PIERRE se trompe-t-IL;

• ჩართულ წინადადებებში, როგორცაა:

Je ne pourrai pas, dit PIERRE, venir à ce rendez-vous.

Il faut, croyons-NOUS, renoncer à ce projet;

• ვარაუდის გამომხატველი რამდენიმე წინადადება:

Soit UN CERCLE DE CENTRE O;

• უპირო კონსტრუქციებში, სადაც ზმნას ნაცვალსახელი ი უძღვის წინ და ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფი მოსდევს:

Il reste DEUX GÂTEAUX. IL arrive DES ACCIDENTS.

Il y a UNE ROUTE QUI CONDUIT AU SOMMET DE LA COLLINE.

2. ზმნის ჯგუფის შემადგენლების წყობა

1. ზმნა და ატრიბუტი, ზმნიზება ან დამატება არსებითი სახელის ჯგუფი

• ატრიბუტი მათრთებელი ზმნის être შემდეგ დგას:

Le ciel est BLEU.

Cet appareil est un SPECTROSCOPE.

ასევე, ძაერთებელ ზმნასთან გამოყენებული დამატება ან ზმნი-ზედა წვეულებრივ შის შემდეგ დგას:

Le chien est DANS LE JARDIN.

Le chien est LÀ.

* ძირითადი წესის მიხედვით, დამატება არსებითი სახელის ჯგუფი ზმნის შემდეგ დგას:

Pierre lit LE JOURNAL.

იმ შემთხვევაში, როცა ზმნას მეორე დანატება აქვს, ეს უკანასკნელი ყველაზე ხშირად პირდაპირი დამატების შემდეგ დგას:

Pierre prête un livre À SON VOISIN.

და მაინც, ინფერსია შესაძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, თუ პირდაპირი დამატების ჯგუფი ისევე გრძელია ან უფრო გრძელი, ვიდრე მეორე დამატების ჯგუფი:

Pierre prête À SON VOISIN un livre d'aventures.

* როდესაც ზმნის ჯგუფი გარდაუვალ ზმნას და გარემოებას ან ზმნი-ზედას შეიცავს, ეს დამატება ან ეს ზმნი ზედა ჩვეულებრივად ზმნის შემდეგ დგას:

Pierre arrive À PARIS.

Pierre réside ICI.

* ემფატიკურ კონსტრუქციებში, როდესაც ადგილი აქვს ქვემდებარის ინვერსიას (იხ. ქვემოთ), ზედხართავის ატრიბუტი, გარემოებითი დამატება ან ზმნი ზედა უსწრებს ზმნას:

RARES sont les exceptions.

LÀ est la difficulté.

ICI réside un acteur célèbre.

(იხ. ასევე თავი 38).

2. ზმნა და ნაცვალსახელი ატრიბუტი ან დამატება

* როდესაც ზმნის ჯგუფში ზედხართავი ატრიბუტი, ან არსებითი სახელის ჯგუფი ატრიბუტი, ან დამატება პირის ნაცვალსახელით არის შეცვლილი, ეს უკანასკნელი წინ უძღვის ზმნას:

Pierre est (devient) habile → Pierre l'est (LE devient).
 Pierre lit (a lu) le journal → Pierre LE lit (l'a lu)
 Pierre prête un livre à son voisin → Pierre LUI prête un livre.
 Pierre mange des fraises → Pierre EN mange.
 Pierre habite à Paris → Pierre Y habite.

* როდესაც თხრობითი წინადადება ორ დამატება პირის ნაცვალსახელს შეიცავს, ამ ნაცვალსახელების ადგილი შემდეგ პრინციპებს ემორჩილება:

– თუ ორივე ნაცვალსახელი მესამე პირისაა, ის ნაცვალსახელი, რომელიც წინდებულია შემოტანილ არსებითი სახელის ჯგუფს ნარმოადგენს, ზმნასთან უფრო ახლოს დგას:

Pierre lit le journal à sa mère → Pierre LE LUI lit.
 Pierre prête ses livres à son frère → Pierre LES LUI prête.
 Pierre envoie Paul à Paris → Pierre L'Y envoie.
 Pierre prie Paul de venir → Pierre L'EN prie.

– თუ ერთი ნაცვალსახელი მესამე პირისაა, ხოლო მეორე პირველი ან მეორე პირის, მაშინ პირიქით ხდება. ნაცვალსახელი, რომელიც უწინდებულო არსებითი სახელის ჯგუფს ნარმოადგენს, ზმნასთან უფრო ახლოს დგას:

Pierre me donne les livres → Pierre ME LES donne.
 Pierre te donne ces livres → Pierre TE LES donne.

ამასთანავე, თუ ორი ნაცვალსახელიდან ერთი-ერთი არის y ან en, მაშინ ის ყველაზე ახლოს დგას ზმნასთან:

Pierre m'envoie à Paris → Pierre M'Y envoie.
 Pierre m'avertit du danger → Pierre M'EN avertit.

გავრცობილი წინადადება

1. მარტივი წინადადება, გავრცობილი წინადადება, რთული წინადადება

როდესაც წინადადება წხოლოდ მთავარი ელემენტებისგან შედგება, რომლებიც მისი არსებითი სახელის ჯგუფია და ზმნის ჯგუფის სტრუქტურას შეესაბამება, გვაქვს მარტივი წინადადება. თუმცა, არსებითი სახელის ჯგუფი და ზმნის ჯგუფი შეიძლება შეიცავდეს ზედსართავებს, ზმნიზედებს, წინდებულთა შემოტანილ ჯგუფებს ან მიმართებითი ნაცვალსახელით, კავშირებით და სხვ. შემოტანილ სხვა წინადადებებს. როდესაც დამატებული ელემენტები ზედსართავებში, არსებითი სახელის ჯგუფებში, ზმნიზედებშია, ასეთ წინადადებას გავრცობილი ეწოდება; როდესაც დამატებული ელემენტი დაქვემდებარებული წინადადებაა, მაშინ მოლიან წინადადებას რთული წინადადება ეწოდება.

ჩვენს პირველ რიგში გავრცობილ წინადადებას შევიჩნავლით.

2. გავრცობილი წინადადების ფორმები

1. არსებითი სახელის ჯგუფი შეიძლება გაფართოვდეს (ამბობენ აგრეთვე გახივრცობს):

* ზედსართავი სახელით ან ზედსართავი სახელის ჯგუფით (ზედსართავი სახელი და ზმნიზედა, ზედსართავი სახელი და მისი დამატებები):

Une GRANDE ferme bordait la route.

La PLUS GRANDE erreur serait de s'obstiner.

Le pilote avait sa voiture PRÊTE À DÉMARRER;

* დამატება არსებითი სახელის ჯგუფით, რომელიც წინდებულთა არის შემოტანილი (ყველაზე ხშირად *de* წინდებულთა) და გაფართოებული არსებითი სახელის ჯგუფის შემდეგ დგას.

კავშირი გაფართოებულ არსებითი სახელის ჯგუფსა და დამატება არსებითი სახელის ჯგუფს შორის ხანდახან ნათლად არის მითითებული წინდებულთა:

Un ciel sans nuages annonçait une belle journée.

(სანს ყოველთვის არყოფნას, არქონას აღნიშნავს.)

მაგრამ წინდებულებს, და სახელდობრ de წინდებულა, შეუძლია ისეთი დამატების ჯგუფები შემოიტანოს, რომელსაც მეტად განსხვავებული კავშირები აქვთ გაფართოებულ ჯგუფებთან:

Le livre DE PIERRE (კუთვნილება)

Un coup DE COUTEAU (იარაღი)

Un fossé DE TROIS MÈTRES (ზომა)

Des cartes DE VISITE (მიზანი)

Un bidon DE LAIT (შიგთავაი, შემცველობა)

შენიშვნები. 1. ზედსართავი ეპითეტს და დამატება არსებითი სახელის ჯგუფს თუ ერთი და იგივე ფუნქცია აქვთ შეთავსებული არსებითი სახელის ჯგუფთან მიმართებაში, ხშირად ერთმანეთს შეცვლა შეუძლიათ:

Les lacs ITALIENS → Les lacs D'ITALIE.

Un ciel SANS NUAGES → Un ciel CLAIR.

ასევე, მიმართებითი წინადადება ხშირად იმავე მნიშვნელობისაა, რაც ზედსართავი ეპითეტი ან დამატება არსებითი სახელის ჯგუფი:

Une démarche INUTILE. Une démarche SANS UTILITÉ.

Une démarche qui NE SERT À RIEN.

მიმართებითი წინადადება 41-ე თავში იქნება განხილული.

2. ეს გაფართოებები შეიძლება არსებითი სახელის მთელ ჯგუფზე გავრცელდეს; ქვემდებარე იქნება ეს, ზმნის ჯგუფის ნაწილი (როგორც დამატება ან ატრიბუტი), თუ თავად განავრცობს სხვა ჯგუფს.

* არსებითი სახელის ჯგუფის დანართით, ხშირად მსაზღვრელის გარეშე:

Pierre, UN VOISIN, avait proposé son aide.

Le kangourou, MAMMIFÈRE AUSTRALIEN, appartient à l'ordre des marsupiaux.

2. ზმნის ჯგუფი შეიძლება გაფართოვდეს:

• ზმნიზედით:

L'opération a réussi PARTIELLEMENT;

• წინდებულთი შემოტახილი არსებითი სახელის ჯგუფით. ეს წინდებულთიანი ჯგუფი გარემოებითი დამატების როლს ასრულებს:

L'avion est parti POUR NEW YORK.

შენიშვნა. თუ ზმნიზედას და წინდებულთიანი ჯგუფის გარემოებითი დამატებას ზმნის ჯგუფში ერთი და იგივე ფუნქცია აქვს, ისინი ხშირად შეიძლება ერთიშეორიან შეიცვალოს:

Il travaille COURAGEUSEMENT. Il travaille AVEC COURAGE.

ასევე, გარემოებითი დაქვემდებარებულ წინადადებას (იხ. თავი 43) ხშირად იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც წინდებულთიანი გარემოებითი დამატების ჯგუფს (უფრო იშვიათად ზმნიზედის):

J'ai exécuté ce travail SELON VOS INSTRUCTIONS.

J'ai exécuté ce travail COMME VOUS ME L'AVIEZ INDiqué.

Il est arrivé INOPINÉMENT. Il est arrivé SANS QU'ON L'ATTENDE.

3. ზმნის ჯგუფის დამატება და წინადადების დამატება

თუ ზოგიერთი წინდებულთიანი გარემოებითი დამატების ჯგუფი ზმნის ჯგუფს ავრცობს, სხვები მათელ წინადადებას აფართოვებენ. ავიღოთ წინადადება:

Mes voisins sont partis À LA CAMPAGNE POUR LE WEEK-END.

ჯგუფი à la campagne ზმნის ჯგუფის დამატებაა, ხოლო ჯგუფი pour le week-end არის მთლიანი წინადადების დამატება. ფუნქციებს შორის ეს განსხვავება შეიძლება ცხადი გახდეს ორი დამატების გადანაცვლების საშუალებით: pour le week-end შეიძლება წინადადების თავში დაისუას, ნაშინ როცა წინადადების თავში à la campagne ჯგუფის დასმია; გაუმართავ წინადადებას ვიღებთ:

Pour le week-end, mes voisins sont partis à la campagne სწორი ნიშნაა.

À la campagne, mes voisins sont partis pour le week-end ან არასწორია, ან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს.

ეა ორი დამატება შემდეგი სახით წარმოდგება:



ასევე, წინადადებაში:

Le petit chat boit du lait DANS UNE TASSE SOUS LA TABLE

ჯგუფი *sous la table*, რომელიც შეიძლება წინადადების თავში დაისვას, წინადადების წინდებულიანი გარემოებითი დამატების ჯგუფია. სამაგიეროდ, ჯგუფი *dans une tasse* არის ზმნის ჯგუფის *boit du lait* წინდებულიანი გარემოებითი დამატების ჯგუფი, რადგან წინადადება:

Dans une tasse, le petit chat boit du lait sous la table მთლად გამართული არ არის.

შენიშვნა. შეიძლება ზმნის ჯგუფისთვის ან მთელი წინადადებისთვის დამატების მიკუთვნებამ გაურკვეველობა გამოიწვიოს.

კვლავ ავიღოთ ზემოთ განხილული ერთ-ერთი მაგალითი:

J'ai exécuté ce travail selon vos instructions.

selon vos instructions შეიძლება მივიჩნიოთ ზმნის ჯგუფის დამატებად ან წინადადების დამატებად:

– ზმნის ჯგუფის დამატება: *les instructions* შეეხებოდა სამუშაოს შესრულების მანერას. სამუშაო შესრულდა ინსტრუქციების მიხედვით.

– წინადადების დამატება: მითითება იყო, რომ შემსრულებიხა სამუშაო. ეს ინსტრუქცია შესრულდა:

თუ წინდებულიანი ჯგუფი *selon vos instructions* წინადადების თავში იდგება (*selon vos instructions, j'ai effectué ce travail*), ის აუცილებლად წინადადების დამატება იქნება და მხოლოდ მეორე ინტერპრეტაცია გახდება შესაძლებელი.

კითხვითი წინადადება

1. პირდაპირი კითხვა და ირიბი კითხვა

კითხვითი წინადადება არის ისეთი წინადადება, რომლის საშუალებითაც თანამოსაუბრეს კითხვას უხვამენ. როდესაც კითხვითი წინადადება უშუალოდ არის მიმართული თანამოსაუბრისკენ, ამბობენ, რომ ეს არის პირდაპირი კითხვა. სამწერლო ენაში, მას კითხვას ნიშანი მოსდევს:

Qui est venu? Pierre est-il là?

როდესაც რთულ წინადადებაში კითხვითი წინადადება დაქვემდებარებულია, ხოლო მთავარი წინადადების ზმნა არის demander, savoir და ა.შ., ამბობენ, რომ ეს ირიბი კითხვაა:

Je vous demande QUI EST VENU.

Je sais POURQUOI PIERRE EST-LÀ.

ამ თავში ჩვენ მხოლოდ პირდაპირ კითხვას შევასწავლით. ირიბი კითხვა რთულ წინადადებებთან იქნება განხილული (იხ. თავი. 42).

2. სრული კითხვა და ნაწილობრივი კითხვა

* სრულ კითხვას ისეთ კითხვას უწოდებენ, რომელიც მთელ წინადადებაზე მოდის და არა მის ამა თუ იმ წევრზე (პასუხი ამ შემთხვევაში არის oui/non, ხოლო უარყოფითი კითხვის შემთხვევაში si/non):

La réparation est-elle achevée? – Oui / non.

La réparation n'est-elle pas achevée? – Si / non.

* ნაწილობრივ კითხვას ისეთ კითხვას უწოდებენ, რომელიც წინადადების ერთ წევრზე მოდის კითხვითი სიტყვის, ნაცვალსახელის ან ზმნილების დახმარებით (რაზეც პასუხია არსებითი სახელის ჯგუფი ან ნიშნებუღიანი ჯგუფი):

Qui m'a appelé? – Ton fils.

(კითხვა დაისმის ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფზე, აქ ის ნაცვალსახელით არის შეცვლილი)

QUAND iras-tu à Lyon? – Dans dix jours.

(კითხვა დაისმის დროის გარემოება არსებითი სახელის ჯგუფზე, აქ ის შეცვლილია ზმნიზებით *quand*.)

3. კითხვითი ტრანსფორმაცია

„კითხვით ტრანსფორმაციას“ უწოდებენ თხრობით წინადადებაში გამხორციელებულ ცვლილებებს, როდესაც ის კითხვით წინადადებად არის გადაკეთებული.

1. სრული კითხვის შემთხვევაში, კითხვითი წინადადება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული ინტონაციით გამოიხატოს: ხმის ანევა ყველაზე ხშირად ხდება წინადადების ბოლოში, რაც ამ წინადადებას თხრობითი წინადადებისგან განასხვავებს:

კითხვითი: Vous avez trouvé la solution?

თხრობითი: Vous avez trouvé la solution.

ეს ფორმა ყველაზე ხშირად სასაუბრო ენაშია გამოყენებული.

2. სრული ან ნაწილობრივი კითხვის შემთხვევაში, კითხვით წინადადებას შეიძლება პირის ნაცვალსახელი დამატოს ზმნის შემდეგ (ან დახმარე ზმნის შემდეგ რთულ ფორმებში), რომელიც ქვემდებარის სქესს, რიცხვსა და პირს შეესაბამება და რომელიც აღმავალ ინტონაციას ემატება.

• თუ ქვემდებარე არის არსებითი სახელი, ადგილი აქვს ნაცვალსახელის *il(s)*, *elle(s)* დამატებას:

Ces arbres donnent-ILS beaucoup de fruits?

Ma lettre est-ELLE arrivée?

Où les enfants sont-ILS partis?

• თუ შესაბამის თხრობით წინადადებაში ქვემდებარე პირის ნაცვალსახელია, იგივე წესი გამოიყენება, მაგრამ ნაცვალსახელი, რომელიც ზმნას წინ უძღვის, ამოვარდება, რაც ქვემდებარის ინვერსიას ნიშნავს:

Il vient [→ il vient-il] → Vient-IL?

Vous venez [→ vous venez-vous?] → Venez-VOUS?

ამ სახის კითხვა უფრო დახვეწილ სტილს ეკუთვნის.

შენიშვნა: ზმნის შემდეგ ამგვარად დასმულ ნაცვალსახელებს il(s), elle(s), on ნიშნ ყოველთვის ბეცრა [l] უხმრებთ. თუ ზმნა ხმოვანზე ან მუნჯ d-ზე მთავრდება, ზმნასა და ნაცვალსახელებს il, elle, on შორის ასო t ემატება:

Quand viendra-T-il? [Espère-T-on le sauver?]

თუ ზმნა d ასოთი ბოლოვდება, ეს d წარმოიქმნის რიგორც [t]:

Qu'attend-il? [katãtil]

3. ნაწილობრივი კითხვის წმთხვევაში, წინადადების წვერი, რომელზეც კითხვა მოდის, წინადადების თავში დგას:

COMMENT est-il venu jusqu'ici?

საყოველღეო საუბარში, ის შეიძლება იმავე ადგილას დარჩეს, სადაც თხრობით წინადადებაში იქნებოდა:

Tu as vu QUI? Tu vas OÙ? Il partira QUAND?

ქვენდებარე არსებითი სახელის ჯგუფი, როდესაც მასზე არ მოდის კითხვა, შეიძლება ზმნის შემდეგ დაისვას წინადადებაში (რთული ფორმებისთვის კი მიმდევობის შემდეგ):

Que diront TES PARENTS? Où sont partis LES ENFANTS?

ამგვარი კონსტრუქცია დაუშვებელია ზმნიზედასთან pourquoi:

Pourquoi LES ENFANTS sont-ils partis?

და არა

*Pourquoi sont partis LES ENFANTS?

4. სრული კითხვა შეიძლება აგრეთვე გამოიხატოს წინადადების თავში დასმული უცვლელი შეკითხვებით est-ce que. ამ სახის კითხვა ზმნის შემდეგ პირის ნაცვალსახელს გამოორიცხავს:

EST-CE QUE ces arbres donnent beaucoup de fruits?

EST-CE QUE ma lettre est arrivée?

5. ნაწილობრივ კითხვაში, კითხვით სიტყვას (ნაცვალსახელი ან ზმნიზედა) შეიძლება მოჰყვებოდეს:

– est-ce que, თუ ეს აიტყვა არის ზმნიზედა ან ნაცვალსახელი დამატება qui ან que.

– est-ce qui, თუ ეს სიტყვა არის ნაცვალსახელი ქვეშდებარე qui:
OÙ EST-CE QUE les enfants sont partis?
QUI EST-CE QUE tu cherches?
QUI EST-CE QUI m'a appelé?

4. კითხვითი სიტყვა

კითხვითი სიტყვა შეიძლება იყოს ნაცვალსახელი, ზმნიზედა ან ზედსართავი სახელი quel (იხ. თავი. 15).

* ნაცვალსახელი წინადადებაში არსებითი სახელის ნაცვლად დგას, რომელსაც შესაბამის თხრობით წინადადებაში შეიძლება სხვადასხვა ფუნქცია ჰქონდეს, შესაბამისად სხვადასხვა ადგილიც:

QUI est-Il? (Le facteur est là.)
QUI as-tu vu? (J'ai vu le facteur.)

* ზმნიზედა გამოიყენება წინადადებაში არსებითი სახელის ჯგუფის, ზმნიზედის ან გარემოებით დაქვეშდებარებული წინადადების ნაცვლად:

QUAND partirez-vous? (Je partirai dans trois jours ან demain ან dès que j'aurai achevé ce travail.)

* ზედსართავი თან ახლავს არსებით სახელს, რომელზეც მოდის კითხვა, და ცვლის არსებით სახელის მართვ ან გავრცობილ ჯგუფს (ჯგუფი, რომელიც შედგენილია დამატებით, ზედსართავით, მიმართებითი წინადადებებით):

QUELLE route a-t-il prise? (Il a pris la route de droite ან la route départementale ან la route qui suit la vallée.)

QUELS arbres plantera-t-on ici? (On plantera ici des bouleaux.)

შენიშვნა. კითხვითი სიტყვა წინადადებაში ყოველთვის პირველი არ არის. მას შეიძლება წინ უძღოდეს წინდებულ ან წინდებულთ შემოტანილი არსებითი სახელის ჯგუფი:

Depuis QUAND est-il parti? Pour le compte de QUI agissez-vous?

ბრძანებითი წინადადება

1. ბრძანებითი წინადადების გამოყენება

ბრძანებითი წინადადება იხეთი წინადადებაა, რომლის სამუ-
ალებითაც ერთ ან რამდენიმე თანამოსაუბრეს მიმართავენ და
გამოხატავენ:

- ბრძანებას: *Viens! Approchez-vous!*
- რჩევას: *Sois prudent. Rassure-toi...*
- სურვილს: *Que le ciel t'entende!*
- თხოვნას: *Excusez-moi.*
- ვარაუდას: *Supprimez ce mot et la phrase n'a plus de sens.*

2. ბრძანებითი წინადადების ფორმები

ბრძანებითი წინადადება ზმნის პირის მიხედვით: ორი სახისაა.

* მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ნეორე პირში და მრავლობითი რიცხვის პირველ პირში ზმნა ბრძანებით კილოში გადადის, სა-
დაც ქვემდებარე გამოხატული არ არის:

Prends un fruit. Rentrez tôt. Allons au cinéma.

ამ შემთხვევაში, უმთავრესი წესი, რომლის მიხედვითაც წინადადება ძირითადად ქვემდებარისგან და ზმნისგან შედგება, ირ-
ღვევა. თუმცა ფრანგული წინადადებების აღწერა ძალიან მარ-
ტივდება, თუკი ზოგად სქემას დავეყრდნობით და დაეფუძვებით, რომ
ზოგიერთი ტრანსფორმაცია წინადადების წევრების ამოვარდნას
ინევს; ვიტყვით, რომ წინადადების ბრძანებით კილოში გადაყე-
ნა ქვემდებარე ნაცვალსახელის ჩამოცილებას იწვევს მხოლოდითი
და მრავლობითი რიცხვის მეორე პირში და მრავლობითის პირველ
პირში. სხვათა შორის, აქ ნათლად ჩანს, რომ ბრძანებით კილოში
ზმნების მიერ გამოხატული მოქმედებები და ინგოშარეობა სული-
ერ საგნებს მიეკუთვნება. ბრძანებით კილოში ჩამოცილებული ქვემ-
დებარეებია *tu, vous, nous.*

• შესამე პირში, ზმნა კაეშირებით კილოშია და მას წინ უძღვის *que*,
ხოლო ქვემდებარე კი გამოხატულია:

Que chacun se tierne prêt.

შენიშვნები: 1. არის შემთხვევები, როდესაც ბრძანებით წინადადებაში *que* ზმნის წინ არ დგას:

Dieu veuille que vous ayez raison.

2. ხანდახან ქვეშდებარე ზმნის შემდეგ დგას:

Vienne L'ÉTÉ, ces plages se couvriront de baigneurs.

3. დამატება პირის ნაცვალსახელის ადგილი

* უარყოფით ბრძანებით წინადადებაში, დამატება პირის ნაცვალსახელის ადგილი იმავე წესებს ექვემდებარება, რომელთაც თხრობით წინადადებაში.

Ne LE regarde pas (თხრობითი: *Tu ne LE regardes pas*).

Ne LUI EN donne pas (თხრობითი: *Tu ne LUI EN donnes pas*.)

* მტკიცებით ბრძანებით წინადადებაში, რომლის ზმნა ბრძანებით კილოშია, პირის ნაცვალსახელები ზმნის შემდეგ დგას, თხრობითი წინადადებისგან განსხვავებით:

Regarde-LE (*Tu LE regardes*). *Prenez-EN* (*Vous EN prenez*).

გარდა ამისა, მხოლოდითი რიცხვის პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები იღებენ ფორმებს *moi, toi*:

Regarde-MOI (*Tu ME regardes*). *Dépêche-TOI* (*Tu TE dépêches*).

თუ წინადადება რამდენიმე დამატება პირის ნაცვალსახელს შეიცავს, მათი ადგილი ერთიმეორესთან მიმართებაში იგივეა, რაც თხრობით წინადადებაში გვაქვს, მაგრამ იქ ისინი ზმნის შემდეგ დგას:

Donne-LE-LEUR (*Tu LE LEUR donnes*).

Donne-LUI-EN (*Tu LUI EN donnes*).

4. ბრძანებითი წინადადების გაძლიერება

ბრძანებითი წინადადება შეიძლება ზმნის შემდეგ დასმული რამდენიმე სიტყვით გაძლიერდეს, როგორცაა მაგალითად *DONC, moi, un peu*.

Dépêche-toi DONC! Regardez- MOI DONC UN PEU çà!

შენიშვნა: თანამოსაუბრის ყურადღების მისაპყრობად და ხანგასმის მიზნით, ბრძანებით წინადადებაში ხანდახან სახელით მიმართვა ხდება. ასეთ შემთხვევაში ეს სახელი ბრძანებით წინადადებაში ნაგულისხმევი ქვეშდებარის დანართია:

CHARLES, viens ici!

ძახილის წინადადება და შორისდებული

1. ძახილისა და კითხვითი წინადადებები

1. ძახილის წინადადება მძაფრ ემოციას გამოხატავს რაიმე მოვლენასთან დაკავშირებით. თანანოსაუბრის ყოფნა მოცემულ მომენტში აუცილებელი არ არის. იგი კითხვით წინადადებას შვავს: ეს განსაკუთრებით ნაცვალსაივლებს, ზედსართავეებს, ზმნიზედებს ეხება, რადგან ძახილისა და კითხვით წინადადებებში ისინი ერთი და იგივეა. ხანდახან მათ ნხოლოდ ინტონაცია განასხვავებთ, რასაც წერილობით: ძახილისა და კითხვის ნიშნების საშუალებით გამოვბატავთ.

2. შეიძლება განვასხვავოთ:

* შეძახილი, რომელიც მთლიან წინადადებას ეხება:

Est-ce dommage! Est-il sot! L'a-t-on assez répété!

* შეძახილი, რომელიც წინადადების ნაწილს ეხება:

Combien c'est regrettable! Comme c'est regrettable!

[არ არის ძახილის წინადადება: C'est très regrettable.]

Ce que c'est ennuyeux! (საყოველღეო გამოთქმა).

Quelle erreur il a commise!

[არ არის ძახილის წინადადება: Il a commis une grosse erreur.]

შენაშენა: ძახილის წინადადება ხშირად ერთი ან რამდენიმე მთავარი წევრის გამოტოვებით ხასიათდება და ზოგჯერ ერთ სიტყვაშივე მცირდება:

Étonnant, ce spectacle! (= Ce spectacle est étonnant.)

მაერთობელი ზმნის გამოტოვება და ხაზგასმა ატრიბუტზე:

Bien joué! (= C'est bien joué)

[ქვემდებარის და დამხმარე ზმნის გამოტოვება].

Silence! (= Je demande le silence)

[ზმნისა და მისი ქვემდებარის გამოტოვება].

2. შორისდებული

შორისდებული, რომლის ფუნქციაც მეტ-ნაკლებად მძაფრი გრძნობის გამოხატვაა, შეიძლება გაიგივდეს ძახილის წინადადებასთან:

BRAVO! vous avez gagné. HÉLAS! c'est fini.

BONJOUR! comment allez-vous? HÉ! m'entendez-vous?

უარყოფითი წინადადება

1. სრული უარყოფა და წინადადებრივი უარყოფა

უარყოფითი წინადადება ის წინადადებაა, სადაც მტკიცებას უარყოფენ. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ თხრობისათვის მტკიცებითი წინადადება უარყოფით ტრანსფორმაციას განიცდის. უარყოფის ზემოქმედების ძალის მიხედვით უარყოფითი წინადადების ორ ფორმას ასხვავებენ.

1. აუ უარყოფა მთელ წინადადებაზე მოდის, უარყოფითი წინადადება მტკიცებით წინადადებაზე ზმნიზედის **ne pas** მიმატებით იწარმოება.

* ამ ზმნიზედია ორივე ელემენტი ჩვეულებრივ ზმნის ან დამხნარე ზმნის ორივე მხარეს დვას.

Jean aime les voyages → Jean N'aime PAS les voyages.

J'ai fait cela → Je N'ai PAS fait cela.

* როდესაც ზმნა ინფინიტივშია, ორივე ელემენტი **ne pas** ამ ინფინიტის წინ დვას:

Je vous demande de NE PAS me déranger,

მაშინ, როდესაც ინფინიტივი არის être ან avoir, უარყოფის წინადადება **ne** და **pas** შეიძლება იდგეს ან ამ ინფინიტის წინ ან მის ორივე მხარეს:

Il prétend NE PAS être au courant ან N'être PAS au courant.

Je crains de NE PAS avoir compris ან de N'avoir PAS compris.

Il pourrait bien NE PAS avoir tort ან N'avoir PAS tort.

შენიშვნა. point-ა იყენებენ pas-ს ნაცვლად ლიტერატურულ ფორმაში ან რეგიონულ ენაში.

2. აუ უარყოფა რომელიმე არსებითი სახელის მხოლოდ ერთ ჯგუფზე (ქვემდებარეის ან დამატების) მოდის, ამ შემთხვევაში იყენებენ **ne-ს** და უარყოფით მსაზღვრელს (aucun, nul) ან უარყოფით ნაცვალსახელს (personne, rien):

Il a fait un effort → Il N'a fait AUCUN effort.

Un scrupule l'arrête → NUL scrupule NE l'arrête.

J'attends quelqu'un → Je N'attends PERSONNE.

Quelqu'un est venu → PERSONNE N'est venu.

Je vois quelque chose → Je NE vois RIEN.

წმინაზედები jamais, plus, guère გამოიყენება ne-სთან ერთად, ხოლო საპირისპიროს გამოსახატავად ne-სთან იყენებენ toujours, encore, beaucoup.

Il est toujours chez lui le dimanche

→ Il N'est JAMAIS chez lui le dimanche.

Je m'inquiète encore → Je NE m'inquiète PLUS.

Il y a beaucoup de fruits cette année

→ Il N'y a GUÈRE de fruits cette année.

2. მხოლოდ ne-ს გამოყენება

1. დაშოუკიდებულ ან მთავარ წინადადებებში სრული უარყოფის გამოსახატავად, დახვეწილი სტილია დროს, შესაძლებელია მხოლოდ ne-ს გამოყენება:

• ზმნების cser, pouvoir, savoir, cesser-ს წინ:

Je NE puis vous dire ma joie (სალაპარაკო ენაში: Je ne peux pas vous dire ma joie);

• que-ს შემდეგ, რომელიც pourquoi-ს ნიშნავს:

que ne me l'aviez vous dit? (ამ კონსტრუქციაში ne pas გამოირიცხულია);

• ზოგიერთ მყარ შესიტყვებაში:

À Dieu NE plaise! N'importe!

სასაუბრო ენაში უბრალო შეზღუდვის გამომხატველ საქცევს ne... que, იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სიტყვას seulement:

Je NE resterai QUE deux jours.

2. ზოგიერთ დაქვემდებარებულ წინადადებაში, დახვეწილი სტილის დროს, შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ne:

* ne pas-ს ნაცვლად სასაუბრო ენაში (უარყოფითი მნიშვნელობით), მაგალითად:

– ზოგიერთ პირობით დაქვემდებარებულ წინადადებაში, რომელიც კავშირით si იწყება:

Si je NE me trompe, nous nous sommes déjà rencontrés (სასაუბრო ენა: Si je ne me trompe pas);

– შედეგის შიშართებით წინადადებაში, რომლის მოაზარი წინადადებაც უარყოფითია:

Il n'y a personne qui NE sache cela (სასაუბრო ენაში: qui ne sache pas cela).

* სასაუბრო ენაში, როდესაც წინადადება არ შეიცავს უარყოფის რომელიმე სხვა ელემენტს (ამას „არასაველდებულო უარყოფა“ ეწოდება):

– ზმნების შემდეგ, რომლებიც შიშა, დაბრკოლებას, ეჭვს გამოხატავენ:

Je crains qu'il NE vienne (სასაუბრო ენაში: J'ai peur qu'il vienne).

Il faut empêcher que cela NE se reproduise (სასაუბრო ენაში: que cela [ça] se reproduise)

– დაქვემდებარებულ წინადადებაში, რომელიც იწყება avant que, à moins que, de peur que, peu s'en faut que:

Prévenez-moi avant qu'il NE soit trop tard (სასაუბრო ენაში: avant qu'il soit trop tard)

– Autre, autrement que-ს შემდეგ ან შედარების დროს:

Il est moins habile que je NE pensais (სასაუბრო ენაში: que je pensais).

3. უარყოფითი წინადადება ne-ს გარეშე

აქამდე შესწავლილ ყველა შემთხვევაში, უარყოფითი წინადადება ne ელემენტს შეიცავდა. თუმცა ზოგიერთი უარყოფითი წინ-

ნადადება უარყოფის მხოლოდ იმ ერთ ელემენტს შეიცავს, რომელიც **ne-**ს დაერთვის.

* საყოველღეო საუბარში:

Il est pas venu me voir. Il a rien voulu nous dire. J'ai jamais dit ça;

* სახალბრო ენაში, როდესაც წინადადება ელიფსურია, ე.ი. არ შეიცავს წინადადების ზოგიერთ ადგილად ამოსაგდებ ნევრს:

Est-ce que vous avez vu ce film? – PAS encore (= Je ne l'ai pas encore vu).

C'est un travail PAS très difficile (= qui n'ai pas très difficile).

* კითხვითი ან ბრძანებითი წინადადების პასუხში, უარყოფითი ზმნი-ზედა **non** მხოლოდ ოვიოზის შეიძლება გამოხატავდეს მთელი უარყოფითი წინადადების მნიშვნელობას:

Êtes-vous prêt? – NON (= Je ne suis pas prêt).

Donnez-moi cela! – NON (= Je ne vous le donnerai pas).

4. პრეფიქსები **in-**, **non-**

თუ უარყოფა მოდის არსებით სახელზე ან ზედსართავზე, რომელიც არსებითი სახელის ჯგუფს მიეკუთვნება, შეიძლება გამოცნებული იქნეს უარყოფითი პრეფიქსები: **in-** (**im-**, **il-**) ზედსართავებისთვის; **non-** არსებითი და ზედსართავი სახელებისთვის:

Ce devoir est illisible (= il ne peut pas être lu).

Il prêche la non-violence.

პასიური წინადადება

1. პასიურ წინადადებად გარდაქმნა

25-ე თავში ენახეთ, თუ რით განსხვავდება ერთმანეთისგან მოწოდოლოგიურად, სინტაქსურად და სემანტიკურად მოქმედებითი და ვნებითი გვარი. წინადადებას „აქტიური“ ეწოდება, თუ ნიჟი ზმნა მოქმედებითი გვარისაა, ხოლო „პასიური“ ეწოდება, თუ მისი ზმნა ვნებით გვარში დგას.

როგორც წესი, წინადადება, რომელსაც პირდაპირ დამატებიანი გარდამავალი ზმნა აქვს (ე.ი. გამოხატული პირდაპირი დამატება მოსდევს) შეიძლება მნიშვნელობის შეუცვლელად გარდაიქმნას პასიურ წინადადებად. მაგალითების საშუალებით დავაკვირდეთ პასიურ წინადადებაში გადაყვანის წესებს:

აქტიური წინადადება:

Pierre a mis la lettre à la poste.

პასიური წინადადება:

La lettre a été mise à la poste par Pierre.

* ვადგენთ, რომ:

– ზმნა ვნებით გვარში დაშხმარე ზმნას être და ნამყოს მიმღეობას შეიცავს;

– მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირი დამატება (la lettre) ენებითი გვარის ზმნის ქვემდებარე ხდება;

– მოქმედებითი გვარის ზმნის ქვემდებარე (Pierre) ვნებითი გვარის ზმნის დამატებად გარდაიქმნება. მას მოქმედ დამატებას უწოდებენ. მოქმედი დამატება წინადადებაში par წინდებულითაა შემოტანილი, თუმცა ზოგიერთი ვნებითი გვარის ზმნის შემთხვევაში, მოქმედ დამატებას შეიძლება de წინდებული ჰქონდეს:

Un agent l'accompagnait → Il était accompagné D'UN AGENT.

Un mur entoure la propriété → La propriété est entourée D'UN MUR.

– წინადადების სხვა ელემენტები (à la poste) უცვლელი რჩება.

* წინადადება: On a mis la lettre à la poste, პასიურ ფორმაში ხდება:

La lettre a été mise à la poste.

ანუგაგვარად რომ ეთქვათ, აქტიური წინადადების განუსაზღვრელი ქვეშედებარე on პასიურ წინადადებაში აღიარ გვაქვს.

შენიშვნები: 1. მოქმედი დამატების ამოყარდნა ინვეეს იმას, რომ პასიური წინადადება ზოგჯერ თავისი ფორმით ემსგავსება être-ით აგებულ წინადადებას: Pierre est ému არ არის წინადადების on émeut Pierre გარდაქმნილი ფორმა: ému აც ზედხართავი სახელია (როგორც მაგალითად craintif).

2. ასევე, პასიურა ფორმა შეიძლება შეგვეხედეს როგორც თხრობის წინადადებაში, ისე ბრძანებით ან კითხვით წინადადებაში: Pierre a-t-il été prévenu?

Ne sois pas ému par cette nouvelle!

2. პასიურ წინადადებად გარდაქმნის დროს არსებული შეზღუდვები

თუ თეორიულად მივიღო წინადადება, რომელსაც პირდაპირი დამატება აქვს, შეიძლება გარდაქმნილი იქნეს პასიურ წინადადებად, არსებობს შემთხვევები, როდესაც მიღებული პასიური წინადადება გარკვეულწილად მოუქნელია და ასეთ დროს თავს არიდებენ წინადადების პასიურ ფორმაში გადაყვანას.

• პასიურ წინადადებად გარდაქმნა უფრო ხშირია მაშინ, როდესაც ტრანსფორმაციის შემდეგ ანმყო დროში სულიერ ქვეშედებარეს ვიღებთ; სამაგიეროდ, თუ პასიური წინადადების ანმყო დროის ქვეშედებარე უსულიო საგანია, ანუ გვარ გარდაქმნას ერიდებიან:

PAUL est passionné par ce roman

წორმალური წინადადებაა.

Ce roman est lu avidement par Paul

მოუქნელია.

ჩვეულებრივად იტყვიან:

Paul lit avidement ce roman.

• ზოგადად, ენებითი გვარის ზმნა (განსაკუთრებით ანმყო დროში) არ იღებს პირის ნაცვალსახელს მოქმედი დამატების როლში:

Paul est encouragé par moi

ნაკლებად ბუნებრივია, ეიღრე: J'encourage Paul.

3. პასიურ წინადადებად გარდაქმნა და ნაცვალსახელოვანი ფორმა

* როგორც ვნახეთ, ნაცვალსახელოვანი ფორმის ზოგიერთი გამოყენება ვნებით გვარს ემსგავსება (იხ. თავი 25). როდესაც წინადადებაში ნაცვალსახელოვანი ზმნა გვაქვს, მისი სტრუქტურა პასიურ წინადადებას უახლოვდება და შესაბამისი აქტიურ წინადადებას უპირისპირდება: მოქმედებითი გვარის ზმნის დამატება ხდება ვნებითი გვარის ზმნის ან ნაცვალსახელოვანი ზმნის ქვეშედად:

On fabrique CE TISSU en angleterre → $\left\{ \begin{array}{l} \text{CE TISSU se fabrique en Angleterre.} \\ \text{CE TISSU est fabriqué en Angleterre.} \end{array} \right.$

* პასიური წინადადებისგან განსხვავებით, წინადადება, სადაც პასიური ნაცვალსახელოვანი ზმნაა, არ იმატება მოქმედ დამატებას. მაგალითად, ასეთ წინადადებას არ ააგებენ:

*Ce tissu se fabrique en Angleterre par une firme importante.

* შესაბამისობა პასიურ წინადადებასა და ისეთ წინადადებას შორის, რომლის ზმნაც ნაცვალსახელოვანია, განსაკუთრებით უსულო ქვეშედადების დროს შეინიშნება, რაც ორპარტიულობის თავეიდან აცილების საშუალებას იძლევა. მაგალითად, არ იტყვიან:

*Le président s'est élu

როდესაც მას აქვს მნიშვნელობა: Le président a été élu.

* ძირითადი აზრობრივი განსხვავება პასიურ წინადადებასა და პასიური ნაცვალსახელოვანი ზმნის მქონე წინადადებას შორის არის ის, რომ მარტივ დროებში ნაცვალსახელოვანი ზმნა ყოველთვის გამოხატავს მოქმედებას განხორციელების პროცესში (უსრული ასპექტი), მაშინ როდესაც ზმნა ვნებით გვარში, მოქმედი დამატების გარეშე, განსაკუთრებით თუ ის სრული ზმნების კლასიდანაა, დასრულებულ მოქმედებას გამოხატავს:

La porte se ferme (იკეტება – მოქმედება განხორციელების პროცესში)
La porte est fermée (დაკეტილია – დასრულებული მოქმედება, მდგომარეობა)

როდესაც პასიური ნაცვალსახელოვანი ზმნა ჩვეულებრივ ფაქტს გამოხატავს, მას არ შეიძლება ვნებითი გვარი ჩაენაცვლოს. ამბობენ:

La tour Eiffel se voit de loin, რაც შეესაბამება: On voit la tour Eiffel de loin; მაგრამ, ჩვეულებრივ არ ამბობენ: *La tour Eiffel est vue de loin.

ემფატიკური ან ხაზგასმული წინადადება

1. ემფატიკური ტრანსფორმაცია

წინადადება ემფატიკურია, როცა მის რომელიმე წევრზე ხდება ყურადღების გამახვილება, მისი ხაზგასმა.

ემფატიკური ტრანსფორმაცია ჩვეულებრივ ხასიათდება წინადადების თავში იმ წევრის გადატანით, რომელზეც აქცენტის გაკეთება სურთ, ან სხვადასხვა სინტაქსური თავისებურებით.

ავიღოთ წინადადება:

J'ai téléphoné hier à Pierre.

წინადადების იმ წევრის მიხედვით, რომელზეც სურთ ყურადღების გამახვილება, შეიძლება ითქვას:

MOI, j'ai téléphoné hier à Pierre.

HIER, j'ai téléphoné à Pierre.

PIERRE, je lui ai téléphoné hier.

Je L'AI TÉLÉPHONÉ hier, à Pierre.

ასევე შეიძლება ითქვას:

C'EST MOI qui ai téléphoné hier à Pierre.

C'EST HIER que j'ai téléphoné à Pierre.

C'EST À PIERRE que j'ai téléphoné hier.

ყურადღების გამახვილება ამ ორ შემთხვევაში მოხდა:

– სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის წინადადების თავში გადატანით და მძიმით გამოყოფით;

– გამაძლიერებელი საქცევის *c'est... qui* (ყურადღება გამახვილებულია ქვემდებარეზე) ან *c'est ... que* (ყურადღება გამახვილებულია სხვა სიტყვაზე ან სიტყვათა ჯგუფზე) გამოყენებით.

შენიშვნები: 1. გამაძლიერებელ საქცევში *c'est ... qui (que)*, *c'est* შეიძლება იყოს ნამყო უწყვეტელში (*c'était*), მარტივ მომავალში (*ce sera*), მარტივ წარსულში (*ce fut*):

C'ÉTAIT lui qui avait raison.

2. როდესაც სიტყვა, რომელზედაც აქცენტი ექთდება, მრავლობით რიცხვშია, შეიძლება გამოვიყენოთ *ce sont, ce seront* და ა.შ. (დახვეწილი სტილი), ან *c'est, ce [ça] sera* და ა.შ. (სასაუბრო ენა ან საყოველღეო გამოთქმა).

2. ხაზგასმა და პირის ნაცვალსახელი

* როდესაც ხაზგასმის მიზნით წინადადების წევრი წინადადების თავშია გადატანილი, წინადადებაში მისი სინტაქსური ფუნქცია შესრულებულია პირის ნაცვალსახელის მიერ, რომელიც ამ ფუნქციით განსაზღვრულ ფორმას იღებს და შესაბამის ადგილს იკავებს:

J'ai lu ce livre → Ce livre, je L'ai lu.

J'ai téléphoné à Pierre → Pierre, je LUI ai téléphoné.

შენიშვნა. წინადადების გადაადგილებული წევრი შეიძლება იყოს როგორც ზედსართავი ატრიბუტი, ასევე არსებითი სახელი. ამ შემთხვევაში ის უცვლელი ნაცვალსახელით *le* არის გამოიხატული.

Ils étaient presque tous malades

→ *Malades, il L'étaient presque tous.*

* თუ აქცენტი ექთდება პირის ნაცვალსახელზე, მაშინ ის შესაბამისად იღებს „მახვილიანად“ წოდებულ ფორმებს *moi, toi, lui, eux*:

Tu t'en moques → TOI, tu t'en moques

On les respecte → EUX, on les respecte.

On leur obéit → EUX, on leur obéit.

3. ხაზგასმა და წინდებულიანი ჯგუფი

* როდესაც გამაძლიერებელი საქცევი *c'est... que* მიმართულია წინდებულიანი ჯგუფისკენ, ჩვეულებრივ წინდებული იმ სიტყვის წინ რჩება, რომელიც მოქცეულია საქცევში *c'est ... que*:

Je voulais te parler de cela

→ *C'EST de cela QUE je voulais te parler.*

შენიშვნა. ნაცვალსაბედების შახელითაზი ფორმის გამოყენება (moi, toi და ა.შ.) იწვევს წინდებულის გამოჩენას, რომელიც წამოცილებული იყო „უმახვილი“ ფორმად ნოდებულო ნაცვალსახელების (me, te და ა.შ.) ნინ:

Je voulais te parler → C'est À TOI que je voulais parler.

* წინადადების აქცენტორებული დამატება წინდებულიანი ჯგუფებში, რომელთაც ხაზს უსვამენ, შეიძლება ჩვეულებრივ ღაისვას წინადადების თავში ისე, რომ არ გამეორდეს ნაცვალსახელით:

On n'allumait qu'une seule lampe, PAR ÉCONOMIE

→ PAR ÉCONOMIE, on n'allumait qu'une seule lampe.

სამაგიეროდ, შეღარებით ძნელია ზმნის დამატება წინდებულიანი ჯგუფების წინადადების თავში გადატანა:

Il s'intéresse à ce genre de problèmes.

ვერ გასდება:

*À ce genre de problèmes il s'intéresse.

ამ შემთხვევაში იყენებენ გამაძლიერებელ საქცევს c'est... que:

C'EST à ce genre de problèmes QU'il s'intéresse.

შეთანხმების ნესები მარტივ და გავრცობილ წინადადებებში

1. ზმნის შეთანხმება ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფთან

წინადადების ორივე მთავარ ჯგუფს, ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფსა და ზმნის ჯგუფს შორის ურთიერთდამოკიდებულება, ორივე ჯგუფის პირისა და რიცხვის აღმნიშვნელი ნიშნების შესაბამისობით გამოიხატება: ეს შეთანხმების ფენომენია.

1. შეთანხმება პირში

ზმნა იმავე პირში დგას, რომელშიც ქვემდებარე.

თუ ეს უკანასკნელი არის არსებითი სახელის ჯგუფი (და არა ნაცვალსახელი), ის მესამე პირშია; თუ ქვემდებარე არის პირველი ან მეორე პირის ნაცვალსახელი, ზმნა შესაბამისად პირველ ან მეორე პირში დგას, ე.ი. მას ამ პირის დაბოლოება აქვს:

Le projet RÉUSSIRA (მესამე პირი)

Je RÉUSSIRAI (პირველი პირი)

Tu RÉUSSIRAS (მეორე პირი).

2. შეთანხმება რიცხვში

ზმნას აქვს იგივე რიცხვი, რაც ქვემდებარეს.

თუ ქვემდებარე არის მხოლოდ ერთი რიცხვის არსებითი სახელის ჯგუფი, ზმნა მხოლოდ ერთ რიცხვშია, თუ ქვემდებარე არის მრავლობითი რიცხვის არსებითი სახელის ჯგუფი, ზმნა მრავლობითშია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ ერთ ან მრავლობით რიცხვში ზმნას აქვს მესამე პირის დაბოლოება.

Le projet RÉUSSIRA. Les projets RÉUSSIRONT.

თუ ქვემდებარე არის პირველი ან მეორე პირის ნაცვალსახელი, ზმნა ამ ნაცვალსახელის შესაბამის დაბოლოებას იღებს მხოლოდ ერთ ან მრავლობით რიცხვში.

Je me PROMÈNE. Nous nous PROMENONS.

Tu te PROMÈNES. Vous vous PROMENEZ.

2. ზმნის მკითხველი რამდენიმე არსებითი სახელის ჯგუფთან ან რამდენიმე ქვემდებარე ნაცვალსახელთან

1. ზმნა არის მრავლობითი რიცხვში:

• როდესაც გვაქვს რამდენიმე ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფი:

Pierre et son frère PRENNENT le café.

• როდესაც რამდენიმე ქვემდებარე ნაცვალსახელი ან ერთი ნაცვალსახელი და ერთი არსებითი სახელის ჯგუფია, ასეთ შემთხვევაში შეთანხმება შემდეგი საბით ხდება:

– თუ საქმე ერთსა და იმავე პირის ნაცვალსახელებს ეხება, მაშინ ზმნა შესაბამის პირში დგას:

Toi [Pierre] et toi [André] CONNAISSEZ le chemin.

Lui [Paul] et lui [Jean] CONNAISSENT le chemin.

– თუ საქმე მესამე პირის ნაცვალსახელს და არსებითი სახელის ჯგუფს ეხება, მაშინ ზმნა მესამე პირშია:

Lui et son cousin CONNAISSENT le chemin.

– თუ საქმე ეხება სხვადასხვა პირის ნაცვალსახელს ან არსებითი სახელის ჯგუფსა და პირველი ან მეორე პირის ნაცვალსახელებს: ზმნა პირველ პირშია, თუ ქვემდებარეებს შორის არის პირველი პირის ნაცვალსახელი:

Toi et moi, vous et moi, vous et nous
Lui et moi, eux et moi, eux et nous
Mes amis et moi, mes amis et nous

CONNAISSONS le chemin;

ხოლო ზმნა არის მეორე პირში, თუ ქვემდებარეებს შორის პირველი პირის ნაცვალსახელი არ ფიგურირებს:

Lui et toi, eux et toi, eux et vous
Mes amis et toi, mes amis et vous

CONNAISSEZ le chemin;

შენიშვნა. ვველაზე ხშირი გამოყენება არის ზმნის წინ პირის ნაცვალსახელის გამოხატვა მის შესაბამის პირსა და რიცხვში:

Toi et moi, NOUS CONNAISSONS le chemin.

Eux et toi, VOUS CONNAISSEZ le chemin.

* როდესაც ქვემდებარის ჯგუფი შეიცავს რაოდენობის ზმნიზედას (beaucoup, trop, peu, combien, que) ან გამოთქმას la plupart de მრავლობითი რიცხვის არსებითი სახელის ჯგუფის წინ:

Beaucoup de ces documents ONT DISPARU.

Combien de personnes IGNORENT cela!

* როდესაც ქვემდებარის ჯგუფი არის კრებითი სახელი (une foule, une quantité და ა.შ.) და მოხდეს de წინდებულით შემოტანილი არსებითი სახელია ჯგუფი:

Une foule de visiteurs ONT ADMIRÉ ce tableau.

შენიშვნა. მხოლოდითი რიცხვის გამოყენება შესაძლებელია, როდესაც კრებითი სახელი მთლიანად აღებული ერთობლიობას აღნიშნავს და არა არსებობისა და განსხვავებული საგნების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან რაოდენობას:

Une foule de manifestants DÉFILAIT.

2. ზმნა შეიძლება იყოს მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში:

* როდესაც მხოლოდითი რიცხვის ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფები გაერთიანებულია კავშირებით comme, ou, ni, ainsi que, avec:

Ni sa femme ni lui n'ENTENDIRENT (ან n'ENTENDIT) ces mots.

Ton frère avec son amis SONT ARRIVÉS (ან EST ARRIVÉ)

* როდესაც ქვემდებარის ჯგუფი არის გამოთქმა l'un et l'autre:

L'un et l'autre SONT TOMBÉS MALADES (ან EST TOMBÉ MALADE).

3. ატრიბუტის შეთანხმება წინადადებაში, სადაც არის ზმნა être

1. ზედსართავი ატრიბუტი სქესსა და რიცხვში უთანხმება ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფს.

* რიცხვში შეთანხმებისთვის, წესები იგივეა, რაც ზმნასთან შეთანხმების დროს:

Ce dessin est ORIGINAL. Ces dessins sont ORIGINAUX.
Pierre et Paul sont GAIS. La plupart des invités sont PRÉSENTS.

* თუ განსხვავებული სქესის რამდენიმე ქვემდებარეა, მაშინ ზედსართავი ატრიბუტს: მრავლობითი რიცხვის მამრობით სქესშია:

Jean et Françoise sont GAIS.

2. რიცხვსა და სქესში შეთანხმება არსებითი სახელის ჯგუფსა და არსებით სახელ ატრიბუტს შორის გაცილებით იშვიათია.

* სქესში შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ სქესში ცვალებად არსებით სახელ ატრიბუტებისთვის:

Jean est INSTITUTEUR. Jeanna est INSTITUTRICE.

მაკრამ:

Cet oiseau est UNE HIRONDELLE.

* არსებითი სახელი ატრიბუტს რიცხვი, მკუყულებრივ, სემანტიკურ არჩევანზეა დამოკიდებული:

Ces remarques sont DES CRITIQUES.

Ces remarques sont UN COMMENTAIRE.

როდესაც ქვემდებარე არის მხოლოდით რიცხვში, ხოლო ატრიბუტი არსებითი სახელი მრავლობით რიცხვშია, მათ ზოგადად აკავშირებენ **ce sont-**ით ან უფრო საყოველღეო გამოთქმით **c'est**:

Sa clientèle, **CE SONT** les touristes

ან Sa clientèle, **C'EST** les touristes.

4. ზედსართავი ეპითეტის ან დანართის შეთანხმება

1. ნებისმიერი ზედსართავი სახელი, ეპითეტი თუ დანართი, რომელიც იმ არსებითი სახელის ჯგუფს მიეკუთვნება, სადაც მხოლოდ ერთი არსებითი სახელია, ამ არსებით სახელს ეთანხმება სქესსა და რიცხვში:

Un LÉGER bruit attira mon attention.

Une LÉGÈRE erreur serait catastrophique.

La foule, ATTENTIVE, se taisait.

2. თუ ზედსართავი სახელი არის კავშირით ან უკავშიროდ გადაბმული რამდენიმე არსებითი სახელის ეპითეტვი (ან დანართი), ია მრავლობით რიცხვში დგას.

სქესში შეთანხმების წესები შემდეგია:

* თუ არსებითი სახელები ერთნაირი სქესისაა, ზედსართავი ამ სქესში ჩაისმის:

Elle portait une jupe et une chemisette **BLANCHES**.

* თუ არსებითი სახელები განსხვავებული სქესისაა, ზედსართავი სახელი მამრობით სქესშია:

Elle portait une jupe et un corsage **BLANCS**.

ამასთანავე, თუ არსებითი სახელები (ან არსებითი სახელის ჯგუფები) დაკავშირებულია კავშირით **OU**, ზედსართავი ხანდახან ყველაზე ახლომდგომ არსებით სახელს უთანხმდება:

Il montrait un parti pris **OU** une indifférence **RÉVOLTANTE**.

3. ხანდახან, რამდენიმე ზედსართავი, როდესაც ისინი მრავლობით რიცხვში მდგომი არსებითი სახელის ეპითეტებია, შეიძლება მხოლობით რიცხვში იდგეს, იმ შემთხვევაში, თუკი არსებითი სახელი მრავლობითში იმიტომ დგას, რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი გამეორება:

Il a étudié les langues **ANGLAISE ET ALLEMANDE** (= la langue anglaise et la langue allemande).

რთული წინადადება

1. დაქვემდებარება, თანწყობა, უკავშირო თანწყობა

წინადადება რთულია, თუ იგი რამდენიმე მარტივი ან გავრცობილი წინადადებისგან არის შედგენილი (იხ. თავი. 4 და 32).

რთული წინადადებების შემადგენელი წინადადებები შეიძლება ერთმანეთს უკავშირდებოდნენ დაქვემდებარებით ან თანწყობით. ისინი აგრეთვე შეიძლება ერთმანეთს უბრალოდ კავშირის გარეშე დაუკავშირდნენ.

2. დაქვემდებარება

1. ერთი წინადადება დაქვემდებარებულია მეორეს, როდესაც ის მეორე წინადადების რიგში იმეორდება ან მთელი წინადადების დამატების, ქვემდებარის ან ატრიბუტის როლს ასრულებს.

ამ წინადადებებიდან:

Je crains **||** QU'IL NE SOIT TROP TARD,

Il habite dans la maison **||** QUI FAIT LE COIN DE LA RUE.

თითოეული ორ წინადადებას შეიცავს. აქედან მეორე წინადადება დაქვემდებარებულია პირველს, რომელსაც მთავარი წინადადება უწოდება. მაშასადამე, დაქვემდებარების კავშირი გამოხატავს დამოკიდებულებას და ნისი დანიშნულებაა რთულ წინადადებაში სხვადასხვა ფუნქციის მქონე წინადადებები გააერთიანოს.

2. ზოგიერთი დაქვემდებარებული წინადადება მხოლოდ არსებითი სახელის ფგუფის დამატებაა. ესენი მიმართებითი წინადადებებია:

La route QUE NOUS AVONS PRISES est pittoresque.

ასეთი ფორმით შევსებული არსებითი სახელის ფგუფი (აქ: la route) მიმართებითი წინადადების ანტეცედენციაა.

სხვა დაქვემდებარებული წინადადებები ზმნის ფგუფის ან მოლოანი წინადადების დამატებებია. ესენია:

¹ აქტორი მარტივ და გავრცობილ წინადადებას აგრეთვე ფრაზებს უწოდება, მუსაბამისად, რთულ წინადადებას – რთულ ფრაზას. წინამდებარე თარგმანში ხატყვა „phrase“, ისევე როგორც სიტყვა „proposition“, თარგმნილია როგორც „წინადადება“. (გამომც. შენ.)

- * კავშირიანი დაქვემდებარებული წინადადება:
J'espère QUE VOUS SEREZ SATISFAIT.
QUAND LE CHAT EST PARTI, les souris dansent.
- * ირიბი კითხვითი დაქვემდებარებული წინადადება:
J'ai compris POURQUOI IL SE TAISAIT.
- * ინფინიტიური დაქვემდებარებული წინადადება:
On entendait LE VENT MUGIR.
- * მიმღობითი დაქვემდებარებული წინადადება:
LE REPAS TERMINÉ, on passa au salon.

ასეთი მორფოლოგიური კლასიფიკაცია ზუსტად არ შეესაბამება დაქვემდებარებული წინადადების ფუნქციებს, რაც უფრო დანკრილებით მომდევნო თავებში იქნება განხილული. ამგვარად, კავშირიანი დაქვემდებარებული წინადადება შეიძლება იყოს ან დამატებითი, ან გარემოებითი.

- შენიშვნები: 1. ზოგიერთ მიმართებით წინადადებას არ აქვს გამოხატული ანტიცეფენტი (იხ. თავი. 41).
2. არსებითი სახელის ჯგუფი შეძლება ზოგჯერ შეიესოს კავშირიანი ან ინფინიტიური დაქვემდებარებული წინადადებით (იხ. თავი. 42).
3. დაქვემდებარებული წინადადება შეიძლება იყოს მეორე დაქვემდებარებული წინადადების დამატება:

Je te répondrai || quand tu m'auras dit || où tu veux en venir.
A B C

C არის B-ს დამატება, ხოლო B+C ერთობლიობა არის A-ს დამატება.

3. თანწყობა

1. ერთი წინადადება თანწყობილია მეორე წინადადებასთან მიმართებაში, როდესაც იგივე ფუნქცია აქვს, რაც ამ მეორე წინადადებას და უკავშირდება მას ძაერთებელი კავშირით ან თანწყობის ზმნი-ზედით, რომელიც მათ შორის არსებული კავშირის სახეობაზე მიუთითებს.

თანწყობა შემდეგ რთულ წინადადებებში:

Le ciel est gris, ET il tombe une pluie fine.

Je ne me suis pas baigné, CAR il faisait trop froid.

შენიშვნა: თანსწობის კავშირი ხანდახან მსინჯველობით მაქვემდებარებულ კავშირს უახლოვდება. მართლაც, შეიძლება ითქვას:

Je ne me suis pas baigné PARCE QU'il faisait trop froid.

აუცილებელია ნათქვამი, მაქვემდებარებელი კავშირით შემოტანილი წინადადება ხშირად შეიძლება ამავე კავშირით მიუერთდეს მომდევნო წინადადებას, რაც არასდროს ხდება მართლაც კავშირით შემოტანილი წინადადების შემთხვევაში. შეიძლება ითქვას:

Parce qu'il faisait trop froid, je ne me suis pas baigné.

მაგრამ ვერ ვიტყვი:

*Car il faisait trop froid, je ne me suis pas baigné.

2. ერთი მთავარი წინადადების რამდენიმე დამატებითი დაქვემდებარებული წინადადება შეიძლება ერთმანეთის მიმართ თანსწობილი იყოს:

Il m'a dit QU'il avait bien cherché, MAIS QU'il n'avait rien trouvé.

COMME il était tard, ET BIEN QUE l'ordre du jour ne fût pas épuisé, on leva la séance.

ანგეზად თანსწობილ ორ კავშირიან დაქვემდებარებულ წინადადებას შორის მაქვემდებარებელი კავშირის გამეორების ნაცვლად, ხშირად იყენებენ კავშირს QUAND:

QUAND il se fut assis et QU'il eut bourré sa pipe, il commença son récit.

3. თუ ორ თანსწობილ წინადადებას საერთო წევრები აქვს, ისინი მეორე წინადადებაში შეიძლება არ გამეორდეს. მაგალითად, წინადადებაში:

Pierre est venu et Georges est venu avec lui,

ხდება ზმნის ჩამოცილება და ვიღებთ:

Pierre est venu, et Georges avec lui.

ზმნის უგულვი შეიძლება მოლიანად ამოვარდეს თანსწობილი წინადადებიდან. მაგალითად, წინადადება:

Pierre est venu et Georges est venu,

ნაკლებად ბუნებრივია და ასეთ სახეს იღებს:

PIERRE ET GEORGES sont venus.

ამ შემთხვევაში, ზმნა მხოლოდ ერთხელ არის გამოხატული მრავლობით რიცხვში. შეიძლება აგრეთვე ითქვას, რომ მას ორი თანსწობილი ქვემდებარე აქვს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანსწობა შეიძლება არა მხოლოდ ორ წინადადებას შორის არსებობდეს, არამედ

არსებითი სახელის ორ ჯგუფს ან ზედსართავი სახელის ორ ჯგუფს შორის, როგორც მაგალითად, შემდეგ წინადადებაში:

Ce film est BEAU et INTÉRESSANT.

ასევე, ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფი შეიძლება ამოვარდეს იმ წინადადებაიდან, რომელიც წინა წინადადებასთანაა თანწყობილი:

Le chien aboie et le chien [ან il] tire sur sa chaîne.

ხდება: Le chien ABOIE ET TIRE SUR SA CHAÎNE.

შენიშვნები: ასეთი ამოვარდნა ყველა მათგანში ხიტყვასთან არ არის შესაძლებელი, მაგალითად, არ შეიძლება კავშირებთან or, car, aussi, ainsi.

თუ შეიძლება ითქვას:

Le roseau plie, mais ne se casse pas.

ვერ ვიტყვი: *Le roseau plie, car est souple.

აქ აუცილებელია ნაცვალსახელის გამოყენება: car il est souple.

2. წინადადებაში, როგორიცაა:

Il s'assit, prit son journal, mis ses lunettes et se mit à lire.

კავშირი et მხოლოდ ერთხელ არის გამოხატული ბოლო ორ ზმნის ჯგუფს შორის. მათ აქვთ ერთი და იგივე ქვემდებარე, რომელიც არ მთვრდება. შესაბამისად, ყველა ეს წინადადება მიიჩნევა თანწყობილ წინადადებად.

4. უკავშირო თანწყობა

როდესაც სრული ან ნაკლებუნევერიანი წინადადებები უკავშიროდ არის თანწყობილი რთულ წინადადებაში, მათ შორის მიმართება, შემთხვევიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიხატოს მაქვემდებარებელი ან მათგანთვალე კავშირით:

Un cheval hennit, des vaches meuglent, des poules caquètent dans la cour de ferme. (მიმატების კავშირი = et)

Tu as aimé ce film, moi, il m'a ennuyé. (დაპირისპირების კავშირი = mais, ან alors que, tandis que)

Je dormais, je n'ai rien entendu. (მიზეზ-შედეგობრივი კავშირი = donc, ან de sorte que, si bien que.)

Je n'ai rien entendu, je dormais. (შედეგ-მიზეზობრივი კავშირი = car, ან puisque, parce que.)

მიმართებითი წინადადება

1. მიმართებითი წინადადების როლი და ბუნება

1. სახელის ჯგუფი შეიძლება შეიცავდეს მიმართებით დაქვემდებარებულ წინადადებას და, ზოგ შემთხვევაში, იმფინიტიურ ან კავშირიან დაქვემდებარებულ წინადადებას.

მიმართებითი წინადადება არის მთავარ წინადადებასთან მიმართებითი ნაცვალსახელით ან, უფრო იშვიათად, მიმართებითი ზედსართავი სახელით დაკავშირებული დაქვემდებარებული წინადადება. არსებითი სახელის ჯგუფთან მიმართებაში ის იმავე როლს ასრულებს, რასაც არსებითი სახელის წინდებულიანი დამატების ჯგუფი ან ზედსართავი სახელი. შევადაროთ:

Les détails QUI NE SERVAIENT À RIEN ont été supprimés.

Les détails SANS UTILITÉ ont été supprimés.

Les détails QUI SONT INUTILES ont été supprimés.

Les détails INUTILES ont été supprimés.

სწორედ ეს თანაბარი ფუნქციები ხსნის იმის შესაძლებლობას, რომ შეიძლება მოხდეს მიმართებითი წინადადების და არსებითი სახელის ჯგუფის დამატების ან ზედსართავი სახელის თანწყობა:

Il a prononcé des paroles D'APAISEMENT (ან APAISANTES), mais qui n'excluaient pas la fermeté.

2. შეიძლება ორი სახის მიმართებითი წინადადება განეახლებოდეს:

• განსაზღვრებითი მიმართებითი წინადადება, რომლის წინადადებიდან ამოღებაც აზრს გაუგებარს ხდის ან ძირეულად ცვლის; ის განსაზღვრულ არტიკლთან ან ჩვენებით ზედსართავთან ერთად მსაზღვრელის როლს ასრულებს:

Prévenez tous ceux QUE VOUS RENCONTREZ.

Je n'aime pas les gens QUI SE PLAIGNENT TOUJOURS.

ეს მიმართებითი წინადადება მჭიდროდ უკავშირდება მთავარ

წინადადებას; ის აესებს ან ზღუდავს მთავარ წინადადებაში გამოხატულ აზრს;

• მიმართებითი წინადადება დანართი ისეთი წინადადებაა, რომლის მოცილების შემდეგ, წინადადება გრამატიკულად გამართული რჩება. მას უბრალოდ შევსების, დაზუსტების ფუნქცია აქვს:

Le mont Blanc, QUI S'ÉLÈVE À PLUS DE 4 800 MÈTRES, est le plus haut sommet d'Europe.

ეს მიმართებითი წინადადება მძიმეებით არის გამოყოფილი და დამატებითი დაზუსტება შეაქვს მთავარ წინადადებაში. მას ზმირად გარკვეული გარემოების მნიშვნელობა აქვს. მაგალითად:

– ნიზეზის:

La chaise, QUI ÉTAIT VERMOULUE, s'effondra sous ce poids (= parce qu'elle était vermoulue)

– დათმობის:

Cet homme, QUI AVAIT UN AIR FAROUCHE, n'aurait pas fait de mal à une mouche (= bien qu'il eût un air farouche).

3. განსხვავება განსაზღვრებით მიმართებით და მიმართებით წინადადება დახართებს შორის იგივეა, რაც ზედსართავ ეპითეტსა და ზედსართავ დანართს შორის; ამ უკანასკნელმა შეიძლება აგრეთვე გამოხატოს გარემოების მნიშვნელობები. ამიტომაც, ზედსართავი სახელი შეიძლება გაანალიზებული იქნეს არსებითი სახელის ჯგუფში, როგორც წარმოქმნილი განსაზღვრებითი მიმართებითი წინადადებაიდან (ზედსართავი ეპითეტი) ან მიმართებითი წინადადება დანართიდან (ზედსართავი დანართი) [იხ. თავი 23].

2. მიმართებითი ტრანსფორმაცია და ქვემდებარის ადგილი

ჩვენ ვნახეთ (თავი 21), თუ როგორ ხდება არსებითი სახელის ჯგუფის შეცვლა მიმართებითი ნაცვალსახელით და განვიხილეთ შედეგები, რომელიც აქედან გამომდინარე მიმართებითი დამატების ადგილს ეხება.

როდესაც მიმართებითი წინადადება არის დაძატება, შესაძლებელია მისი ქვემდებარის ზმნის შემდეგ გადატანა (ფაკულტატიური კონსტრუქცია):

Les renseignements que donne LE GUIDE (ან que le guide donne) sont très détaillés.

Le pont sur lequel passe LA ROUTE (ან sur lequel la route passe) est ancien.

თუქცა, თუ ქვემდებარე პირის ნაცვალსაბელოა, მისი დასმა ზმნის შემდეგ არ შეიძლება:

Les renseignements que TU m'as donnés sont très détaillés (და არა *que m'as-tu donnés).

3. მიმართებითი წინადადების კილო

1. მიმართებითი წინადადება დანართი, ჩვეულებრივ, თხრობით ან პირობით კილოში დგას.

2. განსაზღვრებითი მიმართებითი წინადადება არის:

• თხრობით ან პირობით კილოში (ყველაზე გავრცელებული შემთხვევა):

J'ai trouvé une maison qui a un jardin;

• ან კავშირებით კილოში:

– იმ შემთხვევაში, თუ ის გამოხატავს განზრახვას, გათვალისწინებულ შედეგს (მოთავარი წინადადების ზმნის მნიშვნელობაათან მიმართებით):

Je cherche une maison qui AIT un jardin;

– თუ ის გამოხატავს შეზღუდვას, განსაკუთრებით სიტყვების le seul, le premier შემდეგ ან შედარებითი აღმატებითი ხარისხის შემდეგ:

Il N'y a QUE quelques personnes QUI SOIENT au courant.

Vous êtes LE SEUL QUI PUISSIEZ m'aider.

• ან ინფინიტივში:

Je cherche quelqu'un à QUI M'ADRESSER.

4. მიმართებითი წინადადება ანტეცედენტის გარეშე

ზოგიერთ მიმართებით წინადადებას არ აქვს გამოხატული ანტეცედენტი. ისინი წინშენელობით იმ მიმართებით წინადადებას უტოლდება, რომელიც ანტეცედენტს *celui* ავსებს. ეს *celui* ნებისმიერ პიროვნებას აღნიშნავს (*celui qui = quicunque*). მათ ხანდახან განუსაზღვრელ მიმართებით წინადადებას უწოდებენ:

QUI NE DIT MOT consent.

QUICONQUE PRÉTEND CELA se trompe.

ეს მიმართებითი წინადადებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც იმ არსებითი სახელის ჯგუფის დანაშატი, რომელიც გამოუხატავი ანტეცედენტია (*celui*) ან როგორც ქვემდებარე არსებითი სახელის ჯგუფები ან დამატებები:

QUI DORT dîne (*qui dort* არის ზმნის *dîne* ქვემდებარე)

Interroge QUI TU VOUDRAS (*qui tu voudras* არის ზმნის *interroge* დამატება).

დამატებითი წინადადება

1. რა არის დამატებითი წინადადება?

დამატებით წინადადებას უწოდებენ დაქვემდებარებულ წინადადებას, რომელიც ცვლის მარტივი წინადადების არსებითი სახელის უგუფ დამატებას, ქვემდებარეს ან ატრიბუტს.

* განვიხილოთ ორი წინადადება:

Je vous annonce une chose. Les hirondelles sont revenues.

შესაძლებელია მეორე წინადადება პირველს დაექვემდებაროს კავშირის QUE საშუალებით, რომელიც une chose-ის ნაცვლად დაისმის:

Je vous annonce QUE LES HIRONDELLES SONT REVENUES.

დამატებითი დაქვემდებარებული წინადადება აქ არის დამატება.

* ახლა უკვე ორი წინადადება განვიხილოთ:

Ceci est exact. La réunion a été annulée.

ჩვენ შეგვიძლია მეორე წინადადება პირველს დაუქვემდებაროთ que-ს საშუალებით, რომელიც შეცვლის ceci-ს. ამგვარად აგებული წინადადება არ გამოიყენება (*que la réunion a été annulée est exact); ამ შემთხვევაში, აუცილებელია დამატებითი პროცედურა: დაქვემდებარებულმა წინადადებამ მთავარი წინადადების შემდეგ უნდა გადაინაცვლოს, ხოლო ქვემდებარის ჩვეული ადგილი უნდა დაიკავოს უცვლელმა ნაცვალსახელმა il:

Il est exact QUE LA RÉUNION A ÉTÉ ANNULÉE.

აქ დამატებითი დაქვემდებარებული წინადადება მთავარი წინადადების რეალური ქვემდებარის როლში გამოდის.

* დაბოლოს, განვიხილოთ ორი წინადადება:

La vérité est celle-ci. Je ne m'y attendais pas.

დაქვემდებარების იმავე პროცედურის შესრულების შემდეგ ვღებთ:

La vérité est QUE JE NE M'Y ATTENDAIS PAS.

მიღებულ წინადადებაში დამატებითი დაქვემდებარებული წინადადება ატორიბუტის როლს ასრულებს.

2. დამატებითი წინადადების ფორმები

1. კავშირიანი კონსტრუქცია

ჯველა წინამდებარე მაგალითში, დამატებითი წინადადება იყო ჩაქვემდებარებელი კავშირით **QUE**-თი შემოტანილი კავშირიანი დაქვემდებარებული წინადადება.

ეს ძალიან ხშირი, თუმცა არა ერთადერთი შემთხვევაა.

2. ინფიტიური კონსტრუქცია

*ორ წინადადებას შორის:

Je vous promets ceci.

Je serai prudent,

დაქვემდებარება შეიძლება ორი სახით განხორციელდეს:

Je vous promets QUE JE SERAI PRUDENT.

Je vous promets D'ÊTRE PRUDENT.

ინფინიტიური კონსტრუქცია უკავშირდება მთავარი წინადადების ზმნის არჩევას (*promettre, espérer, croire* და ა.შ.) და იმ ფაქტს, რომ დაქვემდებარებულ წინადადებას იგივე ქვემდებარე აქვს, რაც ამ ზმნას (იხ. თავი. 44).

*რამდენიმე ზმნის, სახელდობრ *voir, entendre, sentir* შემდეგ, ინფინიტივი შეიძლება დამატებით წინადადებაში გამოყენებული იქნეს მთავარი წინადადების ქვემდებარისგან განსხვავებულ ქვემდებარით:

On sentait L'HIVER VENIR (ან *venir l'hiver*).

On entendait PIERRE PARLER DANS LA PIÈCE À CÔTÉ

იმავე მნიშვნელობისაა შემდეგი კონსტრუქციები:

On sentait QUE L'HIVER VENAIT.

On entendait PIERRE QUI PARLAIT DANS LA PIÈCE À CÔTÉ.

3. კითხვათა კონსტრუქცია.

* **ორ ნინადადებას შორის:**

Je te demande ceci: Où vas-tu?

შეიძლება მოხდეს დაქვემდებარება კითხვითი დამატებითი ნინადადების სახით, როქელსაც „არაპირდაპირ კითხვას“ უწოდებენ:

Je te demande OÙ TU VAS.

როცა საქმე ნაწილობრივ კითხვას ეხება, როგორც ამ მაგალითშია, კითხვითი სიტყვა ძირითადად იგივე რჩება, მაგრამ პირდაპირი კითხვას გადაადგილებული ექვემდებარე შორის ნაცვალსახელი ხელახლა იკავებს თავის ადგილს ზმნის წინ.

* **ნინადადებებს შორის:**

Je te demande ceci: Qui est-ce qui est venu? Qu'est-ce qu'il a dit? Qu'est-ce qui le tracasse?

დაქვემდებარების პროცედურის შემდეგ ვიღებთ:

Je te demande QUI EST VENU, CE QU'IL A DIT, CE QUI LE TRACASSE.

როდესაც ნაწილობრივი პირდაპირი კითხვა შემოტანილია კითხვით qui est-ce qui, qu'est-ce qui, qu'est-ce que, ირიბი კითხვის შემოტანა ხდება qui, ce qui, ce que-თი.

* **ნინადადებებს შორის:**

Je te demande ceci: Est-ce que tu pars? (ან: Pars-tu?, ან Tu pars?)

დაქვემდებარების პროცედურის შემდეგ ვიღებთ:

Je te demande SI TU PARS.

სრული კითხვას შემსახვევაში, როგორც ამ მაგალითშია, კითხვითი დაქვემდებარებული ნინადადება შემოტანილია si ზმნიზედაკავშირით.

ყველა ირიბ კითხვაში, კითხვითი ინტონაცია ქრება.

* **ინფინიტივი გვხვდება ირიბი კითხვის შემცველ დამატებით ნინადადებაში:**

Je me demande OÙ ALLER,

Je ne sais À QUI M'ADRESSER.

ამ კონსტრუქციაში, კითხვითი ნაცვალსახელი შეიძლება იყოს *que* ან *quoi* (და არა *ce que*):

Je ne sais QUE PENSER DE CETTE DÉCLARATION.

3. არსებითი სახელისა და ზედსართავი სახელის დამატებითი წინადადებები

1. წინადადებაში:

La crainte QUE SON MAL NE LE REPRENNE trouble sa convalescence,

კავშირით *que* შემოტანილი დაქვემდებარებული წინადადება კავშირიანი დაქვემდებარებული წინადადებაა და არის არსებითი სახელია ჯგუფის *la crainte* დამატება.

მაშასადამე, არსებითი სახელის ზოგიერთი ჯგუფი შეიძლება შეიცავდეს არა მხოლოდ მიმართებით წინადადებებს, არამედ დამატებით წინადადებებსაც. ისინი აბსტრაქტული სახელებია და, ჩვეულებრივ, ისეთ ზმნებს შეესაბამება, რომელთაც შეიძლება მოჰყვებოდეს *que*-თი შემოტანილი დამატებითი წინადადება, ე.ი. წინადადების ტრანსფორმაციით მიღებული არსებითი სახელი: (წომინალიზაცია).

Il craint QUE SON MAL NE LE REPRENNE

→ La crainte QUE SON MAL NE LE REPRENNE....

ასევე:

Il espère QU'IL SERA REÇU, cela l'enhardit

→ L'espoir QU'IL SERA REÇU l'enhardit.

როგორც ვხედავთ, არსებითი სახელის დამატებითი წინადადების კილო იგივეა, რაც შესაბამისი ზმნის დამატებითი წინადადების კილო: *craindre (la crainte) que* + კავშირებითი კილო; *espérer (l'espoir) que* + თხრობითი კილო.

შენიშვნა. არსებობს არსებითი სახელები, რომლებიც მორფოლოგიურად არ შეესაბამება ზმნას, მაგრამ მაინც ირთავს დამატებით წინადადებას: *l'idée que, le besoin que...*

ეს არსებითი სახელები მნიშვნელობით ახლოს დგას იმ ზმნასთან, რომელიც ირთავს დამატებით წინადადებას (penser que, croire que) ან შედის ზმნურ განოთქმებში (avoir besoin que), სადაც იგივე ათვისება აქვს.

2. ისეთ წინადადეგებში, როგორცაა:

Pierre est heureux (fier და ა.შ.) QUE SON PROJET AIT ÉTÉ ADOPTÉ, დამატებითი დაქვემდებარებული წინადადება არის ზედსართავი ატრიბუტის heureux (fier და ა.შ.) დამატება, ისევე, როგორც არსებითი სახელის წევრი de son succès წინადადებაში:

Pierre est heureux DE SON SUCCÈS.

que-თი აგებული დამატებითი წინადადების ეს კონსტრუქცია შეიძლება გამოყენებული იქნეს ზედსართავ ეპითეტთან:

Les gens trop sûrs QU'ON LES ADMIRE sont bien ridicules.

შენიშვნა: ზოგიერთი აბსტრაქტული სახელი, რომელიც ზედსართავი სახელების ამ კლასს შეესაბამება, ასევე ირთავს que-თი შემოტანილ დამატებით წინადადებას: La certitude que (როგორც: je suis certain que).

4. quo-თი შემოტანილი დამატებითი წინადადების კილო

ეს დაქვემდებარებული წინადადეგები დგას თხრობით (ან პირობით), ან კავშირებით კილოში.

1. გამოსაყენებელი კილო ჩვეულებრივ იმ სემანტიკური კლასით არის განსაზღვრული, რომელსაც ის ზმნა, არსებითი სახელი ან ზედსართავი ეკუთვნის, დამატებით წინადადებას რომ ირთავს.

* ზოგადად, ეს არის თხრობითი კილო იმ ზმნების, არსებითი სახელების ან ზედსართავების შემდეგ, რომლებიც მტკიცებით წინადადებაში გამოხატავენ:

– თხრობას (dire, raconter, affirmer, expliquer და ა.შ.)

– განსჯას (penser, croire, estimer, considérer, supposer და ა.შ.)

– ცოდნას (savoir, être certain, apprendre და ა.შ.)

* კავშირებითი კილო ძირითადად იმ წმინების, არსებითი სახელების ან ზედსართავების შემდეგ გამოიყენება, რომელიც გამოხატავს:

– ნებას, სურვილს, თანამობას, უარს (vouloir, souhaiter, ordonner, désirer, attendre, admettre, interdire და ა.შ.);

– შიშს (craindre, appréhender, redouter, avoir peur და ა.შ.);

– ეჭვს, განსაკუთრებით, უარყოფით ან კითხვის ფორმაში მდგარ წმინებთან, რომლებიც თხრობას, განსჯას და ცოდნას აღნიშნავს (douter, ne pas affirmer, ne pas croire, ne pas être sûr და ა.შ.)

შენიშვნები. 1. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იქნეს კავშირებითი ან თხრობითი კილო:

Je n'affirme pas qu'il AIT dit cela, ან qu'il A dit cela.

Croyez-vous que ce SOIT vrai? ან que c'EST vrai?

2. ხანდახან თხრობითსა და კავშირებით კილოს შორის დაპირისპირება ნიშანია იმისა, რომ იგივე ზმნა გამოყენებულია, როგორც თხრობის ან ნების, გამზრახვის გამომხატველი ზმნა:

Je lui dis [= déclare] qu'il EST exact au rendez-vous.

Je lui dis [= recommande] qu'il SOIT exact au rendez-vous.

Je prétends [= déclare] qu'on m'OBÉIT.

Je prétends [= veux] qu'on m'OBÉISSE.

3. ფაქტობრივად, ნების გამომხატველ ზმნაზე დამოკიდებული დამატებითი წინადადებები ირიბი ბრძანებითი წინადადებებია: Je veux que tu me comprennes bien ნიშნავს: Je veux ceci: Comprends-moi bien.

2. გამოსაყენებელი კილო შეიძლება აგრეთვე დამოკიდებული იყოს დამატებითი წინადადების ადგილზე. წინადადების თავში დასმული დამატებითი წინადადება ქვემდებარის როლში, ან დამატების როლში ხაზგასმის მიზნით, ძირითადად კავშირებით კილოშია:

QU'IL SOIT ÉMU, (c') est bien compréhensible.

QU'IL FAILLE SE MÉFIER, c'est certain.

QUE VOUS AYEZ RAISON, je le reconnais volontiers.

გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადებები (1): დროის, მიზნის, მიზეზის, დათმობის ან დაპირისპირების

1. რა არის გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადება?

1. თუ დამატებითი წინადადება ცვლის მარტივი წინადადების დამატება არსებითი სახელის ჯგუფს, ქვემდებარეს ან ატრიბუტს, გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადება (ანუ გარემოებითი წინადადება) ცვლის წინდებულიანი დამატების ჯგუფით გამოხატულ გარემოებას (ზმზის ჯგუფის დამატება და წინადადების დამატებას).

თუ წინადადება:

Il est venu chez moi à 9 HEURES.

დროის გარემოებას à 9 heures ჩავანაცვლებთ წინადადებით, მაშინ როდესაც წინადადებაში გვექნება დროის გარემოებითი წინადადება, მაგალითად:

Il est venu chez moi QUAND J'ÉTAIS PARTI.

2. სრული შესაბამისობა გარემოების და მატება არსებითი სახელის ჯგუფსა და გარემოებითი წინადადებას შორის არ არსებობს. ჩვენ ვნახავთ, მაგალითად, რომ დროის, მიზეზის, დათმობის, ვითარების, მიზნის, შედარების, პირობის მიმართებები შეიძლება გამოიხატოს ან წინდებულიანი არსებითი სახელის ჯგუფით, ან დაქვემდებარებული წინადადებით. სამაგიეროდ, შედეგი, ჩვეულებრივ, დაქვემდებარებული წინადადებით გამოიხატება, ხოლო მასალა, ფასი, ზომა, საშუალება, თანხლება, ადგილი და ა.შ., მხოლოდ წინდებულიანი არსებითი სახელის ჯგუფით, თუკი მიეძველობაში არ მივიღებთ, რამდენიმე უანტეცევენტო მიმართებითი წინადადების შემთხვევას (Allez avec qui vous voudrez: თანხლება, Allez où l'on vous dira: ადგილი).

2. დროის გარემოებითი წინადადება

1. დროის გარემოებითი წინადადება შემოტანილია კავშირით ან კავშირიანი გამოთქმით, რომელიც გამოხატავს რაღაც დროის განმავლობაში, ამ დრომდე ან სხვა ფაქტის შემდეგ მომხდარ მოქმედებას.

* Quand, comme, tandis que, alors que, tant que მორფოლოგიურად წინდებულებს არ შეესაბამება:

Il s'est mis à pleuvoir **COMME NOUS PARTIONS.**

(დამატება არსებითი სახელის ჯგუფთან: à notre départ.)

* dès que, aussitôt que, sitôt que, pendant que, avant que, après que, depuis que წინდებულთ და que-თი წარმოებული კავშირებია:

DÈS QUE J'ARRIVERAI, je vous préviendrai.

AUSSITÔT QUE LA SÉANCE EUT PRIS FIN, on s'est séparé.

(დამატება არსებითი სახელის ჯგუფებთან: dès mon arrivée, aussitôt après la fin de la séance.)

jusqu'à ce que წინდებულს შეესაბამება jusqu'à.

* lorsque, au fur et à mesure que, au moment où შეესაბამება წინდებულთან გამოთქმებს lors de, au fur et à mesure de, au moment de:

Je l'ai vu **LORSQUE JE SUIS PASSÉ À PARIS.**

(წინდებულთან სახელის ჯგუფთან: lors de nom passage à Paris)

2. დროის კავშირიან გარემოებით წინადადებებში გამოყენებული კილო არის:

* კავშირებითი კილო avant que, jusqu'à ce que და ხშირად, საყოველთაო საუბარში après que-ს შემდეგ (მაგრამ, დახვეწილი სტილის დროს, ამ კავშირის შემდეგ მხოლოდ თხრობით კილოს იყენებენ):

Il faut agir **AVANT QU'IL SOIT** (ან qu'il ne soit) trop tard.

Vous pourrez rentrer chez vous **APRÈS QUE VOUS AYEZ TERMINÉ CE TRAVAIL** (დახვეწილი სტილი: après que vous AUREZ terminé);

* თხრობითი (ან პირობითი) კილო სხვა კავშირებთან.

3. როდესაც დაქვემდებარებულ წინადადებას იგივე ქვემდებარე აქვს, რაც მთავარ წინადადებას, ხშირია ინფინიტიური გარდაქმნა (თუნცა არასაბვალდებულო) კავშირებითან *avant que, après que, au moment où* და მაშინ ეს კავშირები იცვლება წინდებულებით *avant de, après, au moment de*:

AVANT QUE JE NE PRENNE UNE DÉCISION, je veux encore réfléchir
→ *AVANT DE PRENDRE UNE DÉCISION, je veux encore réfléchir.*

APRÈS QU'IL EUT FAIT SA PROMENADE MATINALE, il se remit à écrire → *APRÈS AVOIR FAIT SA PROMENADE MATINALE, il se remit à écrire.*

3. მიზნის გარემოებითი წინადადება

1. მიზნის გარემოებითი წინადადება შემოტანილია მიზნის, განზრახვის გამოხატველი იმ კავშირით: ან მკავშირებელი გამოთქმით, რომელიც მიმართულებას აძლევს მთავარ წინადადებაში გამოხატულ მოქმედებას.

• *pour que* შედგენილია წინდებულებით *pour* და კავშირით *que*:

Nous formons des vœux POUR QUE CE PROJET RÉUSSISSE.

(დამატება არსებითი სახელის ფგუფთან: *pour la réussite de ce projet.*)

Que ხანდახან მარტო, ძირითადად ბრძანებითი კილოს შემდეგ იხმარება.

Approche-toi, QU'ON TE VOIE (ან: *pour qu'on te voie*).

• *afin que, de peur que, de crainte que* შეესაბამება წინდებულებს *afin de* (რომელიც მხოლოდ ზმნის საწყისი ფორმის წინ გამოიყენება), *de peur de, de crainte de*:

Il ralentit avant le virage, DE PEUR QUE LA VOITURE NE DÉRAPE.

(დამატება არსებითი სახელით: *de peur de dérapage*)

2. მიზნის გარემოებითი წინადადებაში ყოველთვის კავშირებითი კილო გამოიყენება.

3. ინფინიტიური გარდაქმნის გამოყენება ძირითადი წესია, როდესაც დაქვემდებარებულ წინადადებას იგივე ქვემდებარე აქვს, რაც მთავარ წინადადებას:

Il s'est enfermé dans son bureau POUR (ან AFIN DE) NE PAS ÊTRE DÉRANGÉ (მაგრამ განსხვავებულ ქვემდებარესთან იქნება: POUR [ან AFIN] QU'ON NE LE DÉRANGE PAS).

შენიშვნები: 1. ზემოაღნიშნული წინდებულების ვარდა, ინფინიტის წინ შეიძლება გამოვიყენოთ: en vue de, dans l'intention de, dans le but de.

2. ხანდახან, იფინიტის წინდებულის ვარგშე ხმარობენ, რათა მიზანი გამოხატონ, იმ მთავარი ზმნების შემდეგ, რომლებიც მოძრაობას აღნიშნავენ:

Il est venu DEMANDER DES NOUVELLES.
Cours CHERCHER DU SECOURS.

4. მიზეზის გარემოებითი წინადადება

1. მიზეზის გარემოებითი წინადადება შემოტანილია იმ კავშირით ან კავშირიანი გამოთქმით, რომელიც მთავარ წინადადებაში გამოხატული მოქმედების გამომწვევ მიზეზზე ან მოტივზე მიუთითებს.

• Parce que, puisque, comme, du moment que მორფოლოგიურად წინდებულებს არ შეესაბამება:

Il faut emporter des lainages PARCE QU'IL FAIT FROID.

(დამატება არსებითი სახელის ჯგუფთან: à cause [ან en raison] du froid).

• non (pas) que უარყოფილ მიზეზს აღნიშნავს:

Je n'ai pas lu ce livre, NON QUE JE LE CROIE SANS INTÉRÊT, mais faute de temps.

• vu que, attendu que, étant donné que ნაწარმოებია წინდებულად გამოყენებული მიმლეობისგან და კავშირით que:

On a simplifié les formalités, VU QU'IL Y AVAIT URGENGE.

(დამატება არსებითი სახელის ჯგუფთან: vu l'urgence.)

• sous prétexte que მიგვანიშნებს მონიზებებაზე და შეესაბამება წინდებულთან გამოთქმას sous prétexte de:

SOUS PRÉTEXTE QU'IL EST MALADE, il ne veut en faire qu'à sa tête.
(**დამატება არსებითი სახელის ქვეშეთან: sous prétexte de maladie**).

2. მიზეზის გარემოებით წინადადებებში გამოყენებული კილოა:

* თანრობითი ან (პირობითი) უჩეტეს შემთხვევაში;

* კავშირებითი კილო ნიი que-ს შემდეგ.

3. როდესაც მთავარ და დაქვემდებარებულ წინადადებებს ერთი და იგივე ეჭვმდებარე აქვს, ინფინიტიური გარდაქმნა შეიძლება შემდეგი წინადადებულებების საშუალებით მოხდეს: **de, faute de, sous prétexte de, pour** (= ინფინიტივის სრული ფორმა)

Il bougonnait **D'ÊTRE OBLIGÉ DE RECOMMENCER** (= parce qu'il était obligé).

Il a eu une contravention **POUR AVOIR MAL GARÉ SA VOITURE** (= parce qu'il avait mal garé).

5. დათმობის ან დაპირისპირების გარემოებითი წინადადება

1. დათმობის ან დაპირისპირების გარემოებითი წინადადება შემოტანილია იმ კავშირით ან კავშირიანი გამოთქმით, რომელიც მიუთითებს ფაქტზე, რაც შეიძლებოდა დაპირისპირებოდა მთავარში აღნიშნული მოქმედების განხორციელებას, ან მისი კონტრატულია.

* **quoique, bien que, encore que** (დახვეწილი სტილი), **alors que**:

QUOIQUE NOUS SOYONS EN HIVER, la température est très douce.

Les médecins tentent un nouveau traitement, **ENCORE QU'IL YAIT BIEN PEU DE CHANCES DE LE SAUVER**.

Le versant sud de la montagne est très sec, **ALORS QUE LE VERSANT NORD EST PLUVIEUX**.

* **Même si, quand bien même** (ერთდროულად პირობის და დათმობის მნიშვნელობა აქვს):

MÊME SI LA NOUVELLE EST VRAIE, elle ne change rien à la situation.

QUAND BIEN MÊME LES CRÉDITS SERAIENT DOUBLÉS, ils resteraient insuffisants.

* Tout [+ ზედსართავი] que, si [+ ზედსართავი ან ზმნიზედა] que, quelque [+ ზედსართავი ან ზმნიზედა] que (დახვეწილი სტილი):

TOUS RICHES QU'ILS SONT (ან უფრო იშვიათად qu'ils soient), ces gens vivent très simplement.

SI RAPIDEMENT QU'IL AIT RÉAGI, il était déjà trop tard.

* malgré que, au lieu que, loin que შეესაბამება წინდებულებს malgré, au lieu de; loin de:

MALGRÉ QUE L'ADRESSE SOIT INCOMPLÈTE, la lettre est bien arrivée. (სალიტერატურო ენაში ერიდებათ malgré que-ს გამოყენებას, გარდა გამოთქმისა: malgré qu'il en ait.)

შენიშვნა. ზოგიერთ განუსაზღვრელ მიმართებით წინადადებას დათმობის მნიშვნელობა აქვს:

QUOI QUE JE DISE, on ne me croira pas.

QUELQUES PROCÉDÉ QU'ON CHOISISSE, l'opération est délicate.

2. დათმობის კავშირიან გარემოებით წინადადებებში გამოიყენება შემდეგი კილოები:

- * კავშირებითი, უმრავლეს შემთხვევაში;
- * თხრობითი (ან პირობითი) კავშირებთან même si, alors que, ხანდახან au lieu que და ძირითადად tout... que;
- * პირობითი კავშირთან quand bien même.

3. როდესაც მთავარ და დაქვემდებარებულ წინადადებებს ერთი და იგივე ქვემდებარე აქვს, ინფინიტიური გარდაქმნა შეიძლება მოხდეს წინდებულების: au lieu de, loin de, pour საშუალებით (და ინფინიტივის სრული ფორმით):

LOIN D'ÊTRE ABATTU PAR CET ÉCHEC, il redouble d'activité.
POUR AVOIR PASSÉ DEUX NUITS SANS SOMMEIL, vous ne paraissez pas trop fatigué (= bien que vous ayez passé...).

გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადებები (2): პირობის, შედეგის, შედარების, ვითარების, მიმატების, გამონაკლისის

1. პირობის გარემოებითი წინადადება

1. პირობის გარემოებითი წინადადება შემოტანილია კავშირით ან კავშირისი გაშთქნით, რომელიც იმ ვარაუდს ან პირობას გამოხატავს, რაზეც მთავარ წინადადებაში გამოხატული მოქმედებაა დამოკიდებული.

• si:

SI J'AI LE TEMPS, je t'aiderai. SI J'AVAIS LE TEMPS, je t'aiderais.

[ეს უკანასკნელი გამოყენება იწოდება ან „პოტენციურ“ ან „არარეალურ ანმყოფ“ იმის მიხედვით, გამოთქმული ვარაუდი მიზნეულია როგორც შესაძლებელი მომავალში, თუ როგორც აშკარად შეუძლებელი ფაქტი].

SI J'AVAIS EU LE TEMPS, je t'aurais aidé.

(ამ გამოყენებას „არარეალური წარსული“ ეწოდება.)

• pourvu que, pour peu que, à supposer que, soit que..., soit que..., que...ou que... არ შეესაბამება წინდებულებს.

POURVU QUE VOUS FASSIEZ VOTRE TRAVAIL, on vous laissera tranquille. QU'IL FASSE BEAU OU QU'IL PLEUVE, je partirai.

• selon que, suivant que... ou que, en admettant que შედგენილია წინდებულებით selon, suivant, en admettant და კავშირით que.

SELON QU'IL FERA BEAU OU NON, je vous accompagnerai ou je resterai ici.

(დამატება არსებითი სახელის უკუფთან: selon le temps qu'il fera.)

• à condition que, à moins que, au cas où შეესაბამება წინდებულებს à condition de (გამოყენება მხოლოდ ინფინიტივთან) à moins de, en cas de:

AU CAS OÙ TU CHANGERAIS D'AVIS, prévien-moi.

(დამატება არსებითი სახელის ჯგუფთან: en cas de changement d'avis).

2. პირობის კავშირიან გარემოებით წინადადებებში გამოყენებული კილო არის:

- ახრობითი კავშირებთან si, selon que, suivant que;
- პირობითი კავშირთან au cas où,
- კავშირებითი სხვა კავშირებთან.

3. როდესაც მთავარ და დაქვემდებარებულ წინადადებებს ერთი ქვემდებარე აქვს, ინფინიტიური გარდაქმნა შეიძლება მოხდეს წინდებულების à condition de, à moins de საშუალებით:

Tu peux prendre ce livre, À CONDITION DE ME LE RAPPORTER DEMAIN (= à condition que tu me le rapportes).

2. შედეგის გარემოებითი წინადადება

1. შედეგის გარემოებითი წინადადება შემოტანილია კავშირით ან კავშირიანი გამოთქმით, რაც მიუთითებს ფაქტზე, რომელიც მთავარ წინადადებაში გამოხატული მოქმედების რეალური ან შესაძლებელი შედეგია.

• que და მთავარ წინადადებაში tel ან როდენობის ზმნიზედა (si, tant, tellement, si bien) ან de telle sorte, en sorte:

Les enfants font un TEL bruit QUE JE NE PEUX PAS TRAVAILLER.

La marée est basse, SI BIEN QU'ON PEUX PÊCHER DANS LES ROCHERS.

Il s'en est tiré DE TELLE SORTE QUE TOUT LE MONDE A ÉTÉ SATISFAIT.

(დამატება არსებითი სახელის ჯგუფთან: à la satisfaction générale.)

• Trop (ან assez)... pour que...:

Ces faits sont TROP anciens POUR QUE TU T'EN SOUVIENNES.

* de telle manière (façon) que, au point que შეესაბამება წინდებულებს de manière (façon) à, au point de (რომელიც იხმარება ნხოლოდ ინფინიტივთან ერთად):

La chaleur est intense, AU POINT QU'ELLE NOUS INCOMMODE.

2. შედეგის გამოწვევად კავშირის გარემოებითი წინადადების კილო არის:

* კავშირებითი კავშირებთან trop (assez)... pour que-თი და ხანდახან de telle manière (façon) que, au point que;

* თხრობითი (ან პირობითი) სხვა შემთავებებში.

3. როდესაც მთავარ და დაქვემდებარებულ წინადადებებს ერთი ქვემდებარე აქვს, ინფინიტიური გარდაქმნა შეიძლება მოხდეს წინდებულების à, au point de, de manière (façon) à, trop (assez)... pour... საშუალებით:

Il pousse des cris À (ან AU POINT D') AMEUTER TOUT LE QUARTIER (= au point qu'il ameute, ან risque d'ameuter...)

Il est TROP poli POUR ÊTRE HONNÊTE (= pour qu'il soit honnête).

3. შედარების გარემოებითი წინადადება

1. შედარების გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადება შემოტანილია იმ კავშირით ან კავშირის გამოთქმით, რომელიც აღნიშნავს შედარებას, ვითარებას ან რაოდენობის კავშირს მთავარსა და დაქვემდებარებულ წინადადებებში გამოსატყულ ფაქტებს შორის.

* comme:

J'agirai COMME J'AI TOUJOURS FAIT EN PAREIL CAS.

* tel და კავშირი que შედარებით ხარისხში მდგარ ზმნიზედასთან ან ზედხართავთან, ან ვითარების ან რაოდენობის ზმნიზედასთან (ain-si, autant, plus, moins):

Ce pays est TEL QUE JE L'IMAGINAIS.

Ces accidents sont MOINS rares QU'ON NE CROIT.

Nous avons PLUS de preuves QU'IL N'EST NÉCESSAIRE.

2. ყრფიანი ელემენტების ჩამოკიდების წესი ხშირად გამოიყენება

შედარების გარემოებით წინადადებებში. მაგალითად, წინადადებას:

Ces accidents sont MOINS rares QU'ON NE CROIT,

ჩანოცილებული აქვს გარემოებითი წინადადების ხანილი (= qu'on ne croit qu'ils sont rares).

წინადადება:

Il est heureux COMME UN POISSON DANS L'EAU,

არის შემოკლებული შედარების გარემოებითი წინადადება (= comme un poisson est heureux dans l'eau).

არსებითი სახელის ბევრი ჯგუფი, რომელთაც ხანდახან მიიჩნევენ შედარების დამატებებად, შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს შედარების გარემოებითი წინადადების ერთადერთ ელემენტად, რომელიც მთავარი წინადადების წევრებისგან განსხვავებულია:

Il est heureux COMME UN ROI [est heureux].

Il est PLUS aimable QUE SON FRÈRE [n'est aimable].

ასეთი გამოყენების დროს, პირის ნაცვალსახელები je, tu, il, ils იღებენ შემდეგ ფორმას moi, toi, lui, eux:

Je suis MOINS inquiet QUE TOI (= que tu n'es inquiet).

შენიშვნა. შედარების გარემოებითი წინადადებაში არ ზდება ინფინიტიური გარდაქმნა და არც კავშირების შესაბამისი წინდებულები გვხვდება.

4. სხვა გარემოებითი წინადადებები: ვითარების, მიმატების, გამონაკლისის

ჩვენ მიერ განხილული დაქვემდებარებული წინადადებები ყველაზე უფრო გავრცელებულია, მაგრამ სხვა ტიპის დაქვემდებარებული წინადადებებიც არსებობს:

1. ვითარების გარემოებითი წინადადებები, შემოტანილი კავშირებით comme, sans que:

Fais COMME TU L'ENTENDS.

Il est sorti **SANS QU'ON LE REMARQUE** (= sans bruit, discrètement).

2. მიმატებია გარემოებითი წინადადებები, შემოტანილი კავშირებით **outré que** (განოაქმა შექმნილია წინდებულთა **outré** და კავშირით **que**), **sans compter que**:

OUTRE QU'IL ÉTAIT PARESSEUX, il avait mauvais esprit.

(დამატება არსებითი სახელის ჯგუფთან: **outré sa paresse**.)

3. გამოხატვის გარემოებითი წინადადებები, შემოტანილი კავშირებით **sauf que**, **excepté que** (გამოტემა შექმნილია წინდებულებით **sauf**, **excepté** და კავშირით **que**).

Jé suis satisfait de mes vacances, **SAUF QUE LE TEMPS ÉTAIT MÉDIOCRE**.

(წინდებულთან ჯგუფთან: **sauf le temps médiocre**.)

შენიშვნა: სხვადასხვა გარემოება შეიძლება გამოხატოს მიმდებარებითი დაქვემდებარებული წინადადებით, რომელიც მიმდებარებს და აკუთარ ქვემდებარეს შიგნით (იხ. თავი 46, 1, 1):

LE SOIR VENU, nous sommes rentrés à la maison (დროის).

LA COLÈRE L'ÉTOUFFANT, il ne pouvait plus dire un mot (მიწეზის).

ინფინიტივი და ინფინიტიური გარდაქმნა

1. ინფინიტივი, როგორც დამატებითი დაქვემდებარებული წინადადების კილო

* წინადადება:

J'espère VENIR demain

იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც წინადადებას:

J'espère QUE JE VIENDRAI demain.

მასხადამე, *que* კავშირით შემოტანილი დამატებითი დაქვემდებარებული წინადადება შეიძლება ინფინიტივად გარდაიქმნას. ტრანსფორმაცია ხდება *que* კავშირის ჩამოცილებით, ზმნის პირიანი ფორმა ინფინიტივით შეცვლით და ქვემდებარის გამოტოვებით.

პირველ მაგალითში, წინადადების წევრი *venir demain* დაქვემდებარებული წინადადებაა, რომელსაც აუცილებლად იგივე ქვემდებარე აქვს, რაც მთავარი წინადადების ზმნას *j'espère*. (ასევე *Vous espérez venir = Vous espérez que vous viendrez* და ა.შ.)

ამ ტიპის გარდაქმნას შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ მთავარ ზმნასთან კქონდეს ადგილი, როგორიცაა *croire, penser, espérer, estimer, s'imaginer*.

* წინადადებებიც:

Je souhaite VENIR demain.

Je souhaite DE VENIR demain.

ინფინიტივს შეიცავს, რომელსაც იგივე ფუნქცია აქვს, რაც პირიანი ფორმაში მდგარ ზმნას და აქვს იგივე ქვემდებარე, რაც მთავარი წინადადების ზმნას.

თუმცა, წინადადება, რომელიც შეიძლება ორივე ზემოთ მოტანილ მაგალითს შეესაბამებოდეს, არასწორი წინადადებაა (**Je souhaite que je vienne*).

ზმნას *souhaiter*, ისე როგორც *vouloir, désirer, refuser, accepter, attendre* და ა.შ., ჩვეულებრივად *que* კავშირით შემოტანილი დამატებითი წინადადება არ ეოსდევს და აქვს იგივე ქვემდებარე: ინფინი-

ტიური ვარდაქმნა ან წინებისთვის აღუცილებელია. ხანდახან ეს წინდებულობით ხდება (Je désire m'inscrire. Il accepte de venir.)

მაგრამ, როდესაც ქვემდებარე განსხვავებულია, იყენებენ que კავშირით შემოტანილ დამატებითი ნიხადადებებს:

Je souhaite QUE VOUS VENIEZ ME VOIR.

Pierre accepte QUE LE DÉPART SOIT REMIS.

• წინადადება:

Je demande à chacun DE FAIRE un effort

ტოლფასია წინადადებისა:

Je demande à chacun QU'IL FASSE un effort (ნაკლებად გამოყენებული კონსტრუქცია),

და ახლოს არის წინადადებასთან:

Je demande QUE CHACUN FASSE un effort.

მაშასადამე, ინფინიტიური ტრანსფორმაცია მდგომარეობს მთავარი ზმნის მეორე დამატებად, que კავშირით შემოტანილი დამატებითი წინადადების ქვემდებარის გამოყენებაში. ასეთ შემთხვევაში ინფინიტივს წინდებული უძღვის (აქ: de).

ასევე წინადადებას:

J'invite chacun À FAIRE un effort

იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც შემდეგ წინადადებას, რომელსაც ნაკლებად იყენებენ:

J'invite chacun À CE QU'IL FASSE un effort.

• ზოგიერთი ინფინიტიური ტრანსფორმაცია ორაზროვნებას შეიცავს.

მაგალითად:

Je demande à Paul DE RESTER quelques jours

შეიძლება ნიშნავდეს:

Je demande à Paul QU'IL RESTE quelques jours

ან:

* Je demande à Paul QUE JE RESTE quelques jours (არასწორი კონსტრუქცია).

* ინფინიტივში მდგარი დამატებითი წინადადება გამოიყენება იმ ინფინიტივების განსასხვავებლად, რომლებიც მოსდევს დამამარე ზმნებს faire, laisser, devoir, pouvoir და ა.შ. (იხ. თავი 25).

ზოგიერთ ამ ზმნას, სხვათა შორის, შეიძლება სრული მნიშვნელობა ჰქონდეს და ამ შემთხვევაში ინფინიტივი დამატებით წინადადებას შეესაბამება, მაგალითად, როდესაც pouvoir-ს აქვს მნიშვნელობა „être capable de“:

Paul PEUT PORTER cette valise.

ზოგიერთი ზმნა ექვემდებარება ინფინიტიურ გარდაქმნას ერთ-ერთი თავისი მნიშვნელობით, მაგრამ არა სხვა მნიშვნელობით. მაგალითად:

J'ai dit à Pierre QU'IL SOIT EXACT AU RENDEZ-VOUS

შედარებით ნაკლებად გამოიყენება, ვიდრე:

J'ai dit à Pierre D'ÊTRE EXACT AU RENDEZ-VOUS.

(Dire-ს აქ აქვს ბრძანების დატვირთვა: „გუბრძანე“, „მოეთხოვე“.)

მაგრამ:

J'ai dit à Pierre QU'IL ÉTAIT EXACT AU RENDEZ-VOUS

არ უშეუბნებ ინფინიტიურ გარდაქმნას (dire-ს აქ თხრობითი მნიშვნელობა აქვს).

* ზოგიერთი ზმნის შემდეგ, როგორცაა croire, penser, juger და ა.შ., როდესაც დამატებითი წინადადების ზმნა არის მაერთებელი ზმნა être, რომელსაც ატრიბუტი მოჰყვება, ის შეიძლება ანივარდეს ინფინიტიური დამატებითი წინადადებიდან, იმ შემთხვევაში, თუ ამ დამატებითი წინადადების ქვემდებარე იგივეა, რაც მთავარი წინადადების ზმნისა:

Je crois que Paul EST capable de réussir

→ Je crois Paul capable de réussir.

(არ ამბობენ *Je crois Paul être capable de réussir).

მაგრამ მაერთებელი ზმნა შეიძლება დარჩეს, თუ მთავარ და დამატებით წინადადებებს ერთი და იგივე ქვემდებარე აქვს:

Je crois que je SUIS capable de réussir → Je crois ÊTRE capable de réussir (ახ Je me crois capable de réussir).

როდესაც მიერთებული ზმნა ამგვარად არის მოცოლებული, ზედსართავი ან არსებითი სახელი, რომელიც დამატებითი წინადადების ქვეშედაბრის ატრიბუტი იყო, ისინი მთავარი წინადადების ზმნის „დამატების ატრიბუტად“ (capable არის Paul-ის ან me-ს ატრიბუტი) [იხ. თავი 23].

* ინფინიტივს შეიძლება იგივე წინშენელობა ექონდეს, რაც que-თი შემოტანსაც წინადადება ქვეშედაბრეს. შევადაროთ ეს ორი წინადადება:

PROTESTER ne changerait rien.

QUE VOUS PROTESTIEZ (ახ: QU'ON PROTESTE) ne changerait rien.

* ინფინიტივი არსებითი სახელის დამატების ან ზედსართავის დამატების როლში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც que ან ce que-თი შემოტანსაც წინადადება. შევადაროთ:

L'idée DE PARTIR m'est pénible, Je suis sûr DE RÉUSSIR,

და

L'idée QUE JE PARS m'est pénible. Je suis sûr QUE JE RÉUSSIRAI.

* როდესაც დაქვემდებარებული წინადადების ქვეშედაბრე განსხვავებულია მთავარი წინადადების ქვეშედაბრისგან, ინფინიტიური ტრანსფორმაცია შეუძლებელია; და პირიქით, ის სავალდებულოა არსებითი სახელების ან ზედსართავების უმრავლესობასთან, როდესაც ორივე წინადადებაში ერთი ქვემდებარეა.

ვამბობთ:

J'ai le désir QU'IL VIENNE,

მაგრამ

J'ai le désir DE VENIR (და არა *que je vienne).

ვამბობთ:

Je suis heureux QU'IL VIENNE,

მაგრამ Je suis heureux DE VENIR (და არა *que je vienne).

* ინფინიტიურმა კონსტრუქციამ, არსებითი სახელის ან ზედსართავის შემდეგ, შეიძლება ბუნდოვანება გამოიწვიოს, რადგან ინფინიტივთან ქვემდებარის გამოხატვა შესაძლებელი არ არის. მაგალითად:

Un poulet prêt à manger

შეიძლება ნიშნავდეს, რომ ქათამი მზად არის საჭმელად ან, რომ ემზადებიან მის შესაჭმელად.

2. ინფინიტივი როგორც გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადების კილო

* ზოგიერთი გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადება პირიდან ფორმაში შეიძლება გარდაიქმნას ინფინიტივიან დაქვემდებარებულ წინადადებად, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ მთავარ და დაქვემდებარებულ წინადადებებს ერთი ქვემდებარე აქვს. ასეთ შემთხვევაში, ძირითადად წინდებულს ან წინდებულის გამოთქმას იყენებენ, რაც გამოყენებულ კავშირიან წინადადებას შეესაბამება:

ამგვარად, ამბობენ:

Je me suis rapproché POUR ENTENDRE,

და არა:

*Je me suis rapproché POUR QUE J'ENTENDE.

მაგრამ განსხვავებულ ქვემდებარებულთან მხოლოდ ასე შეიძლება ითქვას:

Je me suis rapproché POUR QUE TU ENTENDES.

(იხ. თავი 42, 43, 44.)

* ხშირ შემთხვევაში ეს ინფინიტიური გარდაქმნა შესაძლებელი არ არის; მაგალითად, პირობის, შედარების და ქვემდებარებულ წინადადებებში და დროის, მიზეზის, დათმობის სხვადასხვა კავშირთან, რასაც წინდებული ან წინდებულის გამოთქმა არ შეესაბამება:

Si je pars, je vous préviendrai;

Agissez comme vous l'entendrez,

წინადადებები ინფინიტიურ გარდაქმნას არ ექვემდებარება.

3. ინფინიტივი როგორც დამოუკიდებელი წინადადების კილო

• ბრძანებით ან ძახილის წინადადებებში ინფინიტივი *quē-თი* შემოტანილ წინადადებებს შეესაბამება, ხოლო ზმნა კავშირებით კილოა:

Lui, m'AVOIR ainsi MENTI!

(= qu'il m'ait ainsi menti!)

FAIRE CHAUFFER un quart d'heure

(= qu'on fasse chauffer un quart d'heure).

• ინფინიტივი შეიძლება პირიან კილოში მდგარ ზმნას შეესაბამებოდეს კითხვით წინადადებებში, სადაც ქვემდებარე იქნება პიროვნება, ვინც ღაპარაკობს, ან განუსაზღვრელი ქვემდებარე:

Que FAIRE aujourd'hui? OÙ ALLER cet après-midi?

• ინფინიტივს შეუძლია, ლიტერატურულ ენაში და სატილისტური მოსაზრებით მოიხსრობებში თხრობითი კილო შეცვალოს (თხრობის ინფინიტივი). მაშინ მას წვეულებრივ წინ უძღვის *et*:

Il exposa ses projets. Et tous D'APPLAUDIR.

4. ინფინიტივი როგორც არსებითი სახელის მნიშვნელობით გამოყენებული ზმნის ფორმა

ინფინიტივი შეიძლება იხმარებოდეს როგორც მხოლოდითი რიცხვის არსებითი სახელი, რომელსაც წინარტიკლი უძღვის, და აღნიშნავდეს მოქმედებას ან მდგომარეობას (უსრული ასპექტი), მაგრამ ეს შეიძლება თანამედროვე ფრანგულ ენაში მხოლოდ რამდენიმე ზმნასთან გვხვდება: *le laisser-aller* (= *le fait de se laisser aller*); *le boire*, *le manger* (= *le fait* ან *la possibilité de boire, de manger*).

ინფინიტივების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც იხმარება არტიკლებით, როგორც მრავლობით ისე მხოლოდით რიცხვში, გარდაიქმნა წვეულებრივ არსებით სახელებად: *le devoir*, *le dîner*, *un sourire*.

მიმლეობა, ნაზმნარი ზედსართავი, გერუნდივი

1. -ant-ზე დაბოლოებული ფორმა

ზმნის ფუძიან და ant-ზე დაბოლოებულ ფორმება შორის სიტყვა-თა რამდენიმე კლასს ასხვავებენ მათი სინტაქსური და მორფოლოგიური თვისებების მიხედვით.

1. ანმყო დროის მიმლეობა

• ანმყო დროის მიმლეობა შეიძლება მიმართებითი დაქვემდებარებული წინადადების ეკვივალენტური იყოს.

წინადადებებში:

(1) Les congressistes POSSÉDANT UNE VOITURE étaient venus par la route,

(2) De nombreux congressistes, POSSÉDANT UNE VOITURE, étaient venus par la route,

ზმნის ჯგუფი possédant une voiture, მიმართებითი წინადადების ეკვივალენტურია – ან განსაზღვრებითი მიმართებითი: წინადადების (წინადადება 1), ან მიმართებითი წინადადება დანართის (წინადადება 2) [იხ. თავი 41], რომელიც ავსებს არსებით სახელს congressistes:

Les congressistes QUI POSSÉDAIENT une voiture étaient venus par la route.

Des nombreux congressistes, QUI POSSÉDAIENT une voiture étaient venus par la route.

ფორმას possédant, რომელიც სქესსა და რიცხვში უცვლელი რჩება და რომელსაც შეუძლია იგივე დამატებები შეითავსოს, რაც ყველა სხვა აქტიური ზმნის ფორმას, posséder ზმნის „ანმყოს მიმლეობა“ ენოდება.

• ანმყოს მიმლეობა შეიძლება გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადების ზმნის ეკვივალენტური იყოს.

წინადადებაში:

De nombreux congressistes POSSÉDANT une voiture, un parking spécial avait été prévu,

პირველი ნაწილი გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადების ეკვივალენტურია (აქ: მიწის):

Comme de nombreux congressistes POSSÉDAIENT...

სიტყვა *possédant* უცვლელია და არის მიმღობა. ამ კონსტრუქციას ზოგჯერ „მიმღობით დაქვემდებარებულ წინადადებას“ ან „ახლოუტურ მიმღობას“ უწოდებენ (იხ. თავი 44, პარაგრაფი 4.3, მენიშენა).

2. ნაზმნარი ზედსართავი

წინადადებაში:

Les classes POSSÉDANTES avaient investi de gros capitaux dans cette affaire,

სიტყვა *possédantes* აბასიათებს *classes*-ს ჩვეულებრივი ზედსართავის მსგავსად (მაგალითად, *riches, aisées*) და სქესა და რიცხვში იცვლება. უნაიდან ის ზმნიდან *posséder* არის ნაწარმოები, მას „ნაზმნარ ზედსართავს“ უწოდებენ.

-ant-ზე დაბოლოებული ნაზმნარი ზედსართავი არ ირთავს ზმნისთვის დამახასიათებელ დამატებებს: დამატებას, გარემოებებს.

შენიშვნები: 1. რადგან მიმართებითი დაქვემდებარებული წინადადება ზედსართავი სახელის როლს ასრულებს (იხ. თავი 41), -ant-ზე დაბოლოებული მიმღობა შეიძლება შეიცვალოს ზედსართავით: (les congressistes possesseurs d'une voiture), ხოლო ნაზმნარი ზედსართავი მიმარსებითი წინადადებით (les classes qui possèdent [des biens]).

განსხვავება მიმღობასა და ნაზმნარ ზედსართავს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ერთი უცვლელია, ხოლო მეორე ცვალებადი. ისანი განსხვავდება აგრეთვე დამატებების კონსტრუქციებში.

გარდა ამისა, მიმღობითი დაქვემდებარებული წინადადების შემთხვევაში მიმღობა ვერც ზედსართავი სახელით და ვერც მიმართებითი წინადადებით ვერ შეიცვლება.

2. ზოგიერთ შემთხვევაში მიმღობას და ნაზინარ ზედსართავს ერთმანეთისგან ორთოგრაფიით ასხვავებენ, შევადაროთ:

Il a prononcé des paroles **PROVOQUANT** l'hilarité générale,

და

Il a prononcé des paroles **PROVOCANTES**.

ასევე: ზედსართავები **convaincant**, **intrigant**, **négligent** განსხვავდება მიმღობისგან **convainquant**, **intrigant**, **négligeant**.

3. გერუნდივი

წინადადებაში:

Le plombier siffle **EN TRAVAILLANT**.

en travaillant იგივე მნიშვნელობისაა, რაც **pendant qu'il travaille**, ან **pendant son travail**,

-ant-ზე დაბოლოებულ ზმნის ფორმას, რომელსაც წინ **en** უძღვის და უცვლელია, „გერუნდივი“ ეწოდება.

გერუნდივი გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადების ეკვივალენტურია, რომელსაც იგივე ქვემდებარე აქვს, რაც მთავარ წინადადებას, ის ასევე გარემოებითი წინდებულისანი ჯგუფისან ხანდახან ვითარების ზმნიზედის ეკვივალენტურია.

გამოხატული გარემოებები შეიძლება სხვადასხვა იყოს:

Il marche **EN BOITANT** (ვითარების).

EN MANGEANT moins, vous vous porteriez mieux (პირობის).

Je l'ai aperçu **EN ARRIVANT** (დროის) და ა.შ.

2. -é, -i, -u, -s, -t-ზე დაბოლოებული ფორმები

ფორმები, როგორცაა **chanté**, **fini**, **perdu**, სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

* ისეთ წინადადებაში, როგორცაა:

Le président **EST ÉLU** par le bureau,

élu არის ეხებითი გვარის რთული ფორმის **est élu** ერთ-ერთი ელემენტი.

ეს ელემენტი შეიძლება შეგვხვდეს დამხმარე ზმნის **être** გარეშე:

Le président ÉLU par le bureau dirige les débats.

ამ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს მიმართებით ნინადადებსაც ცილებენ მიმართებით ნაცვალსახელებს და დამხარე ზმნას:

Le président [qui est] élu par le bureau...

-მ, -ი, -ა-ზე დაბოლოებულ ზმნის ფორმებს, ვნებით გვარში გამოყენებისას ნამყოფს მიმღებებს უნოდებენ და ისინი ყოველთვის ცვალებადია.

შენიშვნა. თუ ზმნების დიდი უმრავლესობისთვის გამოყენებული ფორმა მთავრდება -მ, -ი, ან -ა-ზე, მესამე კვადრანტის ზმნების გარკვეულ რაოდენობაში შესაბამისი ზმნის ფორმა განსხვავებულია: pris, inclus, joint, ouvert. ყველა ამ ფორმის ნამყოფობის ერთი კლასისთვის მიკუთვნება იმ ფაქტს ეყრდნობა, რომ მათ ისე შეუძლია ერთმანეთს ჩაენაცვლონ, რომ ნინადადებს გამართული დარჩება:

Le président est nommé (investi, élu, compris, contredit, rejoint და ა.შ) par le bureau.

* ზემოთ მოტანილ მაგალითებში, -მ, -ი, -ა-ზე და ა.შ. დაბოლოებული ფორმებს მოსდევს par ნინადებულის შემოტანილი დამატება (მოქმედი დამატება იხ. თავი 37).

ეს ფორმები შეიძლება ან დამატების გარეშეც იხმარებოდეს. მაშინ ისინი თავისი ფუნქციონირებით ჩვეულებრივ ზედსართავ სახელებს დაემსგავსება და მათი მნიშვნელობა შეიძლება მეტ-ნაკლებად განსხვავებული იყოს მომღებლისგან. შევადაროთ:

Il a été DISTINGUÉ par ses supérieurs,

და C'est un homme très DISTINGUÉ.

* -მ, -ი, -ა-ზე და ა.შ. დაბოლოებული ფორმები მიმღებობის როლში შეიძლება ავრეტვე იყოს მოქმედებითი გვარის ზმნის რთული ფორმის შემაღვერელი ელემენტი:

Les ouvriers ONT RÉPARÉ la toiture.

ამ შემთხვევაში, ცვლილების პირობები შესაბამისი წესებით არის განსაზღვრული.

-e, -i, -u-ზე და ა.შ. დაბოლოებული ფორმები, *ქართული* დამხმარე ზმნების avoir ან être ანმყოფ მიმდევობაზე, შეადგენს სრულ ფორმას, რომელიც იმ ზმნის ანმყოფ მიმდევობას შეესაბამება, რომელსაც ეს ფორმები მიეკუთვნება:

Le chien, APERCEVANT son maître, accourut.

Le chien, AYANT APERÇU son maître, accourut.

მოქმედებითი გვარის ნამყოფ მიმდევობა შეიძლება გამოყენებული იქნეს დამხმარე ზმნის გარეშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იმ ზმნებს მიეკუთვნება, რომელიც დამხმარე ზმნით être იწოდება:

Les spectateurs ARRIVÉS les premiers occupent les meilleures places;

მაგრამ:

Les spectateurs AYANT LOUÉ leurs places n'attendent pas au guichet.

ნამყოფ მიმდევობასთან შეთანხმება შემდეგ გვერღზეა განხილული.

3. -ble-ზე დაბოლოებული ნაზმნარი ზედსართავი

არსებობს ნაზმნარი ზედსართავი სახელების კლასი წარმოებული ზმნის ფუძეზე (ხანდახან სახეშეცვლილზე) სუფიქსის -ble (-able, -ible, -uble) დამატებით. ეს ზედსართავები შეესაბამება წინადადებებს, რომლებიც შეიცავენ ზმნას pouvoir, ჩვეულებრივ ენებითი გვარის ინფინიტივის წინ, ხანდახან კი გარდაუვალი ზმნის მოქმედებითი გვარის ინფინიტივის წინ:

Cette proposition est acceptable, admissible (= cette proposition peut être acceptée, admise).

Ce travail est convenable, passable (= ce travail peut convenir, peut passer).

ბამყოს მიმღეობის შეთანხმება

I. ზმნასთან avoir

მოქმედებითი გვარის რთული დროების ზმნების ბამყოს მიმღეობა სქესსა და რიცხვში უთანხმდება პირდაპირ დამატებას, როდესაც ეს დამატება მას წინ უძღვის.

როცა მომყვება ინფინიტივი:

ბამყოს მიმღეობა უცვლელი რჩება, თუ ინფინიტივი პირდაპირი დამატებაა;

ის უთანხმდება, თუ მიმღეობის დამატება ინფინიტივის ქვეშდებარეა.

როცა წინ უძღვის en ხაცვალსახელი: ბამყოს მიმღეობა არ უთანხმდება, იმ შენთხვევის გარდა, როდესაც en-ს წინ უძღვის რაოდენობის ზმნიზედა.

როცა წინ უძღვის l', რომელიც წინადადებას წარმოადგენს, ბამყოს მიმღეობა რჩება უცვლელი.

ზმნებთან courir, valoir, peser, vivre, coûter:

ბამყოს მიმღეობა უცვლელი რჩება, როცა ზმნა გარდაუვალია;

ბამყოს მიმღეობა უთანხმდება დამატებას, როცა ზმნა გარდაუვალია.

უპირო ზმნასთან:

ბამყოს მიმღეობა რჩება უცვლელი.

Vous avez pris la bonne route.

La bonne route que vous avez prise.

Vous aviez envoyé une lettre: je l'ai bien reçue.

L'histoire que j'ai entendu raconter (j'ai entendu qu'on racontait cette histoire).

La cantatrice que j'ai entendue chanter.

J'ai cueilli des fraises dans le jardin et j'en ai mangé.

La journée fut plus belle qu'on ne l'avait prévu.

Les années qu'il a vécu (que არის დროის დამატება).

Les dangers que j'ai courus. Les efforts que ce travail m'a coûtés. Les jours heureux qu'elle a vécus ici.

Les deux jours qu'il a neigé. Les accidents nombreux qu'il y a eu cet été. La chaleur qu'il a fait.

როცა მის წინ დგას კრებითი
განოთქმა პირდაპირი დამატების
როლი:

ნაწყოს მიმღეობა უთანხმდება
კრებით სიტყვას ან კრებითი ტერ-
მინის დამატებით სიტყვას.

Le grand nombre de succès que
vous avez remporté (ან remportés).
Un peu d'attention que vous avez
apporté (ან apportée) à cette af-
faire.

2. ზმნასთან être

ნაწყოს მიმღეობა უთანხმდება
სქესა და რიცხვში ზმნის ქვემდე-
ბარეს.

La villa a été louée pour les va-
cances.

Les feuilles sont tombées. Nos
amis sont venus hier. Les rues
sont bien éclairées.

ნაცვალსახელოვან ფორმასთან:
ნაწყოს მიმღეობა უთანხმდება
ზმნის ქვემდებარეს, შეჩდევი
ქმთიწვევების გარდა:

Ils se sont aperçus de leur erreur.
Ils se sont lavés. Ils se sont bat-
tus. Elle s'est regardée dans la
glace.

ა) როდესაც ზმნას მოხდევს
პირდაპირი დამატება (შეთახხმე-
ბა ხდება მაშინ, როდესაც ეს დამ-
ატება წინ უძღვის);

Ils se sont lavé les mains. Ils se
sont écrit des lettres; მაგრამ Les
mains qu'ils se sont lavées. Les
lettres qu'ils se sont écrites.

ბ) როდესაც უკუქცევითი ან ურ-
თიერთქმედების ნაცვალსახელო-
ვანი ზმნა მოქმედებით გვარშია
და ზმნა ირიბად გარდამავალია, ან
ზმნა ირთავს მ წინდებულთ შე-
მოტანილ დამატებას.

Ils se sont nu (nuire à quelqu'un).
Ils se sont écrit (écrire à
quelqu'un).

კილოსა და დროის გამოყენება; დისკურსი და თხრობა

1. ნათქვამის ტიპები: დისკურსი და თხრობა

• განვიხილოთ შემდეგი ორი ნათქვამი:

Il est maintenant 3 heures. J'ai terminé le travail dont je vous parlais ce matin; je m'accorde un moment de repos.

Il était alors alors 3 heures. Il avait terminé le travail dont il leur parlait le matin; il s'accorda un moment de repos.

პირველში თანამოსაუბრებთან ახლანდელ სიტუაციაზეა საუბარი, რომელშიც მთხრობელი მონაწილეობს: ამას დისკურსი ეწოდება.

მეორე წარსულ ფაქტებს მოგვითხრობს, რომელსაც მოსაუბრე ლაპარაკის მომენტთან არ აკავშირებს: ამას თხრობას ეწოდებენ.

განსხვავება დისკურსსა და თხრობას შორის გარკვეული დამახასიათებელი ნიშნებით გამოიხატება, რასაც ასევე პირდაპირი და ირიბი ნათქვამის შედარებისას ვხვდებით (იხ. 2. თხრობა); მაგალითად:

• პირის ცვლილება:

J'ai terminé / il avait terminé;
je vous parlais / il leur parlait;

• დროის ცვლილება:

J'ai terminé / il avait terminé;

• ზოგიერთი იმ ზმნიზედის ან მსაზღვრელის ცვლილება, რომელიც პროცესის, მოქმედების „აქტუალობას“ უკავშირდება:

maintenant / alors;
ce matin / le matin.

ყველაზე გამოხატული განახევება დისკურსსა და თხრობას შორის მდგომარეობს იმაში, რომ დისკურსის დროს არსებული სიტუაციის ასახვისთვის ანმყო დროს იყენებენ (Il est 3 heures; je mange). მაშინ როცა თხრობისთვის გამოყენებული დრო მარტივი წარსული

(Il partit) ან ნამყო უნცვეტილია (Il était 3 heures) იმის მიხედვით, სრულ ასპექტს გამოხატავენ (მოქმედება, რომელიც არ გრძელდება) თუ უსრულ ასპექტს (მოქმედება, რომელიც გრძელდება).

სრული ასპექტი დისკურსში გამოიხატება ნამყო წყვეტილით (J'ai terminé: სრულია ანმყოსთან je termine მიმართებაში) ან ნამყო წინარე წარსულით (j'avais terminé: სრულია წარსულთან j'ai terminé მიმართებაში), მაშინ როცა თხრობაში ის მხოლოდ ნამყო წინარე წარსულით (il avait terminé) გამოიხატება.

მაშასადამე, მარტივი წარსული, პრინციპში, თხრობისთვის განკუთვნილი დროა და მხოლოდ მესამე პირში გამოიყენება, ხოლო ნამყო წვეტილი ზეპირი მეტყველების დროა, რომელიც ყველა პირში თანაღისუფლად გამოიყენება.

შენიშვნა: დისკურსი შეიძლება ამბის მოსაყოლადაც იქნეს გამოყენებული და მაშასადამე, თხრობის ნაცვლად; ამ შემთხვევაში, ნამყო წვეტილი ჩვენაცვლება მარტივ წარსულს, ამგვარად აიხსნება ის ფაქტი, რომ მარტივი წარსული მიეკუთვნება წერილ თხრობას, ხოლო ზეპირ თხრობაში, როგორც წესი, ნამყო წვეტილი გამოიყენება.

2. თხრობა

1. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი

როდესაც სხვის ფიქრებს ან სიტყვებს გადმოგვცემთ, ან ჩვენს ნაუქრალსა და ნათქვამს, ამას რამდენიმე ფორმით ვაკეთებთ:

• შეიძლება ამის ზუსტი ტექსტით გადმოგვცემა, ან შემოტანა ზმნებით dire, demander, penser, ან მათ გარეშე:

Nos amis nous ont dit en partant: „Nous vous enverrons de nos nouvelles.“

Cette fois, pensait-il, j'ai des chances de réussir.

Un passant s'approcha: „Peut-on m'indiquer la place Victor-Hugo?“

ამას პირდაპირი ნათქვამი ეწოდება, რომლის დროსაც მთხრობელი სიტყვასიტყვით, ყოველგვარი ცვლილების გარეშე იმეორებს სხვის სიტყვებს.

• ასევე შეიძლება ნათქვამის გადმოცემა იმავე სიტყვების შენარჩუნებით, თღონდ ზოგიერთი გრამატიკული ელემენტის შეცვლით:

Nos amis nous ont dit en parlant qu'ils nous enverraient de leurs nouvelles.

Il pensait que cette fois il avait des chances de réussir.

Un passant s'approcha et demanda si on pouvait lui indiquer la place Victor-Hugo.

ამგვარ ნათქვამს, რომლის დროსაც მთხრობელი სხვის სიტყვებს ან აზრს გადმოსცემს, ირიბი ნათქვამი ეწოდება.

2. ირიბი ნათქვამის დამაიასიაოებელი ნიშნები

შეჯდართ შემდეგი დიალოგის ორი: ვერსია, პირველი პირდაპირ ნათქვამშია, მეორე ირიბ ნათქვამში:

J'ai demandé à mon visiteur. „Êtes-vous ici depuis longtemps?“ – Il m'a répondu: „Je suis arrivé hier. Donnez-moi donc, s'il vous plaît, mon cher ami, l'adresse d'un bon hôtel.“

J'ai demandé à mon visiteur s'il était là depuis longtemps. Il m'a répondu qu'il était arrivé la veille et m'a prié de lui donner l'adresse d'un bon hôtel.

ირიბი ნათქვამის ვერსიაში შემდეგ ცვლილებებს ეხედავთ:

• წინადადებები, რომლებიც არ იყო დაქვემდებარებული, დამატებით დაქვემდებარებულ წინადადებად გარდაიქმნება; ზოგ შემთხვევაში შეიცვლება კალი (Êtes-vous... → s'il était...; Je suis arrivé... → qu'il était arrivé...; Donnez-moi... → de lui donner...);

• იცვლება ზმნების დროები (Êtes-vous... → s'il était... და ა.შ.), თუცა არის შემთხვევები, როდესაც ისინი არ იცვლება;

• იცვლება ნაცვალსახელებისა და ზმნების პირები (Êtes-vous... → s'il était... და ა.შ.); ასევე კუთვნილებითი ზედსართავები, თუცა ზოგიერთ შემთხვევაში პირი არ იცვლება, განსაკუთრებით მესამე პირის შემთხვევაში;

• ცვლილებას განიცდის ასევე პროცესის ასახვის მიზნით გამოყენებული ზოგიერთი ადგილის და დროის ზმნიწედა (ici → là; hier → la veille);

* სიტყვები, რომელიც მოსაუბრის გრძნობას გადმოსცემს (ღირსი-დებულები: *donc, s'il vous plaît*; ნიმართეები: *mon cher ami*) ირიბ ხათქვამში გამოხატული არ არის;

* შემომყვანი წმნები, რომლებიც პირდაპირ ნათქვამში გამოხატული არ იყო, ირიბ ნათქვამში სხეადაახე ტიპის წინადადებით ჩნდება, მაგალითად თხრობითი, ბრძანებითი ან კითხვითი (*m'a prît*).

3. თავისუფალი ირიბი ნათქვამი

განვიხილოთ შემდეგი წინადადება:

Le prévenu protestait vigoureusement: il n'avait pas quitté son domicile ce soir-là; les policiers avaient-ils des preuves contre lui? Qu'ils voulassent bien les lui montrer.

* ეს წინადადება ორ თანმიმდევრულ წინადადებას შეიცავს: პირველი წინადადება, *Le prévenu protestait vigoureusement*, მთხრობელის აზრს გამოხატავს, ხოლო გაგრძელება თხრობის პერსონაჟის სიტყვებს იმუორებს (*le prévenu*), მაგრამ ადგილი აქვს სიტყვების გადაადგილებას.

თხრობის ამ ფორმას თავისუფალი ირიბი ნათქვამი ეწოდება.

იმავე მნიშვნელობით პირდაპირ ნათქვამში იქნებოდა:

Je n'ai pas quitté mon domicile ce soir-là; avez-vous des preuves contre moi? Veuillez me les montrer.

ირიბ ნათქვამში კი:

Le prévenu protestait vigoureusement en disant qu'il n'avait pas quitté son domicile ce soir-là; il demandait aux policiers s'il avait des preuves contre lui; il leur disait de vouloir bien les lui montrer.

* თავისუფალი ირიბი ნათქვამის ნიშნები უმრავლეს შემთხვევაში ირიბი ნათქვამის ნიშნებს ემთხვევა. აქ აღინიშნება გრამატიკული პირის გადაადგილება (*je* → *il*), დროის (*je n'ai pas quitté* → *il n'avait pas quitté*) დაკილოს ცვლილება (*veuillez* → *de vouloir*).

თუმცა ეს არ არის დამატებით დაქვემდებარებულ წინადადებად გარდაქმნა და კითხვით წინადადებას იგივე ფორმა აქვს, რაც პირდაპირ ნათქვამში.

* ირიბი თავისუფალი ნათქვამი ძირითადად ლიტერატურულ ენაში გამოიყენება.

3. ზმნის კილო და წინადადების ტიპი

კილოს გამოყენება განსხვავებულად ხდება იმის მიხედვით, საქმე არადაქვემდებარებულ წინადადებას უხება თუ დაქვემდებარებულ წინადადებას.

1. არადაქვემდებარებულ წინადადებაში, კილო წინადადების ტიპთან ერთად იცვლება.

* თუ წინადადება თხრობითი ან კითხვითია, შეიძლება გამოვიყენოთ:

– თხრობითი კილო, როდესაც ნათქვამი წარმოდგენილია, როგორც ნამდვილი, როდესაც სიურთხილეს არ იჩენენ მისი ქვემდებარის მიმართ და, როდესაც მას არ წარმოადგენენ როგორც პირობაზე დაშოკებულს:

L'avion est tombé dans la montagne;

– პირობითი კილო, როდესაც ნათქვამის სინამდვილე წარმოდგენილია, როგორც პირობაზე დაშოკებული, როდესაც ნათქვამზე არ იღებენ სრულ პასუხისმგებლობას:

L'avion serait tombé dans la montagne;

– ბრძანებითი და კავშირებითი კილო, ბრძანებითი წინადადებებში:

MONTRE-moi le courier, QUE chacun SOIT à son poste.

2. დაქვემდებარებულ წინადადებაში ბრძანებითი კილოს გამოყენება გამორიცხულია. თხრობითი და კავშირებითი კილოების გამოყენება ორ განსხვავებულ შემთხვევას შეესაბამება:

* მთავარი წინადადების ზოგიერთი კავშირი (pour que, quoique და ა.შ.) ან ზოგიერთი ზმნა (vouloir, falloir და ა.შ.) დაქვემდებარებულ წინადადებაში კავშირებითი კილოს მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში კავშირებითი კილო გრამატიკული შეზღუდვაა, და თავისთავად არავითარ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ გამოხატავს, რადგან ყველა სხვა კილოს არჩევა შეუძლებელია.

* როდესაც იმავე კონტექსტში არსებობს არჩევანის შესაძლებლობა თხრობითი კილოსა და კავშირებითი კილოს შორის, კილოების

შეპირისპირება ზოგადად აზრის ან მნიშვნელობის შედარებას შეე-
ხაბანება. როგორც წესი, თხრობითი კიდე რეალურად მიჩნეულ
ფაქტს გამოხატავს, ხოლო კავშირებითი კიდე მხოლოდ შესაძლებ-
ლად მიჩნეულ ან ნაგარაუდევ, სასურველ ფაქტს:

Je cherche une maison qui A un jardinet (შე ვეძი, რომ ასეთი სახ-
ლი არსებობს და ეცდილობ, ვიპოვო).

Je cherche une maison qui AIT un jardinet (შე მსურს ასეთი სახლი,
მაგრამ არ ვიცი, აქ ასეთი სახლი არის თუ არა).

ზოგჯერ მნიშვნელობის განსხვავება თხრობითსა და კავშირებით
კილოს შორის ოდნავ შესამჩნევია: მაშინ ამბობენ, რომ განსხვავება
განეიტრალებულია; მაგალითად, ეს ხდება 'ზოგიერთი უარყოფი-
თი ან კითხვითი წინადადების შემთხვევაში:

Je ne prétends pas que c'EST inutile, ან que ce SOIT inutile.

Croyez-vous que nous AVONS tort, ან que nous AYONS tort?

4. დროთა შეთანხმება

რთულ წინადადებაში, დროთა შეთანხმება მთავარ და დაქვემ-
დებარებულ წინადადებებს შორის არსებულ მიმართებებს ენოდე-
ბა.

შეიძლება გავასხვავოთ შეთანხმების ორი სახე: ერთი, რომელიც
მოთხოვნილია ნათქვამის აზრით და მეორე, რომელსაც სავალდე-
ბულო ხასიათი აქვს და განსაკუთრებულ აზრს არ გამოხატავს.

1. აზრისამოთხოვნილი დროთა შეთანხმება

• ზმნის დროებს შორის მიმართება შეიძლება გამოხატავდეს მთავარ-
სა და დაქვემდებარებულ წინადადებებში აღწერილ მოვლენებს
შორის ქრონოლოგიურ კავშირს: მოუღებია შეიძლება ნარმოდგენილი
იქნეს, როგორც მეორის თანადროული, წინარე ან კიდევ შემდგომი:

Je CROIS (ახლა) qu'il PLEUT (ახლა), qu'il PLEUVAIT (გუშინ), qu'il
PLEUVRA (ხვალ).

* რთული დროები წინსწრებას გამოხატავს ანმყოთან, წარსულთან ან მომავალთან მიმართებაში და გადმოსცემს სრულ ასპექტს.

შევადართ:

Je te RACONTE ce que j'AI VU. Je te RACONTAIS ce que j'AVAIS VU. Je te RACONTERAI ce que j'AURAI VU. Il PARTIT dès qu'il EUT ENTENDU le signal.	Je te RACONTE ce que je VOIS. Je te RACONTAIS ce que je VOYAIS. Je te RACONTERAI ce que je VERRAI. Il PARTIT dès qu'il ENTENDIT le signal.
--	---

როგორც ვხედავთ, ამ ტიპის შეთანხმება იხვევ კარგად გამოიყენება ზეპირმეტყველებაში, როგორც თხრობაში.

2. ანვალდებულო დროთა შეთანხმება

ზოგიერთ შემთხვევაში, დროთა შორის კავშირი გრამატიკული შეზღუდვაა. ამგვარად, როდესაც ზეპირი მეტყველებიდან თხრობაზე გადადიან, მომავალი ან უწინარესი მომავალი შესაბამისად ხდება მომავალი წარსულში ან უწინარესი მომავალი წარსულში, ე.ი. პირობითი კილოს ანმყო ან პირობითი კილოს წარსული.

Il EST CONVENU qu'on vous PRÉVIENDRA dès qu'une décision AURA ÉTÉ PRISE → Il ÉTAIT CONVENU qu'on le PRÉVIENDRAIT dès qu'une décision AURAIT ÉTÉ PRISE.

ასევე ზეპირმეტყველებაში გამოყენებული ანმყო და ნამყო ნცვეტილი ხშირად თხრობაში ნამყო უწყვეტელსა და ნამყო წინარე წარსულში გადადის:

Je FAIS ce que je VEUX → Il FAISAIT ce qu'il VOULAIT.

Je CROIS que je me suis TROMPÉ → Il CROYAIT qu'il s'ÉTAIT TROMPÉ.

3. დროთა შეთანხმება კავშირებით კილოში

როდესაც დაქვემდებარებული წინადადების ზმნა კავშირებით კილოშია და უსრულ ასპექტს გამოხატავს, დახვეწილი სტილის დროს

იყენებენ ამ კილოს ანმყოს ან ნამყო უწყვეტელს, მთავარ წინადადებაში გამოყენებული დროის შესაბამისად.

* როდესაც მთავარი წინადადების ზმნა არის ანმყოში ან მომავალში (მეტყველება), დაქვემდებარებული წინადადების ზმნა არის კავშირებითი კილოს ანმყოში:

Je CRAINS qu'il ne SOIT trop tard.

* როდესაც მთავარი წინადადების ზმნა არის წარსულ დროში (თხრობა), დაქვემდებარებული წინადადების ზმნა არის კავშირებითი კილოს ნამყო უწყვეტელში:

Je CRAIGNAIS qu'il ne FÛT trop tard.

* სრული ასპექტის გამოსახატავად დაქვემდებარებულ წინადადებაში იყენებენ კავშირებითი კილოს წარსულს ან ნამყო წინარე წარსულს:

Je CRAINS que mes paroles n'AIENT ÉTÉ mal INTERPRÉTÉES.

Il CRAIGNAIT que ses paroles n'EUSSENT ÉTÉ mal INTERPRÉTÉES.

შენიშვნები: 1. სალაპარაკო ენაში, ხშირად იყენებენ კავშირებითი კილოს ანმყოს ან ნამყო წყვეტილს, კავშირებითი კილოს ნამყო უწყვეტელისა და ნამყო წინარე წარსულის ნაცვლად, ე.ი. შემოიფარგლებიან უსრულ და სრულ ასპექტებს შორის განსხვავების გამოხატვით:

J'avais peur qu'il soit trop tard.

Il avait peur que ses paroles aient été mal interprétées.

2. დახვეწილ სტილშიც კი ძალიან იშვიათად იყენებენ კავშირებითი კილოს ნამყო უწყვეტელსა და ნამყო წინარე წარსულს. ეს ნბოლოდ მესამე პირში ხდება (ზმნების être და avoir გამოკლებით, რომლებიც ყველა პირში შეიძლება იქნეს გამოყენებული).

ამბობენ:

Je craignais que vous n'arriviez en retard,

და არა:

Je craignais que vous n'arrivassiez en retard.

5. დროისა და კილოს სტილისტური მნიშვნელობები

დროისა და კილოს გამოყენება არ არის დამოკიდებული მხოლოდ ნათქვამის ტიპზე (დისკურსი ან თხრობა), წინადადების ტიპზე (დაქვემდებარებული ან მთავარი), შეთანხმების სისტემაზე, მანერაზე, რომელითაც მოხაზბრე თავის ნათქვამს განიხილავს: მათ შეუძლიათ აგრეთვე სტილისტურ მიზნებს უპასუზონ.

* თხრობას შეიძლება მიეცეს დისკურსის ფორმა, ნარსული სიტუაციის ახლანდელ სიტუაციად წარმოდგენით.

მაშინ ანმყო დრო შეიძლება მარტივ წარსულს ან ნამყო უწყვეტელს ჩაენაცვლოს (ეს არის ისტორიული ანმყო):

Le général S'INFORME de la situation: tout EST calme dans ce secteur. (თხრობითი ფორმა: Le général S'INFORMA de la situation: tout ÉTAIT calme dans ce secteur.)

ასევე ვნახეთ, რომ „თხრობითი“ ფორმის მარტივ წარსულს „დისკურსის“ ფორმაში ჩაენაცვლა ნამყო წყვეტილი.

* თხრობაში ნამყო უწყვეტელის განოეხება შეიძლება აღწერის მიზნით (აღწერითი ნამყო უწყვეტელი):

La mer ÉTAIT calme.

ის შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნეს მოათხრობად (თხრობითი ნამყო უწყვეტელი), და ამ შემთხვევაში მას შეუძლია ხანგრძლივობა ან გამეორება გამოხატოს:

On se BATAIT dans les faubourgs de la ville.

Il se RENDAIT tous les jours à son bureau à 9 heures.

* ანმყო, რომელიც პირდაპირი ნათქვამის დროა, საუბარში მთელი სისტემის საბაზო დროა.

მას შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს, რომელიც ახლანდელ ნათქვამს მომავალში ან უახლოეს წარსულში განაგრძობს:

Je PARS ce soir. J'ARRIVE d'Italie.

მას შეუძლია დამოუკიდებლად გამოხატოს ფაქტი, ზმნის დროის ფაქტორის გაუთვალისწინებლად (ანმყო ზოგადი მნიშვნელობით):

La Terre **TOURNE** autour du Soleil.

La somme des angles d'un triangle EST égale à 180° .

* პირობითი კილო, რომელიც მოსაუბრის გარკვეულ თავშეკავებას გამოხატავს თავის ნათქვამთან მიმართებაში, შეიძლება ასევე გამოყენებული იქნეს შერბილებული ფორმის ან ზრდილობის დამატებითი ელემენტის გამოსახატადად:

Nous **POURRIONS** prendre cette route (უბრალო მოხაზრება).

Je **VOUDRAIS** un renseignement.

* ძახილის წინადადებებში დროს ან კილოს შეუძლია სხვადასხვა გრძნობა გადმოსცეს: გაკვირება, აღშფოთება და ა.შ.:

